საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№37 (224)
9 - 15 ოქტომბერი, 2013
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

12 ზოგი რამ ამერიკულ საარჩევნო სისტემაზე

## «მეოცნებე» აგენტები პარლამენტში 2




„ადამიანებს, რომლებიც ყველაზე მეტად გაჭყვიროდნენ ჩანერგილებზე, აღმოჩნდა, რომ თავად აქვთ ხელწერილები დაწერილი“

პრემიერი, რომელმაც დასავლეთის შიშით სამართლიანობის აღდგენა ვერ გაბედა, 13 სომხებისთვის საკადრისი პასუხის გაცემას გაბედავს?!

საქართველოს საგარეო ვალმა 13.4 მილიარდი აშშ დოლარი 3 შეადგინა

სამეგრელო 14 ეკო-კატასტროფის გარეშე

«რუსეთის გარეშე აჭარის პრობლემას ვერ მოვაგვარებთ, **თურქეთიზაცია** მთელი საქართველოს პრობლემაა» 7

«სააკაშვილის რეჟიმი არსად წასულა, 6 ის ახალმა რეჟიმმა ჩაანაცვლა»



ვერმახელებმა სტალინგრადი აირჩიეს, ქართველი მინისტრი კი სტალინს 18 უარყოფს

«მაინტერესებს, სად და რომელ **სორო(ს)ში** იმყოფება ჩვენი «სახელოვანი 8 ინტელიგენცია»

16



«პატრიოტ» მაღლაკელიძესა და «ურჩხულ» ბერიაზე

„ლავრენტი ბერია მუშაობდა და მოქმედებდა საქმის ცოდნით, ზედმეტი სიტყვების გარეშე, ოპერატიულად, ხისტად და, ამავე დროს, თავაზიანად!“

21 მტრის შეყვარება ღალატია!

ბარაკ ობამას «დასახვრეტთა 23 სია»

«იმ ქმედების გენოციდად შეფასება, რომელმაც XIX საუკუნეში ფიზიკურად გადაგვარჩინა, საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯია...» 4

ალექსეი ვლასოვი:
## თურქეთი დიდ ინტერესს ამჟღავნებს აჭარის მიმართ 3

24 ამერიკელი სამხედროების საბრძოლო სპირტუოზი და სექსუალური სულისკვეთება

არ უნდა დაგვავიწყდეს, თუ სად გამოიზამთრა ძნელბედობის ჟამს ქართულმა სულმა 10

СЕРГЕЙ НАРЫШКИН ПОКАЗАЛ ПАСЕ, ГДЕ РАКИ ЗИМУЮТ 20



2 ენოლოგთა ეროვნული კავშირის თავმჯდომარის ხუთი შეკითხვა საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატებს

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ადამიანებს, რომლებიც ყველაზე მეტად გაჰყვიროდნენ ჩანერგილებზე, აღმოჩნდა, რომ თავად აქვთ ხელწერილები დაწერილი. თუ ეს ასე არ არის, რატომ არ ცდილობენ, რომ საზოგადოებას აუხსნან, რა ხდება? თუ საქართველოს დღევანდელი მთავრობა ახალაიას, ქარდავასა და მერაბიშვილის აგენტებით არის დაკომპლექტებული, მაშინ ჩემთვის ნათელია, რატომ ხდება კოჰაბიტაცია, რატომ აფარებენ დამნაშავეებს ხელს და ა. შ. ისიც თვალნათელია, რომ ხვალ და ზეგ „ნაციონალების“ რევანში რეალურია.“**

# «მეოცნებე» აგენტები პარლამენტში



**უკვე თვეზე მეტია, გაზეთი „ქრონიკა+“ „ოცნების“ ლიდერების კუდთან თანამშრომლობის დამადასტურებელ ფაქტებს აქვეყნებს. მიუხედავად იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილმა მთავრობის წევრებს მკაცრი გაფრთხილება მისცა, ჟურნალისტებს ნუ ემალებით და საჯაროდ ისაუბრეთო, ისინი მაინც სირაქლემის პოზიციას ინარჩუნებენ და წაყრუების პოლიტიკას არ ღალატობენ.**
**ირინა იმერლიშვილისა და ზაქარია ქუცნაშვილის შემდეგ გაზეთმა ირაკლი მელაშვილისა და დავით საგანელიძის აგენტობის შესახებ გამოაქვეყნა უტყუარი დოკუმენტები.**
**ინფორმაციით აღშფოთებულია მოძრაობა „ეროვნულობის“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე და „საქართველო და მსოფლიოსთან“ აცხადებს:**

— უცნაური, პარადოქსული სიტუაციაა. გაზეთის რედაქცია გადამოწმებულ ინფორმაციას აქვეყნებს — **„ქართული ოცნების“ თითქმის ყველა ლიდერი მეგის ქარდავასა და სოსო თოფურიძის უწყებებისა და მათი პირადი აგენტი იყო. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში გაზეთმა ასეთი რამ რომ გამოაქვეყნოს, ყველა შეეცდება, პოლიტიკოსია ის თუ არა, სასამართლოს მიმართოს, რათა თავისი სიმართლე დაამტკიცოს. ჩვენთან პირიქით ხდება: გაზეთი ითხოვს სიმართლის დადგენას.**

**— თავად ის ადამიანები, რომლებზეც გაზეთი წერს, რომ აგენტები არიან, რედაქციას არ უკავშირდებიან და პასუხს არ თხოვენ?**

— არ ვიცი, მაგრამ ვიცი, ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ეს დოკუმენტები ივანიშვილმა არ ნახოს, **ივანიშვილს კი არ უნდა დაუმალონ, სიმართლე უნდა დაამტკიცონ, მაგრამ, თუ სიმართლე არ აქვთ, მათ წითელი ბარათი უნდა უჩვენო და პოლიტიკიდან უნდა მოაშორო. ისინი მართლები რომ იყვნენ, ასეთ სერიოზულ ბრალდებაზე არ წაიყრუებენ.**

საქმე ისაა, რომ გაერთიანებული ოპოზიციდან დაწყებული, ყველამ კარგად ვიცოდით, ოპოზიცია გავსებული რომ იყო ახალაიას, მერაბიშვილისა და სხვა ავაზაკების აგენტებით. დღეს გამოჩნდა, რომ ეს აგენტები ერთმანეთს იმდენად მფარველობდნენ, შესწევდათ ძალა, სხვა პატიოსანი ადამიანისთვის გაეტეხათ სახელი. იგივე მოხდა „ქართულ ოცნებაშიც“, სხვებს ეძახდნენ ჩანერგილებს და აგენტებს, ისე, რომ დამადასტურებელი საბუთები არ გააჩნდათ. **ადამიანებს, რომლებიც ყველაზე მეტად გაჰყვიროდნენ ჩანერგილებზე, აღმოჩნდა, რომ თავად აქვთ ხელწერილები დაწერილი. თუ ეს ასე არ არის, რატომ არ ცდილობენ, რომ საზოგადოებას აუხსნან, რა ხდება?**

**თუ საქართველოს დღევანდელი მთავრობა ახალაიას, ქარდავასა და მერაბიშვილის აგენტებით არის დაკომპლექტებული, მაშინ ჩემთვის ნათელია, რატომ ხდება კოჰაბიტაცია, რატომ აფარებენ დამნაშავეებს ხელს და ა. შ. ისიც თვალნათელია, რომ ხვალ და ზეგ „ნაციონალების“ რევანში რეალურია.** ასე რომ, ეს პატარა ამბავი არა არის. ვფიქრობ, მარტივ პროცესთან არ გვაქვს საქმე. გახსოვთ, პალტიისპირეთში რამდენი ადამიანი გადაყვა იმ დოკუმენტებს, რომლებიც ბალტიისპირელი პოლიტიკოსების კავშირს ასახავდა საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურებთან. მაშინ ამ ამბავს პრემიერმინისტრიც გადაყვა. ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ „ოცნების“ ის ლიდერები, რომლებზეც დოკუმენტები გამოქვეყნდა, ძველი დროის აგენტები კი არ იყვნენ, არამედ გუშინდელი იმ ადამიანების აგენტები არიან, რომლებთანაც მე და ჩემისთანები ტყვიაზე მოვდიოდით და თავს არ ვზოგავდით.

**ახალი ხელისუფლების წევრებმა ადამიანებს ძალიან ცუდი იარლიყები მიაკერეს: ზოგს — უცოდინარის, ზოგს — აგენტის, ზოგს — ჩანერგილის და თურმე რეალურად თვითონ ყოფილან ყველაფერი. მათ მოახერხეს 1 ოქტომბრის მონაპოვრის გაცამტვერება და ყველა იმ ადამიანის ჩამოცილება, რომელიც არ იყო მეგის ქარდავას ან თოფურიძის აგენტი.**

**— იქნებ ივანიშვილმა იცის და ისიც უყრუებს?**

— არ ვიცი, იცის თუ არა, მაგრამ **დანამდვილებით ვიცი ის ამბავი, რომ კომპრომატგამოქვეყნებული ლიდერები კანცელარიაში დარბოდნენ და იხვეწებოდნენ, ბიძინამ არჩევნებამდე არ გაიგოსო.** დღეს ნამდვილად არ ვიცი, ამ ამბავმა ივანიშვილის ყურამდე მიაღწია თუ არა.

**თემურ ქორიძე, ეროვნული მთავრობის წევრი:**

— დიდი ხანია, ირაკლი მელაშვილს ვიცნობ. ის ყოველთვის მებრძოლი ახალგაზრდა იყო, მის მიმართ ასეთი მოსაზრება არასდროს გაჩენილა. რაც შეეხება იმერლიშვილს, ის გენერალია. **მახსენდება ერთი ძველი ანეგდოტი, როდესაც სუკის აგენტობა მოდაში იყო, ერთმა კაცმა დამბრალებელს უთხრა: აგენტი შეიძლება შენ იყო, თორემ მე გენერალი ვარო. არ ვიცი, რა დამსახურებისთვის, ალბათ, რამე განსაკუთრებული ჩაიდინა, რადგან გენერალი ქალბატონები საქართველოში იშვიათობაა. მისი საქმიანობა, როგორც ჩანს, ძალიან ზესაიდუმლოა, თორემ რაიმე აუცილებლად გვეცოდინებოდა.** სხვებს არ ვიცნობ...

ვფიქრობ, აგენტომანიას ყავლი გაუვიდა. თუ ჟურნალისტს მყარი არგუმენტაცია არ გააჩნია, ამაზე არ უნდა ისაუბროს. ბრალწაყენებული ადამიანი აუცილებლად უარყოფს, ამიტომ ჟურნალისტმა მყარი და ექვმიუტანელი მასალა უნდა იქონიოს. **როცა ჩვენ ხელისუფლებაში ვიყავით, მე ვითხოვდი, რომ, თუ ვინმეზე ასეთი მასალები არსებობდა, გამოექვეყნებინათ, არამარტო ოპონენტებიდან, არამედ ხელისუფლებიდანაც. ასეთები შესაძლებელია ჟურნალისტებშიც კი იყვნენ. ჩვენ თუ საყოველთაო სამართალს ვითხოვთ, მაშინ ლუსტრაცია მოხდეს.**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**P.S. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ შეეცადა, „ოცნების“ კომპრომატგამოქვეყნებული ლიდერებიდან საგანელიძესა და ქუცნაშვილს დაკავშირებოდა, მაგრამ ვერ შევძელით. ერთადერთი, ვინც ჩვენს ზარს უპასუხა, პრემიერის პრესსამსახურის ხელმძღვანელი ნონა ყანდიაშვილი იყო, რომელმაც შეკითხვაზე: თუ რა რეაქცია მოყვა კანცელარიაში ამ ინფორმაციის გავრცელებას და გეგმავენ თუ არა რაიმე ღონისძიების გატარებას, გვიპასუხა: — პირადად მე კომენტარებს არ ვაკეთებ, თუ რამე მნიშვნელოვანი მოხდება, ყველაფერს პრესკონფერენციაზე პრემიერისგან გაიგებთ.**
**საგანელიძე ცოტა ხნის წინ ნინო თოლორდავას თოქშოუში ჟურნალისტებს დაგვემუქრა, არჩევნების მერე ყველას მოგხედავთ ჩემ წინააღმდეგ აგორებული პიარისთვისო, მაგრამ ჟურნალისტებს კარგი მეხსიერება გვაქვს და თითოეული მათგანის ცხოვრების დეტალები გვახსოვს. „ქრისტიან-დემოკრატებსა“ და „ახალ მემარჯვენეებს“, „ნაციონალების“ სატელიტებს რომ ეძახდნენ, ესეც კარგად გვახსოვს. საგანელიძე „ახლების“ ერთ-ერთი წამყვანი ლიდერი რომ იყო, ამაზე, ალბათ, თავადაც არ იდავებს. იმის თქმა მინდა, რომ კუდთან ყველა ასეთი პარტიის ლიდერი თანამშრომლობდა და გარიგებებს სუფრის თანხლებითაც დებდნენ. მერაბიშვილი და სააკაშვილი მათთვის არასანდო ადამიანებს არაფრით დააფინანსებდნენ... ყოფილი კუდელები კი, მოგეხსენებათ, არ არსებობენ, განსაკუთრებით მაშინ, თუ ამ კუდში დღემდე არაფერი შეცვლილა სახელის გარდა.**

# ენოლოგთა ეროვნული კავშირის თავმჯდომარის ხუთი შეკითხვა საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატებს

**საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე სოფლის მეურნეობა ყოველთვის ეკონომიკის ძირითადი და ტრადიციული დარგი იყო. დღემდე ამ დარგში შემონახულია ქართველი ერის მრავალდარგოვანი კულტურული მემკვიდრეობა, რომლითაც საქართველო ამაყობს: ქართული ვაზის, ხორბლის, ხილის ენდემური ჯიშები, ქართული ფუტკარი, ცხოველთა ქართული აბორიგენული ჯიშები, რომლებიც, განსაკუთრებული გენეტიკური თვისებების გამო, საუკეთესო სასელექციო მასალაა. დღემდე შემორჩენილი ძველი ჩვეულებები და ადათ-წესები, დაგვეთანხმებით, არის ის უდიდესი კულტურა და ტრადიცია, რაც აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს. აღიარებული სლოგანი „ბიომრავალფეროვნების დაცვა მდგრადი განვითარების გასაღებია“ სწორედ საქართველოს მსგავს ქვეყნებში იძენს განსაკუთრებულ აქტუალობას.**



სამწუხაროდ, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის დარგის მნიშვნელობის იგნორირებამ და დაშვებულმა (ხშირად წინასწარ დაგეგმილმა) უამრავმა შეცდომამ სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანა და დღეს კლასიკური სოფლის მეურნეობის ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების თითქმის 80 პროცენტზე მეტი უცხოეთიდან შემოდის, თანაც ბევრი სრულიად უკონტროლოდ.

ჩვენმა მოსახლეობამ საპარლამენტო არჩევნებზე მხარი დაუჭირა კოალიცია „ქართულ ოცნებას“, რომელმაც პროგრამით პრიორიტეტად სოფლის მეურნეობის აღორძინება წარმოადგინა.

**ჩვენ ვთხოვთ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატებს, გარკვევით დააფიქსირონ მათი პოზიცია, თუ როგორ წარმოუდგენიათ საქართველოში თანამედროვე, ინდუსტრიული სოფლის მეურნეობის აღორძინება და გაგვცენ პასუხი ამ კონკრეტულ შეკითხვებზე:**

**1. რეალურად მიგაჩნიათ თუ არა** თანამედროვე, ინდუსტრიული სოფლის მეურნეობის აღორძინება საქართველოსთვის პრიორიტეტად?

**2. მხარს დაუჭერთ თუ არა** თანამედროვე, ინდუსტრიული სოფლის მეურნეობის რეალურ სუფსიდირებას, განსაკუთრებით მთიან, სასაზღვრო ზონებში?

**3. ეთანხმებით თუ არა,** საქართველოს სამეცნიეროტექნიკური პოტენციალიდან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარდაქმნას სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროდ, გადამამუშავებელი მრეწველობის აღსადგენად?

**4. მხარს დაუჭერთ თუ არა** სოფლის მეურნეობის მიმართულების ტრადიციული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების აღდგენას თანამედროვე, დამოუკიდებელ სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრებად — მათი ექსპერიმენტული ბაზებით, სანერგეებით, სათბურებით, რომლებსაც სამეურნეო-ადმინისტრაციულ და საფინანსო ადმინისტრირებას გაუწევს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრო, ხოლო სამეცნიერო ხელმძღვანელობას — საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია?

**5. მხარს დაუჭერთ თუ არა** თაღლითურად გასხვისებული აგრარული უნივერსიტეტის სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტად აღდგენას?

პატივისცემით,
**მურმან ქურიძე,**
აიპ საქართველოს ენოლოგთა ეროვნული კავშირის თავმჯდომარე,
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ევრაზიული კავშირი — ეს, უპირველესად, პოსტსაბჭოთა ქვეყნების ერთობლივი მოდერნიზაციის შანსია. ერთიანი საბაჟო ტერიტორიისა და ბაზრების დაცვის საკითხი მეორეხარისხოვანია, იმ პერსპექტივასთან შედარებით, რომელსაც ერთიანი ეკონომიკური ზონის ქვეყნების რესურსების, ტექნოლოგიური და ინტელექტუალური პოტენციალის გაერთიანების შემთხვევაში მიიღებს თითოეული მათგანი. საქართველოს ინტერესიც ამაში მდგომარეობს.“**

# ალექსეი ვლასოვი: თურქეთი დიდ ინტერესს ამჟღავნებს აჭარის მიმართ

**ქართულ-რუსული ურთიერთობების შესახებ, პოლიტოლოგიური ცენტრის — „ჩრდილოეთი-სამხრეთი“ აღმასრულებელი დირექტორი, საინფორმაციო სააგენტო „ვესტნიკ კავკაზის“ საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალის მთავარი რედაქტორი, მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ალექსეი ვლასოვი „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრა.**



**— საქართველოში შეიცვალა ხელისუფლება, თითქოს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაც გაუმჯობესდა, ქართული პროდუქცია შევიდა რუსეთის ბაზარზე, ამას წინათ საქართველოს პატრიარქიც სტუმრობდა მოსკოვს, მაგრამ რაიმე კონკრეტული შედეგი, ურთიერთობების თვისობრივად გაუმჯობესების თვალსაზრისით, არ დამდგარა. პირიქით, რუსულმა მხარემ დიცსა და დვანში საზღვარი გადმოწია. რით ახსნით ამ ყველაფერს?**

— მე ვხედავ, რომ ორმხრივ ურთიერთობებში პოზიტიური ტენდენციები გაჩნდა. რაც შეეხება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით არსებულ კონფლიქტურ სიტუაციებს, ეს თემა, როგორც დასაწყისშივე ნათელი იყო, მოსკოვისთვისაც და თბილისისთვისაც მტკივნეულია და ამ მიმართულებით ექსპერტები რაიმე სერიოზული პოზიციების დაახლოებას არც ელოდნენ. მე ასე ვიტყოდი: მოცემულ ეტაპზე დიალოგის აღდგენის პროცესში მაქსიმალურად შესაძლო მანძილზე წინსვლა მოხერხდა.

**— როგორ ფიქრობთ, რა უშლის ხელს ურთიერთობის აღდგენას და, მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომის შემთხვევაში, რა მოთხოვნები და ინტერესები ექნება რუსეთს საქართველოსთან დაკავშირებით?**

— აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ საკითხი მოლაპარაკებების დროს კვლავ რჩება საჯილდაო ქვად. ჯერჯერობით რაიმე კომპრომისული გადაწყვეტილების წინაპირობას მე ვერ ვხედავ. დანარჩენი — **ნებისმიერი საკითხი შეგვიძლია განვიხილოთ, განსაკუთრებით, საქართველოში საპრეზიდენტო კამპანიის დასრულების შემდეგ. სააკაშვილის ფაქტორი ნეგატიურ გავლენას მაინც ახდენს, ამიტომაც ახლა უნდა მივყვეთ ფორმატს ნაბიჯ-ნაბიჯ და არა სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა ვრცელ ნუსხას. სტრატეგიული ამოცანების გადასაწყვეტად აუცილებელია, გარკვეული დრო გავიდეს.**

**— საქართველოში ნატო უსაფრთხოების ერთგვარ გარანტიად აღიქმება, თუმცა ცნობილია, რომ რუსეთი საქართველოს ნატოში შესაძლო გაწევრიანების წინააღმდეგია. საქართველოს ახალი ხელისუფლება საგარეოპოლიტიკურ ურთიერთობებში ძველ კურსს აგრძელებს. დავუშვათ და საქართველომ თქვა უარი ნატოში გაწევრიანებაზე, სანაცვლოდ რას მიიღებს?**

— შეიძლება კომენტარი გაკეთო რეალური სცენარების თაობაზე. ჯერჯერობით მე ვერ ვხედავ ქართველი პოლიტიკოსების მხრიდან განსაკუთრებულ სწრაფვას, აღნიშნულ გზას გადაუხვიონ. ასე რომ, აღნიშნული კითხვის ადრესატი, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს ახალი ხელისუფლება უნდა იყოს, მაგრამ საკითხვია: აქვს კი ხელისუფლებას აღნიშნული საკითხის განხილვის სურვილი?

**— ივანიშვილმა განაცხადა, რომ რუსეთთანაც მოაგვარებს ურთიერთობებს და ქვეყნის ნატოში ინტეგრაციაც შესაძლებელია. ხომ არ არის ეს ურთიერთგამომრიცხავი, როგორ აფასებენ ამგვარ განცხადებებს რუსეთში და როგორ აისახება ეს მომავალში აფხაზებისა და ოსების საქართველოსთან ინტეგრაციის პროცესზე?**

— პრინციპში, ზემოთ მე ნაწილობრივ უკვე ვუპასუხე ამ კითხვას. ჩემთვის გაუგებარია, როგორ ეფარდება ერთმანეთს ეს ორი საკითხი. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობების დარეგულირების გეგმა ასევე არ არის დეტალებში გამჟღავნებული და ცნობილი. მაშინ რას განვიხილავთ? **არიან კი ოსები და აფხაზები მზად დიალოგისთვის? თუ მათ დღემდე არ მიიჩნევენ დიალოგის მხარეებად? კითხვა ბევრია, ამიტომ იქნებ ღირს, ქვეყანაში უფრო მკაფიოდ ფორმულირებული დღის წესრიგის დამყარებას დაველოდოთ და პოზიციების „დაახლოების“ პროცესზე შემდეგ ვისაუბროთ.**

**— ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ კავკასიიდან აშშ-ის შესაძლო წასვლის კომენტირებისას განაცხადა, რომ „ამერიკა უბრალოდ კი არ წავა, ის საქართველოს გადასცემს თავის სამხედრო-პოლიტიკურ მოკავშირეს — თურქეთს. ამიტომაც ამერიკელები ბოლო წლებში აქტიურად აგულიანებდნენ თურქულ ფინანსურ-ეკონომიკურ ექსპანსიას საქართველოში... რის შედეგადაც თურქებმა არამარტო მოიპოვეს გადამწყვეტი გავლენა საქართველოს ხელისუფლებაზე, არამედ, ფაქტობრივად, დაეპატრონენ აჭარას“. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ „აჭარისთვის რუსეთი აღარ იბრძოლებს“. რა საფრთხეები შეიძლება ემუქრებოდეს საქართველოს ამ მხრივ და როგორ შეიძლება მათი თავიდან აცილება?**

— თურქეთი და სხვათა შორის, არამხოლოდ თურქეთი (ყაზახეთი, აზერბაიჯანი), მართლაც დიდ ინტერესს ამჟღავნებს აჭარის მიმართ. აქ ჩნდება ძალიან დელიკატური შეკითხვა, აღნიშნულ რეგიონში ანკარის ფინანსურ-ეკონომიკური ექსპანსიის საბოლოო მიზნების შესახებ. ინვესტიციები ძალიან სერიოზულია, პლუს ამას ემატება რელიგიური საკითხი, რომელიც ადგილობრივი მასმედიის მიერ, ბოლო დროს აქტიურად განიხილება. ვფიქრობ, **ანკარა არამხოლოდ გამოდის, როგორც ვაშინგტონის პარტნიორი, არამედ, იმყარებს რა ეკონომიკურ და პოლიტიკურ პოზიციებს სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, თავის საკუთარ თამაშსაც აწარმოებს. თუმცა, რაც შეეხება მის დომინანტურ გავლენას, ეს რა თქმა უნდა, ნამეტანი გადაჭარბებული ნათქვამია.**

ხოლო, რაც შეეხება რუსეთის მზადყოფნას, „იბრძოლოს აჭარისთვის“ — ჩემთვის ცოტა გაუგებარია, აქ რა იგულისხმება. 2004 წლის შემდეგ ეს თემა რუსული ელიტისთვის პირველხარისხოვანი არ არის. ახლა სხვა პოლიტიკოსები, სხვა მიზნები და სხვა დროა.

**— საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ამას წინათ განაცხადა, რომ, „რაც შეეხება ევრაზიულ კავშირს, ყურადღებით ვუყურებ და ვსწავლობ. ამ ეტაპზე არნაირი პოზიცია არ გაგვაჩნია, თუმცა, თუ პერსპექტივაში ვნახავთ, რომ ჩვენი ქვეყნის სტრატეგიისთვის ეს საინტერესო იქნება, რატომაც არა?!“. საქართველოში ევრაზიული კავშირის შესახებ, საკმარისი ინფორმაცია მართლაც არ არსებობს და ბევრისთვის ეს კვლავაც საბჭოთა კავშირის მსგავს გაერთიანებად მოიაზრება. მკითხველისთვის თუ შეგიძლიათ ახსნათ, რა არის ევრაზიული კავშირი და რას მიიღებს საქართველო გაწევრიანებაზე დათანხმების შემთხვევაში?**

— ევრაზიული კავშირი — ეს, უპირველესად, პოსტსაბჭოთა ქვეყნების ერთობლივი მოდერნიზაციის შანსია. ერთიანი საბაჟო ტერიტორიისა და ბაზრების დაცვის საკითხი მეორეხარისხოვანია, იმ პერსპექტივასთან შედარებით, რომელსაც ერთიანი ეკონომიკური ზონის ქვეყნების რესურსების, ტექნოლოგიური და ინტელექტუალური პოტენციალის გაერთიანების შემთხვევაში მიიღებს თითოეული მათგანი. საქართველოს ინტერესიც ამაში მდგომარეობს. მით უმეტეს, რომ, **„ევრაზიული ბანკის“ ბოლო მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 59% ევრაზიული პროექტისადმი ინტერესით არის განწყობილი. შესაძლოა, არ უჭერენ მხარს მას, მაგრამ მზად არიან, ევრაზიული კავშირის მიზნებისა და ამოცანების შესახებ უფრო მეტ ზუსტ და სანდო ინფორმაციას გაეცნონ.**

მე ასე ვიტყოდი: **საბჭოთა კავშირის აღორძინების შესახებ ისტორიებს არ უნდა ვუსმინოთ. პროექტის ამოცანაა არა წარსულში დაბრუნება, არამედ სწრაფვა მომავლისკენ, სწრაფვა კონკურენტუნარიანი ეკონომიკის, ცხოვრების ხარისხის უფრო მაღალი სტანდარტებისკენ.**

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

# საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა 13.4 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა

**საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა 2013 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 13.4 მილიარდი აშშ დოლარი (22.2 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც მშპ-ს 84.3 პროცენტია. ეროვნული ბანკის ინფორმაციით, აქედან 4.1 მლრდ აშშ დოლარი (6.8 მლრდ ლარი) სამთავრობო სექტორის ვალი იყო, 435.7 მლნ აშშ დოლარი (719.3 მლნ ლარი;) — ეროვნული ბანკის, 2.5 მლრდ აშშ დოლარი (4.1 მლრდ ლარი;) — საბანკო სექტორის, 3.3 მლრდ აშშ დოლარი (5.5 მლრდ ლარი;) — სხვა სექტორების და 3.0 მლრდ აშშ დოლარი (5.0 მლრდ ლარი) — კომპანიათაშორისი ვალი. მთლიანი საგარეო ვალის 93.7 პროცენტი დენომინირებულია უცხოური ვალუტით.**



**2013 წლის მეორე კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 45.8 მლნ აშშ დოლარით (75.6 მლნ ლარით) შემცირდა.** აქედან ვალი შემცირდა ფასის ცვლილებების გამო 35.7 მლნ აშშ დოლარით (59.0 მლნ ლარით), ოპერაციული ცვლილებების გამო 30.4 მლნ აშშ დოლარით (59.0 მლნ ლარით), სხვა ცვლილებების გამო 11.9 მლნ აშშ დოლარით (19.8 მლნ ლარით), ხოლო საკურსო ცვლილებების გამო ვალი 32.2 მლნ აშშ დოლარით (53.1 მლნ ლარით) გაიზარდა.

**სამთავრობო სექტორის უცხოური ვალდებულებები საანგარიშო პერიოდში 101.4 მლნ აშშ დოლარით (167.3 მლნ ლარით) შემცირდა.** აქედან ვალი შემცირდა ოპერაციული ცვლილებების შედეგად 111.8 მლნ აშშ დოლარით (184.5 მლნ ლარით) და ფასის ცვლილების გამო 4.3 მლნ აშშ დოლარით (7.0 მლნ ლარით), ხოლო საკურსო ცვლილებების შედეგად ვალი 14.6 მლნ აშშ დოლარით (24.2 მლნ ლარით) გაიზარდა.

**საანგარიშო პერიოდში საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი 64.5 მლნ აშშ დოლარით (106.5 მლნ ლარით) შემცირდა. აქედან** ოპერაციული ცვლილებების შედეგად ეროვნული ბანკის ვალდებულებები 66.3 მლნ აშშ დოლარით (109.4 მლნ ლარი) შემცირდა და საკურსო ცვლილებების შედეგად 1.7 მლნ აშშ დოლარით (2.8 მლნ ლარი) გაიზარდა.

**აღნიშნულ პერიოდში საბანკო სექტორის უცხოური ვალდებულებები 134.5 მლნ აშშ დოლარით (221.9 მლნ ლარით) გაიზარდა,** რაც გამოწვეულია ოპერაციული ცვლილებების გამო 128.2 მლნ აშშ დოლარით (211.6 მლნ ლარით) და საკურსო და ფასის ცვლილებების გამო 5.1 და 1.1 მლნ აშშ დოლარით (8.4 და 1.9 მლნ ლარი შესაბამისად) ზრდით. აღსანიშნავია, რომ 2013 წლის მეორე კვარტალში საბანკო სექტორის ვალდებულებების ზრდის 69.4 პროცენტი ბანკების მოკლევადიან ვალდებულებებზე მოდის.

**სხვა სექტორების საგარეო ვალდებულებები 48.0 მლნ აშშ დოლარით (79.2 მლნ ლარით) შემცირდა, აქედან 71.0 მლნ აშშ დოლარით (117.1 მლნ ლარი) შემცირდა არასაფინანსო კორპორაციების საგარეო ვალდებულებები, ხოლო არასაბანკო საფინანსო კორპორაციების ვალდებულებები 23.0 მლნ აშშ დოლარით (37.9 მლნ ლარი) გაიზარდა.** სხვა სექტორების საგარეო ვალი შემცირდა ფასის ცვლილებების შედეგად — 32.6 მლნ აშშ დოლარით (53.8 მლნ ლარით), სხვა და ოპერაციული ცვლილებების გამო, შესაბამისად, — 12.1 მლნ აშშ დოლარით და 10.4 მლნ აშშ დოლარით (შესაბამისად 19.9 და 17.1 მლნ ლარით), ხოლო საკურსო ცვლილებების გამო სხვა სექტორების საგარეო ვალი 7.1 მლნ აშშ დოლარით (11.7 მლნ ლარით) გაიზარდა.

**საანგარიშო პერიოდში, უცხოური კომპანიათაშორისი სესხები 33.6 მლნ აშშ დოლარით (55.5 მლნ ლარით) გაიზარდა,** აქედან ოპერაციული ცვლილებების შედეგად ზრდამ 29.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (49.4 მლნ ლარი), ხოლო საკურსო და სხვა ცვლილებების შედეგად, შესაბამისად, — 3.6 და 0.2 მლნ აშშ დოლარი (6.0 და 0.3 მლნ ლარი).

საანგარიშო პერიოდში უცხოური ვალუტით დენომინირებული საგარეო ვალდებულებების მოცულობა 25.4 მლნ აშშ დოლარით (41.8 მლნ ლარი) შემცირდა და 12.6 მლრდ აშშ დოლარი (20.8 მლრდ ლარი) შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით დენომინირებული ვალის მოცულობა 20.5 მლნ აშშ დოლარით (33.8 მლნ ლარი) შემცირდა და 851.2 მლნ აშშ დოლარი (1.4 მლრდ ლარი) შეადგინა.

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„მეფის რუსეთის მიერ მაშინ განხორციელებულმა ქმედებებმა გამოიწვია ისლამური იმპერიის უკან დახევა და განდევნა ჩვენი ტერიტორიებიდან. ამან გადაარჩინა საქართველო და, ფაქტობრივად, იხსნა ფიზიკური განადგურებისგან. გარდა ამისა, ჩვენ მოვექეცით მართლმადიდებლური სახელმწიფოს ერთიან სივრცეში და ამით შევინარჩუნეთ კულტურული ღირებულებები. ამ მხრივ ჩემი მოხსენება ეხებოდა იმას, რომ XIX საუკუნეში ჩერქეზების მიმართ გატარებული ღონისძიებები იყო გამართლებული."

ირაკლი უბილავა:

# იმ ქმედების გენოციდად შეფასება, რომელმაც XIX საუკუნეში ფიზიკურად გადაგვარჩინა, საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯია...

**30 სექტემბერს თურქეთის დედაქალაქ ანკარაში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე „პოლიტოლოგთა კლუბის" თავმჯდომარე ირაკლი უბილავა ვრცელი მოხსენებით წარსდგა და ძირითადად ყურადღება XIX საუკუნის კავკასიის ომზე გაამახვილა პოლიტიკურ ჭრილში. კონკრეტულად რას ეხებოდა ეს მოხსენება და რა კუთხით, ამაზე იგი თავად გვესაუბრება.**



**— ბატონო ირაკლი, უწინარესად, გვაინტერესებს, რა ღონისძიება ჩატარდა ანკარაში და რაზე გააკეთეთ მთავარი აქცენტი თქვენს მოხსენებაში?**

— ეს კონფერენცია ორგანიზებული იყო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ანკარის ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ. ის ეხებოდა XIX საუკუნის კავკასიის ომს და ზოგადად იმ პერიოდში რეგიონში განვითარებულ მოვლენებს. რაც შეეხება ჩემს მოხსენებას, ძირითადად, ყურადღება გავამახვილე საქართველოს როლზე კავკასიის მაშინდელ გეოპოლიტიკურ სტრუქტურაში. ჩავთვალე, რომ ამ კუთხით თემა საინტერესო იქნებოდა და ვფიქრობ, საბოლოოდ კარგი მოხსენება გამოვიდა.

**— XIX საუკუნის კავკასიაზე სიღრმისეულად საუბარი ჩერქეზების თემის გვერდის ავლით შეუძლებელია. ამ საკითხს რა კუთხით შეეხეთ? საქართველოს მიერ გენოციდის აღიარებას ვგულისხმობ...**

— ჩემი მოხსენება უშუალოდ გენოციდის აღიარებას არ ეხებოდა, უბრალოდ, XIX საუკუნის გეოპოლიტიკური რეალობის გადმოსახედიდან ავხსენი, თუ რატომ იყო გამართლებული რუსეთის ის ქმედებები, რომლებიც მან განახორციელა დასავლეთ კავკასიის ტერიტორიაზე. კერძოდ, ვთქვი, რომ ჩერქეზები წარმოადგენდნენ ოსმალეთის იმპერიის დასაყრდენს და ამ მხრივ სერიოზულ საფრთხეს უქმნიდნენ მთლიანად რეგიონის სტაბილურობას.

**— ჩვენზე რა გავლენას ახდენდა ეს პროცესები?**

— **მეფის რუსეთის მიერ მაშინ განხორციელებულმა ქმედებებმა გამოიწვია ისლამური იმპერიის უკან დახევა და განდევნა ჩვენი ტერიტორიებიდან. ამან გადაარჩინა საქართველო და, ფაქტობრივად, იხსნა ფიზიკური განადგურებისგან. გარდა ამისა, ჩვენ მოვექეცით მართლმადიდებლური სახელმწიფოს ერთიან სივრცეში და ამით შევინარჩუნეთ კულტურული ღირებულებები. ამ მხრივ ჩემი მოხსენება ეხებოდა იმას, რომ XIX საუკუნეში ჩერქეზების მიმართ გატარებული ღონისძიებები იყო გამართლებული.**

**— ესე იგი, რომ არა ჩერქეზების მასობრივი გადასახლება, საქართველო ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე იდგა?**

— ცნობილი ამერიკელი დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე ჰენრი კისინჯერი ამბობს, რომ ოსმალეთი იყო ერთ-ერთი ყველაზე არაჰუმანური იმპერია კაცობრიობის ისტორიაში. ახლა თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩერქეზები ამ იმპერიის დასაყრდენს წარმოადგენდნენ ჩვენს რეგიონში, რა თქმა უნდა, საქართველო გადარჩა მათ წინააღმდეგ განხორციელებული რეპრესიებით.

**— მიუხედავად ყველაფრისა, 2011 წლის 20 მაისს სააკაშვილის პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, საქართველომ ჩერქეზების გენოციდი აღიარა. როგორ ფიქრობთ, რა ჩანაფიქრი და გათვლა იყო ამ ნაბიჯში?**

— პირდაპირ, არაორაზროვნად შეიძლება ავხსნათ: **ეს იყო ამერიკის შეერთებული შტატების დაკვეთა. არსებობს ასეთი „ჯეიმსთაუნის ფონდი", ესაა ორგანიზაცია, რომელშიც წამყვანი ინტელექტუალები მუშაობენ და მათი საქმიანობა ერთმნიშვნელოვნად მიმართულია რუსეთის წინააღმდეგ.** იქ ისეთ სახელებს და გვარებს ნახავთ, რომ ყველაფერი გასაგებია. მაგალითად, ბჟეზინსკი, ჯეიმს ვულსი და ა. შ. ეს ადამიანები იმ ფონდის აღმასრულებელ კომიტეტში არიან დასაქმებულნი...

**— გინდათ, თქვათ, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ მათი მითითებით მიიღო ჩერქეზების გენოციდის აღიარების გადაწყვეტილება?**

— ყოველ შემთხვევაში, მათ სურდათ საქართველოს გამოყენება რუსეთის წინააღმდეგ. მოახერხეს თუ არა ეს ბოლომდე, სხვა საკითხია, იმიტომ, რომ ამასობაში უკვე შეიცვალა ხელისუფლება.

**— საერთოდ, ისეთი საპასუხისმგებლო გადაწყვეტილების მიღებას, როგორიც გენოციდის აღიარებაა, წინ ხანგრძლივი განხილვები და დისკუსია უძღვის. ჩვენ შემთხვევაში როგორ წარიმართა ეს პროცესი?**

— არ ვიცი, რა განხილვები და დისკუსიები ჰქონდა წინა ხელისუფლებას, ჩვენ ამაში არავინ ჩაგვახედებდა. „ნაციონალური მოძრაობა", მოგეხსენებათ, ჩაკეტილი სივრცე იყო, იქ მარტო მათთვის მისაღებ ხალხს უშვებდნენ. ახლა რაც შეეხება ისევ იმას, თუ რატომ მიმაჩნია ამ გენოციდის აღიარება ამერიკელების მიერ ინსპირირებულად: **სანამ პარლამენტი ამას დაამტკიცებდა, რამდენიმე ხნით ადრე საქართველოში ჩამოვიდა შეერთებულ შტატებში რეგისტრირებული ორგანიზაციის „ჩერქეზთა კულტურული ფონდის" ხელმძღვანელი იად იაგორი. იგი პირდაპირ ამბობდა, რომ XIX საუკუნეში ჩერქეზების მიმართ განხორციელებული რეპრესიები იყო გენოციდი და უნდა მოხდეს მისი აღიარება. ეს ადამიანი ასევე აცხადებდა, რომ უნდა შეიქმნას დიდი ჩერქეზული სახელმწიფო.** როგორ, რა ფორმით, ამას არ აკონკრეტებდა, მაგრამ ყველაფერი გასაგებია — **დიდი ჩერქეზული სახელმწიფო შეიქმნება იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი დაიშლება.**

**— გამოდის, რომ ეს იაგორი იყო „თეთრი სახლის" მოციქული საქართველოში, რომლის მეშვეობითაც გაიცემოდა მითითებები?**

— ეს ადამიანი აქ რამდენიმე დღით დარჩა და ჯეიმსთაუნის ფონდის კონფერენციაშიც მიიღო მონაწილეობა. სწორედ ამის შემდეგ გაკეთდა მიმართვა პარლამენტისადმი და პარლამენტმაც დააკმაყოფილა მოთხოვნა. ამით ერთი რაღაც ეტაპი დამთავრდა, მაგრამ მერე უნდა ყოფილიყო პროცესის გაგრძელება. თქვენ თუ გახსოვთ, **ნუგზარ წიკლაურმა ერთ-ერთ პლენარულ სხდომაზე განაცხადა კიდეც, ახლა ჩრდილოეთის ჯერი დგებაო.** ერთი სიტყვით, **ეს იყო გრძელვადიანი მიზანმიმართული გეგმა, რომლის მთავარ ამოცანასაც წარმოადგენდა რუსეთის ნაწილ-ნაწილ დაშლა.**

**— ამერიკის ინტერესი გასაგებია, რუსეთი მისთვის მთავარი მოწინააღმდეგეა საერთაშორისო ასპარეზზე, მაგრამ „ნაცმოძრაობას" რა ამოძრავებდა, რეალურად რა მიიღო სააკაშვილის ხელისუფლებამ ჩერქეზების გენოციდის აღიარებით?**

— პოლიტიკური ელიტის მთავარი მალეგიტიმირებელი საქართველოში დღეს არის გარე ძალა. აქედან გამომდინარე, როცა შენს ლეგიტიმატორს უსიტყვოდ უსრულებ ყველა მითითებას, ის, რა თქმა უნდა, გეხმარება ლეგიტიმაციის ამალლებაში. ვთქვათ პირდაპირ: **დღესდღეობით აქ ხელისუფლების შენარჩუნების მთავარი წყარო შეერთებული შტატებია, ამიტომ საკმარისია, მმართველ გუნდს შეუწყდეს მისი მხარდაჭერა, ის პოლიტიკურად მაშინვე აღმოჩნდება ყოფნა-არყოფნის საფრთხის წინაშე.**

**— სააკაშვილის ხელისუფლება ბოლომდე უსიტყვო შემსრულებელი იყო, მაგრამ მაინც ვერ მოხერხდა მისი შენარჩუნება. როგორ ფიქრობთ, რატომ?**

— აქ სხვა რამ მოხდა. სააკაშვილი, ფაქტობრივად, წავიდა ერთპიროვნული მმართველობის, დიქტატურის გზით და დაკარგა დასაყრდენი საზოგადოებაში. საერთოდ, ნებისმიერი პოლიტიკური სისტემის პირობებში, როცა ხდება დაშორება ზედა ელიტასა და ქვედა ფენას, ანუ ხალხსა და მმართველ გუნდს შორის, იწყება კრიზისი; ხოლო მიუხედავად ამ კრიზისისა, თუ ხელისუფლება არ იცვლება, დიდი საშიშროებაა, ჩამოყალიბდეს კონტრელიტა, რომელიც ყოველთვის მიმართულია დამხობისკენ. აი, ზუსტად ამის შიში ჰქონდა ამერიკას და ამიტომ შეცვალეს სააკაშვილის ხელისუფლება.

**— ესე იგი, თქვენი აზრით, „ქართული ოცნებაც" იმავე ძალის დაკვეთებს ასრულებს, რომელსაც „ნაცმოძრაობა" ემსახურებოდა?**

— რა თქმა უნდა, ამას პირდაპირ ვამბობ. პოლიტიკურ მეცნიერებაში არსებობს ასეთი მეთოდოლოგია კონტენტ-ანალიზი. ნებისმიერმა ადამიანმა, მეცნიერმა აიღოს ბიძინა ივანიშვილის განცხადებები და აიღოს სააკაშვილის გამოსვლები, რომელიც ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსს ეხება, ვინმე თუ რამე განსხვავებას ნახავს, მე მზად ვარ, ყველას საჯაროდ ბოდიში მოვუხადო.

**— დავუბრუნდეთ ისევ ჩერქეზების გენოციდის აღიარებას, როგორ ფიქრობთ, რუსეთისთვის რამდენად ჰქონდა ამას მნიშვნელობა?**

— მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, ჰქონდა, მაგრამ უფრო ბწკენის მაგვარი. ეს არ არის რუსეთისთვის პოლიტიკური ტრაგედია, ჩვენთვის კი ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. **ამ აღიარებას მე დავარქმევდი ნაღმს, რომელიც წინა ხელისუფლებამ ჩადო და, როდის ამოქმედდება, კაცმა არ იცის. კიდევ კარგი, რომ „ნაცმოძრაობა" არაა ქვეყნის სათავეში, თორემ სააკაშვილი იმდენად არაპროგნოზირებად პოლიტიკას ატარებდა, ნებისმიერ მომენტში შეექლო კონფლიქტი გამოეწვია რუსეთთან.**

**— ხელისუფლების შეცვლის მიუხედავად, საქართველოში საგარეო პოლიტიკა, ფაქტობრივად, იგივე დარჩა. თქვენი აზრით, მხოლოდ ტონის შერბილება საკმარისია იმისთვის, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა მოგვარდეს?**

— ყოველ შემთხვევაში, ეს მოხსნის დაძაბულობას. იმას, რასაც სააკაშვილის ხელისუფლება აკეთებდა, პოლიტიკასთან საერთო არაფერი ჰქონდა. ჩვენ გვესმოდა ლანძღვა, პიროვნული შეურაცხყოფა. შედეგად კი ვერაფერს ვღებულობდით, გარდა იმისა, რომ სრულიად მოვწყდით მეზობელ სახელმწიფოს. „ქართულ ოცნებას" რაც შეეხება, მისი სტრატეგია ჯერჯერობით გამოკვეთილად არ ჩანს. მართალია, ივანიშვილი ხშირად აცხადებს, რომ დაალაგებს ურთიერთობას მოსკოვთან, მაგრამ რა ბერკეტები გააჩნია ამისთვის, უცნობია. ყველაფერი, ალბათ, დროთა განმავლობაში გამოჩნდება. თუ მოლაპარაკებების პროცესი მომავალში რეალურად წინ ვერ წავიდა, ამით დამტკიცდება, რომ კოალიციას ამ მიმართულებით მეტი რესურსი არ ჰქონია.

**— ბატონო ირაკლი, ჩერქეზების გენოციდის აღიარება, ფაქტია, რომ ახალ ხელისუფლებას სერიოზულ უხერხულობას უქმნის. რა შეიძლება გაკეთდეს ამ ბარიერის მოსახსნელად?**

— მე არ ვარ იურისტი და სამართლებრივად ვერ შევაფასებ სიტუაციას, მაგრამ, პოლიტიკურად რაც შეეხება, ვფიქრობ, **ამ რეზოლუციის დენონსაცია უნდა მოხდეს. ახალმა ხელისუფლებამ, რეალურად თუ უნდა რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება, ამაზე უნდა იფიქროს და, რა ფორმითაც იქნება შესაძლებელი, ეს უნდა განახორციელოს.**

**— ხელისუფლების გადაწყვეტილება ერთია, მაგრამ, თქვენი აზრით, როგორ მიიღებს ამას საზოგადოება?**

— ჯერ ერთი, როცა ამ რეზოლუციას იღებდნენ, საზოგადოებისთვის არავის უკითხავს, იყო თუ არა მომხრე. მეორეც, ეს აღიარება არის კონტრპროდუქტიული და პირდაპირ ეწინააღმდეგება ჩვენს ეროვნულ ინტერესებს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **იმ მოქმედების გენოციდად შეფასება, რომელმაც XIX საუკუნეში ფიზიკურად გადაგვარჩინა და ხელი შეუწყო ჩვენი უპირველესი მტრის, ოსმალეთის იმპერიის, შესუსტებას რეგიონში, სხვა არაფერია, თუ არა საქართველოს წინააღმდეგ მიმართული გადაწყვეტილება. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ეს დოკუმენტი რაიმე ფორმით გაუქმდეს;** სხვანაირად, როგორც თქვენ აღნიშნეთ, მას ყოველთვის ექნება უხერხულობის მომენტი და ამას ვერ მოხსნის. **ამ დოკუმენტის სახით რუსეთ-საქართველოს შორის პოლიტიკურ ურთიერთობაში მუდმივად იარსებებს გარკვეული ბარიერი.**

**— ვთქვათ, მართლა გააუქმეს ეს აღიარება, ამას უკმაყოფილება არ მოჰყვება მისი დამკვეთებისგან? შეერთებულ შტატებს ვგულისხმობ.**

— ზუსტად ესაა ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი საკითხი, — საქართველომ წინ უნდა დააყენოს საკუთარი ინტერესები. ამ პრინციპით მოქმედებს ყველა სუვერენული სახელმწიფო და ეს გვჭირდება ჩვენც. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერასოდეს გამოვალთ დიდ სახელმწიფოთა დაპირისპირების ეპიცენტრიდან, რაც თავისთავად გამორიცხავს პოლიტიკურ თუ სხვა სახის სტაბილურობას.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**«პარლამენტის მიერ 2011 წლის 20 მაისს მიღებული რეზოლუცია პირდაპირ ამერიკის მითითება იყო...»**

**P.S.** ღმერთმა ქნას, ივანიშვილის ხელისუფლებამ პროცესები სწორად წარმართოს და რუსეთთან ურთიერთობის დალაგება მოახერხოს, მაგრამ „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს", ერთის მხრივ, ევროატლანტიკურ „ქოლგას" ეპოტინებოდე და, მეორე მხრივ, დათვს ბაბაია ეძახო, არ გამოდის ეგ ამბავი, „ორი კურდღლის დამჭერის" კი არაფერი ეტყობა მეოცნებე მილიარდერს...

**„მარგველაშვილი ჯამების რახუნით შეაშინა ბენდუქიძემ და უკან დაახევინა, წიგნები უფასოდ დაარიგა და თან ისეთი ინსტრუქცია მოაყოლა, რომ ბავშვები შიშით წიგნს ხელს ველარ ჰკიდებენ. მთა-თუშეთში ხალხთან შეხვედრისას განაცხადა, ჩემი საარჩევნო კამპანია სილაღეზეა დამოკიდებულიო. რას ნიშნავს სილაღე? ლაღია? ბედნიერია? მარგველაშვილი ივანიშვილის კიდევ ერთი ფარსია“.**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თამაზ ვაშაძე: ივანიშვილი ქოსატყუილაა!

**ქართველი ხალხი 2012 წელს ბიძინა ივანიშვილის გამარჯვებას ცის გახსნასავით ელოდა. ყველა თვლიდა, რომ ის იყო ადამიანი, რომელიც საქართველოს ჭაობიდან ამოიყვანდა და ფეხზე დააყენებდა.; იხსენებდნენ და აფასებდნენ მის გაკეთებულ საქმეებს და იმედის თვალით შეჰყურებდნენ. ერთი წლის თავზე კი აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ერთ-ერთ დანაპირებს ასრულებს — პოლიტიკიდან მიდის. იმედგაცრუებული მოსახლეობა გაოცებული კითხულობს: ან რისთვის მოვიდა, ან სად მიდის და ვის ხელში გვტოვებს? ვინ არის ბიძინა ივანიშვილი? როგორ იცნობენ მას ყოფილი თანამშრომლები და რა ინტერესები ჰქონდა ხელისუფლებაში მოსვლისას, „საქართველო და მსოფლიოს“ თბილისის ყოფილი მერი თამაზ ვაშაძე ესაუბრა.**



**«რატომ მოვიდა ბიძინა ივანიშვილი? — იმიტომ, რომ ის ყოველთვის სხვის განკარგულებას ასრულებდა — ჯერ შევარდნაძის, მერე სააკაშვილის, მაგრამ მობეზრდა და, როგორც კი მომენტი ნახა, ოცნება აისრულა»**

**— ბატონო თამაზ, ბიძინა ივანიშვილის გარშემო მრავალი მოსაზრება არსებობს: ზოგი ამბობს, რომ ის მესიაა, ზოგი ამბობს, რომ ის განაწყენებული ბიზნესმენია, რომელიც რევანშისთვის მოვიდა. თქვენ მას იცნობთ, ვინ არის ბიძინა ივანიშვილი?**

— ბიძინა ივანიშვილის ახლობლობას ვერ დავიჩემებ, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ის საქართველოს ეკონომიკას ვერ აღორძინებს. მინდა, ყველამ კარგად იცოდეს, რომ ფულის შოვნა ეკონომიკის ცოდნას არ ნიშნავს. ფულის შოვნის უამრავი თაღლითური გზა არსებობს. ბევრი თაღლითი ვიცი, რომელსაც ფული აქვს, მაგრამ ბევრმა მათგანმა ეკონომიკის საკითხები არ იცის. ეს რომ ასე არ იყოს, განა ერთი წელიწადი ცოტა დროა იმისთვის, რომ საქართველოს ეკონომიკას წინსვლის ნიშანწყალი ეტყობოდეს?!

მქონდა „ბედნიერება“, ივანიშვილის ორგანიზაციაში მემუშავა. რაც იქ დამხვდა და ვნახე, იმის გადმოცემა შეუძლებელია. სამი თვე მიმდინარეობდა ჩემთან მოლაპარაკება, რომ იქ დამეწყო მუშაობა, ჭაობიდან ამომეყვანა და ეს გავაკეთე კიდეც. ზუსტად იქ ნანახი მაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ **ივანიშვილი ეკონომიკის აზრზე არ არის. ამ სიტყვებს ყველგან და ყველასთან ვიტყვი.**

ყველას აინტერესებს, რატომ მოვიდა ბიძინა ივანიშვილი? იმიტომ, რომ ის ყოველთვის სხვის განკარგულებას ასრულებდა — ჯერ შევარდნაძის, მერე სააკაშვილის, მაგრამ მობეზრდა და, როგორც კი მომენტი ნახა, იმ წუთში ოცნება აისრულა. არისტოტელე ამბობს: „ოცნება ფხიზელი კაცის სიზმარიაო“... ის მთელს ფულს წლების განმავლობაში ინტელიგენციისთვის თავის მოსაწონებლად ხარჯავდა, ქველმოქმედებდა... დამისახელეთ მთელ მსოფლიოში ერთი მილიარდერი ან თუნდაც მილიონერი, რომელსაც ფულის ხარჯვას არ აიძულებენ.

**ბიძინა ივანიშვილი საქართველოს რომ ვერ გადაარჩენს, იქიდანაც ჩანს, რომ ჯერ კიდევ დაუსჯელები არიან ის ადამიანები, რომელთაც მიწები დაკარგეს ყოფილ და ახლანდელ პრეზიდენტებს ვგულისხმობ. არ არის ბიძინა ივანიშვილი ის კაცი, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის დარდსა და წუხილს გაიზიარებს.** ვითომ რამე გააკეთა და ახლა იძახის, რომ მივდივარ, ჩირგვში დავჯდები და კონსულტაციებს იქიდან გაგიწევთო. გეკითხებით ჟურნალისტებს, მსოფლიოში ასეთი პრეცენდენტი არსებობს? არსებობს ისეთი რამ, რომ პრეზიდენტი ან პრემიერი ოფიციალურ შეხვედრებს საკუთარ სახლში მართავდეს? საქართველოში კანცელარია არ არსებობს, სამუშაო ოთახები არ გვაქვს? ან ვინმეს თუ უნახავს, რომ ამერიკის ელჩი ჯერ ოპოზიციის, ხოლო შემდეგ მთავრობის მეთაურს შინ სტუმრობდეს? ძალიან შემაშფოთებელი და საეჭვო ვითარებაა.

ვმუშაობდი ივანიშვილთან და კარგად ვიცი, რას, როგორ უძლვებოდა. მე მისი პირადი პატიმარიც ვიყავი და ჩემი გულისთვის 20 პატიოსანი ადამიანი გაწირა.

**— რისთვის დაგიჭირეს?**

— ობიექტი გაძვირდა 220 ათასი ლარით და ეს სადავო გახდა, ამას მედავებოდნენ. ისინი ამბობდნენ 220 ათასს და ვერ მიმტკიცებდნენ, რატომ ასახელებდნენ აღნიშნულ თანხას, მათ არ ჰქონდათ შესაბამისი საბუთები. ჩემი მასთან მუშაობის პერიოდში მან მილიონები იშოვა, ასე ვთქვათ, ვაჩუქე. არნახული სასამართლო პროცესი მქონდა. **ივანიშვილი დღეს ადეიშვილს იმიტომ ნატრობს, რომ იმ პერიოდის პროკურატურას სწორედ ჩვენი პრემიერი განაგებდა.** დღევანდელი გადასახედიდან ვთვლი, კარგია, რომ დამიჭირეს, რადგან მაშინ ბევრი რამ ვნახე. ბევრი პატიმრის ცოდვა გამომძიებლების კისერზეა. პროკურატურასა და სასამართლოში რომ უცოდინარები ისხდნენ, ისეთი არსად მინახავს.

ნორმალური ხელისუფლების პირობებში შეიძლება სააკაშვილი გარეთ დადიოდეს? ქართველების დიდ ნაწილს ნანახი არ ექნება, რა ტერიტორიები დავკარგეთ. **შეუძლებელია, ივანიშვილმა საქართველო წამოწიოს. ნახეთ, ვინ დგანან მის გვერდით.**

**მან წამოაბიბინა საქართველოს დამღუპველი ადამიანები. მისი მრჩეველია ირაკლი მელაშვილი, ადამიანი, რომელსაც საქართველოს საკეთილდღეოდ ერთი დღეც არ უცხოვრია. ის მთელი ცხოვრება საქართველოს წინააღმდეგ მუშაობდა.**

არ ვიცი, რა სურვილები აქვს ივანიშვილს. ბიბლიაში ნათქვამია: „საქმემან შენმან გამოგაჩინოსო...“, მაგრამ შვიდმილიარდიან ბიზნესს კეთილი საქმეებით არავინ გაწარმოებინებს. შეხედეთ მის მინისტრებს. ვთქვათ, განათლების მინისტრი. პატარა გოგო, რომელსაც დედამიწის ზურგზე არაფერი გაუკეთებია, არ უცხოვრია, ამბობენ, რომ კარგი ფინანსური მენეჯერია. თუ ფინანსური მენეჯერია, მაშინ სხვა თანამდებობა შეურჩიონ. განათლების მინისტრმა ურთიერთობა უნდა იქონიოს აკადემიკოსებთან, პროფესორებთან. რაკი ასეთ თანამდებობაზე შესაფერის კადრს არ ნიშნავ, ე. ი. შენ არ გინდა ამ სფეროს წინსვლა. **ვინ არის რეინტეგრაციის მინისტრი? მოგისმენიათ ტერიტორიების დაბრუნების მისეული გეგმა? თურმე ჩვენ ისეთი ცხოვრება უნდა შევქმნათ, რომ აფხაზებმა და ოსებმა ჩვენთან ცხოვრება მოისურვონ. დარბიან და მთელ მსოფლიოში გაყვირიან, არაღიარების პოლიტიკას მივხედოთო, იმდენს ვერ ხვდებიან, რომ თავად რუსეთს არ აძლევს ხელს აფხაზეთისა და ოსეთის აღიარება. მინდა ვკითხო: — ვის აბურთავებენ? ვის ასულელებენ ეს მართლა სულელები? დამიჯერეთ, ეს ადამიანები შეურაცხადები არიან!**

ივანიშვილმა და მისმა გუნდმა იმას მიაღწიეს, რომ დღეს სააკაშვილი გამოდის და „ნაციონალების“ აღორძინებაზე საუბრობს. ლანდსბერგისი გამოვიდა და თქვა: „ქართველი ხალხი ხმებს ყიდისო“, მერე გამოვიდა თინა ხიდაშელი და ლანდსბერგისის ლანძღვა დაიწყო, კაცის, რომელმაც მთელი უზენაესი საბჭო გადაარჩინა და მალულად გზა ევროპისკენ გაუხსნა. ვინ არის თინა ხიდაშელი, ამას რომ ბედავს? არადა, ის ადამიანი მართალი იყო, ჩვენ ბრბოდ ვიქეცით, მართლაც ვყიდით ხმებს და ასეთი უამრავი ფაქტის დასახელებაც შემიძლია.

ერთი წელი გავიდა და საწარმოების გახსნაზე ისევ ამაოდ საუბრობენ. რაჭაში რომ მიწისძვრა მოხდა და იქაურობა დაინგრა, ზუსტად ორ კვირაში ყველა საწარმო აღდგენილი იყო და მუშაობდა. რა უშლის ხელს საწარმოების გახსნას? არ არის ნება და არ არიან სპეციალისტები. ჩვენ წინა მთავრობას ვუჩიოდით, რომ მინისტრებმა შრომის წიგნაკები მინისტრის თანამდებობით გახსნესო, ასეთივე სიტუაციაა დღესაც.

პრეზიდენტობის კანდიდატები მინდა ვახსენო. **მარგველაშვილი ჯამების რახუნით შეაშინა ბენდუქიძემ და უკან დაახევინა, წიგნები უფასოდ დაარიგა და ამას ისეთი ინსტრუქცია მოაყოლა, რომ ბავშვები შიშით წიგნს ხელს ველარ ჰკიდებენ; მთა-თუშეთში ხალხთან შეხვედრისას განაცხადა, ჩემი საარჩევნო კამპანია სილაღეზეა დამოკიდებულიო. რას ნიშნავს სილაღე? ლაღია? ბედნიერია? მარგველაშვილი ივანიშვილის კიდევ ერთი ფარსია.**

დავით ბაქრაძე ქართველ ხალხს ჩანგლით ბრძოლისკენ მოუწოდებდა. ყველა ბინძური კანონის მიმღები ეგ არ არის?

ვინ არის გიორგი თარგამაძე? ნუთუ დაავიწყდა ხალხს მისი და გრიგოლიას ტყუილები? წყალი, გაზი და შუქი უფასოდ გექნებათო? მტკვრიდან უნდა დაგველია წყალი? წყალი სახლში სანამ მოვა, ნეტავ, იცის, რა გზები უნდა გაიაროს?

საქართველოში აუცილებელია, იყოს კანონი, რომელიც ფულის წარმომავლობის საკითხს შეისწავლის. ასეთი კანონი ყველა ქვეყანაშია, მაგრამ ხელს არ აძლევს ქურდებს. მე იმ ქურდებს არ ვგულისხმობ, კანონიერებს რომ ეძახიან. ამ ქვეყანაში უღირსი საქციელი ღირსებად იქცა.

**— პრემიერი თავადაც ამბობს და ხალხიც ასე აფასებს, რომ ის გულწრფელია.**

— ის, რომ გულწრფელი იყოს, პრემიერობას არაფრით დათანხმდებოდა. ქვეყნის მართვის ნიჭს ადამიანს ღმერთი აძლევს. საქართველოში ასი ათასი პრობლემაა, მან ამის მართვა ვერ შეძლო და გაქცევა არჩია. გინახავთ სადმე, პრემიერად არჩეული ადამიანი თანამდებობიდან ასე წავიდეს? შეიძლება ანგელა მერკელმა თქვას, რომ მე მივდივარ და კულისებიდან გიხელმძღვანელებთო? გვეუბნება, ინვესტორები მოვლენ და ფულს ჩადებენო. **რომელი ინვესტორი მოვა და ჩადებს ფულს იმ ქვეყანაში, რომელშიც პრემიერი ყოველდღე იძახის მივდივარო. ივანიშვილი უკან გადადგმული ნაბიჯია. ის იმისთვის მოვიდა, რომ პოზიციები გაიმყაროს.**

**— ვიდრე ამხელა ფულს იშოვიდა, სად მუშაობდა ბიძინა ივანიშვილი?**

— რა კარგი შეკითხვა დასვით. საქმე ისაა, რომ მას არასდროს არსად უმუშავია. მის გარშემო რომ ამხელა ინტერესია, დაწეროს, სად მუშაობდა. 1985 წლიდან 1995 წლამდე რუსეთში უდიდესი ფული ტრიალებდა, განუკითხაობა იყო. ჩემთვის სულ ერთია, ფული ვის მოპარეს — რუსს თუ აფრიკელს, უბრალოდ, მიუღებელია. ორი მაგდენი ფული ჰქონდა ხოდორკოვსკის, მაგრამ დღეს ზონაში ფაჩუჩებს აკერინებენ. ივანიშვილი ის ადამიანი არ არის, რომლისგანაც პროგრესი იქნება მოსალოდნელი. შეხედეთ მის თითის ქნევას, უდიდეს დიქტატორებსაც კი არ უკადრებიათ ჟურნალისტებისთვის თითის ქნევა. მისი საქციელი სირცხვილია. მან ქართული ენაც კი არ იცის.

**— ინგლისური იცის!**

— კი, შექსპირი აქვს ნათარგმნი.

**— კარგით, ივანიშვილი ასეთია, მაგრამ იქნებ მისმა გარემოცვამ შეძლოს ქვეყნის ფეხზე დაყენება?**

— რა გარემოცვა? ვინ რა უნდა გააკეთოს? რესპუბლიკელების რეიტინგი ერთ პროცენტზე მეტი არასოდეს ყოფილა, ე. ი. ხალხს არ უყვარს. ჟორჟოლიანი? რომელიც ზუგდიდში ხალხს ხოცავდა, ყოვლადწყალწაღებული კაცი; გაჩეჩილაძე — ადამიანი, რომელიც ზვიად გამსახურდიას ჩაუშესკუს ეძახდა; ნუკრი ქანთარია მხედრიონელი იყო. რომელი ერთი შეიძლება ჩამოთვალო. დღეს ივანიშვილმა „მხედრიონი“ აღორძინა, თან ისე, რომ ყველაფერი იცოდა. მას ერთი ეროვნული ადამიანი არ უდგას გვერდით, ეროვნული მხოლოდ სიტყვით კი არა, საქმითაც. ერთ წელიწადში ისე გასუქდნენ, რომ მაგათი ყურება აღარ შეიძლება, ქუთაისში კარგი კერძების კეთება იციან.

აფხაზეთიდან დევნილი ხალხი ცემეს და ქუჩაში გამოყარეს. ამ ადამიანების დაბინავება ზუსტად ერთ კვირაშია შესაძლებელი. დედასამშობლომ ისინი ვერ დაიცვა. კიბის ქვეშ ბავშვებს აჩენენ, რომ საქართველოს მომავალი არ დაიკარგოს და ესენი მათრახს ურტყამენ, დასცინიან. საქართველოს დემოგრაფიული წინსვლა ყოველთვის სამეგრელოსა და აჭარის ხარჯზე მიმდინარეობდა. **ივანიშვილმა საქართველოს კუთხეები არ იცის. დარწმუნებული ვარ, მას ბზიფის ხეობა ნანახი არ აქვს, არ უნახავს, გულზე როგორ გახტებიან შვლები და ირმები. მან არ იცის, რა დავკარგეთ, თორემ ეს რომ იცოდეს, ამის დამკარგავი კაცი ტახტზე წამოწოლილი ვერ იქნებოდა.**

ბიძინა ივანიშვილის აღსაზრდელი ვინ არის?! თურმე საზოგადოებრივ სექტორში გადადის და იქიდან უნდა გამოგვზარდოს. ივანიშვილით დაწყებული მთელი მთავრობა, ძველი თუ ახალი, ყველანი ქოსატყუილები არიან. სოფლის მეურნეობაში ფული ჩადეს, რამე ნახეთ? დამიჯერეთ რა, ივანიშვილმა მართვა არ იცის, არც შეიძლება რომ იცოდეს, რადგან არსად უმუშავია.

პრემიერი ხალხთან შეხვედრებს ერიდება, მათი მოსმენა არ იცის. ერთხელ შაშიაშვილმა თქვა: „ბიძინასთან შეხვედრა მინდოდა და ასე შემომითვალა, შევარდნაძემ მითხრას და მიგიღებო“. გარემოცვას აბრალებენ. ასე ხდება-ხოლმე ყოველთვის, როცა ცუდი მმართველია. ის თავის ხალხს გადაწყვეტილების მიღების უფლებას არ აძლევს. ივანიშვილის გარეშე ტუალეტში ვერ დადიან. წარმოგიდგენიათ, რა დღეში ჩავცვივდებით? ის წავა და ესენი კი მის გარეშე გადაწყვეტილებას ვერ მიიღებენ.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„მიუხედავად იმისა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ფაქტი, რომ წყალტუბოს პოლიციაში დვალიშვილი არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი გახდა, კბილაშვილისა და ნაცვლიშვილის უწყება, როგორც ეს სააკაშვილის რეჟიმის პირობებში ხდებოდა, 7 თვეა, საქმეს უშედეგოდ იძიებს. მეტიც: რევაზ დვალიშვილის მთავარი მწამებლები დააწინაურეს და რევაზ ქობულია წყალტუბოს პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსად დანიშნეს, მალხაზ მჟავია კი — პოლიციის ერთ-ერთი სამმართველოს უფროსად.“

# ადვოკატი ზაზა ხატიაშვილი საერთაშორისო საზოგადოებას ღარიბაშვილის, კბილაშვილის და ნაცვლიშვილის «პერსონა ნონ გრატად» გამოცხადებას სთხოვს

**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტი ზაზა ხატიაშვილი შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, მთავარ პროკურორ არჩილ კბილაშვილსა და მის მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილს წამებაში მონაწილე პირების მფარველობაში ადანაშაულებს და საერთაშორისო საზოგადოებას მათ „პერსონა ნონ გრატად“ გამოცხადებას სთხოვს. „საქართველო და მსოფლიოს“ ზაზა ხატიაშვილი ესაუბრება.**



## ზაზა ხატიაშვილი:

## სააკაშვილის რეჟიმი არსად წასულა, ის ახალმა რეჟიმმა ჩაანაცვლა

— თხოვნით მივმართავ, ევროკავშირის — ევროკომისიის პრეზიდენტ ჟოზე მანუელ ბაროზოს, ევროკავშირის კომისიის უმაღლეს წარმომადგენელს საგარეო ურთიერთობათა და უსაფრთხოების პოლიტიკაში ქეთრინ ეშტონს, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს, აშშ-ის კონგრესსა და სენატს, ირაკლი ღარიბაშვილი, არჩილ კბილაშვილი და ლაშა ნაცვლიშვილი „პერსონა ნონ გრატად“ გამოაცხადონ, ვინაიდან მათ ევროსასამართლოს გადაწყვეტილების იგნორირება მოახდინეს და წამებაში მონაწილე პირები დასჯის მაგივრად დააწინაურეს. პრემიერ-მინისტრი მხოლოდ იმიტომ არ მოხვდა ამ სიაში, რომ ის პოლიტიკიდან წასვლას აპირებს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2012 წლის 18 დეკემბერს გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე „დვალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ და დაადგინა, რომ რევაზ დვალიშვილთან დაკავშირებით დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი და წყალტუბოს რაიონის პოლიციის მუშაკების მხრიდან იგი წამების მსხვერპლი გახდა. **პოლიციელებმა — რევაზ ქობულიამ, მალხაზ მჟავიამ, ბადრი ღაჭავამ, ზვიად აფციაურმა და გამომძიებელმა მერაბ ქორიძემ პოლიციის განყოფილებაში დვალიშვილს სასტიკად სცემეს, წიხლებს ურტყამდნენ, უჭეჭყავდნენ ხელის თითებს, შემდეგ ფეხებით დაკიდეს, დაასხეს იატაკზე „კოკა-კოლა“ და ენით აალოკინეს.** მიუხედავად ამისა, როგორც საქართველოში ხდება ხოლმე, პროკურატურამ მოძალადე პოლიციელები გაამართლა და 2006 წელს საქმე შეწყდა. თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთსულოვნად დაადგინა, რომ რევაზ დვალიშვილთან დაკავშირებით დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი და ადგილი ჰქონდა წამებას, არაადამიანურ და არაჰუმანურ მოპყრობას. ამის საფუძველზე დვალიშვილმა 2012 წლის 19 თებერვალს მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს და მოითხოვა პოლიციის მუშაკების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა. **მიუხედავად იმისა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ფაქტი, რომ წყალტუბოს პოლიციაში დვალიშვილი არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი გახდა, კბილაშვილისა და ნაცვლიშვილის უწყება, როგორც ეს სააკაშვილის რეჟიმის პირობებში ხდებოდა, 7 თვეა, საქმეს უშედეგოდ იძიებს.** მეტიც: **რევაზ დვალიშვილის მთავარი მწამებლები დააწინაურეს და რევაზ ქობულია წყალტუბოს პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსად დანიშნეს, მალხაზ მჟავია კი — პოლიციის ერთ-ერთი სამმართველოს უფროსად.**

შსს აკეთებს ოფიციალურ განცხადებას, რომ მართალია, ევროსასამართლომ დაადგინა წამების ფაქტი, მაგრამ იქ არც ერთი პოლიციელის გვარი არ ეწერა და ჩვენ როგორ უნდა დაგვედგინაო. ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაში გვარები არასდროს არის მითითებული, ის ადგენს წამების ფაქტს და შინაგან საქმეთა სამინისტროში ეს უნდა იცოდნენ. აღნიშნული განცხადების გამო მთელ მსოფლიოში დასაცინი გახდებიან.

ერთ მაგალითს გეტყვით: ნათია სონღულაშვილი ვანო მერაბიშვილის პროცესზე ერთ-ერთი პროკურორია. როდესაც ადვოკატ ტარიელ მურმანიშვილს წინასწარი პატიმრობა მიუსაჯეს, ის ბრალმდებელი გახლდათ. მურმანიშვილს მაშინ ზაქარია ქუცნაშვილი იცავდა და, როდესაც პროკურორს ჰკითხა, რა მტკიცებულებები გაქვს, რომ იჭერო, უპასუხა, სამ დღეში მექნება მტკიცებულებებიო. წარმოგიდგენიათ? მტკიცებულებებიც არ ჰქონდა. შემდეგში **ტარიელ მურმანიშვილი გაათავისუფლეს, როგორც პოლიტპატიმარი, მაგრამ არც პროკურორ სონღულაშვილს და არც ნათია მოგელაძეს, რომელმაც ის დააკავა, პასუხი არ უგია. მოგელაძე დააწინაურეს, სონღულაშვილს კი კარგი მუშაობისთვის ივანიშვილმა მადლობა გამოუცხადა.**

გამოვიდა მამუკა მიქაუტაძე პოლიციის შენობიდან და თავი მოიკლა. შსს-მ დადო დასკვნა, რომ მის მიმართ ძალადობა არ ყოფილა, მაგრამ კადრებში კარგად ჩანდა, როგორ ედო ხელებზე ბორკილები. გაგიგიათ მოწმეს ბორკილები ედოს? ეს არის ადამიანის თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან განზრახ უკანონო დაკავება, რაც დასჯადი ქმედებაა. რატომ არავინ აგო პასუხი? მამუკა მიქაუტაძე სამი დღის მკვდარი იყო, როცა პრემიერ-მინისტრმა პარლამენტს მიმართა წინადადებით, — კანონში ცვლილება შევიდეს და მოწმე პოლიციაში დაიკითხოს, მაშინ, როდესაც ძლივს მივაღწიეთ, რომ მოწმე სასამართლოში დაკითხულიყო. როგორ შეიძლება უდანაშაულო ადამიანი, მოწმე პოლიციაში დაკითხო?! როდესაც ქვეყანაში ასეთი ფაქტები ხდება, რაღაზე უნდა ველაპარაკო ამათ?

**— თქვენ სააკაშვილის „პერსონა ნონ გრატად“ გამოცხადების თხოვნითაც მიმართეთ საერთაშორისო საზოგადოებას, თუმცა ამას შედეგია არ მოჰყოლია...**

— შედეგი როგორ არ მოჰყვა. 2012 წელს, როცა ამ დოკუმენტის განხილვა დაიწყო, პროკურატურასა თუ პოლიციაში ადვოკატებს უკანონოდ ველარ იბარებდნენ. მე სწორედ ადვოკატების დევნის გამო მივმართე საერთაშორისო საზოგადოებას. უცხოეთში მაშინ დაიწყო სააკაშვილზე, როგორც დიქტატორზე, წერა. ჰამერბერგმა მხოლოდ ამის შემდეგ განაცხადა, რომ საქართველოში ადვოკატები ინსტიტუციონალურ დევნას განიცდიანო. ევროპის ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიამ კი დაწერა, რომ საქართველოში ადვოკატობა რისკის სფეროს წარმოადგენსო, ანუ შედეგი იმაზე მეტი იყო, ვიდრე ველოდი.

**— პრემიერი ჟურნალისტებს შეხვდა და მათ საკუთარ გამონათქვამებზე პასუხისმგებლობის აღება მოსთხოვა. როგორ შეიძლება ეს ყველაფერი შეფასდეს? ხომ არ ნიშნავს ეს ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელის შეშლას და მედიაზე ზეწოლას?**

— ევროკონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, პრემიერ-მინისტრს აქვს თმენის ვალდებულება. იგი ვალდებულია, მოითმინოს კრიტიკა. ეს რომ პრემიერმა არ იცის, ძალიან ცუდია. ამას გარდა, ეს ყველაფერი აღიქმება, როგორც ჟურნალისტებზე ზეწოლა. **სამარცხვინოა, როდესაც პრემიერ-მინისტრი ჟურნალისტებს ეუბნება, რომ თურმე მათ ინფორმაცია უნდა გადაამოწმონ. ჟურნალისტს ინფორმაციის გადამოწმება არ ევალება, როცა მას ჰყავს რესპონდენტი. ასევე გამაოგნა იმ ფაქტმა, რომ არც ერთ ჟურნლისტს არ ეყო გამბედაობა, დაეტოვებინა შეხვედრა.**

ზოგადად, ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელის შეშლა სისხლის სამართლის დანაშაულია, მაგრამ ამ შემთხვევაში პრემიერის საქციელი არ არის ხელის შეშლა, ეს არის მისი მხრიდან უვიცობა.

როგორც ჩანს, იციან ასეთ შეხვედრებზე ვინ უნდა მიიწვიონ, ევროსაბჭოს ექსპერტი ვარ ოფიციალურად, რატომ მე არ მიწვევენ? ეგ კი არადა, რაც ეს ხელისუფლება მოვიდა, პირდაპირი ეთერი, „ობიექტივის“ გარდა, არც ერთ ტელევიზიაში არ მღირსებია.

კანონში შედის რამდენიმე კარგი ცვლილება, მაგრამ ამ ნორმალურ ცვლილებებთან ერთად შეაპარეს, რომ სალიტერატურო ენის დარღვევისთვის ჟურნალისტებს ჯარიმა დაეკისროთ. თუმცა არ არის განსაზღვრული, კონკრეტულად რა შემთხვევაში უნდა დაეკისროს ჯარიმა. ეს კატასტროფაა. ამას გარდა, კანონპროექტის განხილვაში მედიასაშუალებები უნდა მონაწილეობდნენ და პარლამენტში რომ შედის, ამის თაობაზე, მაშინ კი არ უნდა იგებდნენ. ცეკას დროს უშიშროების კომიტეტში იყო ენის ინსპექცია შექმნილი, შევარდნაძე-სააკაშვილმაც არ აღადგინეს ეს ინსპექცია და ივანიშვილს მოუვიდა აზრად ენის ინსპექციის შექმნა და ჟურნალისტების გაკონტროლება.

**— მოგეხსენებათ, წინა ხელისუფლების დროს ბევრ ადამიანს ჩამოართვეს ქონება, რომელთა დაბრუნებასაც ახალი ხელისუფლება ჯერჯერობით ვერ ახერხებს. ბევრი პოლიტპატიმრის რეაბილიტაცია არ მომხდარა, ზოგიერთებს არ აუღიათ კომპენსაცია. ირღვევა თუ არა ამ დროს საერთაშორისო კონვენცია?**

— როდესაც ამ ადამიანებს უკანონოდ წაართვეს საკუთრება, ქონება, ყველა საერთაშორისო ნორმა დაირღვა. არ შეიძლება უკანონოდ საკუთრების ჩამორთმევა პირისთვის. ეს ასევე დაუშვებელია საქართველოს კონსტიტუციით. სისხლის სამართლის დანაშაული იყო, როდესაც ივანიშვილის საყვარელი მინისტრის, ზურაბ ადეიშვილის დროს, მოქალაქეები „კეთილ სიზმრებს“ ნახულობდნენ, მიდიოდნენ პროკურატურაში და ხელისუფლებას ქონებას ჩუქნიდნენ. ამით ირღვევა სამართლიანობის პრინციპი. **როცა ხელისუფლება აცხადებს, რომ ვერ გადაიხდის, რადგან თანხა არ აქვს, მაშინაც ცრუობს. მაგალითად, ბონდო შალიკიანი ამბობს, ასი მილიონი თუ წამართვით, არ მინდა ეგ ასი მილიონი, ის საკუთრება მაინც დამიბრუნეთ, რაც დღეს სახელმწიფოს საკუთრებაშიაო და ამასაც არ უბრუნებენ. დაზარალებულებიდან ბევრი ამაზეც თანახმაა.**

**— ხელისუფლება აცხადებს, რომ ბიუჯეტში საკმარისი თანხა არ არის, რათა დაზარალებულებს ფული და ქონება დაუბრუნდეთ. საქართველოს კანონმდებლობა რა ტიპის დანაშაულისთვის ითვალისწინებს ქონების კონფისკაციას, თუ არის შესაძლებელი, დამნაშავეებს ჩამოერთვათ ქონება, რათა ის კანონიერ მფლობელებს დაუბრუნდეთ?**

— შესაბამისი კანონი უნდა მიიღონ და, რაც სახელმწიფო საკუთრებაშია, ის ქონება მაინც დაუბრუნდეთ მის მფლობელებს. ჩვენ „არსენას პრინციპს“, რა თქმა უნდა, ვერ დავნერგავთ, თუმცა მსგავსი პრეცედენტი არსებობს. როდესაც თენგიზ ასანიძის სასარგებლოდ ევროსასამართლომ საქართველოს ხელისუფლებას 155 ათასი ევრო დააკისრა, ხელისუფლებამ ეს თანხა ბიუჯეტიდან გადაიხადა. თუმცა ასანიძის უკანონო დამკავებელს, უშიშროების მინისტრის მაშინდელ მოადგილეს, ქონება დაუყადაღეს და სახელმწიფო ბიუჯეტმა ეს თანხა ამოიღო.

**— კახეთის საინფორმაციო ცენტრმა ბაჩო ახალაიას საკანში ფარული კამერების არსებობის შესახებ გაავრცელა ინფორმაცია. მიუხედავად ციხის ადმინისტრაციის განცხადებისა, რომ მეთვალყურეობა პატიმრის თხოვნით ხორციელდებოდა, დაირღვა თუ არა კანონი?**

— საერთოდ, ადვოკატების, პარლამენტის წევრების საუბრის ჩაწერა, გაეროს 1990 წლის პრინციპის დარღვევაა ადვოკატთა როლის შესახებ. ამ პრინციპით ხელმძღვანელობს მთელი ცივილიზებული სამყარო. ამიტომაც ვამბობ, რომ **სააკაშვილის რეჟიმი არსად წასულა, ის ახალმა რეჟიმმა ჩაანაცვლა.**

**— უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის კანონპროექტის განხილვის შეჩერებას ითხოვს. რამდენად მართებულია მოსამართლეების უვადოდ დანიშვნა?**

— ყველაზე მეტად მე ვებრძოდი სასამართლო სისტემას, მაგრამ ვფიქრობ, რომ სამი წლით გამოსაცდელი ვადით მოსამართლის დანიშვნა არ შეიძლება. არც უვადოდ დანიშვნას ვეთანხმები, მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაშია მისაღები ეს — **თუ მოსამართლეს ხალხი აირჩევს, მაშინ მოსამართლე რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის წინაშე თავს ვალდებულად არ იგრძნობს და ანგარიშვალდებული მხოლოდ ხალხის წინაშე იქნება.**

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

**«ადვოკატი ტარიელ მურმანიშვილი გაათავისუფლეს, როგორც პოლიტპატიმარი, მაგრამ არც პროკურორ სონღულაშვილს და არც ნათია მოგელაძეს, რომელმაც ის დააკავა, პასუხი არ უგია. მოგელაძე დააწინაურეს, სონღულაშვილს კი კარგი მუშაობისთვის ივანიშვილმა მადლობა გამოუცხადა»**

**„ჩვენ ხელს გვაძლევს ისეთი რუსეთი, რომელიც ეროვნულ ნიადაგზე მტკიცედ და მყარად დადგება. ჩვენ, ორი მართლმადიდებელი ერი, თუ მოვახერხებთ ურთიერთობის დამყარებას, შევძლებთ რაღაცის მიღწევას. რუსეთის გარეშე აჭარის პრობლემას ვერ მოვაგვარებთ, თანაც ეს მარტო აჭარის პრობლემა არ არის, თურქეთიზაცია მთელი საქართველოს პრობლემაა. საქართველო თურქეთის მიერ უკვე ოკუპირებულია.“**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჰამლეტ ჭიპაშვილი:**

# რუსეთის გარეშე აჭარის პრობლემას ვერ მოვაგვარებთ, თურქეთიზაცია მთელი საქართველოს პრობლემაა

**პოლიტოლოგები ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ სააკაშვილისა და ივანიშვილის ხელისუფლება ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდება, განსაკუთრებით, პოლიტიკური კურსით. „საქართველო და მსოფლიოს“ 18-24 სექტემბრის ნომერში პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია „ნაციონალებისა“ და „ოცნების“ მსგავსებას დეტალურად ხსნის, რასაც სრულიად ეთანხმება პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი, რომელმაც ჩვენთან საუბარში თითოეული მინისტრის ხედვა მიმოიხილა. მან ასევე ისაუბრა იმ საშიშროებაზე, რომელიც თურქეთის მხრიდან მომდინარეობს.**

**— რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის მოგვარების ერთ-ერთი ინიციატორი და მსურველი ბიძინა ივანიშვილი თანამდებობას ტოვებს. როგორ განვითარდება მოვლენები და რა კურსით წავა საქართველო?**

— ერთი წლის წინ რაც ივანიშვილმა ბრძანა რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებასთან დაკავშირებით, ეჭვქეშ დადგა, რადგან პოლიტიკიდან წასვლას აპირებს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ იგი ამ საქმის გარანტი აღარ იქნება. გადავხედოთ, ვინ არიან ბიძინა ივანიშვილის მიერ დატოვებული ადამიანები: პარლამენტის თავმჯდომარე თავიდან ბოლომდე პროამერიკელია. იგი მრავალი წლის განმავლობაში ამერიკიდან ფინანსდებოდა, საუბარია 25 მილიონ დოლარზე, რომელიც მან დახარჯა. საგარეო საქმეთა მინისტრი პროდასავლური ორიენტაციისაა. 16 წლის მანძილზე გერმანიაში ცხოვრობდა. საქართველოს მოსახლეობა პურის რიგში რომ იდგა, მაია ფანჯიკიძე ფუფუნებაში ცხოვრობდა. პროდასავლური ორიენტაციისაა მისი სიძეც — თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია. ის ამერიკელებმა სააკაშვილის შემცვლელ სარეზერვო ფიგურად გამოზარდეს. კახი კალაძეზეც იმავეს თქმა შეიძლება, ისიც ევროპის თაყვანისმცემელია. **ვინ არის საქართველოს მომავალი პრეზიდენტი — ის ადამიანი, რომელსაც ივანიშვილი რეკლამას უკეთებს? საზოგადოებამ კარგად იცის, მარგველაშვილი ვინც არის: ჟვანიასთან დაახლოებული პიროვნება, „ნაციონალების დიდი მეგობარი“ (მეგობარი ვერ იქნები, თუ იდეოლოგიურად თანამოაზრე არ ხარ და სულისკვეთებას არ იზიარებ). მარგველაშვილიც დასავლეთისკენ წარმოუდგენლად ილტვის.**

უნივერსიტეტი „ჯიპა“, რომლის რექტორიც ის იყო, ასევე უცხოეთიდან ფინანსდებოდა.

ასე რომ, **ახალი ხელისუფლება ამ შემადგენლობით რუსეთთან ურთიერთობის დასარეგულირებლად ნაბიჯსაც არ გადადგამს.**

**საგარეო საქმეთა მინისტრმა ბრძანა, რომ არავითარი პოლიტიკური დიალოგი რუსეთთან არ მოხდება, ვიდრე რუსეთს თავისი საელჩოები ექნება აფხაზეთსა და ცხინვალში.** ეს რომ ერთხელ შეცდომით ეთქვა, ადამიანი იფიქრებდა, წამოცდაო, მაგრამ მან ეს რამდენიმეჯერ გაიმეორა, თანაც დაბეჯითებით და კულმინაციურ მომენტებში. ყველაფერი კი იმაზე მეტყველებს, რომ **საქართველოს ხელისუფლება მზად არ არის, სერიოზული ნაბიჯები გადადგას. ერთადერთი კაცი, რომელსაც შეეძლო რაღაც გაეკეთებინა, ბიძინა ივანიშვილი იყო, მაგრამ მასაც თავდაპირველი რიტორიკა** (რომ რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება სურს) **ძალიან მალე შეაცვლევინეს და სხვაგვარი საუბარი დააწყებინეს.** გახსოვთ, ალბათ, მისი პირველი გამოსვლები, რომ ამბობდა, ომი საქართველომ, სააკაშვილმა დაიწყოო. შემდეგ გადაათქმევინეს და ალაპარაკეს, რომ სააკაშვილი ავანტიურაში ჩაითრიესო. იმავეს იმეორებს პაატა ზაქარეიშვილიც, რომელიც ასეთი შეხედულებით მინისტრობას ვერ გასწევს. მინისტრს, რომელსაც არ ჰყოფნის იმის ვაჟკაცობა, რომ სიმართლე თქვას, საქმეს წინ ვერ წასწევს. ერთი წლის განმავლობაში ბიძინა ივანიშვილმა უმარტივესი საკითხი (დაიწყო თუ არა ომი საქართველომ) ვერ გადაწყვიტა და თავში ვერ ჩაუდო თავისი მთავრობის წევრებს. ისინი მასზე იმაზე მეტ გავლენას ახდენენ, ვიდრე თავად ჰგონია. **ივანიშვილი თანამდებობას ტოვებს და ეს უცოდინარი გოგო-ბიჭები ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ რუსეთთან ურთიერთობა კი არ გაუმჯობედეს, პირიქით, გაუარესდეს. ახალი ხელისუფლების პოლიტიკა წყლის ორი წვეთივით ჰგავს „ნაციონალების“ პოლიტიკას.**



მათ დიდი ფული ჩადეს „ნაციონალებში“. **სააკაშვილი რომ ბღავის, პოლიტიკიდან არ წავალო, ეს რაღაცას ნიშნავს. მათ ყრილობას 12 ათასი მხარდამჭერი ესწრებოდა, ისინი არსადაც არ გამქრალან და არ გამორიცხოთ, რომ ისევ დაბრუნდნენ. ამერიკელები „ნაციონალებს“ არ მოგვაშორებენ და ყველაფერს გააკეთებენ, რათა რეგიონი არ დაკარგონ.**

> **«ვინ არის საქართველოს მომავალი პრეზიდენტი — ის ადამიანი, რომელსაც ივანიშვილი რეკლამას უკეთებს? საზოგადოებამ კარგად იცის, მარგველაშვილი ვინც არის: ჟვანიასთან დაახლოებული პიროვნება, «ნაციონალების» დიდი მეგობარი»**

ვთქვათ, მარგველაშვილმა გაიმარჯვა, ის ამ პრობლემის მოგვარებას ვერ შეძლებს. ჯერ ერთი, მას ამის არც სურვილი აქვს და არც გამოცდილება. მის გაზრდას, როგორც პოლიტიკოსისას, მინიმუმ ხუთი წელი დასჭირდება.

განვიხილოთ პრემიერის წარმომადგენლის, ზურაბ აბაშიძის, როლი. ბიძინა ივანიშვილმა წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობისთვის იმიტომ დანიშნა, მსოფლიოსთვის დაენახებინა, რომ ნაბიჯი გადადგა, მაგრამ რუსეთი მაინც არ მოდის მოლაპარაკებაზეო. წარმომადგენელი რომ დანიშნა, საინტერესოა, რით აღჭურვა? რა დავალება მისცა? **ღვინისა და მწვანილის რუსეთის ბაზარზე შეტანა საქმე არ არის, ამის მოგვარება ისედაც შეიძლებოდა. საქმე ისაა, რომ ამერიკამ საქართველოს უთხრა, აბაშიძე-კარასინის შეხვედრა მწვანილზე ზევით არ უნდა ავიდესო.**

**— ბატონო ჰამლეტ, ჩაანაცვლებს თუ არა ამერიკას თურქეთი?**

— ამერიკა აქედან არსადაც არ წავა; ამერიკა, რომელმაც თბილისში უზარმაზარი საელჩო ააშენა, კოლოსალური თანხა დახარჯა, როგორ ფიქრობთ, სადმე წავა? ამერიკა არც ერთი ქვეყნიდან არ მიდის. ამერიკა თურქეთს კი არა ღვიძლ ძმას არ ენდობა. თურქეთი სხვა სალაპარაკო თემაა და ვისაუბროთ, მაგრამ ამერიკაზე ვიტყვი, იმდენი ფული აქვთ დახარჯული, იმდენი ახალგაზრდა ჰყავთ გამოზრდილი, რომ წასვლაზე არც იფიქრებენ. თქვენ როგორ გგონიათ, 20 ათასი ახალგაზრდა იმისთვის გამოზარდეს, რომ აქედან წასულიყვნენ?

თურქეთი დიდი პრობლემაა. ის ამერიკის მარჯვენა ხელია, მაგრამ საქართველოში თავის თამაშს თამაშობს. ჩვენი უთავობით მათ შეძლეს მთელი ქართული ბაზრის დაპყრობა. დღეს იაღარით, ამერიკის გარდა, არავინ ომობს, არც თურქეთი. **თურქეთის დღევანდელი ხელისუფლება აქტიურად საუბრობს „დიდ ოსმალეთზე“, ამას არც მალავს. ეს არ არის სხვათა შორის ნათქვამი, ყურადსაღებია. ისინი ნელნელა შემოვიდნენ და გავლენიან ნაბიჯებსაც დგამენ.** საქართველოში მთელი ბიზნესი მათ ხელშია. ისინი არასამთავრობო ორგანიზაციებსაც აფინანსებენ, მიჰყავთ ხელმოკლე ოჯახების შვილები სასწავლებლად. **ამის ხელშემწყობი საქართველოში სააკაშვილის ოჯახია, მისი დედა — გიული ალასანია მიწების ჩამორიგების საკითხსაც აგვარებს. არავინ იცის, რა გარიგებებია დადებული თურქებთან. შეხედეთ, რა ხდება ტელევიზიებში, ყველა არხზე თურქული სერიალებია, ამას ხალხი ვერ ამჩნევს, მაგრამ თურქეთიზაცია აშკარად სახეზე გვაქვს.**

**— ბატონი ალექსანდრე ჭაჭია თავის ინტერვიუში ამბობს: „რუსეთმა რომ გააქტიუროს თავისი კავკასიური პოლიტიკა და საქართველოს მხარდაჭერა გადაწყვიტოს, აჭარის შენარჩუნებას ველარ შეძლებს. რუსეთი, ამერიკელების მსგავსად, აჭარაზე თურქეთის უფლებას აღიარებს“. ეთანხმებით თუ არა მის ამ მოსაზრებას?**

— სავსებით შესაძლებელია, რომ ბატონი ალექსანდრეს ეს ვარაუდი გამართლდეს. მნიშვნელოვანია ის, თუ რა ურთიერთობები ჩამოყალიბდება რუსეთთან და საერთოდ ჩამოყალიბდება თუ არა. ჩვენ ისე შევტოპეთ, რაიმეს გამოსწორება ძალიან ძნელი იქნება. გავითვალისწინოთ, რომ **საქართველოში არის ამერიკელების მიერ გაწვრთნილი 20-ათასკაციანი მე-5 კოლონა, რომელიც რუსეთთან ურთიერთობის წინააღმდეგია. ისინი ყველაფერს აკეთებენ, რათა საქართველოში ამერიკისა და თურქეთის გავლენა იქნეს.** ქმნიან კონფლიქტებს, გახსოვთ, მინარეთთან დაკავშირებით რაც მოხდა. ეს მოწყობილი იყო და ჯერ კიდევ დასრულებული არ არის.

**— დიახ, ბატონი ალექსანდრე მაგასაც ამბობს: „რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირება თურქეთის აგრესიის საბაბი გახდებაო“.**

— დიახ, მიზანმიმართულად ხდება, მაგრამ ეს პატარპატარა კინკლაობები ამის საბაზს თურქეთს ვერ მისცემს. ჩვენ სხვა საშიშროების წინაშე ვდგავართ. პარლამენტმა მიწების გაყიდვა შეზღუდა, მაგრამ ამერიკის ელჩი გამოვიდა და თქვა, რომ არ შეიძლება, რადგან ინვესტიციები აღარ შემოვაო. ის გვიბიძგებს მიწების გაყიდვისკენ. **სააკაშვილმა 1000-მდე ადამიანს თურქეთის მოქალაქეობა მიანიჭა. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მოქალაქეობამიღებული თურქები წაკუზავენ ქართველებს და, რასაც უნდა, იმას უზამენ; ზუსტად ისე, რასაც თურქეთში უკეთებენ ქართველებს. ასეთ ვითარებაში, რუსეთი მართლაც ველარ შეძლებს ჩვენ დახმარებას.**

რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ შეცვლილია, მას არც ერთი ნაბიჯი არ გადმოუდგამს საქართველოსკენ, სურვილი არ აქვს. რუსეთში არიან ლიბერალები, რომლებიც აცხადებენ, რომ რუსეთს არც ერთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა არ სჭირდება, მით უმეტეს, საქართველო. ესეც ამერიკული სკოლის შედეგია. **მოსკოვშიც არიან აგენტები, ნამდვილი აგენტები: ნავალნი, შევცოვა, ნოვოდვორსკაია, რუსეთის დღევანდელი ხელისუფლების ხმალამოღებული მოწინააღმდეგენი. ისინი ერთიანი რუსეთის წინააღმდეგნი არიან, ძირს უთხრიან სახელმწიფოს.** რუსეთს სერიოზულად არ უფიქრია არც ერთ საბჭოთა რესპუბლიკაზე, ის უკრაინას თითქმის კარგავს, გამუდმებით დავობს ბელარუსთან, მაგრამ საქმე ისაა, რომ რუსეთი ყველა შემთხვევაში მართალია, თუმცა სიმართლეს ვერც თავის ხალხს ეუბნება და სხვასაც ვერ არწმუნებს.

რუსეთი საქართველოსთანაც მართალი იყო. რუსეთის პრობლემა პიარშია. პუტინს თავდადებული პატრიოტების პრობლემა აქვს. მისი პრობლემაა, რომ ფულს არ ხარჯავს იმაში, რაშიც ამერიკა. **რუსეთს საქართველოში არც ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია არ აქვს. ჩვენს მეზობელ ქვეყანაში საქართველოზე არავინ საუბრობს. სააკაშვილი ტელევიზიით სისულელეებს ლაპარაკობს და რუსეთიდან პასუხს არავინ სცემს.**

შესაძლებელია, ისინი თვლიან, რომ მიშა სულელია, მაგრამ ეს სულელი მთელი მსოფლიოს გასაგონად რუსეთს ლანძღავს, პასუხს კი არც ამ შემთხვევაში სცემენ. რუსეთი არ მუშაობს საქართველოზე.

რუსეთშიც შეიძლება მომავალში მოვიდეს ისეთი ძალა, რომელიც ჩეჩნეთსაც და ინგუშეთსაც დამოუკიდებლობას მისცემს, ასეთი რამ გორბაჩოვმა უკვე გააკეთა. **ჩვენ ხელს გვაძლევს ისეთი რუსეთი, რომელიც ეროვნულ ნიადაგზე მტკიცედ და მყარად დადგება. ჩვენ, ორი მართლმადიდებელი ერი, თუ მოვახერხებთ ურთიერთობის დამყარებას, შევძლებთ რაღაცის მიღწევას. რუსეთის გარეშე აჭარის პრობლემას ვერ მოვაგვარებთ, თანაც ეს მარტო აჭარის პრობლემა არ არის, თურქეთიზაცია მთელი საქართველოს პრობლემაა. საქართველო თურქეთის მიერ უკვე ოკუპირებულია.** რუსეთს უფლება არ აქვს, ასე იჯდეს და არაფერი გააკეთოს. რატომ არ მიჰყავს რუსეთს ჩვენი ახალგაზრდები და არ აჩვენებს, როგორი განვითარებულია. რა დაუჯდებათ, რომ ახალგაზრდები წაიყვანოს და იქაური მუზეუმები აჩვენოს, აჭამოს, ასვას და დაარწმუნოს, რომ მტარვალი არ არის და დათვსაც არ ჰგავს. რაც ჩამოვთვალე, ამას რუსეთში არსებული ქართული დიასპორა ვერ გააკეთებს, ეს თავად რუსეთმა უნდა გააკეთოს.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

რეტრო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გლობალისტთა გეგმებში საქართველოსთვის განკუთვნილი როლი არ ითვალისწინებს განათლების, მეცნიერების, ტექნიკის, თანამედროვე სამრეწველო და სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარებას. ქართველები უნდა დაკმაყოფილდნენ სატრანსპორტო დერეფნის მოსამსახურე პერსონალის როლით.**

ალექსანდრე ჭაჭია:

# მაინტერესებს, სად და რომელ სორო(ს)ში იმყოფება ჩვენი «სახელოვანი ინტელიგენცია»

**პრობლემებს, რომელთა გამოც საქართველო ვერა და ვერ შედგა სახელმწიფოდ, უამრავი მიზეზი შეიძლება მოეძებნოს, თუმცა მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია საზოგადოების მოკლე მეხსიერება. ჩვენ მალე გვავიწყდება პოლიტიკოსების თუ პარტიების „საქმენი საგმირონი" და საარჩევნო ყუთთან ხშირად ისე მივდივართ, არჩევანს ისე ვაკეთებთ, რომ მათი წარსული, არცთუ შორეული, სათვალავში არ გვაქვს.**

მაგალითების მოყვანა უხვად შეიძლება, თუმცა ამჯერად თქვენს ყურადღებას ყველაზე თვალსაჩინო შემთხვევაზე შევაჩერებთ. „ქართული ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი არ მალავს და საჯაროდ აცხადებს, რომ მისი მეგობრები არიან ნიკოლოზ რურუა, ლევან რამიშვილი, ზურაბ ჭიაბერაშვილი, გიგა ბოკერია... თუ ადამიანთან მეგობრობ, ამის დამალვა, თუნდაც პოლიტიკური კონიუქტურის გამო, არ არის გამართლებული და მარგველაშვილის გულწრფელობა მისასალმებელია, თუმცა, თუ პრეზიდენტობის კანდიდატს ეს არ ახსოვს, საზოგადოებამ არ უნდა დაივიწყოს, ვინ იყვნენ და რას სჩადიოდნენ მისი მეგობრები, დაწყებული გამსახურდიას ხელისუფლების დამხობით და მხედრიონის პარპაშით, საიდანაც იღებს სათავეს მარგველაშვილის მეგობარი რურუას კარიერა; მისი სამეგობრო წრე იდგა ავანგარდში იმ პროცესებისა, რომელთაც ყოველივე ქართულთან ბრძოლა, ტრადიციების გაქილიკება, უფროსი თაობის ჩარეცხვა, განათლების მეცნიერების დაკნინება მოჰყვა, რათა საზოგადოებისთვის თავს მოეხვიათ ლიბერალიზმით შენიღბული უზნეობა, ხელი შეეწყოთ მონური მორჩილებისთვის, ამოეძირკვათ მართლმადიდებლური კულტურის კვალიც კი ქართული ცნობიერებიდან. ამ საქმის დიდოსტატი, უფრო სწორად, დიდი მაგისტრი გახლდათ მარგველაშვილის მეგობარი, თავისუფლების ინსტიტუტის თავკაცი ლევან რამიშვილი, ასევე მარგველაშვილის მეგობარი — ბოკერია და დედაქალაქის ყოფილი მერი — ჭიაბერაშვილი. ისინი იყვნენ პირველი კოჰორტა, რომელსაც უხვად აფინანსებდნენ გრანტებით და ვინც აქტიურად ეწეოდა დამღუპველი იდეების გავრცობა-განვითარებას, აკნინებდა ეროვნულ სულისკვეთებას, ებრძოდა ტრადიციებს, გაანადგურა განათლება, მოსპო სამეცნიერო სკოლები. ეს ადამიანები, გიორგი მარგველაშვილის მეგობრები, 2003 წელს საბოლოოდ მოვიდნენ ხელისუფლებაში და სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აიყვანეს ის რენეგატული საქმიანობა, რომელსაც მანამდე გრანტების ხათრით ეწეოდნენ.

ვფიქრობთ, ღირს, გავიხსენოთ, რისთვის, რა საქმიანობისთვის იღებდნენ კანდიდატ მარგველაშვილის მეგობრები გრანტებს სოროსისა და სხვა ფონდებიდან.

ვფიქრობთ, ღირს, გავიხსენოთ, რა შემართებითა და სისასტიკით ნერგავდნენ ისინი ამ ყველაფერს ხელისუფლებაში ყოფნისას და როგორ ცდილობდნენ აუცილებელი წესით, უკომპრომისოდ, ნებისმიერი მსხვერპლის ფასად ეკეთებინათ ანტიქართული შეკვეთა.

„მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი, და გეტყვი, ვინ ხარ შენ" — ეს შეგონება აუცილებლად უნდა გვახსოვდეს საარჩევნო ყუთთან მისულებს. ხოლო მეხსიერების გასავარჯიშებლად გთავაზობთ პოლიტოლოგ ალექსანდრე ჭაჭიას წერილს, რომელიც 2004 წელს არის გამოქვეყნებული და ნათლად ასახავს მარგველაშვილის მეგობრების რეალურ სახეს, საქმიანობასა და მიზნებს. თავისუფლების ინსტიტუტის თუ სოროსის გრანტიჭამია ანტიქართველების პრობლემა, მაშინ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლიდან ერთი წლის შემდეგაც ისეთივე აქტუალური იყო, როგორც დღეს, ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლიდან ერთი წლის შემდეგ, არის. მაშინ ამ საკითხს წავუყრუეთ, იქნებ ახლა მაინც გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნები?



**სამწუხაროდ, ახალი ხელისუფლების მიერ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები აღმოჩნდა ფორმით კიდევ უფრო უნიჭო, ხოლო შინაარსით კიდევ უფრო ანტიქართული, ვიდრე ეს შევარდნაძის მარაზმატული მმართველობის პერიოდში იყო**

საქართველოს ის მოაზროვნე პატრიოტები, რომლებიც წლების განმავლობაში შევარდნაძის ანტიეროვნულ რეჟიმს ებრძოდნენ, ახალი ხელისუფლებისგან სამი სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანის პრინციპულ გადაწყვეტილებას მოელოდნენ: საგარეოპოლიტიკური ურთიერთობების მოგვარებას; ეკონომიკაში მოდერნიზაციული პროექტის შემუშავებასა და რეალიზებას; განათლებისა და მეცნიერების ეროვნული სისტემის აღორძინებასა და ინტენსიურ განვითარებას. ამ ძირითად მიმართულებებში ამოცანათა წარმატებულ გადაწყვეტას შეუძლია შეწყვიტოს ქართული სახელმწიფოებრიობის ნგრევა, ქართველი ერის დაშლა-გაფანტვა, უზრუნველყოს ქვეყნის ტერიტორიული და სულიერი მთლიანობის აღდგენა, ქართველი ერის, როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენის, შენარჩუნება. სამწუხაროდ, ახალი ხელისუფლების მიერ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები აღმოჩნდა ფორმით კიდევ უფრო უნიჭო, ხოლო შინაარსით კიდევ უფრო ანტიქართული, ვიდრე ეს შევარდნაძის მარაზმატული მმართველობის პერიოდში იყო.

საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში შეიქმნა და ფუნქციონირებს ასობით, ათასობით არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელთა უმრავლესობა უცხოეთიდან, ძირითადად, ამერიკის შეერთებული შტატებიდან ფინანსდება. ამ ორგანიზაციების შენახვისთვის ამერიკელები ასობით მილიონ დოლარს ხარჯავენ. ეს ფული საკმარისი იქნებოდა ქვეყნის სოფლის მეურნეობის აღდგენისთვის, ასობით საცხოვრებელი სახლის აშენებისთვის, თანამედროვე სამრეწველო ტექნოლოგიების დანერგვისთვის, მაგრამ ეს უზარმაზარი თანხები გამოყოფილია იმ პროექტების რეალიზაციისთვის, რომლებიც მიზნად ისახავს „ადამიანის რელიგიური მრწამსის თავისუფლების უზრუნველყოფას", „განათლების სისტემის რეფორმირებას დასავლური ლიბერალური ღირებულებების შესაბამისად", „ჩამორჩენილი ეროვნული ტრადიციების დაძლევას, მორალისა და ზნეობის დასავლური ნორმების დანერგვას", „სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის ლიბერალურ-დემოკრატიული ცნობიერების ფორმირებას", „ოჯახში ურთიერთობათა ახალი ტიპის დანერგვას", „ბავშვთა სექსუალურ აღზრდას" და ა.შ. არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომლებიც ამ პროგრამების განსახორციელებლად გრანტებს იღებენ, გვარწმუნებენ, რომ ამერიკელი მეგობრები ამ მილიონებს იმიტომ ხარჯავენ, რომ ქართველები დაბადებიდან უყვართ და შეუკავებელი სურვილი აქვთ, ქართველი ახალგაზრდა თაობა ბრწყინვალედ განათლებული, ჯანსაღი, ჭკვიანი და ლამაზი იხილონ. საინტერესოა, რომ ჩვენს საზოგადოებაში მოიძებნებიან იდიოტები (როგორც წესი, შემოქმედებითი ინტელიგენციის წრიდან), რომელთაც ამისი სჯერათ.

რამდენიმე წლის წინათ „ასავალ-დასავალის" ფურცლებზე იყო დისკუსია გლობალიზაციის პრობლემებზე, რომლის მსვლელობისას წარმოდგენილ იქნა უამრავი მასალა, რომელიც მოწმობდა, რომ გლობალისტთა გეგმებში საქართველოსთვის განკუთვნილი როლი არ ითვალისწინებს განათლების, მეცნიერების, ტექნიკის, თანამედროვე სამრეწველო და სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარებას. ქართველები უნდა დაკმაყოფილდნენ სატრანსპორტო დერეფნის მოსამსახურე პერსონალის როლით. გახარებულმა შევარდნაძემ განაცხადა, რომ საქართველომ, ბოლოსდაბოლოს, საერთაშორისო ფუნქცია მოიპოვა! ბუნებრივია, ამგვარ „ფუნქციონერებს" განათლება და მეცნიერება არ სჭირდებათ: ნავთობსადენის დაცვა და ავტობუსის მძღოლების მომსახურება უმაღლესი განათლების გარეშეც შეიძლება. ამიტომ **შევარდნაძის პერიოდში სრულიად განადგურდა აკადემიური მეცნიერება** (სხვათა შორის, მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობის სამარცხვინო დუმილის პირობებში), **უმაღლესი სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დაიწყო სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების დეგრადაციის პროცესი, მინიმუმამდე იქნა დაყვანილი უმაღლესი განათლების, სამეცნიერო ხარისხების ავტორიტეტი.** მაგრამ ეს ცოტაა იმისთვის, რომ ერი ახალ „ფუნქციას" შეეგუოს, ანუ უარი თქვას საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებელ მფლობელობაზე და გადაიქცეს ოფიციანტთა, და- ▶

**ახალგაზრდა თაობის დენაციონალიზაციის, ინტელექტუალური და ზნეობრივი დეგრადაციის საქმეში ძირითადი როლი განათლების სამინისტროს ეკისრება, რომელსაც ხელმძღვანელობენ სოროსის მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივისტები**

**ამ სიტუაციაში მე მაინტერესებს, სად, რომელ სორო(ს)ში იმყოფება დღეს ჩვენი „სახელოვანი ინტელიგენცია“ — ცნობილი პოეტები, მწერლები, კინორეჟისორები, აკადემიკოსები, რომლებიც შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ჯიუტად არ ამჩნევდნენ მის მიერ წაქეზებულ დესტრუქციულ, ანტიეროვნულ პროცესებს, ერთგულად ლოცულობდნენ საკუთარ კერპზე და არ სურდათ, დაენახათ, რომ მისი ფრთის ქვეშ ყალიბდება აგრესიული, უპრინციპო, უეროვნებო ცინიკური ძალა.**

## რეტრო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

...რაჯთა, მენაგვეთა და მეძავთა უსიტყვო ბრბოდ. აუცილებელია ეროვნული თვითშეგნების სრული მოსპობა! **ქართველი ერის ეროვნულ თვითშეგნებას კი განსაზღვრავს განათლება (საბავშვო ბაღი, სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი), ტრადიციული აღზრდა (ოჯახი, უფროსი თაობის მაგალითი) და მართლმადიდებლობა. ეროვნული ცნობიერების ამ სამი საფუძვლის განადგურებაზე არის მიმართული უცხოელი „მზრუნველი მეგობრების“ მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობის საქმიანობა. ეს პროცესი წარმატებით დაიწყო შევარდნაძის დროს, რომლის ფრთის ქვეშ მრავლდებოდა ამ ორგანიზაციათა ქსელი, ყალიბდებოდა მათი საკადრო შემადგენლობა, ხოლო დღეს ეს კადრები სახელმწიფო სახელისუფლო სტრუქტურებში გადაბარგდნენ და უშუალოდ შეუდგნენ იმ ამოცანის საბოლოო გადაწყვეტას, რომლისთვისაც მათ წლების განმავლობაში აფინანსებდნენ, უცხოეთში დაჰყავდათ სემინარებზე, ტრენინგებსა თუ კონფერენციებზე.**

ერთ-ერთი ასეთი „მოღვაწე“ გახლავთ ჭიაბერაშვილიც. „რაო-რაო?“-ში გამოქვეყნებულმა დოკუმენტმა გაზეთის ყურადღება, ალბათ, იმიტომ მიიპყრო, რომ მისი ავტორი არის დედაქალაქის მერი, რომლის განკარგულებაში ასობით სასწავლებელია და რომელმაც ამით მრავალი ათასი ბავშვის აზროვნებისა და სულის დამახინჯების უშუალო შესაძლებლობა მოიპოვა. მაგრამ ახალგაზრდა თაობის დენაციონალიზაციის, ინტელექტუალური და ზნეობრივი დეგრადაციის საქმეში ძირითადი როლი განათლების სამინისტროს ეკისრება, რომელსაც ხელმძღვანელობენ სოროსის მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივისტები. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან, საზოგადოების განვითარების მსოფლიოში მიღებული ობიექტური მაჩვენებლებიდან გამომდინარე, ერთადერთი, რაც საქართველოს ზიმბაბვესგან განასხვავებს, არის მოსახლეობის ძირითადი მასის განათლების მაღალი დონე. ამ სხვაობის ლიკვიდაცია ჩვენი ხელისუფლების მფარველთა მნიშვნელოვანი ამოცანაა. სწორედ ამიტომ მთლიანად შეიცვალა განათლების სამინისტროს საკადრო შემადგენლობა: მცოდნე, გამოცდილი ხელმძღვანელების ადგილები დაიკავეს 21-25 წლის „სოროსელებმა“, თანაც ზოგიერთმა მათგანმა უმაღლესი განათლების დიპლომის მიღებაც კი ვერ მოასწრო. როგორც პრესა იტყობინება, უკვე მიმდინარე წელს იწყება „განათლების სისტემის ოპტიმიზაციის პროექტის“ რეალიზება, რომლის შესაბამისად, საქართველოს ყველა რაიონში დარჩება მხოლოდ რამდენიმე უფასო სკოლა, დანარჩენი კი დაიხურება ან კომერციული გახდება. იგივე ელის საბავშვო ბაღებსაც, რომელთა 60 პროცენტი დაიხურება. ჩვენმა „რეფორმატორებმა“, ალბათ, მიიჩნიეს, რომ მათი წინასაარჩევნო დაპირებები უკვე შესრულებულია და საქართველოს მოსახლეობა იმდენად მდიდარი გახდა, რომ შეუძლია, კომერციულ სკოლებში ბავშვებს განათლება მიაღებინოს. ჭეშმარიტად, ერი მეამბოხე უმეცრების მსხვერპლი გახდა!

ნახეთ, რას და ვის ებრძვის 35 ათასი დოლარის გრანტის საფასურად თბილისის ახლანდელი მერი: „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ გადამწყვეტ დაბრკოლებად წარმოგვიდგება ე.წ. ეროვნული იდეოლოგიის შესახებ გავრცელებული შეხედულება და ტერმინ „ტრადიციის“ მცდარი გაგება. ამ თვალსაზრისთა ძირითადი გამავრცელებელი მექანიზმია საშუალო სკოლა, ხოლო მიმწოდებლები — ისტორიისა და მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები. ამ საგნების სწავლებისას ჯერ კიდევ განსაკუთრებით შეინიშნება ეროვნულ სახელმწიფოზე, პატრიოტიზმზე, საზოგადოების რელიგიურ მოწყობაზე ვადაგასული წარმოდგენების გაბატონება“...

**თურმე საქართველოში დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების მთავარ მტრებს ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები წარმოადგენენ, რომლებიც ბავშვებს თავს უჭედავენ ეროვნულ სახელმწიფოზე და პატრიოტიზმზე მავნებლური აზრებით! თურმე ეროვნული იდეოლოგია „ეგრეთ წოდებული“ ცნებაა, ხოლო ცნებას „ტრადიცია“ ქართველები მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში მცდარად აღიქვამენ! სამაგიეროდ, ჭიაბერაშვილმა, რომლის ფიზიონომიაზე ნათლად აისახება მისი ინტელექტის დონე, შესანიშნავად იცის, თუ რა სჭირდება ქართველებს და როგორ, ვისი დახმარებით შეიძლება ქართველებს ამის მიღება აიძულო.** აი, რას წერს თავის პროექტზე აზროვნების ეს „გიგანტი“: „...პროექტი თავისი ძირითადი საქმიანობის კონცენტრირებას ახდენს იმ სოციალურ ჯგუფზე, რომლის გავლენა მომავალი თაობის სოციალიზაციაზე ერთ-ერთი ყველაზე ძლიერია: სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური და ისტორიული ფაკულტეტების სტუდენტები, რომელთა შორის ლიბერალურ ღირებულებათა დამკვიდრებას ერთგვარად შეიძლება აბრკოლებდეს ოჯახსა და უმაღლეს სასწავლებელში დამკვიდრებული ატმოსფერო“.

ძირგამომთხრელი საქმიანობის ყველა მთავარი მიმართულება მოიცვა ჭიაბერაშვილმა: განათლება, ოჯახური აღზრდა და რელიგია! იცის ბიჭმა, რა არის საჭირო იმისთვის, რომ პატრონებს აამოს და ფული მიიღოს. **მიაქციეთ ყურადღება, რომ ჭიაბერაშვილი იმ დროს „სამართლიანი არჩევნების საზოგადოების“ ხელმძღვანელი იყო. რა საერთო აქვს ამ თემებს არჩევნებთან? ქართულმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ მსგავსი არასამთავრობო ორგანიზაციების სახელწოდებებს, ლამაზ აბრებს, რომლებსაც არიან ამოფარებულნი, არაფერი აქვს საერთო მათი საქმიანობის ჭეშმარიტ არსთან, ხოლო ეს არსი ქართველი ერის ეროვნული თვითშეგნების განადგურებაა.** ახლახან ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნდა ჯორჯ სოროსის მიმართვა, რომელიც მან „თავისუფლების ინსტიტუტს“ და სხვა მისდამი დაქვემდებარებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს გაუგზავნა. მიმართვაში სხვა საზიზღრობებთან ერთად წერია: „იყავით ფხიზლად... ფაშიზმი სწორედ იქ იჩენს თავს, სადაც ჯეროვან შეფასებას ვერ ვაძლევთ ადგილობრივი მოსახლეობის მისწრაფებას — იყვნენ თავიანთი მიწის ბატონ-პატრონები“. მაშასადამე, **ქართველები, ჯორჯ სოროსის აზრით, ფაშისტებად გადაიქცევიან, თუ საკუთარი მიწის პატრონად იგრძნობენ თავს! ამ გრძნობის მოსპობა არის განათლების სფეროში რეფორმის ამოცანა. 3-5 წელიწადში საქართველოში აღარ იარსებებს განათლების ეროვნული სისტემა.** განათლების დონე, რომელსაც მოსწავლეები მიიღებენ, შეზღუდული იქნება იმ მოცულობით, რომელიც მოსამსახურე პერსონალის ეროვნებაწართმეულ მასას სჭირდება. ამ მასას საკუთარი მიწა-წყლის პატრონის გრძნობა არასოდეს გაუჩნდება. მაგრამ ჭიაბერაშვილებსა და მათ პატრონებს კარგად ესმით, რომ ქართველობის, როგორც ეროვნულ-კულტურული ფენომენის, განადგურებისთვის განათლების სისტემის დაშლა არასაკმარისია. ერის განვითარების ჯაჭვიდან, რომლის რგოლებს თაობები წარმოადგენენ, საჭიროა ერთი რგოლის ამოგდება. მაშინ ეს უკვე აღარ იქნება უწყვეტი ჯაჭვი, რომელიც ერის სიცოცხლისუნარიანობას უზრუნველყოფს. ერი დაკარგავს მთავარს — თაობათა მემკვიდრეობითობას, ანუ ერი აღარ იქნება. შევარდნაძის დროს და მისი მფარველობით დაიწყო უფროსი თაობის სოციალური და მორალური დამცირების პროცესი. უფროს თაობას ლაფს ასხამდნენ „კომუნისტური წარსულისთვის“, „ცუდი რუსების“ მხარეზე „კარგი გერმანელების“ წინააღმდეგ ომში მონაწილეობისთვის, ცხოვრების „არაცივილიზებული“ წესისთვის და ა.შ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქართველთა საშუალო თაობას გაუჭირდა საკუთარი მამების ლანძღვა-გინება, მათი უარყოფა, მით უმეტეს, რომ ამ მამებმა შვილების არცთუ ისეთი ცუდი ბავშვობა უზრუნველყვეს, განათლება მიაღებინეს და არც მთლად ჩამორჩენილი ქვეყანა დაუტოვეს, უფრო მეტიც, საშუალო თაობა (35 წლის ზევით) აღიზარდა და განათლება მიიღო მანამ, სანამ ამ პროცესში სოროსი, ლომაია, ჭიაბერაშვილი, ბერძენიშვილი და სხვა უაღრესად სიმპათიური ვაჟკაცები ჩაერივნენ. ამიტომ სათანადო ინსტანციებმა გადაწყვიტეს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრებიდან ამ საშუალო თაობის ამოგდება, საზოგადოების ფუნქციონირების ყველა სფეროდან მისი განდევნა, რათა წაართვან მას მომდევნო თაობის ჩამოყალიბებაზე გავლენის შესაძლებლობა. დამეთანხმებით, რომ ძნელია, საკუთარი შვილებისთვისაც კი, გახდე ავტორიტეტი, თუ უმუშევარი ხარ, არანაირი სოციალური სტატუსი არ გაგაჩნია და ოჯახის შენახვა არ შეგიძლია, ასეთ პირობებში ადამიანი საკუთარ თავსაც კი არ სცემს პატივს, რომ არაფერი ვთქვათ პატივისცემაზე სხვა ადამიანების, თუნდაც ახლობლების მხრიდან... სწორედ ამიტომ ხელმძღვანელ თანამდებობებზე ინიშნებიან 22-26 წლის ახალგაზრდები, რომლებიც „წმენდენ“ მათდამი დაქვემდებარებულ სტრუქტურებს უფროსი თაობის წარმომადგენლებისგან. ყველაზე სასაცილოა, რომ ისინი ამას აკეთებენ ყოფილი მუშაკების „არაპროფესიონალიზმის“ საბაბით, ხოლო გათავისუფლებულ ადგილებზე დანიშნულ თავიანთ თანაკლასელებს, ეზოს ძმაკაცებს წარმოგვიდგენენ, როგორც „გამოცდილ პროფესიონალებს“. ჭეშმარიტად, ვუნდერკინდებით მდიდარია სოროსისეული ორგანიზაციები!

**ამ სიტუაციაში მე მაინტერესებს, სად, რომელ სორო(ს)ში იმყოფება დღეს ჩვენი „სახელოვანი ინტელიგენცია“ — ცნობილი პოეტები, მწერლები, კინორეჟისორები, აკადემიკოსები, რომლებიც შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ჯიუტად არ ამჩნევდნენ მის მიერ წაქეზებულ დესტრუქციულ, ანტიეროვნულ პროცესებს, ერთგულად ლოცულობდნენ საკუთარ კერპზე და არ სურდათ, დაენახათ, რომ მისი ფრთის ქვეშ ყალიბდება აგრესიული, უპრინციპო, უეროვნებო ცინიკური ძალა, რომელიც საჭირო მომენტში მოისვრის შევარდნაძეს, როგორც უსარგებლო ნივთს და უმოწყალოდ დაამთავრებს ქართველობის მოსპობის მის მიერვე დაწყებულ პროცესს. სად ხართ, „ერის მამებო“? სად არის მეცნიერებათა აკადემია, სადაა მწერალთა კავშირი, კინემატოგრაფისტთა, კომპოზიტორთა კავშირები, თეატრალური საზოგადოება და სად არის საზოგადოება „თბილისელი“, რომელშიც მაშინ შევარდნაძის მხარდამჭერი „ჭეშმარიტი თბილისელები“ გაერთიანდნენ და მოსახლეობას თავს აბეზრებდნენ „ეროვნული, ვაჟკაცური“ განცხადებებით? მოსწონთ „თბილისელ ვაჟკაცებს“ დედაქალაქის ახალი მერი და პრემიერი? დუმხართ? ეთანხმებით საკუთარი ერის მოსპობას? თუ გეშინიათ, რომ ახალი ხელისუფლება იმ ნასუფრალს წაგართმევთ, რომლის გამოც შევარდნაძეს ეთაყვანებოდით? არ შეიძლება, ბატონებო, სამარშრუტო ხაზზე ღირსების გაცვლა...**

1997 წელს მე გამოვაქვეყნე ინტელიგენციისადმი მიმართული წერილი „გეწყინათ? გეწყინოთ!“. მასში აღვწერე ქვეყანაში მიმდინარე დამანგრეველი პროცესები, ე.წ. „ელიტური ინტელიგენციის“ დესტრუქციული როლი, ქართველი ერის გენოციდისადმი მისი სამარცხვინო გულგრილობა. კერძოდ, ამ ელიტურ მწერალ-მწიგნობართ მივმართე:

**„რატომ არ მოსთხოვთ პასუხს იმ პირებს, რომლებიც დამნაშავე არიან ჩვენი საშუალო და უმაღლესი განათლების დაშლა-განადგურებაში? რას აკეთებთ თქვენ, მწერლებო და პოეტებო, მაშინ, როცა საქართველო თაობას კარგავს — ახალგაზრდობა ირყვნება, ლოთობს, ვრცელდება ნარკომანია, ათასობით ქალი საკუთარ სხეულს ყიდის როგორც საქართველოში, ასევე თურქეთში, რუსეთში, საბერძნეთში? რატომ დუმხართ მაშინ, როდესაც დასცინიან და ანადგურებენ ქართველი ხალხის საუკუნოვან ეროვნულ ტრადიციებს, უცერემონიოდ იდევნება და ამერიკანიზებული სუროგატით იცვლება ეროვნული კულტურა? რას აკეთებთ თქვენ ამ ტრაგიკულ დროს, სადაა ხალხისადმი მიმართული თქვენი სიტყვა, სადაა ხელისუფლებისადმი გამოხატული პროტესტი? რა უნდა მოხდეს კიდევ საქართველოში, რომ თქვენ ხმა ამოიღოთ? რით ხართ დაკავებულნი? წიგნებს წერთ? ვის სჭირდება თქვენი წიგნები, თუ მალე „ვეფხისტყაოსნის“ მკითხველიც კი აღარ იქნება საქართველოში?!“.**

ვშიშობ, ეს დროც მოვიდა...

გაზეთი „ასავალ-დასავალი“, 2004 წ., სექტემბერი

**სად არის მეცნიერებათა აკადემია, სადაა მწერალთა კავშირი, კინემატოგრაფისტთა, კომპოზიტორთა კავშირები, თეატრალური საზოგადოება და სად არის საზოგადოება «თბილისელი», რომელშიც მაშინ შევარდნაძის მხარდამჭერი «ჭეშმარიტი თბილისელები» გაერთიანდნენ და მოსახლეობას თავს აბეზრებდნენ «ეროვნული, ვაჟკაცური» განცხადებებით?**

**ახალგაზრდა თაობის დენაციონალიზაციის, ინტელექტუალური და ზნეობრივი დეგრადაციის საქმეში ძირითადი როლი განათლების სამინისტროს ეკისრება, რომელსაც ხელმძღვანელობენ სოროსის მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივისტები**

**ქართველები, ჯორჯ სოროსის აზრით, ფაშისტებად გადაიქცევიან, თუ საკუთარი მიწის პატრონად იგრძნობენ თავს! ამ გრძნობის მოსპობა არის განათლების სფეროში რეფორმის ამოცანა. 3-5 წელიწადში საქართველოში აღარ იარსებებს განათლების ეროვნული სისტემა**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშკარად ჩანს, რომ ბიძინა ივანიშვილი განსაკუთრებული დავალებით მოვიდა ქვეყნის სათავეში. მას უმტკივნეულოდ უნდა გაეწია გათავხედებული „ნაცმოძრაობა“ პოლიტიკური არენიდან და მის ნაცვლად უნდა მოეყვანა პროამერიკული სარეზერვო ძალა, რომელიც ჩვენში რესპუბლიკური პარტიის სახით არსებობდა... ასე შემოიპარა მეორე პროამერიკული ძალა პარლამენტში.**

# არ უნდა დაგვავიწყდეს, თუ სად გამოიზამთრა ძნელბედობის ჟამს ქართულმა სულმა

ამ წერილის დაწერა ალექსანდრე ჭაჭიასთან ინტერვიუმ გადამაწყვეტინა, რომელიც გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ დაიბეჭდა და რომელშიც რესპონდენტი ამბობს: **„შევარდნაძე გვპირდებოდა, რომ „მეორე შვეიცარიად“ ვიქცეოდით, სააკაშვილი დაგვპირდა, რომ „მეორე სინგაპური“ გავხდებოდით, ივანიშვილი კი „მეორე დუბაიდ“ გადაქცევას გვპირდება. მოაზროვნე ადამიანისთვის გასაგები უნდა იყოს, რომ არც ერთი ამ ორიენტირთაგანი ჩვენთვის პრინციპულად ვერ იქნება რეალური მიზანი“.**

და მართლაც, რა უნდა ხალხს, როცა ის ქვეყნის წინამძღოლის არჩევნებზე მოდის? ამ კითხვაზე პასუხი არ შეიძლება ერთგვაროვანი იყოს, რადგან ყოველ ადამიანს საკუთარი შეხედულება და ხშირ შემთხვევაში ერთმანეთისგან განსხვავებული სურვილები აქვს. ღარიბები გამდიდრებაზე ოცნებობენ, დამნაშავეებს განკითხვის ეშინიათ, უბედურნი ბედნიერებას ეძებენ, ხელმოცარულნი საკუთარი თავის პოვნას ცდილობენ...

ყველა ეს განცდა მათ არჩევნებზე მოაქვთ და თავისებურად ანგარებიანნი არიან ასარჩევი კანდიდატის მიმართ. ეს უკანასკნელი კი იძულებულია, უხვად არიგოს დაპირებები, რათა ხმათა უმრავლესობა მიიღოს.



**ქვეყნის სათავეში ყოფნა გოლგოთის გზაზე ტანჯვით სიარულს ნიშნავს, სადაც რაღაც სიმაღლეზე შენივე საწამებელი ჯვარი უნდა აიტანო. არ აიტანს მილიარდერი გოლგოთაზე ჯვარს!**

არჩევნები წარმატებულად ჩაითვლება მაშინ, თუ ხალხმა უარესზე უკეთესი შეარჩია. ამაზე მეტის მიღწევა ამ ცისქვეშეთში შეუძლებელია და, ვინც ამით არ კმაყოფილდება, იმედგაცრუება და ხანგრძლივი წუხილი ელოდება. არისტოტელეს ბრძნული გამონათქვამის პერიფრაზი რომ გავაკეთოთ, **ერის ჭკვიანი წინამძღოლი ხალხის გაბედნიერებას კი არ უნდა ცდილობდეს, არამედ დღენიადაგ იმისთვის უნდა იღვწოდეს, რომ უბედურება ააცილოს მათ. თუ ერის წინამძღოლი მეტნაკლებად ამის მიღწევას შეძლებს, ის ცამდე მართალი იქნება ქვეყნისა და ღმერთის წინაშე.**

სამწუხაროდ, ჩვენთან პირიქით ხდება. უბედურების აცილება კი არა, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ ყველანაირი საცოდაობა თავს დაგვატყდეს. ნუთუ შეგნებულად მიგვაქანებენ უბედურებისკენ? მაშინ რატომ დავადექით ამ გზას განუსჯელად და თვალდახუჭული? რატომ დავიჯერეთ ავისმსურველთა მიერ შემოგდებული აზრი, თითქოს ჩვენ არაფერს გვეკითხებიან და ის უნდა ვაკეთოთ, რასაც „ჩვენზე ჭკვიანები“ შემოგვითვლიან. **გალმიდან გვეუბნებიან, რომ ჩვენ ცუდები ვართ და უნდა გავხდეთ ისეთები, როგორებიც ისინი არიან. წინაალმდეგ შემთხვევაში ჩვენ შორის არანაირი ხიდი არ გაიდება, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია თუ არა, დავფიქრდეთ და საკუთარ თავს ვუთხრათ: თუ ჩვენ ისეთები უნდა გავხდეთ, როგორებიც ისინი არიან, მაშინ ჩვენ ხომ ისეთები არ ვიქნებით, როგორებიც ვართ. გამოდის, რომ საკუთარ მეობაზე, თვითმყოფადობაზე და ყოველგვარ თავისებურებაზე უარი უნდა ვთქვათ.**

ჩვენთან თურმე დემოკრატია არ არის, ადამიანებს ცუდად ვექცევით და ა. შ. კი, ბატონო, ცოდვა ყველგან ტრიალებს და მას შემდეგ, რაც აბელის სისხლი დაიღვარა, ვერც ერთი ტომი ვერ აცდა კაენის ცოდვას, მაგრამ ის მაინც რატომ ვერ შეამჩნია ვერავინ, რომ აბრაჰამის სული ჯერაც ტრიალებს საქართველოში. **აბრაჰამი მთელი დღე თავის სახლის კარიბჭესთან იჯდა და უცხო ადამიანთა, გზაში დაქანცულ მოგზაურთა გამოჩენას ელოდებოდა, რათა დაეპურებინა, გაემხნევებინა და დაელოცა ისინი. უცხოელები, რომლებიც აქ შემოდიან, ყოველ ნაბიჯზე ხვდებიან აბრაჰამისეულ სტუმართმოყვარეობას და ეს ძალიან სიამოვნებთ, მაგრამ მაინც გვეუბნებიან, — ისეთები არ ხართ, როგორც ევროპელები.** თურმე ჩვენ მამათმავლებს ვდევნით, ვკრძალავთ ერთსქესიან ქორწინებას, ვებრძვით ყოველგვარ აღვირახსნილობას, რაც მიუღებელია ცივილიზებული სამყაროსთვის და, თუ ამ „სიმახინჯეს“ არ გამოვასწორებთ, არც უნდა ვიოცნებოთ ევროპულ სივრცეში ინტეგრაციაზე.

ერთნაირი არაფერი შეუქმნია ღმერთს. ერთნაირობა სილატაკე და სულიერი სიმწირეა. წარმოიდგინეთ, ყველა ერთნაირად მდიდარი რომ იყოს დედამიწაზე, რა უმიზნო და უბედური იქნებოდა კაცობრიობა. ამაზე ბევრჯერ უთქვამთ ბერძენ ფილოსოფოსებს. ამას წინათ, მეგრულ ხალხურ ლექსში, რომელიც დალოგინებული და ღრმად მოხუცებული გლეხისგან მოვისმინე, ერთი გენიალური სტრიქონი აღმოვაჩინე, რომელიც ქართულად ასე ჟღერს: „მე ჩემი სიღარიბით ვარ მდიდარი“.

**მატერიალურმა სიმდიდრემ მოიყვანა ქვეყნის სათავეში ჩვენი დღევანდელი პრემიერმინისტრი. იგი არ აღმოჩნდა „სიღარიბით მდიდარი“. ქვეყნის სათავეში ყოფნა გოლგოთის გზაზე ტანჯვით სიარულს ნიშნავს, სადაც რაღაც სიმაღლეზე შენივე საწამებელი ჯვარი უნდა აიტანო. არ აიტანს მილიარდერი გოლგოთაზე ჯვარს. იგი ამ წარმავალი წუთისოფრის სიამოვნებით ტკბება. მას ურჩევნია, გოლგოთის მისტერიებს შორიდან ადევნოს თვალი.**

მოვიდა იგი და მალევე მიდის. ის ისევე გაეცლება საქართველოს, როგორც მაცხოვარს გაეცალა მდიდარი სოვდაგარი, რომელსაც მაცხოვარმა უთხრა, დაურიგე ქვრივობლებს შენი ქონება და შემომიდექ მეო. ამაში გასაკვირი არაფერია. გასაკვირი უფრო სხვა რამ არის, რაზეც უნდა დაფიქრდეს ქართველი ხალხი. ყველამ უნდა ვიცოდეთ და, თუ ვიცით, საჭირო დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ **პოლიტიკის საქმე პოლიტიკოსებმა უნდა აკეთონ. რატომ გვაგდებს სხვისი მილიარდები იმნაირ ხიბლში, რომ მას ყველაზე ჭკვიან კაცად ვაღიარებთ ქვეყანაში და უმალვე ბრმად მივენდობით ხოლმე.** არავის შეურაცხყოფას არ ვაყენებ, მაგრამ მარტივ ჭეშმარიტებას ვიტყვი, ისეთს, როგორიც ორჯერ ორი ოთხია: **იმ პოლიტიკური გამოცდილებით, იმ ერუდიციით, როგორიც მისი გამოსვლებიდან გამოჩნდა, აღვიქვამდით კი უფულო ივანიშვილის მოსვლას ქვეყნის სათავეში ნორმალურ მოვლენად? აი, სწორედ ეგ არის ჩვენი სულიერი დაცემულობის პირველი ნიშანი, მაგრამ იმედია, მალე გამოვერკვევით და ჭაში უფრო ქვევით არ ჩავეშვებით.** ერთი კაცის ნაშოვნ მილიარდებზე არ აიგება ქვეყნის მომავალი. ხალხის არის ის, რასაც ხალხი შექმნის. მილიარდერებისგან ნუ ველით ბედნიერებას, არამედ ავირჩიოთ „სიღარიბით მდიდარი“ კაცი, რომელიც ხალხის გაბედნიერებას კი არ ეცდება, არამედ თავისი ჭკუითა და გონებით შეძლებს ქვეყანას უბედურებები ააცილოს.

**იმ პოლიტიკური გამოცდილებით, იმ ერუდიციით, როგორიც მისი გამოსვლებიდან გამოჩნდა, აღვიქვამდით კი უფულო ივანიშვილის მოსვლას ქვეყნის სათავეში ნორმალურ მოვლენად?**

**აშკარად ჩანს, რომ ბიძინა ივანიშვილი განსაკუთრებული დავალებით მოვიდა ქვეყნის სათავეში. მას უმტკივნეულოდ უნდა გაეწია გათავხედებული „ნაცმოძრაობა“ პოლიტიკური არენიდან და მის ნაცვლად უნდა მოეყვანა პროამერიკული სარეზერვო ძალა, რომელიც ჩვენში რესპუბლიკური პარტიის სახით არსებობდა.** პირდაპირ ამის გაკეთება შეუძლებელი იყო, ვინაიდან რესპუბლიკურ პარტიას არანაირი მხარდაჭერა ხალხისგან არ ჰქონდა. ამიტომ შეიქმნა გარსი მის გარშემო ეგრეთ წოდებული კოალიციის სახით და ასე შემოიპარა მეორე პროამერიკული ძალა პარლამენტში. **მილიარდერი კაცის ფულით მონუსხულმა ხალხმა კიდევ ერთხელ დაუშვა საბედისწერო შეცდომა. ჩვენდა საუბედუროდ, იგივეა მოსალოდნელი საპრეზიდენტო არჩევნებშიც.**

**„ნაციონალური მოძრაობა“ თითქოს დამარცხდა, მაგრამ ის არენიდან არ მიდის. მას ტაიმ-აუტი აღებინეს და ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ თითქოს ამ ცოდვილი პარტიის მზე სამუდამოდ ჩაესვენა. გარკვეული ხნით ჩრდილში ამყოფებენ და მაშინ გამოამზეურებენ, როცა რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური არენიდან გაწევა დასჭირდებათ.**

გარეშე ძალებმა, კერძოდ, ვაშინგტონმა, ღრმა უფსკრული გააჩინა თაობებს შორის საქართველოში. მათ ჩვენში მოახერხეს ის, რისი გაკეთებაც სხვაგან შეუძლებელი იყო. ძველი აღთქმიდან მახსოვს მტრის მისამართით ნათქვამი ერთი ებრაული წყევლა: ახალგაზრდებს ემართოთ თქვენი ქვეყანაო. ეს წყევლა ჩვენ ვაშინგტონიდან მოგვივიდა და აღსრულდა მაშინ, როცა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ორმოცი წლის ზემოთ ყველა ადამიანი სახლში მიაბრძანა და სახელმწიფო მართვა-გამგეობა უმწიფარ ახალგაზრდებს ჩააბარა. ეს იყო ერის სულიერი გენოციდი.

**მოვიდნენ ახალგაზრდები, გაინაწილეს თანამდებობები, ქონება, გავლენა... დასვეს თავიანთი პროკურორები, მოსამართლეები, აღიჭურვნენ ყოველგვარი უფლებებითა და ხელშეუხებლობის გარანტიებით; როგორც იტყვიან, ცა ქუდად არ მიაჩნდათ და დედამიწა ქალამნად. უკონტროლო ახალგაზრდა ჩინოვნიკებმა გამართეს ღრეობა, დროსტარება, სექსუალური ორგიები...** დასცინეს ქართულ ტრადიციებს, წინაპართა ნამოღვაწარს, ყოველნაირად ცდილობდნენ, ახალგაზრდა თაობა გაეზარდათ ისე, რომ მათ არ სცოდნოდათ საკუთარი ისტორია, ჩაეკლათ მათში ეროვნული ცნობიერება, რათა მომავლის ქართველი ყოფილიყო საკუთარ ფე- ▶

**ნატოში გაწევრიანებითა და თურქეთთან დამოყვრებით ვერასდროს დავიბრუნებთ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს. ამ რეგიონების საბოლოოდ დაკარგვის შემდეგ საქართველო იქნება კვაზიქვეყანა, ნატოს სამხედრო ბაზა და ნატოს სამხედრო აეროპორტი, რომლის გარშემო შიშის ქვეშ იცხოვრებს ერთმანეთთან ასიმილირებული გაურკვეველი წარმომავლობის ხალხი და ამ ქვეყანას პირობითად ერქმევა „გეორგია“.**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მილიარდერი კაცის ფულით მოწუსხულმა ხალხმა კიდევ ერთხელ დაუშვა საბედისწერო შეცდომა. ჩვენდა საუბედუროდ, იგივეა მოსალოდნელი საპრეზიდენტო არჩევნებშიც

◀ სვებთან გაუცხოებული, უეროვნო, მხოლოდ ბიოლოგიურ მოთხოვნილებებზე გადაგებული არსება, რომელსაც აღარ გააჩნია მშობლიურობის გრძნობა და რომელიც არ გამოდგება საკუთარი ქვეყნის ბატონ-პატრონად.

ეს ყოველივე აქამდე იყო და ამ გაუგებრობაში განვლილი დრო იყო უფრო დიდი უბედურების შესაგუებლად განკუთვნილი მოსამზადებელი პერიოდი. და აი, მივადექით ჩვენს მთავარ სათქმელსაც:

**ოცი წელია, გრძელდება და დღემდე აქტუალურ თემად რჩება ნატოში ჩვენი გაწევრიანება, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში „მისაღებ გამოცდებს“ ვერ ვაბარებთ. მათი თქმით, „სტანდარტებში ვერ ვჯდებით“ და უნიჭო აბიტურიენტებივით უკვე მერამდენედ ჩავიჭერით.** გარკვეული სტანდარტი ანტიკურ ხანაში პროკრუსტემ შემოიღო. ის სარეცელზე აწვენდა ყველა გამვლელ-გამომვლელს და გრძელს სხეულს აჭრიდა, მოკლეს სტანდარტამდე ჭიმავდა. ისეთი შეგრძნება მაქვს, ჩვენ ყოველთვის რაღაცას გვაჭრიან, გვამოკლებენ, თორემ ჩვენს გაჭიმვას და გადიდებას არავინ ცდილობს. **მიზეზ-მიზეზით ოცი წელი გავიდა და დღემდე ვერ მივხვდით, რომ არც არასდროს მიგვიღებენ ნატოში, ვინაიდან ეს რუსეთს არ სურს და ჩვენ გამო არავინ განარისხებს და დაიპირისპირებს ატომური იარაღით აღჭურვილ უზარმაზარ ქვეყანას.**

მცირე აზიასა და ახლო აღმოსავლეთში ამერიკელთა მთავარი დასაყრდენი ძალა თურქეთია. ჩვენ ნატოში რომც მიგვიღონ, თურქეთი მაინც მთავარ დასაყრდენ ძალად რჩება და ჩვენ უნებლიეთ ვხდებით მისი ფილიალი. ეს იმას ნიშნავს, რომ **თურქი სამხედრო კონტიგენტის შემოსვლა და დამკვიდრება საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო კანონის ძალით იქნება ნებადართული. ნატო დროებითი სამხედრო კოალიციაა და დიდხანს არ იარსებებს. როცა ის დაიშლება, რომელი ჭკუათმყოფელი იტყვის იმას, რომ საქართველოში შემოსული თურქული სამხედრო კონტიგენტი აქედან ნებაყოფლობით აიკრავს გუდა-ნაბადს და მშვიდობიანად გაგვეცლება.** ადგილზე დარჩენის საბაბი გამოინახება და არც შეერთებული შტატები გადაიყრის თავზე ცხელ ნაცარს ჩვენი სიცოდვილით. ჩვენ ისეთ განსაცდელში არ უნდა ჩავიგდოთ თავი, რომ იქიდან ვერასოდეს გამოვიდეთ.

დღეს ჩვენს შიდა ცხოვრებაში არანაირი გავლენა არ აქვს რუსეთს, სამაგიეროდ თურქეთი ისე შემოგვეპარა თავისი კაფე-რესტორნებით, სასტუმროებით, ტელესერიალებითა და სალოცავებით, რომ ჯერ კიდევ თავი სიზმარში გვგონია. ჩვენ თავს ვიბრმავებთ, მაგრამ ამ ყველაფერს აშკარად ხედავს რუსეთი, რომელსაც ნამდვილად არ უნდა, კავკასია თურქეთის გავლენის ქვეშ მოექცეს და სამომავლოდ პრობლემები შეექმნას სამხრეთის საზღვართან. სწორედ ამიტომ ხდება ის, რომ

## ჩვენ ყველაფერში ვიჩქარეთ და ჩვენი «სიჩქარით» ყველგან დაგვაგვიანდა. ახლა ნატოში გვეჩქარება, სადაც თურქული ხაფანგია დაგებული... ნატოში გაწევრიანება თუ გვეღირსა, მექანიკურად მოვექცევით ამ უდიდესი მუსლიმანური ქვეყნის გავლენის ქვეშ, რომელსაც აქამდე ძალზე უფრთხის მთელი ევროპა

**რამდენჯერაც ჩვენ გავიქაჩეთ ნატოსკენ, იმდენჯერ წამოიწია რუსეთმა ჩვენკენ. დასავლეთში ხედავენ ამას და გვეუბნებიან, რომ ჩვენ თვითონ უნდა მოვაგვაროთ რუსეთთან ურთიერთობა. ამით ისინი გვიგზავნიან გარკვეული, არაორაზროვანი შინაარსის მესიჯს, სადაც უნდა ამოვიკითხოთ შემდეგი წინადადება: თქვენ გამო რუსეთს ვერ შევებრძოლებით!**

ჩვენ დავკარგეთ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონი, მაშინ, როცა ჩვენი უგუნურობითა და წინდაუხედაობით ამ უბედურების თავიდან აცილება შეიძლებოდა. მსოფლიოში არც ერთ ერს ისეთი მჭიდრო ურთიერთობა არ ჰქონია ერთმანეთთან, როგორც ქართველებსა და რუსებს. იმდროინდელ ქართულ ინტელიგენციას შუამავალი არ სჭირდებოდა რუსულ ინტელიგენციასთან. იყო კომუნიკაციები იმდროინდელ რუს პოლიტიკოსებთან და გავლენიან პირებთან, მაგრამ ჩვენივე ურაპატრიოტიზმით ყველა გონივრულ ნაბიჯზე უარი ვთქვით, არ გამოვიყენეთ არანაირი შანსი მშვიდობიანი მოლაპარაკებისთვის და მხოლოდ იმიტომ დავრბოდით მოსკოვსა და თბილისს შორის, რომ ერთმანეთი დაგვებეზღებინა, შიდა განხეთქილებები გაგვეღრმავებინა. **ჩვენ ყველაფერში ვიჩქარეთ და ჩვენი „სიჩქარით“ ყველგან დაგვაგვიანდა. ახლა ნატოში გვეჩქარება, სადაც თურქული ხაფანგია დაგებული. შეერთებული შტატები პირდაპირ არ დაუპირისპირდება რუსეთს. ის კავკასიის რეგიონში მოალონიერებს თურქეთს და, ნატოში გაწევრიანება თუ გვეღირსა, მექანიკურად მოვექცევით ამ უდიდესი მუსლიმანური ქვეყნის გავლენის ქვეშ, რომელსაც აქამდე ძალზე უფრთხის მთელი ევროპა.**

თუმცა ევროპაზე მეტად ეს საფრთხე ჩვენ გვემუქრება, რადგან ამერიკელებმა რიგი ფაქტორების გამო რომც შეარბილონ საკუთარი პოლიტიკა კავკასიაში, იგი ყველაფერს გააკეთებს, რატა გააძლიეროს თურქეთის გავლენა, რასაც აქამდეც მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს და მიაღწია კიდ-

## ჩვენ, ქართველებს, ისტორიული შიში გვაქვს ოსმალური დაუნდობლობისა და სისასტიკისადმი. აშკარად ჩანს, ეს ტელესერიალები იმ არასასიამოვნო ხსოვნის წასაშლელად არის გამიზნული



## აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი აღდგება ნდობა რუსეთსა და საქართველოს შორის. სხვა ალტერნატივა არ არსებობს

ეც, რომ აჭარა დღეს, ფაქტობრივად, თურქების კონტროლქვეშაა, ბატონი ალექსანდრე ჭაჭია თავის ინტერვიუში ამ გარემოებასაც უსვამს ხაზს: **„საქმე ისაა, რომ აშშ ასე უბრალოდ არ წავა, იგი საქართველოს თავის სამხედრო-პოლიტიკურ მოკავშირეს — თურქეთს გადასცემს. ამიტომაც ამერიკელები აქტიურად უწყობდნენ ხელს თურქეთის ფინანსურ-ეკონომიკურ ექსპანსიას საქართველოში, რომლის შედეგადაც თურქებმა არამარტო მოიპოვეს გადამწყვეტი გავლენა საქართველოს ხელისუფლებაზე, არამედ მთელ აჭარას დაეპატრონენ“.**

**ამ პრობლემას გაცილებით ღრმა ფესვები და ისტორიული წინაპირობები აქვს ვიდრე მარტოდენ თურქეთის ინტერესებია,** რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთი რომ თურქეთს აგულიანებდა, ეს ახალი ამბავი როდია. გავიხსენოთ 1855 წლის რუსეთ-თურქეთის ომი სამეგრელოში, როცა ომერ-ფაშამ ზუგდიდი აიღო. მაშინაც თურქეთის ზურგს უკან ინგლისი და საფრანგეთი იდგნენ და ფრანგი და ინგლისელი დიპლომატები ურჩევდნენ მთებში გახიზნულ სამეგრელოს დედოფალს, ეკატერინე ჭავჭავაძეს, მოეწერა ხელი თურქეთის სარდლობასთან კაპიტულაციაზე, რის სანაცვლოდ ავტონომიურ უფლებებს ჰპირდებოდნენ. იმდროინდელი საარქივო მასალები ჯეროვნად მაქვს შესწავლილი, რაც უცვლელად გამოვიყენე ჩემს ისტორიულ რომანში — „უტუ მიქა“. მაშინ უდიდესი შეცდომის დაშვებისგან რუსმა დიპლომატებმა იხსნეს სამეგრელოს დედოფალი, აუხსნეს და საქმის კურსში ჩააყენეს იგი, თუ რა მზაკვრული გეგმა ამოძრავებდათ ევროპელ დიპლომატებს. ახლა სხვა დროა და სხვა ფორმით მიდის დაპყრობითი ომები. შეუძლიათ, არ გესროლონ, გაგიღიმონ, „ფოჩიანი კანფეტები“ ჩამოგირიგონ და საკუთარი ნებით ისეთ მარყუჟში გაგაყრევინოთ თავი, საიდანაც ვერ გამოძვრები.

**ნატოში გაწევრიანებითა და თურქეთთან დამოყვრებით ვერასდროს დავიბრუნებთ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს. ამ რეგიონების საბოლოოდ დაკარგვის შემდეგ საქართველო იქნება კვაზიქვეყანა, ნატოს სამხედრო ბაზა და ნატოს სამხედრო აეროპორტი თურქული კონტინგენტით, რომლის გარშემო შიშის ქვეშ იცხოვრებს ერთმანეთთან ასიმილირებული გაურკვეველი წარმომავლობის ხალხი და ამ ქვეყანას პირობითად ერქმევა „გეორგია“.** ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი კოშმარისგან.

ახლო წარსულში, ორიოდე საუკუნის წინ, აშკარად იდგა იმის საშიშროება, რომ გარეშე მტრებისა და შინააშლილობისგან სისხლისგან დაცლილი, სულიერად და ფიზიკურად დაქანცულ-დაბეჩავებული საქართველო სამუდამოდ გადაენაწილებინათ სპარსეთსა და ოსმალეთს. მაშინ ეს რომ მომხდარიყო, ვინ ვიქნებოდით ჩვენ დღეს და შემოგვრჩებოდა კი საერთოდ ქართული, ქრისტიანული ცნობიერება ან გვექნებოდა საკუთარი სამშობლო, რომელსაც დღეს საქართველო ჰქვია? **რატომ გვავიწყდება, თუ სად გამოიზამთრა ძნელბედობისა და პოლიტიკური უამინდობის დროს ქართულმა სულმა? თუკი გაგვიწყრებოდა ღმერთი და დავრჩებოდით სპარსულ-თურქულ სივრცეში, მოხდებოდა კი ქართული გენის აღზევება მე-19 საუკუნეში? გვეყოლებოდა ჩვენ დღეს ილია ჭავჭავაძე, ვაჟა ფშაველა, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი და სხვები?** უნდოდა თუ არა რუსეთის იმპერიას დაღლილ-დაქანცული ქართული სულის აღორძინება, ეს მაინც მის წიაღში მოხდა. **საბჭოთა რუსეთის პერიოდში კი ქართულმა კულტურამ არნახულ აყვავებას მიაღწია. ეს მაშინ, როცა თურქეთში „დედა ენის“ შეტანისა და იქაურ ქართველებში გავრცელების მცდელობისთვის 1980 წელს დღისით, მზისით ტყვიით განგმირეს ქართველი პატრიოტი აჰმედ მელაშვილი.**

მე არაფრის მტკიცებას არ ვაპირებ, ყველასთვის ცნობილი ფაქტები მოვიყვანე მაგალითებად და თავს უფლებას მივცემ, ხალხს შევეკითხო: დააფინანსებენ ევროპული ორგანიზაციები დღეს ისეთი ნაწარმოებების გამოცემას, როგორებიცაა „დიდოსტატის მარჯვენა“, „დავით აღმაშენებელი“, „არსენა მარაბდელი“ და სხვ. **სჭირდება „ცივილიზებულ“ დასავლეთს პატარა ქვეყანაში ეროვნულ თემაზე დაწერილი ნაწარმოებები თუ პირიქით, წაახალისებენ ანტიეროვნულ და ანტიქრისტიანულ ნაცოდვილარს?!** ამის მაგალითები უკვე გვაქვს.

ქართველი ხალხი კიდევ ერთხელ დგება არჩევანის წინაშე. მსოფლიოში ისეა ყველაფერი აჩქარებული, როგორც შევიწროებულ კალაპოტში წყალუხვი მდინარის დინება. ახლა შეცდომის დაშვება კატასტროფის ტოლფასი იქნება, ვინაიდან, თუ მცდარ გზას დავადგებით, მისი გამოსწორების შანსი აღარ გვექნება. ისე გაგვაქროლებს მსოფლიოს აჩქარებული დინება და ისე ჩაგვიტანს უფსკრულში, ჩვენგან აღარაფერი დარჩება.

**ჩვენ არ გვინდა, ჩვენი ქვეყანა ნატოს აეროპორტი გახდეს. ჩვენ გვინდა თავისუფალი და ტერიტორიულად გამთლიანებული საქართველო. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი აღდგება ნდობა რუსეთსა და საქართველოს შორის. სხვა ალტერნატივა არ არსებობს.**

და ბოლოს, შემთხვევითი არ უნდა იყოს საქართველოს ტელეარხებზე თურქული სერიალების მოძალება. გვაჩვენებენ გაკეთილშობილებულ, ჰუმანურ, კაცმოყვარე და დემოკრატიული პრინციპებით მცხოვრები თურქული საზოგადოების ყოველდღიურობას, სადაც სუფევს შემწყნარებლობა, ურთიერთპატივისცემა და ადამიანებს შორის ღირსეული დამოკიდებულება.

დასამალი როდია, რომ **ჩვენ, ქართველებს, ისტორიული შიში გვაქვს ოსმალური დაუნდობლობისა და სისასტიკისადმი. აშკარად ჩანს, ეს ტელესერიალები იმ არასასიამოვნო ხსოვნის წასაშლელად არის გამიზნული.**

უნდა დავფიქრდეთ, რისთვის გვამზადებენ და რას გვიპირებენ.

**გიორგი სიჭინავა**

ჰასალოკრატია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი მთავარი მეთოდი საკუთარი იდეების მის მიერ არაკონტროლირებად სახელმწიფოებში გავრცელების მხრივ არის ზუსტად ის, რომ ნამდვილ ზრახვებს მალავს ლამაზად შეფუთული ფასადური იდეალების მიღმა, რომელსაც დემოკრატიული წყობისა და სუვერენიზმის ქადაგებით თანდათანობით შემოგვაპარებენ და თავს მოგვახვევენ.**




# ზოგი რამ ამერიკულ საარჩევნო სისტემაზე

**საქართველოს მოსახლეობამ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, მკვეთრად გამოხატული დასავლური კურსის წყალობით, მეტ-ნაკლებად სიღრმისეულად გაიაზრა დასავლური კულტურის დადებითი და უარყოფითი მხარეები. საქართველოს მოქალაქეებმა დაინახეს, რომ დასავლური ფასეულობები და კულტურა იანუსივით ორსახოვანია. მას გააჩნია ორმაგი სტანდარტები, რომლებიც საშუალებას აძლევს, ერთდროულად იყოს სხვა სახელმწიფოებისთვის მიმზიდველიც და დამღუპველიც. რომელი სახელმწიფო გვახსენდება პირველი, როცა ვიწყებთ საუბარს დასავლურ კულტურაზე? რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებული შტატები. ფლაგმანი ზესახელმწიფოს, ამერიკის შეერთებული შტატების, შიდა და საგარეო პოლიტიკა თვალნათელი მაგალითია დასავლური ღირებულებების ფარისევლობისა.**




ოცდამეერთე საუკუნეს თამამად უწოდებენ კომუნიკაციების საუკუნეს, თუმცა, მიუხედავად ზღვა ინფორმაციისა, რომელსაც ყოველდღიურად იღებს მოსახლეობა, შეინიშნება ინფორმაციის ფილტრაცია. ეპოქაში, რომელშიც საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას ხელისუფლება და მასთან დაახლოებული ჯგუფების მიერ მართული საინფორმაციო საშუალებები ახდენენ, ძალზე გახშირდა ალტერნატიული აზრის ჩახშობა და ამ აზრის გამავრცელებელი ჯერ კიდევ რეალურად დამოუკიდებელი საშუალებების დაბლოკვა, „სამართლებრივი" და არც თუ ისე იშვიათად არაკანონიერი გზებით.

**სიტყვის თავისუფლების მექად აღიარებულ შტატებში ინფორმაცია რიგით მოქალაქემდე მიდის არასრულყოფილად და წარმოაჩენს მხოლოდ იმ მხარეს, რომელიც მის გამავრცელებელს სურს; რეალობას წარმოაჩენს, როგორც ორ მხარეს — სიკეთეს და ბოროტებას, დამეთანხმებით, რომ არც ერთი ცივილიზაცია თუ კულტურა არ არის მხოლოდ ამ ორიდან ერთ-ერთი საწყისის მატარებელი და, თუ გვსურს, რეალურად გავერკვეთ ჩვენი ქვეყნის შემდგომი კურსის წარტამებაში, უნდა შეგვეძლოს ორივე მხრიდან მისი დანახვა.**

„ვინც ფლობს ინფორმაციას, ის ფლობს ძალაუფლებას", რამდენჯერ გაგვიგონია ეს ფრაზა და რამდენად სრულყოფილად გამოხატავს ის დღევანდელ გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ მდგომარეობას და პროცესებს? იმისათვის, რომ შეინარჩუნო ზესახელმწიფოს ტიტული, საჭიროა, ძალისხმევა არ მოაკლო და შეძლო, რომ გადმოიბირო და შენი ინტერესების შესაბამისად მართო სხვა სახელმწიფოები.

**ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი მთავარი მეთოდი საკუთარი იდეების მის მიერ არაკონტროლირებად სახელმწიფოებში გავრცელების მხრივ არის ზუსტად ის, რომ ნამდვილ ზრახვებს მალავს ლამაზად შეფუთული ფასადური იდეალების მიღმა, რომელსაც დემოკრატიული წყობისა და სუვერენიზმის ქადაგებით თანდათანობით შემოგვაპარებენ და თავს მოგვახვევენ.** და აი აქ ვლინდება მისი იანუსის სახე და სააშკარაოზე გამოაქვს მისი მიზნები მისსავე ორმაგ სტანდარტებს. ის ისევე წარმატებით ღუპავს დემოკრატიის იდეალებს, როგორც თვითონ საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებსა და სხვა იმ სახელმწიფოებს, რომლებიც დაწესებულ ორმაგ სტანდარტებს არ ემორჩილებიან. **საგარეო პოლიტიკის მხრივ ამის ნათელი მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ექსპანსია იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც მიმზიდველია რესურსებით ან გეოპოლიტიკური თვალსაზრისით და ჯერ კიდევ არ არის ზესახელმწიფოს დაქვემდებარებული.**

სამხედრო ძალით ქვეყნის დამორჩილების პოლიტიკა ბოლო ათწლეულია რესურსებით მდიდარმა ბევრმა სახელმწიფომ იწვნია საკუთარ თავზე. ბოლო პერიოდის უხეშ ჩარევას სხვა ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში სათავე დაუდო რესპუბლიკური პარტიის ლიდერმა ჯორჯ ბუშ უმცროსმა, როდესაც ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით შეიჭრა ავღანეთში, გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, მიწასთან გაასწორა ქვეყნის ინფრასტრუქტურა, შეიწირა მშვიდობიანი მოსახლეობა, სახელმწიფოს სათავეში მოიყვანა მარიონეტი ხელისუფლება, ხოლო ტერორიზმი ვერ ან არ ამოძირკვა და დღემდე უამრავი რიგითი ავღანელი ეწირება ტერორისტულ აქტებს.

**სამხედრო ექსპერტების დიდი ჯგუფი, ასევე ამერიკელი მაღალი სამხედრო ჩინის მქონე მოქმედი თანამდებობის პირები უკვე ღიად საუბრობენ ამერიკის შეერთებული შტატების შეცდომაზე, მას შემდეგ, რაც 2001 წელს მოხერხდა თალიბანის და მათი მოკავშირე „ალ ქაიდას" დამარცხება ავღანეთში, შტატების ხელისუფლებამ მოადუნა ყურადღება, რის შემდეგაც კვლავ გაძლიერდა ტერორისტული ჯგუფები.**

ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელიც იცნობს ავღანეთის უახლოეს ისტორიას და დაიჯერებს, რომ შეერთებული შტატების ხელისუფლებამ ვერ განსაზღვრა თალიბანისთვის და ზოგადად ავღანელი ერისთვის დამახასიათებელი თვისებები. **ერს, რომელიც 1989 წლის შემდეგ გახვეულია სამოქალაქო დაპირისპირებებში და რომლის დიდ ნაწილს ომი ცხოვრების ჩვეულ მოვლენად მიაჩნია, მხოლოდ დედაქალაქისა და რამდენიმე პროვინციის დაპყრობით ვერ შეაჩერებ კონტრქმედებებისგან.**

რა თქმა უნდა, ამერიკის ხელისუფლებამ ეს იცოდა, ისინი არ შემცდარან, მათ წინასწარ განსაზღვრეს მოქმედებათა მთელი ჯაჭვი, რათა დიდხანს შეინარჩუნონ ავღანეთი, ქვეყანა, დიდი გეოპოლიტიკური მნიშვნელობით. მათ სჭირდებათ მართვადი ანარქია, საუკეთესო პირობები ტერორისტული დაჯგუფებების წარმოშობისთვის; მათ სჭირდებათ მარიონეტი ხელისუფალი, შეშინებული უკანონო შეიარაღებული ძალებისგან და ყველა ამ მიზნის მისაღწევად მიზანმიმართულად მოქმედებდნენ და დღესაც მოქმედებენ.

თალიბანთა მმართველობისგან ქაბულის განთავისუფლების შემდეგ, 2011 წლის დეკემბრის დასაწყისში ქალაქ ბონში გამართულ კონფერენციაზე ხელი მოეწერა შეთანხმებას, შეიქმნა ახალი მინისტრთა კაბინეტი, ხოლო მთავრობის მეთაური გახდა ავღანელი საზოგადო მოღვაწე ჰამიდ ყარზაი, მკვეთრად პროამერიკული ორიენტაციის პოლიტიკოსი.

მსგავს არაორდინალურ ვითარებაში მინისტრთა კაბინეტის დაკომპლექტება სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე უჩვეულოა, მაგრამ არა გასაკვირი. საკვირველი და დამაფიქრებელი მხოლოდ ერთი რამ იყო ამ შეხვედრაზე: **კონფერენციას არ ესწრებოდა მომავალი მთავრობის მეთაური ჰამიდ ყარზაი. რჩება შთაბეჭდილება, რომ შედეგი წინასწარ განსაზღვრული იყო სხვაგან და ამის დემონსტრირება მოხდა ზემოაღნიშნული ფაქტით. ძნელია, უტყუარი ინფორმაციის ცოდნის გარეშე ამტკიცო მსგავსი რამ, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის, ვინც არ უნდა აერჩიათ ავღანელი ხალხის ლიდერად, ის დაუპირისპირდებოდა თალიბანთა დამარცხებულ, მაგრამ ჯერ კიდევ საშიშ ძალას და ძლიერი მოკავშირის მფარველობის საფასურად ანტისახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების მიღებასაც ვერ აარიდებდა თავს.**

შემდეგ ეტაპზე ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ კარგად გაიაზრა რა ისტორიის დაუწერელი კანონი, არ არსებობს ვასალი, რომელიც გაძლიერების შემდეგ არ შეეცდება სრული თავისუფლების მოპოვებას, დომინანტისგან განზრახ მოადუნა ყურადღება თალიბანთა დარჩენილი ჯგუფების გაუვნებელყოფის ოპერაციებზე, მისცა მათ საშუალება, ისევ გაძლიერებულიყვნენ, აემალლებინათ საზოგადოების მხარდაჭერა ავღანეთის ტერიტორიაზე და გარკვეული პერიოდის შემდეგ მოქმედი ხელისუფლებისთვის თალიბანთა მომძლავრება დამღუპველი გახდებოდა.

**ავღანეთის ხელისუფლება პრეზიდენტ ჰამიდ ყარზაის მეთაურობით კაბალურ პირობებში აღმოჩნდა. მათ ჰქონდათ გამოცდილება, თუ როგორ ამთავრებდნენ მათი წინამორბედები ბოლო რამდენიმე ათწლეულების განმავლობაში პოლიტიკურ მოღვაწეობას, ამიტომ დაიწყეს მოთხოვნა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი მოკავშირეებისთვის დაეწყოთ აქტიური თანამონაწილეობა ავღანეთში ანტიტერორისტულ საქმიანობასა და სახელმწიფო, განსაკუთრებით ძალოვანი ინსტიტუტების ჩამოყალიბების საქმეში.** თხოვნაზე რეაგირებამ არ დააყოვნა და 2009 წლიდან მოყოლებული გაძლიერდა ანტიტერორისტულ კამპანიაში მოკავშირეების როლი, ასევე სერიოზულ ძალად ყალიბდება ავღანეთის შესაბამისი ძალოვანი სამსახურები, თუმცა ამის სანაცვლოდ რა დათმობებზე წასვლა მოუწია ავღანელ ხალხს, სრულფასოვნად უახლოეს მომავალში შევიტყობთ. მანამდე კი გეგმის ახალი ჯაჭვი იკვეთება — 2014 წლიდან ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების დიდი ნაწილი ავღანეთს დატოვებს. არის თუ არა ეს ამერიკის შეერთებული შტატების მარცხი ან პირიქით ისტორიული გამარჯვება და ქვეყნის მთლიანად დამორჩილების ნიშანი, ამასაც მომავალში შევიტყობთ.

**საინტერესოა ამერიკის შეერთებული შტატების კიდევ ერთი სამხედრო ექსპანსია იმავე რეგიონში. იმ პერიოდში, როდესაც ავღანეთში გეგმაზომიერი პაუზა აიღეს ამერიკის სამხედრო ძალებმა, ზესახელმწიფო არ გაჩერებულა, რეგიონში მას უკვე ჰქონდა გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი დასაყრდენი, ახლა რესურსების დრო იყო. ნავთობით მდიდარი ერაყის მმართველი კლანი სადამ ჰუსეინის მეთაურობით წლების განმავლობაში ჭკვიანურად ახერხებდა კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებას დასავლური კულტურის ფლაგმან სახელმწიფოსთან. შეერთებული შტატების ხელისუფლება ხვდებოდა, რომ აღნიშნულ დაპირისპირებაში საერთაშორისო საზოგადოება მას მხარს არ დაუჭერდა, თუმცა იმდენად დიდი იყო რესურსების ხელში ჩაგდების სურვილი, იგი არ შეუშინდა საკუთარი ქვეყნის იმიჯის შელახვას და დღევანდელი გადმოსახედიდან, რომელიც არც იმ პერიოდში იყო დამაჯერებელი, შეთხზული მიზეზებით მოახდინა ერაყის ოკუპაცია, შექმნა ახალი მარიონეტული მთავრობა და სრული კონტროლი დააწესა რესურსების მართვაზე.**

წერილის მიზნიდან გამომდინარე, ვრცლად ერაყის სამხედრო კამპანიაზე არ ვისაუბრებ, უბრალოდ, საჭირო გახდა ფაქტების კონსტანტაცია, რათა დავრწმუნდეთ, რომ არ არსებობს კეთილშობილური იმპერია, არ არსებობდა ისტორიულ წარსულში და არც მომავალში იარსებებს. **არსებობს მხოლოდ იმპერიული მიზნები და საჭიროებები, რომელთა თავს მოხვევაც ყველა დროში ხდებოდა სხვა სახელმწიფოებზე და არც ამერიკის შეერთებული შტატებია მათგან განსხვავებული წარმონაქმნი.**

რაც შეეხება შეერთებული შტატების საშინაო პოლიტიკის დემოკრატიულობის ხარისხს, დემოკრატიულ ფასეულობებზე შექმნილი ზესახელმწიფო, რომელიც ძალისმიერი გზებითაც არ ერიდება თავისუფლებისა და დემოკრატიის სიოს დაბერვას მისთვის არასასურველი სახელმწიფოების წინააღმდეგ, თავად არღვევს საკუთარი მოქალაქეების მთავარ დემოკრატიულ პრინციპს ხელისუფლების საყოველთაო და პირდაპირი გზით არჩევის კუთხით.

**სახელმწიფო, რომელიც საკუთარი მომავლის განსაზღვრაში ხალხის ნებას ბოლომდე არ ენდობა და იტოვებს საშუალებას, რომ მისთვის საჭირო მომენტში შეიტანოს კორექტირება მოქალაქეთა არჩევანში, შეძლებს კი სხვა სახელმწიფოებს დაეხმაროს დემოკრატიულ ფასეულობათა განმტკიცებაში?**

უკეთესად დავაკვირდეთ დასავლური კულტურის ყველაზე მოწინავე სახელმწიფოს პოლიტიკურ სისტემას. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის არჩევა არა უშუალოდ ამერიკელი მოქალაქეების, არამედ მათ მიერ შერჩეული ამომრჩეველთა კოლეგიის წევრების მიერ ხდება.

▶

**მთავარია, საქართველო რას დაუპირისპირებს ამ ცალსახად ანტიქართულ ელემენტებს. საქართველოს როცა ვამბობ, უწინარესად, მმართველ გუნდს ვგულისხმობ, თუმცა ამ მხრივ ოპტიმიზმის საფუძველი არ გვაქვს, — მთავრობა უუნაროა, პარლამენტი — არალეგიტიმური, გაურკვეველია, ვის ხელთაა ჩვენი ეროვნული ინტერესები.**

ქვათა ღაღადი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ეს საარჩევნო სისტემა უნიკალურია და მოქმედებს 1787 წლიდან. იმ დროისთვის ამომრჩეველთა კოლეგიის შექმნა მეტ-ნაკლებად გამართლებული იყო მრავალი მიზეზის გამო, მათგან კი აღსანიშნავია სამი ძირითადი ფაქტორი:

**1) კომუნიკაციის სისტემის არ არსებობა.** ვერ ხერხდებოდა პრეზიდენტობის კანდიდატთა სრულყოფილი წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვა, შესაბამისად, ის პროგრამები, რომლებიც ჰქონდათ კანდიდატებს, დიდი ალბათობით, ვერ მიეწოდებოდა უზარმაზარ ტერიტორიაზე განსახლებული მოქალაქეების უმეტეს ნაწილს;

**2) მეორე ფაქტორი ძალაუფლების შენარჩუნებისთვის სწრაფვაა.** მცირე მოსახლეობიანი შტატები, რომლებიც საკუთარი ნებით დათანხმდნენ სუვერენიტეტის ნაწილის ფედერალური ხელისუფლებისთვის გადაცემას, მაინც ყოველ საშუალებას იყენებდნენ, რათა პოზიციები არ დაეთმოთ და მეორეხარისხოვან სუბიექტებად არ ქცეულიყვნენ;

**3) მესამე ფაქტორი იყო „დამაარსებელი მამების“ და მათი თანამოაზრეების მხრიდან ნდობის არქონა რიგითი ამერიკელი ამომრჩევლების მიმართ.**

ისინი ეჭვის თვალით უყურებდნენ მოქალაქეებს, ფიქრობდნენ, რომ ადეკვატურ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდნენ და ცდილობდნენ, „საშინელ მხეცებს“, როგორც ჰამილტონი ხალხს უწოდებდა, პასუხისმგებლობა შეზღუდვოდათ.

ეს სამი ფაქტორი დღევანდელობას აღარ ერგება და, წესით, არააქტუალური უნდა გამხდარიყო. კომუნიკაციების საშუალებები ძალზედ განვითარებულია. პატარა შტატების შიში, რომ არ იქცნენ მეორეხარისხოვან სუბიექტებად, გამქრალია. ორი ასწლეულის განმავლობაში ჩამოყალიბდა რა საერთო სახელმწიფოებრივი აზროვნება და სწრაფვა მსოფლიო ჰეგემონიისკენ, მცირე მოსახლეობიან შტატებს, ისევე, როგორც ფედერალურ მთავრობასა და რიგით მოქალაქეებს, კარგად ესმით, რომ ყველა შტატის თანაბარუფლებიანობა და განვითარება უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა ზემოხსენებული მიზნების მისაღწევად და გეგმების განსახორციელებლად.

**საარჩევნო კოლეგია კი, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც არსებობს. ნუთუ შეერთებული შტატების ხელისუფლება და მასთან დაახლოებული ჯგუფები ისევ არ ენდობიან საკუთარ მოქალაქეებს? ნუთუ თვლიან, რომ მოქალაქეებისთვის უფლებების სრულად გადაცემის შემთხვევაში არსებობს იმის შანსი და საფრთხე, რომ სრულად და რადიკალურად შეიცვლება ქვეყნის საგარეო თუ საშინაო კურსი? გარდა ამისა, არსებობს შესაძლებლობა, წამყვანი ორი პარტიის შეთავაზებულ პოლიტიკას სხვა ალტერნატიული ძალაც დაუპირისპირდეს და შეძლოს მხარდაჭერის მოპოვება მოსახლეობის მხრიდან?**

**ქვეყანაში არსებული ორი დომინანტი პარტია და მოქმედი კანონმდებლობა საშუალებას არ იძლევა იმისთვის, რომ სხვა ნებისმიერმა პოლიტიკურმა პარტიამ მნიშვნელოვანი ძალაუფლება მოიპოვოს როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელ ხელისუფლებაში.**

რესპუბლიკურ და დემოკრატიულ პარტიებს მდგომარეობა გამყარებული აქვთ მთელი ქვეყნის მასშტაბით, რაც ქმნის მათი დაუმარცხებლობის ილუზიას, თუმცა **ამერიკულ პარტიულ სისტემაში მცირედ გარკვეული ადამიანიც კი მიხვდება, რომ ეს არის ხელოვნურად შექმნილი „მართვადი ქაოსი“, საბოლოო გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ მცირე ინტერესთა ჯგუფები, ხოლო ხალხს თავს ახვევენ იმის განცდას, რომ პროცესში სწორედ ისინი მონაწილეობენ აქტიურად.**

ბოლო ათწლეულების განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ამერიკამ ირწმუნა საკუთარი ძალის და ცდილობს, მსოფლიო ჰეგემონია დიდხანს შეინარჩუნოს, უფრო განმტკიცდა ორპარტიული სისტემისა და ალტერნატიული ძალის ხელისუფლებიდან ჩამოშორების ტენდენცია. მაგალითისთვის საკმარისია ის, რომ დამოუკიდებელ კანდიდატს არასდროს მიუღწევია სერიოზული წარმატებისთვის საპრეზიდენტო არჩევნებში, გარდა 1968 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისა, როდესაც დამოუკიდებელმა კანდიდატმა ჯორჯ უოლესმა შეძლო კოლეგიის 46 ხმის მიღება და, რომ არა მრავალი დამაბრკოლებელი გარემოება, შესაძლებელი იყო, ამერიკის კიდევ რამდენიმე შტატში მიეღწია წარმატებისთვის და შექმნილიყო ისეთი მდგომარეობა, როცა არც ერთ კანდიდატს არ ექნებოდა საკმარისი რაოდენობა ამომრჩეველთა კოლეგიის ხმების, თუმცა ყოველივე სხვაგვარად აეწყო და ქვეყნის მომავალმა პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა „მოაგროვა“ კოლეგიის ხმების სათანადო რაოდენობა. აქედან გამომდინარე, ამერიკის შეერთებული შტატების საკანონმდებლო ორგანოს აღარ დასჭირდა კიდევ ერთი ნახევრადდემოკრატიული გადაწყვეტილების მიღება.

**ნათლად ჩანს, რომ ამერიკული საარჩევნო სისტემა, განსაკუთრებით ქვეყნის პირველი პირის არჩევნებისა, ვერ აკმაყოფილებს დასავლური ფასეულობების მთავარ ქვაკუთხედს — დემოკრატიული არჩევნების წესს, ხოლო მათი მხრიდან ნახევრადდემოკრატიული ან თუნდაც ავტორიტარული რეჟიმების წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობრივი თუ სხვაგვარი ზეწოლა ქვეყნების დიდი ნაწილის მხრიდან აღიქმება, როგორც სამართლიანობისთვის და დემოკრატიისთვის ბრძოლა.**

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: ზემოხსენებული წერილის მიზანი არ არის საქართველოს მთავარი პარტნიორი ქვეყნის კრიტიკა, არც ამ პარტნიორობის დადებითი მხარის დაჩრდილვა. მთავარი მიზანია, დავინახოთ ამერიკის პოლიტიკა სრულყოფილად და არა მხოლოდ იმ პროპაგანდისტული კლიშეების პრიზმაში, რომელსაც თავს გვახვევენ.

**გიორგი გაჩეჩილაძე**

# პრემიერი, რომელმაც დასავლეთის შიშით სამართლიანობის აღდგენა ვერ გაბედა, სომხებისთვის საკადრისი პასუხის გაცემას გაბედავს?!

**ივანიშვილის მიერ დაკომპლექტებული სამპროცენტიანი პარლამენტი მავნე კანონშემოქმედებით საქმიანობას წარმატებით განაგრძობს. მართალია, ერთი წლის თავზე რამდენიმე ანტისახელმწიფოებრივი რეზოლუცია პირწმინდად დაამტკიცეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ამით დეპუტატების ტვინის გახურების კოეფიციენტი არ შემცირდა. რამდენიმე დღის წინ პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა მუშაობა ახალ ინიციატივაზე დაიწყო. ლაპარაკია „სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონპროექტზე, რომელიც გარკვეული სტანდარტების შემოღებას გულისხმობს. პრემიერის დარიგებას ვითვალისწინებ და, დეპუტატებს გული რომ არ ვატკინო, უშუალოდ ამ დოკუმენტის კრიტიკისგან თავს ვიკავებ; სამაგიეროდ, ამავე დოკუმენტის გამო პროვოცირებულ ერთ კონკრეტულ ფაქტზე მოგახსენებთ.**



არ გასულა დიდი დრო მას შემდეგ, რაც სამეცნიერო წრეებმა ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა წამოაყენეს და პარლამენტის კანცელარიაში საგანგებო მიმართვა შევიდა. მიმართვის ავტორი, არც მეტი, არც ნაკლები, „სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის სომხური საზოგადოებრივი ორგანიზაციების“ საბჭოა. გთავაზობთ ამონარიდს ტექსტიდან: **„მოვიდა დრო, ვაღიაროთ, რომ ჯავახეთის მკვიდრი ათასობით სომეხი მოქალაქე გადასახადების ისეთივე გადამხდელია, როგორც ქვეყნის ქართველი მკვიდრი მოსახლეობა და მას ისეთივე უფლება აქვს ადმინისტრაციულ და სახელმწიფო დონეზე დაიცვას საკუთარი მშობლიური ენა, როგორც დღეს ცდილობთ ქართული ენის დაცვას.“** მიმართვაში მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში მოსალოდნელ შედეგებზეცაა საუბარი და აღნიშნულია, რომ ეს რეგიონში სერიოზულ საზოგადოებრივ მღელვარებას გამოიწვევს: **„საერთაშორისო ვალდებულებების არშესრულებისა და კანონმდებლობის არასრულყოფილების პირობებში ქართული ხელისუფლების მსგავსი ნაბიჯები** („სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონის მიღება იგულისხმება) **აღნიშნულ რეგიონებში მოსახლეობის ღელვას, ქართული ხელისუფლების მიმართ უნდობლობას გამოიწვევს. გაღრმავდება ჯავახეთის სომხების იზოლაცია სახელმწიფო ინსტისუტებისგან“.**

მოკლედ, დღესავით ნათელია, რა მიზნები ამოძრავებთ ნეოდაშნაკური ორგანიზაციის გებელსებს, მაგრამ ეს არ არის პრობლემა. **მთავარია, საქართველო რას დაუპირისპირებს ამ ცალსახად ანტიქართულ ელემენტებს. საქართველოს როცა ვამბობ, უწინარესად, მმართველ გუნდს ვგულისხმობ, თუმცა ამ მხრივ ოპტიმიზმის საფუძველი არ გვაქვს, — მთავრობა უუნაროა, პარლამენტი — არალეგიტიმური, გაურკვეველია, ვის ხელთაა ჩვენი ეროვნული ინტერესები.** „დაშნაკების“ მიმართვა რომ დიდ ხანს უპასუხოდ ვერ დარჩება, ესეც ცხადია; შეკითხვა კი მარტივია: **ხელისუფლება, რომელმაც დასავლეთის შიშით სამართლიანობის აღდგენა ვერ გაბედა, სომხებისთვის საკადრისი პასუხის გაცემას გაბედავს?!** ღმერთმა ქნას, მაგრამ ამერიკამ კოაბიტაცია თუ მოგვახვია, ნუ დაგვავიწყდება, რომ იმავე ამერიკის სენატი სავსეა სომხური ლობით....

ეს პრობლემის ერთი მხარეა. დანარჩენს რაც შეეხება, **საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს, რომ საქართველოში სტრატეგიული ობიექტების მნიშვნელოვან ნაწილს სომხები ფლობენ.** ამის თავი და თავი 2003 წლიდან მოყოლებული სააკაშვილის ანტიქართული ხელისუფლება იყო, თუმცა „ოცნებაც“ ამ პოლიტიკის „პირუთვნელი“ გამგრძელებელი აღმოჩნდა. დღეს უკვე ღიად საუბრობენ ანაკლია-განმუხურის სანაპირო ზოლის მიყიდვაზე სომეხი ინვესტორებისთვის. მომავალში კი თურმე მიმდებარე ზონის გასხვისებაც იგეგმება. ეტყობა, კოალიცია ბენდუქიძის ტემპის დაგდებას არ აპირებს. პირიქით, „რეკორდის მოხსნა“ და ახალი „სიმაღლეების“ დაპყობა აქვს განზრახული. **ისე, როგორც ჩვენში ნახევრად ხუმრობით იტყვიან ხოლმე, სომხების ისტორიული უბედურება ზღვაზე გასასვლელის არქონაა. ჰოდა, ივანიშვილი ამ პრობლემას თუ გადაუჭრის, ქართველებზე ადრე დაშნაკტცუტუნს აუსრულებს ოცნებას.**

ახლა ორიოდე სიტყვით იმასაც შეგახსენებთ, რას გულისხმობს ეს „ოცნება“ და რა გველის ჩვენ მისი ასრულების შემთხვევაში. „დიადი არმენიის“ იდეაზე, ალბათ, მეტ-ნაკლებად ყველას სმენია. ბევრ თქვენგანს, შესაძლოა, რუკაც კი აქვს ნანახი, რომელიც შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე ტერიტორიას მთლიანად მათი „იმპერიის“ ფარგლებში აქცევს. ცნობილია ისიც, რომ ეს იდეა დღემდე არ ასვენებთ მეზობელ სახელმწიფოში. ამიტომ ლამის უკვე პოლიტიკური ხელმძღვანელობის დონეზე დაიწყეს მისი ქადაგება. მეტიც, თავიანთ საზღვრებში ვერ ეტევიან და ახლა აპოლოგეტებს სამეზობლოშიც ეძებენ. **ერთ-ერთ უპირველეს დასაყრდენს კი მათთვის სწორედ ჯავახეთის სომხობა წარმოადგენს. ვაჰაგან ჩახალიანი, არტაკ გაბრიელიანი და სხვები — ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც განცხადებას განცხადებაზე აკეთებენ: ავტონომიაო, თვითმმართველობაო... ახლა კიდევ სახელმწიფო თუ რეგიონული ენის სტატუსი მოგვეცითო.**

სააკაშვილმა თავის დროზე ის მაინც გააკეთა, რომ ეს დაშნაკი ჩახალიანი ციხეში ჩასვა. ივანიშვილმა, აქაოდა, ევროპას დემოკრატიით გავაოცებო, მოსვლისთანავე თავისუფლება უბოძა. მერე, აი, რა განცხადება დააფრქვია ამ თავისუფლებაბოძებულმა ჩახალიანმა ციხიდან გამოსვლიდან მცირე ხანში: **„ჯერ კიდევ გადაუჭრელია ჯავახეთის სომეხი მოსახლეობის სამოქალაქო, ენობრივი, საგანმანათლებლო, რელიგიური და კულტურული უფლებების მთელი რიგი საკითხები — ჩამორთმეული ეკლესიების დაბრუნება, სომხური ენისთვის რეგიონული ენის სტატუსის მინიჭება, ახალქალაქში სომხური უნივერსიტეტის გახსნა, რაიონებში რეალური თვითმმართველობის სისტემის დამყარება და სხვ“.** იქვე დასძინა, რომ ის თავისუფლებაში აქტიურად განაგრძობს ბრძოლას ჯავახელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჩაგრული მოღვაწეების მიმართ სრული სამართლიანობის აღსადგენად. **ახლა თავად განსაჯეთ, რა უფრო სწორი და გამართლებული იქნებოდა, ის, რომ ეთნიკური შუღლის გამაღვივებელი ჩახალიანი ციხეში მჯდარიყო, თუ ის, რომ ეს სეპარატისტი დღეს კარდაკარ დადიოდეს და 300 ათას სომეხს მუდმივად ამბოხებისკენ მოუწოდებდეს.** ვფიქრობ, ჭეშმარიტად სუვერებული სახელმწიფო ამას წამითაც არ დაუშვებდა, მაგრამ საკითხავი სწორედ ესაა: ვართ კი ჩვენ სახელმწიფო? ყოველ შემთხვევაში პრემიერის რიტორიკას რომ ვუსმენ, ამის განცდა მიქრება და მგონია, რომ მთელი საქართველო ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა ერთი დიდი საზოგადოებაა. ვნახოთ, როგორ აღგვზრდიან და რამდენ ხანში.

ახლა რაც შეეხება ისევ პარლამენტში შესულ მიმართვას, **არ ვიცი, დეპუტატები როგორ გამოეხმაურებიან ამ მოთხოვნას, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული ვარ, საკითხი რანაირადაც უნდა დაისვას, ხიდაშელ-უსუფაშვილები, ხმალაძე-ბერძენიშვილები და ძმანი მათნი, უმრავლესობის „ლიბერალური“ ფრთიდან, ამას ეროვნული პოზიციიდან არ შეხედავენ.** მიზეზი ყველასთვის ნათელია, „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი“, — დღევანდელი პარლამენტის „მედროშეებს“ ეროვნულობის არ სცხიათ არაფერი...

**ჯაბა ჟვანია**

**P.S.** დასაწყისში ვთქვი, რომ პრემიერის დარიგებას ვითვალისწინებ და დეპუტატებს კრიტიკით გულს არ ვატკენ, მაგრამ, როგორც ხედავთ, ხელი ცოტათი წამიცდა... თუ ვინმე ჩათვლის, რომ ჟურნალისტს რამე „შეეშალა“, პრობლემა არაა, შევიდეთ სადმე ბუტკაში, „ჩავეკითხოთ“ და „მივჯირყვნოთ“.

SOS

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სამეგრელოს რეგიონის უხუცესებს გვამოძრავებს მხოლოდ ერთი გრძნობა, სამშობლოსა და ხალხის სიყვარული, ამიტომ ვცდილობთ, კატასტროფა ავაცილოთ დასავლეთ საქართველოს და ქვეყანაში შეიქმნას დოვლათი, რაც შესრულდება აკადემიკოს ა. კიკნაძისა და საქართველოს დამსახურებული ინჟინრის ჯ. მხეიძის „ინჟინრული წინადადების“ რეალიზაციით — ანაკლია-განმუხურის ღრმაწყლიანი ნავსადგურის აშენებით...**

### გაზეთ «საქართველო და მსოფლიოს» მთავარ რედაქტორს, ბატონ ირაკლი თოდუას

უხუცესთა კავშირის გამგეობა და წევრები გამოვხატავთ უღრმეს მადლერებას თქვენდამი, ჟურნალისტ ეკა ნასყიდაშვილისა და მთელი თქვენი შემოქმედებითი კოლექტივის მიმართ, რამეთუ თქვენ ბრძანდებით პრინციპულნი, სამშობლოს პატრიოტები, შეუპოვარი ჟურნალისტები და „პირველი მერცხლები“, რომლებმაც ხმა მიაწვდინეთ ქვეყნის მოსახლეობას, რომელიც იმსახურებს სიმართლის ცოდნას.

გთხოვთ, გამოგვიქვეყნოთ პრემიერმინისტრისა და უწმინდესისა და უნეტარესის — ილია II-ს სახელზე გამოგზავნილი მიმართვა ადრინდელ, თქვენ მიერ გამოქვეყნებულ „ღია წერილში“ აღნიშნულის ობიექტური ფაქტებით დადასტურებით.

ღრმა პატივისცემით,

**ანზორ ლომაია,**
სამეგრელოს რეგიონული საზოგადოებრივი
უხუცესთა კავშირი „სხუნუს“ გამგეობის თავმჯდომარე



# სამეგრელო ეკო-კატასტროფის გარეშე

## საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს — ილია II-ს საქართველოს პრემიერმინისტრს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ 2013 წლის 11-17 სექტემბრის №33-ში გამოქვეყნებულ იქნა სამეგრელოს რეგიონული საზოგადოებრივი უხუცესთა კავშირის გამგეობის „ღია წერილი“ საქართველოს სინამდვილეში ფრიად მნიშვნელოვან საკითხებზე. წერილში არ იყო აღნიშნული ბევრი ოფიციალური ფაქტი და საკითხი. ამდენად დამატებით მოგახსენებთ შემდეგს: „ენგურჰესის“ თაღოვანი კაშხლის აშენებით მდინარე ენგური გადაიკეტა. მდინარის ძველი კალაპოტი, სიგრძით 62 კმ და ფართით 5 ათასი ჰექტარი, გახდა უსარგებლო და ადგილებზე ჭაობიანი.**

საქართველოს მთავრობამ 1982 წლის 3 თებერვალს მიიღო №75 ბრძნული გადაწყვეტილება: „მდინარე ენგურის უსარგებლო კალაპოტის ათვისების გენერალური გეგმა“ — „ენგურჰესის“ კაშხლის დაზიანებისას წყლის ავარიული გადმოსვლის შემთხვევაში, კატასტროფის თავიდან აცილების მიზნით, 100X3.5მ დამცველი არხის მშენებლობა, რაც უზრუნველყოფდა წყლის ნიაღვრის მდინარე ჭურიაში (სოფ. ანაკლია-ერგეტის ტერიტორიაზე) ჩადინებას. ამასთანავე, გათვალისწინებული იყო ინერტული მასალის 4 კარიერის (ენგური-1, ენგური-2, კოკი და ლიას) თითოეული მოცულობით 3.2 მლნ კუბ.მ — ყოველწლიურად, რომლის დიდი ნაწილი მოხმარდებოდა პორტის აშენებას, ხოლო ნაწილი გამოიყენებოდა ქვეყნის შიგნით, რითაც აღიკვეთებოდა საქართველოს მდინარეებიდან და შავი ზღვის სანაპიროებიდან ინერტული მასალის აღება, რაც მკვეთრად გააუმჯობესებდა საქართველოს ეკოლოგიურ გარემოს. **ანაკლიის პორტის აშენების შემთხვევაში პორტი შეასრულებდა ნაპირდამცავ როლს, დღეისთვის ზღვას უკვე ჩამორეცხილი აქვს 800 ჰა საუკეთესო მიწა. პორტის აშენების შემდეგ ვიბრუნებთ 1200 ჰა-ზე მეტ მიწას. ამავე დროს ადგილზე მოპოვებული ინერტული მასალებით აშენდებოდა პორტი, რაც საგრძნობლად გააიაფებდა მის ღირებულებას.**

**გავიდა 30 წელი და ამ მხრივ არაფერი გაკეთებულა.**

რაც შეეხება „ხუდონჰესის“ მშენებლობას, იგი მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, რადგან დასავლეთ საქართველოში ორმაგ საშიშროებას ქმნის და გამოიწვევს სვანეთის მოსახლეობის მიგრაციას. უხუცესი სპეციალისტების აზრით, სასურველია, მცირე სიმძლავრის ელსადგურების მშენებლობა (მსოფლიო პრაქტიკაში ეს მიღებულია), **რაც უსაფრთხოა და ეკოლოგიურად მისაღები.**

**ნებისმიერ დროს მოსალოდნელია, მოხდეს არნახული კატასტროფა!**

აღნიშნული კატასტროფის თავიდან აცილების შესაძლებლობა იყო, რომ არა ნებიერა პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ახირებები (პარლამენტი — ქუთაისში, შადრევნები — მთელ საქართველოში, თავისი რეზიდენციები და სხვა მრავალი, მათ შორის უცხოელი მომღერლების მოწვევაში რომ არ დახარჯულიყო მილიონები).

**გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს საქართველოს მთავრობაში შეტანილი იქნა აკადემიკოს არჩილ კიკნაძისა და საქართველოს დამსახურებული ინჟინრის ჯ. მხეიძის წინადადება: სოფ. ანაკლია-განმუხურში ღრმაწყლიანი საზღვაო ნავსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით** (მშენებლობის ადგილი და ეფექტიანობა აღწერილია ჩვენს „ღია წერილში“). **ნავსადგურის ასაშენებელი ადგილი და იდეა მოიწონეს შესაბამისი სამინისტროების, უწყებებისა და მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებმა.**

„ინჟინრული წინადადების“ პრეზენტაცია ჩატარდა ქ. ზუგდიდში, რომელსაც ესწრებოდნენ ზუგდიდის საზოგადოება და სამეგრელოს რეგიონის ინტელიგენცია, რის შემდეგაც საქართველოს იმდროინდელმა პრეზიდენტმა, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ 1999 წლის 17 იანვარს გამოსცა განკარგულება №28 სოფ. ანაკლია-განმუხურის საზღვაო ნავსადგურის მშენებლობის დაწყებაზე! მასში გათვალისწინებული იყო კაშხლიდან წამოსული (თუ ეს მოხდება) წყლის ნიაღვრის საწრეტი არხის მშენებლობა, ადრე აღნიშნული ზომების გაზრდით, რაც სავსებით უზრუნველყოფდა როგორც დასავლეთ საქართველოს, ასევე აშენებული ნავსადგურის უსაფრთხოებას.

**ნავსადგურის აშენების ადგილი და იდეა მიჩნეულ იქნა საუკეთესოდ XX საერთაშორისო კონფერენციაზე „კაცობრიობა და ოკეანის სანაპირო ზონა 21-ე საუკუნეში“, რომელიც ჩატარდა ქ. მოსკოვში 2000 წელს. იყო გამოყოფილი ტერიტორია პორტის პირველი რიგის მშენებლობისთვის ტვირთბრუნვის 5,5-7 მლნ. ტონა წელიწადში და დარეზერვებული მეორე რიგის თვითბრუნვით 60 მლნ ტონა წელიწადში.**

ცნობილია, რომ „ინჟინრული წინადადება“ მიღებული იქნა და ტარდებოდა მოსამზადებელი სამუშაოები ბატონ ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით, რომელიც შემდგომ შეწყვიტა თავად შევარდნაძემ, თანამონაწილეობით: ტრანსპორტის მინისტრის — მ. ადეიშვილის, პარლამენტარ — ბულიას, ვ. ჩხარტიშვილისა და სხვათა უსამართლო ქმედებით. **ნავსადგურის მშენებლობის საკითხი მოიხსნა „დღის წესრიგიდან“, რათა „მწვანე შუქი“ მიეცათ კორუფციული და ხალხის მომწამვლელი ყულევის ტერმინალისთვის** (ნავთობი იღვრება და ორთქლდება, იწამლება ზღვა და ჰაერი, რის გამოც ყულევის მოსახლეობის დაახლოებით 80% დაავადებულია ფილტვების სიმსივნით, რაზეც არსებობს მედიკოსთა ოფიციალური დასკვნა). **ამ ტერმინალის აშენების წინააღმდეგი იყო თითქმის ყველა სპეციალისტი, მაგრამ არავინ შეისმინა.**

**ამჟამად ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს გააჩნია პროექტი და ეძებს ინვესტორს. საინტერესოა, რატომაა ის გასაიდუმლოებული და რატომ უმალავენ ჩვენს მოსახლეობას? ამიტომ ხომ არ ყოფილა „2012 წლის 1 ოქტომბერი“?**

საყურადღებოა, რომ ზემოთ ხსენებული XX საერთაშორისო კონფერენცია მიზანშეწონილად თვლის, საკითხის გადაწყვეტაში ჩაერთოს რეკომენდებული ორგანიზაციები, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს სამეურნეო ინფრასტრუქტურაზე, საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს დინამიურ სისტემაზე, ქართველი მეცნიერების ნაშრომებზე დაყრდნობით. სოფ. ანაკლია-განმუხურში ღრმაწყლიანი საზღვაო ნავსადგურის მშენებლობა ხომ რეკომენდებული იყო აკადემიკოს ა. კიკნაძის მიერ, რომელიც წარმოადგენდა მსოფლიოში ერთ-ერთ ავტორიტეტს ამ მიმართულებით.

**თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ!**
**ბატონო ბიძინა!**

დასმული საკითხის განსაკუთრებულ სიმძიმესთან დაკავშირებით, უმორჩილესად გთხოვთ, გამონახოთ დრო და მიგვიღოთ სასაუბროდ: ბატონი ჯუანშერ მხეიძე და უხუცესთა წარმომადგენლები: ანზორ ლომაია, ჯონი ზარანდია, კლიმენტი კიკალიშვილი და გენადი მესხია.

**პატივცემულო ბიძინა!**

სამეგრელოს რეგიონის უხუცესები და არამარტო ჩვენ, არამედ მთელი საქართველოს საზრიანი მოსახლეობა დაინტერესდება (როცა საზოგადოება ინფორმირებული იქნება) **არხისა და აღნიშნულ ადგილზე ნავსადგურის მშენებლობით ქვეყნისა და ხალხის სასიკეთოდ.** ამდენად, გთხოვთ:

1. საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს დაავალოთ, მოგვცეს ოფიციალური ცნობა: **მათ მიერ წარმოდგენილი ნავსა-** ▶

## ავტოსაგზაო შემთხვევას ორი სამხედრო მოსამსახურე ემსხვერპლა

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, შემთხვევა 7 ოქტომბერს, გვიან ღამით გორში მოხდა. საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-5 ქვეითი ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეები, I კლასის რიგითი რომან არაქელოვი და სერჟანტი ომარ დარჩიძე დათხოვნაში იმყოფებოდნენ.**

ფეხით მოსიარულეებს ცხინვალის გზატკეცილზე ავტომანქანა დაეჯახა, რის შედეგადაც ორივე გარდაიცვალა.

არაქელოვი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 2010 წლის ივლისიდან, დარჩიძე კი 2005 წლის აპრილიდან ირიცხებიან. ისინი საკონტრაქტო სამსახურს გადიოდნენ. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით და გარდაცვლილის ოჯახებს უსამძიმრებს.

ავტომანქანას, რომელიც ფეხით მოსიარულეებს დაეჯახა, შსს-ს თანამშრომელი მართავდა. ის პოლიციას თავად ჩაბარდა. მიმდინარეობს გამოძიება. საქმეს შინაგან საქმეთა სამინისტრო იძიებს.



**რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებითა და აფხაზეთისა და რუსეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებით, აუცილებლად მოგვარდება ჩვენ მიერ შეგნებულად ჩაფიქრებული და შეთავაზებული საკითხი: ნავსადგურიდან 80 კმ-ში აფხაზეთის კოდორის ხეობაში გაშენდება ნავთობისა და გაზის ტერმინალები, რომლებიც მიიღებენ ნავთობსა და გაზს ჩრდილოეთ კავკასიიდან. ტერმინალებიდან ნავსადგურამდე მილსადენები გაივლის ოჩამჩირისა და გალის ტერიტორიას, რითაც აფხაზეთი და რუსეთი მიიღებს სტაბილურ, მნიშვნელოვან შემოსავალს!**

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ დგურის კონკრეტული ადგილის შესახებ; არის თუ არა ჩატარებული ექსპერტიზა და ვის მიერ; ვინაა პროექტის შემკვეთი; რას მისცემს იმ პროექტით გათვალისწინებული ნავსადგური საქართველოს; ხომ არაა იგი კორუფციული და ეკოლოგიურად გაუმართლებელი ტერმინალი, როგორც ყულევი? ანდა ხომ არაა იგი ყულევის ტერმინალის შესანარჩუნებელი ახალი ტერმინალი, რადგანაც მას ნავსადგურის სახე არ ექნება, თუ ნავსადგური „ღია წერილში" აღნიშნულ ადგილზე არ აშენდება!**

2. გაოგნებული ვართ, რატომ გვეუბნებიან უარს ან არ გვაქცევენ ყურადღებას ტელეკომპანიები და გაზეთები: „კვირის პალიტრა" და „ალია". ასევე **ჯერჯერობით ჩვენს ადრინდელ მიმართვაზე პასუხი არ მიგვიღია მინისტრებისგან — ბატონ კ. კალაძისგან და ბატონ დ. ნარმანიასგან, ბატონ გ. კვირიკაშვილის სამინისტროდან კი მოგვივიდა არაფრისმთქმელი ზოგადი სახის პასუხი.**

3. აღნიშნულიდან გამომდინარე, **დაბეჯითებით გთხოვთ, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გააშუქოს ზემოაღნიშნული საკითხები, რათა დადგინდეს სიმართლე და მოინახოს რეალური გამოსავალი, რაშიც უნდა ჩაერიოს საქართველოს მოსახლეობა.**

მოწვეული უნდა იქნენ:

— საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნების მონაწილე კანდიდატები (სამწუხაროდ, დღემდე არც ერთს არ აღუნიშნავს, თუ როგორ აპირებენ საქართველოს გამთლიანებას);

— მინისტრები, რომლებსაც ეხებათ საკითხები;

— ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს წარმომადგენლები: ბატონი გეწაძე და მ. ჩიხლაძე;

— აკადემიკოს ა. კიკნაძის ჯგუფი, ბატონები: ჯ. მხეიძე, გ. ლომინაძე, ნ. ძიძიკაშვილი და გ. მეტრეველი;

— ბატონ ედუარდ შევარდნაძის წარმომადგენლები ყულევის ტერმინალის მშენებლობაში;

— პრემიერმინისტრის მრჩეველი, ბატონი გია ხუხაშვილი და ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი, ბატონი დავით მირცხულავა;

— გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი, ქალბატონი ნინო ჩხობაძე და მისი ყოფილი მოადგილე, ბატონი თ. ვეკუა.

სამეგრელოს რეგიონული უხუცესთა კავშირის წევრები: ა. ლომაია, ჯ. ზარანდია, კ. კიკალიშვილი, ენერგეტიკის სპეციალისტი გ. მესხია, საპატიო წევრები: მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, ბატონი ნოდარ ჭითანავა და საქართველოს დამსახურებული ენერგეტიკოსი, ბატონი იური გუგუჩია.

**თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ!**

მოგვიტევეთ, რამეთუ ვაწუხებთ თქვენს უწმინდესობასა და უნეტარესობას, მაგრამ გვერწმუნეთ, სამეგრელოს რეგიონის უხუცესებს გვამოძრავებს მხოლოდ ერთი გრძნობა, სამშობლოსა და ხალხის სიყვარული, ამიტომ ვცდილობთ, კატასტროფა ავაცილოთ დასავლეთ საქართველოს და ქვეყანაში შეიქმნას დოვლათი, რაც შესრულდება აკადემიკოს ა. კიკნაძისა და საქართველოს დამსახურებული ინჟინრის ჯ. მხეიძის „ინჟინრული წინადადების" რეალიზაციით — ანაკლია-განმუხურის ღრმაწყლიანი ნავსადგურის აშენებით, რომელიც წამოიწყო ე. შევარდნაძემ, მაგრამ მანვე უსაფუძვლოდ შეაჩერა მშენებლობა.

ყველა სიკეთესთან ერთად, ეს ნავსადგური გადამწყვეტ როლს შეასრულებს აფხაზ ხალხთან კეთილი ურთიერთობის დამყარებასა და ქვეყნის გაერთიანებაში, რადგან ნავსადგურის მშენებლობაზე იმუშავებს 10 ათასზე მეტი მუშა-მოსამსახურე, მათ შორის, ბევრი აფხაზი. **რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებითა და აფხაზეთისა და რუსეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებით, აუცილებლად მოგვარდება ჩვენ მიერ შეგნებულად ჩაფიქრებული და შეთავაზებული საკითხი: ნავსადგურიდან 80 კმ-ში აფხაზეთის კოდორის ხეობაში გაშენდება ნავთობისა და გაზის ტერმინალები, რომლებიც მიიღებენ ნავთობსა და გაზს ჩრდილოეთ კავკასიიდან. ტერმინალებიდან ნავსადგურამდე მილსადენები გაივლის ოჩამჩირისა და გალის ტერიტორიას, რითაც აფხაზეთი და რუსეთი მიიღებს სტაბილურ, მნიშვნელოვან შემოსავალს!**

რეგიონის უხუცესებს გვწამს, რომ უფლის წყალობითა და თქვენი — უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით შევძლებთ მიზნის მიღწევას, საშვილიშვილო საქმის აღსრულებას — საქართველოს გამთლიანებასა და გაძლიერებას!

**ღრმა პატივისცემით,**

**ანზორ ლომაია,**

**სამეგრელოს რეგიონული საზოგადოებრივი უხუცესთა კავშირ „სხუნუს" გამგეობის თავმჯდომარე,**

**გამგეობის წევრები:**

**ჯონი ზარანდია,**
**მიხეილ ხუბუტია,**
**კლიმენტი კიკალიშვილი,**
**ალიკო თოდუა,**
**ვახტანგ ბულია,**
**გივი ქირია**



## ნავსადგურის მშენებლობის საკითხი მოიხსნა დღის წესრიგიდან, რათა «მწვანე შუქი» მიეცათ კორუფციული და ხალხის მომწამვლელი ყულევის ტერმინალისთვის. ამ ტერმინალის აშენების წინააღმდეგი იყო თითქმის ყველა სპეციალისტი, მაგრამ არავინ შეისმინა

**თქვენო უწმინდესობავ, ბატონო ბიძინა,**

როგორც ჩვენთვის ცნობილია, 2008 წელს, იმ ავადსახსენებელი ომის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებამ, ბატონ მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით, ენგურჰესის თაღოვანი კაშხალი სამართავად გადასცა „რაოეეს"-ს, ე. ი. რუსეთს. ხელშეკრულების შინაარსი ჩვენთვის ცნობილი არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ მასში დამბის დასაცლელ არხთან დაკავშირებით არაფერია ნათქვამი, სხვა შემთხვევაში ისინი საწრეტი არხის გაკეთებას დაიწყებდნენ. წარმოვიდგინოთ, რომ საქართველო შედის ნატოში, ჯარები დგება ფოთში, ბათუმში და მის შემოგარენში და რას მოიმოქმედებს რუსი, კაშხლის აფეთქებით, ნატოს ჯართან და დასავლეთ და ანაკლიის საქართველოსთან ერთად თურქეთში ამოაყოფინებს ხალხს თავს, ვის უმტკიცოთ ჩვენ, რომ ეს ვინმეს მიერ ჩადენილი დანაშაულია, ეს ხომ უბედურებაა? **„ენგურჰესის" კაშხლის გადაცემასთან ერთად, ნატოში შესვლის აუცილებლობა ფაქტობრივად გამოირიცხა, იქნებ ვცდებით? ამაზე პასუხი გაგვცეს ხელისუფლებამ და საპრეზიდენტო კანდიდატებმა. ფაქტია, რომ თორმეტმილიონიანი საქართველო ამოწყვიტა შავმა ჭირმა და ქოლერამ. „ენგურჰესის" აფეთქება ამაზე უარესია, ვინაიდან ის არც ცოცხალს და არც მკვდარს არ დატოვებს, რაც რატომღაც ედუარდ შევარდნაძიდან მოყოლებული ყველას ავიწყდება.**

**ბატონო ბიძინა,** თქვენ კი არ უნდა გადადგეთ, არამედ უნდა უშველოთ ქვეყანას. შველა ქვეყნის ნეიტრალიტეტშია და ანაკლიის სახმელეთო პორტის მშენებლობაში, რისი იმედიც აქვს ხალხს. ხდება სულ სხვა რამ, **მიმდინარე პერიოდში სამეგრელო-ზემო სვანეთის „ნაციონალები" წინ გაუძღვნენ სომხეთის დელეგაციას და ე. წ. ლაზიკის გაყიდვას აპირებენ ან უკვე გაყიდეს, როგორც ხალხში ლაპარაკობენ, თერთმეტ მილიონ დოლარად.** ფაქტის დადასტურება ან უარყოფა შეუძლიათ ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელებს, რომლებიც ზუგდიდში მოღვაწეობენ. **ხალხმა უნდა იცოდეს სრული ჭეშმარიტება და სიმართლე, რადგან შავ ზღვისპირეთში და მათ შორის ანაკლიაში მიწის გაყიდვა სამშობლოს ღალატის ტოლფასია.**

უმორჩილესად გთხოვთ, გადაამოწმოთ ზემოთ აღნიშნული ფაქტები, გახადოთ იგი საზოგადოებისთვის ცნობილი და დაავალდებულოთ ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, გარემოს დაცვის სამინისტროსთან ერთად გასცენ სრული პასუხი წერილში დასმულ შეკითხვებს, ხოლო საპრეზიდენტო კანდიდატებს ვთხოვ, გვერდს ნუ აუვლიან მათთვის ჩვენ მიერ მიწოდებულ ფაქტებს, კეთილი ინებონ და საქართველოს ყველა კუთხეში გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულება ამ სიტუაციასთან დაკავშირებით.

**ღრმა პატივისცემით,**

**ჯონი ზარანდია,**

**სამეგრელოს რეგიონული საზოგადოებრივი უხუცესთა კავშირი „სხუნუს" წევრი**

## სამეგრელო-ზემო სვანეთის «ნაციონალები» წინ გაუძღვნენ სომხეთის დელეგაციას და ე. წ. ლაზიკის გაყიდვას აპირებენ ან უკვე გაყიდეს, როგორც ხალხში ლაპარაკობენ, თერთმეტ მილიონ დოლარად

## ნარკომანიით დაავადებულ პირთა სარეაბილიტაციო ცენტრის მშენებლობას სახელმწიფო აღარ დააფინანსებს

**ნარკომანიით დაავადებულ პირთა სარეაბილიტაციო ცენტრის მშენებლობა, რომელიც ბაზალეთზეა დაგეგმილი, სახელმწიფო საბიუჯეტო თანხებით აღარ განხორციელდება. 2014 წლის ბიუჯეტის პროექტით, ცენტრის მშენებლობისთვის თანხები გათვალისწინებული არ არის.**

პარლამენტში წარდგენილი პროექტის თანახმად, ნარკომანიის პრობლემის გადაჭრას სახელმწიფო ბიუჯეტი ორი პროგრამით დააფინანსებს. აქედან, პროგრამა, რომელიც, ძირითადად, ნარკომანიით დაავადებულ პირთა ხანგრძლივ ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციას ითვალისწინებს, გაისად 1 მილიონ 770 ათასი ლარით შემცირდება და 568 ათას ლარს შეადგენს. რაც შეეხება პროგრამას, რომელიც ნარკომანთა სტაციონარულ დეტოქსიკაციასა და პირველად რეაბილიტაციას, აგრეთვე, ჩამანაცვლებელი ნარკოტიკით უზრუნველყოფას ითვალისწინებს, მისი მოცულობა 2 მილიონ 652 ათასი ლარით იზრდება და 6 მილიონ 78 ათას ლარს აღწევს.

## ქუთაისის №2 საპყრობილეში არასრულწლოვანი პატიმარი გარდაიცვალა

**სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრ სოზარ სუბარის ინფორმაციით, ქურდობის ბრალდებით დაკავებული 16 წლის სენაკელი ახალგაზრდა საპატიმროში 24 საათის შეყვანილი იყო.**

როგორც მინისტრმა განმარტა, მარიამობის დღესასწაულზე საქართველოს პრეზიდენტმა შეიწყალა არასრულწლოვანი, თუმცა იგი საპატიმროში მეორედ მოხვდა.

„ერთი წლის განმავლობაში პირველად მოხდა არასრულწლოვანის გარდაცვალება. წინასწარი ინფორმაციით, ეს არის სუიციდი. 24 საათიც არ იყო გასული მისი შემოყვანიდან, თუმცა ეს იყო მისი მეორე პატიმრობა. დღის განმავლობაში იგი რამდენიმეჯერ მოინახულეს. სოციალური სამსახურის წარმომადგენელი ნახევარი საათის გასული იყო მისი საკნიდან, როდესაც ეს ფაქტი მოხდა", — აღნიშნა სოზარ სუბარმა.

## საპარტნიორო ფონდი უპრეცედენტო მასშტაბის ენერგეტიკულ პროექტს ახორციელებს

**საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ირაკლი კოვზანაძემ და მსხვილ თურქული კომპანია CALIK ENERJI-ის დირექტორმა ჰალილ სარიბეიმ ხელი მოაწერეს დამატებით ხელშეკრულებას გარდაბანში უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ.**

საპარტნიორო ფონდის ახალი მენეჯმენტი რამდენიმე თვის განმავლობაში მუშაობდა არსებული პროექტის განსახორციელებლად და ფონდისა და სამთავრობო სტრუქტურების ძალისხმევით მხარეებს შორის ყველა საკითხი შეთანხმებულია.

ირაკლი კოვზანაძის განცხადებით, მსგავსი მასშტაბის ენერგეტიკული პროექტი დამოუკიდებელი საქართველოს ენერგოისტორიაში პირველად ხორციელდება და ეს პროექტი იქნება მნიშვნელოვანი წინსვლა გენერაციის ახალი წყაროების შექმნის კუთხით.

თბოელექტროსადგურს, რომელიც „ჯენერალ ელექტრიკის" ორი უახლესი ტურბინით იქნება აღჭურვილი, საშუალება ექნება, საჭიროების შემთხვევაში, 25-30 წუთის მანძილზე ჩაერთოს საქართველოს ენერგეტიკულ სისტემაში, დაიცვას ენერგობალანსი და სისტემის მდგრადობა.

გარდაბნის ახალი კომბინირებული ციკლის 230 მეგავატის სიმძლავრის თბოელექტროსადგურის ექსპლუატაციაში შესვლა 2015 წლის ზამთრისთვის იგეგმება.

სიმართლე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ყველა დაბრკოლების გადალახვის შემდეგ გერმანელები შემოიჭრნენ ჩრდილოეთ კავკასიაში და დაიკავეს სანჩაროს, ქლუხორის, მარუხის და სხვა უღელტეხილები. თბილისი, ერევანი, ბაქო და სხვა ქალაქები პანიკამ მოიცვა. საქართველოს ისედაც მძიმე მდგომარეობა ღრმავდებოდა იმით, რომ საბჭოთა კავშირის ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა ნაწილმა აქ ნახა თავშესაფარი. მათ გარდა საქართველოში ევაკუირებული იყო საწარმოები და დაწესებულებები თავისი მუშა-მოსამსახურეებით. მტერი კი უკვე გუდაუთიდან 20 კილომეტრში იდგა.“**

# «პატრიოტ» მაღლაკელიძესა და «ურჩხულ» ბერიაზე

**დიდი სამამულო ომის ყველაზე ხანგრძლივი ბრძოლა — ბრძოლა კავკასიისთვის დაიწყო 1942 წლის 25 ივლისს და ზუსტად 70 წლის წინ — 1943 წლის 9 ოქტომბერს დასრულდა.
ის გრძელდებოდა 482 დღე!
ჯერ კიდევ 1942 წლის იანვარში ჰიტლერმა დაამტკიცა კავკასიის დაპყრობის გეგმა — „ბლაუ III“. ეს ზესაიდუმლო (ოღონდ არა სტალინისთვის) გეგმა, კავკასიის დაპყრობის გარდა, შორს მიმავალ მიზნებს ისახავდა, კერძოდ, ირანისა და ახლო აღმოსავლეთის ოკუპაციას, რომლის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ფაშისტური გერმანია ნავთობის გარეშე ტოვებდა როგორც საბჭოთა კავშირს, ისე დიდ ბრიტანეთსაც. სწორედ რომ „ბლაუ III“-ის დამტკიცებისას ჰიტლერმა წარმოთქვა საკრალური ფრაზა: „კავკასიური ნავთობის გარეშე ჩვენ ომს ვერ მოვიგებთ!“.
დღეს „საქართველო და მსოფლიო“ სტუმარია საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ქართველი გენერალიტეტის მემატიანე, მეორე მსოფლიო ომის მკვლევარი, ისტორიკოსი, მრავალი პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენოსანი ლევან დოლიძე.**



შალვა მაღლაკელიძე



ლავრენტი ბერია

**— ბატონო ლევან, რა ხდებოდა 1942 წლის ზაფხულს?**

— დავიწყებ იმით, რომ გერმანიის უმაღლესი სარდლობის 1942 წლის 23 ივლისის №45 დირექტივით დაიწყო გრანდიოზული ოპერაცია „ედელვაისი“, რომლის მიზანი იყო კავკასიის დაპყრობა.

1942 წლის გაზაფხული და ზაფხული უმძიმესი აღმოჩნდა საბჭოთა კავშირისთვის. მიუხედავად იმისა, რომ გერმანელები დიდ დანაკლისს განიცდიდნენ, მათ მოახერხეს საბჭოთა ჯარების მსხვილი შენაერთების დაუძლურება და ასიათასობით ჯარისკაცის დატყვევება. ფაშისტებს ორჯერ ჩაბარდა ქალაქი ხარკოვი და ყირიმის ნახევარკუნძული. **საქართველოსთვის განსაკუთრებით ტრაგიკული აღმოჩნდა ყირიმის კატასტროფა. ფრონტის სარდლობის უხეში შეცდომების და, ზოგ შემთხვევაში, ღალატის გამო, ამ „ხორცსაკეპში“ დაიღუპა და დასახიჩრდა ათიათასობით ქართველი მეომარი, ძირითადში, ახალწვეულები!..** ამაზე ჯერ კიდევ 1975 წელს მიამბო არმიის გენერალმა პავლე ივანეს ძე ბატოვმა. იგი ომის დროს მეთაურობდა 51-ე არმიას. სხვათა შორის, ბატოვი, რომელიც მსახურობდა თბილისში, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში, 51-ე არმიის მეთაურის თანამდებობაზე, 1941 წლის დეკემბერში შეცვალა ჩვენმა თანამემამულემ, ძველმა თბილისელმა, გენერალ-ლეიტენანტმა ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ლვოვმა. იგი გმირულად დაიღუპა ყირიმულ სასაკლაოზე 1942 წლის 9 მაისს...

და, აი, ახალი, გაცილებით უფრო მასშტაბური კატასტროფა უახლოვდებოდა საქართველოს. კავკასიის მიმართულებით დაიძრა უზარმაზარი, თითქმის მილიონიანი ფაშისტური არმია — არმია „ა“-ს ჯგუფი, 62 წლის გენერალ-ფელდმარშლის — ვილჰელმ ლისტის (გარდაიცვალა 1971 წელს, 91 წლის ასაკში) სარდლობით. ეს კი იყო: 13 ფეხოსანთა, 4 მოტორიზებული, 5 სატანკო (სულ 1230 ერთეული) და 3 საცხენოსნო დივიზია. ამ უზარმაზარ ძალას უფრო აძლიერებდა რამდენიმე სპეცდანიშნულების ქვედანაყოფი და 1640 სამხედრო თვითმფრინავი. ფაშისტების უპირატესობა ცოცხალ ძალაში და შეიარაღებაში ერთნახევარჯერ აღემატებოდა საბჭოურს. **ყველა დაბრკოლების გადალახვის შემდეგ გერმანელები შემოიჭრნენ ჩრდილოეთ კავკასიაში და დაიკავეს სანჩაროს, ქლუხორის, მარუხის და სხვა უღელტეხილები. თბილისი, ერევანი, ბაქო და სხვა ქალაქები პანიკამ მოიცვა. საქართველოს ისედაც მძიმე მდგომარეობა ღრმავდებოდა იმით, რომ საბჭოთა კავშირის ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა ნაწილმა აქ ნახა თავშესაფარი. მათ გარდა საქართველოში ევაკუირებული იყო საწარმოები და დაწესებულებები თავისი მუშა-მოსამსახურეებით. მტერი კი უკვე გუდაუთიდან 20 კილომეტრში იდგა.**

ამის გარდა, ერთიმეორეს მიყოლებით, გერმანია აგზავნიდა ამიერკავკასიაში სადაზვერვო-სადივერსიო ჯგუფებს.

## მონაცემები სსრკ-ის შინსახკომის არქივიდან

**„მარტო 1942 წელს გერმანულმა სპეცსკოლებმა, რომლებიც ამზადებენ აგენტურას, დივერსანტებსა და ტერორისტებს, გამოუშვეს 7 ათასზე მეტი მზვერავი და დაახლოებით 2,5 ათასი დივერსანტი და რადისტი. მათი დიდი ნაწილი შემოგზავნილია კავკასიაში. ჰიტლერული აგენტურის განსაკუთრებულ ყურადღებას საქართველო იპყრობს. ამისთვის სპეციალურად იყო შექმნილი დივერსიული ორგანიზაციები „თამარ I“ და „თამარ II“. არმია „ცენტრ ა“ ჯგუფის შემადგენლობაში არიან კავკასიური ეროვნული ბატალიონები, შემდგარი ემიგრანტთა, ტყვეთა და მტრის მხარეზე გადასულთაგან. ქართულ ბატალიონს ხელმძღვანელობს ტფილისის ყოფილი გენერალ-გუბერნატორი, 46 წლის შალვა ნიკოლოზის ძე მაღლაკელიძე, ვერმახტის მრჩეველი. სხვათა შორის, იგი ერთადერთი ქართველია, რომელიც გახდა მესამე რაიხის გენერალი“.**

**— ერთი წუთით, ბატონო ლევან! ეს ის მაღლაკელიძეა, რომელიც დაჰპირდა ჟორდანიას, თბილისის დასაცავად 5 ათასს ჯარისკაცს გამოვიყვანო და მხოლოდ ხუთასი იუნკერით დასჯერდა?..**

— ...და, აი, ზუსტად ამ მაღლაკელიძემ ხუთასი საჯიშე ბიჭი, გამოუცდელი მეომარი, მეთერთმეტე არმიას კოჯრის მიდამოებში ჩაახოცინა!..

**— ვერაფერს ვიტყვი, ბატონო ლევან, ვერმახტს კარგი მრჩეველი ჰყოლია!**

— რაც მთავარია, „პატიოსანი“. ქაღალდზე არსებული ხუთი ათასი ჯარისკაცის საკვებსა და ტანსაცმელში, ალბათ, კარგი ფულიც გააკეთა... **ამ ძნელბედობისას, თურქეთის პრემიერმინისტრმა სარაჯოღლუმ, გერმანელ ელჩთან — ფონ პაპენთან საუბრისას განაცხადა, რომ „იგი, როგორც თურქი, მთელი გულით და სულით ნატრულობს რუსეთის განადგურებას. რუსეთის პრობლემის გადაწყვეტა გერმანიას ძალუძს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა რუსეთში ამოწყვეტს, სულ ცოტა, რუსი მოსახლეობის ნახევარს“.** თურქული გენშტაბი კი, რომელსაც სსრკ-ის საზღვართან (საქართველო-სომხეთი) ჰყავდა 26 სრულფასოვანი დივიზია — ნახევარმილიონიანი არმია, არც მალავდა თავის გეგმას: **„თურქეთის ჩაბმა ომში გარდუვალია. ეს მოხდება იმ დროს, როდესაც თურქულ ჯარს ექნება საკმაო რაოდენობის შეიარაღება, რის უზრუნველყოფას შეძლებს გერმანია, როცა ის ჩაიგდებს ხელში ამიერკავკასიის მდიდარ სამხედრო და სხვა რესურსს. თურქული შეტევა დაიწყებოდა ირანის ზეგანის გავლით, ბაქოს მიმართულებით“.**

**იოსებ სტალინის სტრატეგიული გენია აქაც მწვერვალზე აღმოჩნდა. ბელადი დროულად იყო ინფორმირებული ჰიტლერის ჰეგემონურ გეგმებთან დაკავშირებით და ელვისებური სისწრაფით 1941 წლის 25 აგვისტოს დილის ხუთ საათზე განახორციელა საბჭოთა ჯარების მსხვილი დანაყოფების შესვლა ირანში და თეირანის დაკავება.** გახრწნილი პარტოკრატების მეთაურის — ხრუშჩოვის მიერ გასაიდუმლოებულ ირანის ფრონტზე „საქართველო და მსოფლიოში“ ორი ვრცელი წერილი გამოქვეყნდა და ამაზე ვრცლად აღარ ვისაუბრებ. მკითხველს შევახსენებ, რომ **დიდი სამამულო ომის პირველივე დღეებიდან ირანში შეაგზავნეს ლავრენტი ბერიას ერთადერთი შვილი, 17 წლის ლეიტენანტ-რადისტი სერგო ბერია.** იმასაც შევახსენებ, რომ მე არცთუ ისე დიდი ხნის წინ საჩუქრად გადმომცეს უიშვიათესი დოკუმენტი, საბჭოთა სახელმწიფო უშიშროების ზესაიდუმლო სამსახურის გენერლის — ვარლამ კაკუჩაიას დღიური-მოგონებანი. ახლა იშვიათად ვინმე თუ გაიხსენებს დიდი სამამულო ომის ერთ-ერთი გმირის, ირანის ფრონტის და კავკასიისთვის ბრძოლის უშუალო მონაწილეს, საბჭოთა სადაზვერვო სამსახურების ზესაიდუმლო ოპერაციების ორგანიზატორს — გენერალ კაკუჩაიას!

1941 წლის დასაწყისში ვარლამ ივანეს ძე სათავეში ჩაუდგა საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს. ომის პირველივე დღიდან იგი დანიშნეს სსრკ-ს შინსახკომის ჩარჩოში არსებულ განსაკუთრებულ ჯგუფში (მომდევნოდ — ცნობილი მეოთხე მთავარი სამმართველო) ლეგენდარული პავლე სუდოპლატოვის სამიდან ერთ-ერთ მოადგილედ. ვფიქრობ, საინტერესო იქნება, აღვნიშნო, რომ ლავრენტი ბერიას უახლოესი გარემოცვიდან ამ ორმა ადამიანმა — სუდაპლატოვმა და კაკუჩაიამ მიაღწიეს ხანდაზმულ ასაკს და თავის სახლში გარდაიცვალნენ. მათ სასწაულებრივად დააღწიეს თავი 1953-56 წლებში იდუმალებით მოცული ბერიას ჩეკისტების უმაღლესი ეშელონის წარმომადგენელთა მკვლელობებისა და „თვითმკვლელობების“ კასკადს, თუმცა ბოლომდე მოიხადეს 15-წლიანი პატიმრობა სამარტოო საკანში...

## გენერალ ვარლამ კაკუჩაიას დღიურიდან

**„1942 წლის 17 აგვისტოს ლ. პ. ბერიას ბრძანებით მე სასწრაფოდ გამომიწვიეს დასავლეთის ფრონტის ხაზიდან. მოსკოვში ჩასვლისთანავე ეგრევე მიმიღო სახალხო კომისარმა** (ბერიამ — ლ. დ.), **რომელმაც ყურადღებით დამათვალიერა, აკურატულადაა თუ არა ჩემზე ფორმა და მითხრა: „მივდივართ კრემლში, „პატრონთან“. რამდენიმე წუთის შემდეგ, ღამის 12 საათი იქნებოდა, ჩვენ მიგვიღო სტალინმა. მან ჯერ რამდენიმე კითხვა დამისვა — სად ვიყავი დღეს და რა ვნახე, შემდეგ ბრძანა: „მდგომარეობა კავკასიაში ძალზე სერიოზულია, თითქმის კატასტროფული. ჩვენი ცალკეული ნაწილების მეთაურთა დანაშაულებრივი დაუდევრობის შედეგად, გერმანელებმა შეძლეს გარღვევა კავკასიონის მთავარი ქედის ძირითადი უღელტეხილებისკენ და მათი დაკავება. ჰიტლერმა უკვე მსოფლიოს მოსდო, ვითომდა აქამდე ომების ისტორიაში არნახულ გმირობებზე.**

(როგორ ჰგავს ჰიტლერს ტრაბახში მისი სულიერი მემკვიდრე — სააკაშვილი, არა? — ლ. დ.).

**სინამდვილეში მდგომარეობა მანდ ძალზე სერიოზულია და იმის მიხედვით, შევინარჩუნებთ თუ არა ამ ბასტიონს, დღეს დამოკიდებულია ომის საბოლოო შედეგი!**

(ყურადღება მიაქციეთ სტალინის ამ სიტყვებს, რომ კავკასიისთვის ბრძოლისგან დამოკიდებულია ომის შედეგი!!! — ლ. დ.)

**გერმანიასა და თურქეთს შორის დადებული საიდუმლო ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს დაბლობში ფაშისტური არმიის შემოსვლისთანავე, თურქეთი თავისი თითქმის მილიონიანი** ▶

სიმართლე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „მიუხედავად „დემოკრატების“, „ლიბერალების“ და ცრუპატრიოტების მცდელობისა, გააშავონ დიდი სამამულო ომის მთელი ისტორია, დრო მაინც თავისას იზამს და ყველას და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს. დარწმუნებული ვარ, გაბრწყინდება დიდი ქართველის, პატრიოტის და ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტის, წამებული და მუხანათურად მოკლული ლავრენტი ბერიას სახელი!“

**ჯარით ჩვენ წინააღმდეგ გამოილაშქრებს, რითაც ბაქოს ოკუპაციით დაემუქრება. ამ ქალაქის დაცემა კი დამარცხების ტოლფასია. ამ ვითარებაში თქვენ შეგიძლიათ აღადგინოთ მდგომარეობა იმ უღელტეხილებზე, კერძოდ სვანეთში, რომელიც გერმანელების მიერ არის დაკავებული?“ სტალინმა გამომცდელი მზერა მომაპყრო. მე პათოსით ვუპასუხე, რომ მზად ვარ, სამშობლოსთვის მოვკვდე. „გერმანელები უნდა მოკვდნენ და არა თქვენ“, — შემაწყვეტინა სტალინმა და განაგრძო: „ხვალ, დილის ხუთ საათზე ჩემი თვითმფრინავით, ჩემი მფრინავი ჩაგიყვანთ თბილისში. თქვენი ხელმძღვანელი იქნება ამხანაგი ბერია. წარმატებას გისურვებთ“, — დაასრულა სტალინმა და ხელი ჩამომართვა“.**

საკმაოდ მნიშვნელოვანია თავად პავლე სუდოპლატოვის მოგონებანი, რომელსაც აღწერს თავის მემუარებში — „სპეცოპერაციები. ლუბიანკა და კრემლი. 1930-1950 წლები“.

## პავლე სუდოპლატოვის მოგონება

**„1942 წლის აგვისტოში ბერიამ და მერკულოვმა დამავალეს სულ რაღაც 24 საათში 150 ალპინისტის ეკიპირება, კავკასიაში საბრძოლო მოქმედებების განსახორციელებლად. როგორც კი ალპინისტები მზად იყვნენ საბრძოლო დავალების შესასრულებლად, ბერიამ მიბრძანა, მასთან და მერკულოვთან ერთად რამდენიმე სატრანსპორტო თვითმფრინავით გავფრენილიყავით მოსკოვიდან კავკასიაში. გადაფრენას ძალზე დიდი დრო მოუნდა. თბილისში ჩვენ მივფრინავდით შუა აზიის გავლით „C-47“ თვითმფრინავებით, რომლებიც მივიღეთ აშშ-დან „ლენდ-ლიზით“. ბაქოში გენერალური შტაბის ოპერატიული მართვის კავკასიური მიმართულების უფროსმა, პოლკოვნიკმა შტემენკომ მოახსენა ბერიას არსებულ ვითარებაზე. გადაწყდა, რომ ჩვენი სპეცდანაყოფები შეეცდებიან, გადაკეტონ მთის გზები და შეაჩერონ მტრის რჩეული ალპური მსროლელების წინსვლა...“**

საფრთხე იმისა, რომ თბილისი და მთელი კავკასია იქნება მტრის მიერ დაპყრობილი, სავსებით რეალური იყო. **პავლე სუდოპლატოვის ამოცანაში შედიოდა, ასევე, ზესაიდუმლო დავალება — იატაკქვეშა აგენტურული ქსელის შექმნა იმ შემთხვევაში, თუ თბილისი გერმანელების ხელში აღმოჩნდებოდა. ამ მიზნისთვის სუდოპლატოვს გადასცეს ოქროსა და ბრილიანტების ნაკეთობებით სავსე ჩემოდანი, დიდი ოდენობის ფულადი თანხა და საიდუმლო შეხვედრების ადგილები. სუდოპლატოვის სიტყვებით აგენტურული ქსელის ხელმძღვანელობა ბერიამ ანდო დიდ ქართველ მწერალს — კონსტანტინე გამსახურდიას.**

## სერგო ბერიას მოგონებებიდან

**„...თვითმფრინავის სალონში მამასთან და ჩემთან ერთად იმყოფებოდა თვრამეტი კაცი, რომელთაგან, გენერალ პავლე ბოდინის გარდა** (იგი იყო დანიშნული ამიერკავკასიის ფრონტის შტაბის უფროსად — ლ. დ.), **ყველანი იყვნენ საქართველოს მკვიდრნი — გრიგოლ კარანაძე, ლავრენტი ცანავა, ნიკოლოზ რუხაძე, ვარლამ კაკუჩაია, ბოგდან ქობულოვი, სოლომონ მილშტეინი, მიხეილ მიქელაძე და სხვები“.**

## ვარლამ კაკუჩაიას დღიურიდან

**„გვიან ღამით სათავე თვითმფრინავი თბილისში დაჯდა, სადაც ლ. პ. ბერიას და მის გუნდს დახვდნენ ამიერკავკასიის ფრონტის მთავარსარდალი ივანე ტიულენევი, ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრები — კომპარტიის ცენტრალური კომიტეტების მდივნები: საქართველოს — კანდიდ ჩარკვიანი, აზერბაიჯანის — მირ ჯაფარ ბაგიროვი, სომხეთის — გრიგორი არუთინიანი და სხვები, რომლებიც ძალზე დამწუხრებული გამოიყურებოდნენ, რაც არ გამორჩა ბერიას მზერას. მან მკაცრად განიკითხა ისინი: „რა არის ეს? მოუშვით წვერები და თქვენი იერსახით შეგიძლიათ შთააგონოთ ხალხს პანიკური განწყობა! ჩვენამდე მოვიდა ხმები, რომ ქალაქი დანაგვიანებულია; არაა წყალი, ტრამვაი არ დადის! რა, ტრამვაებიც ფრონტზეა?! თქვენ ხელს უწყობთ დამარცხების განწყობას!..“**

ლავრენტი ბერია მშვენივრად იცნობდა ამ პატიოსან და საქმისადმი ერთგულ ადამიანებს, მათ სუსტ და ძლიერ მხარეებს; იცოდა, რომ უკვე რამდენიმე კვირა ისინი გამოუძინებელნი არიან და დაიქანცნენ... მაგრამ სხვანაირად მას არ შეეძლო. ძალზე დიდი და საპასუხისმგებლო მისიის შესრულება დაავალა მას სტალინმა! **ბერია ჩამოვიდა კავკასიაში განსაკუთრებული, ფაქტიურად, შეუზღუდავი უფლებამოსილებით და არა მხოლოდ როგორც სთკ-ს წევრი. ლავრენტი პავლეს ძემ აქ დაჰყო 28 დღეღამე!**

ყველას ნაბრძანები ჰქონდათ ამიერკავკასიის ფრონტის შტაბში გამოცხადება. უკვე შუაღამე გადაცილებული იყო, როდესაც შტაბში, ბერიას გამოძახებით, დაიწყო შეკრება ცალკეული სამხედრო ნაწილების მეთაურებმა და სხვადასხვა უწყების ხელმძღვანელებმა. **მიუხედავად დაღლილობისა, ლავრენტი ბერია, როგორც ყოველთვის, მუშაობდა და მოქმედებდა საქმის ცოდნით, კონკრეტულად, ზედმეტი სიტყვების გარეშე** (რასაც ვერ ვიტყვი დღევანდელ პოლიტიკოსებზე — ლ. დ.), **ოპერატიულად, ხისტად და, ამავე დროს, თავაზიანად!** იგი ელვისებური სისწრაფით ერკვეოდა ვითარებაში და ასევე სწრაფად პოულობდა სწორ გადაწყვეტილებას. მთავარი კი იყო ის, რომ **ლავრენტი ბერია კარგად იცნობდა ადგილობრივ კადრებს და შეძლო ჩაენერგა ადამიანებში გამარჯვების იმედი!** აი, დამახასიათებელი მაგალითიც.

## ვარლამ კაკუჩაიას დღიურიდან

**„ჩემი ოჯახი ცხოვრობდა შტაბიდან 80-100 მეტრში, სასახლის ქუჩაზე. მე ვთხოვე ბერიას, დროებით გავეშვი ოჯახის სანახავად, რომელიც უკვე მეორე წელია არ მინახავს. პასუხად ბერიასგან მივიღე: „ახლა ოჯახის დრო არაა. გიკრძალავთ ტელეფონით დაკავშირებასაც. დადგება დრო და მოინახულებთ მას“.**

ასეთივე მომთხოვნი იყო ლავრენტი ბერია საკუთარი თავის მიმართაც. არადა, მას იმ დროს თბილისში ჰყავდა დედა და ყრუმუნჯი და. მან არ მოინახულა ისინი მანამ, სანამ ფრონტზე საქმეები მკვეთრად არ გაუმჯობესდა. როგორც ბატონი ლავრენტის ვაჟი — სერგო იხსენებდა, მამამ უბრძანა მას, არსად წასულიყო, არსად დაერეკა და მის მისაღებში ყოფილიყო. ყველას უამრავი გასაკეთებელი საქმე ელოდა!

ყველაფერი წყდებოდა უმოკლეს ვადებში — დილის 5 საათზე ბერიას ერთ-ერთმა მოადგილემ, მიიღო რა გაძლიერებული პოლკი, სპეცეშელონით გაგზავნილ იქნა, სოხუმის გავლით, ქლუხორის უღელტეხილისკენ. მას მიჰყვა ვარლამ კაკუჩაია სსრკ-ს შინსახკომის განსაკუთრებული დანიშნულების გაძლიერებული ბატალიონით, დავალებით — ზუგდიდის გავლით შესულიყო ბეჩოში და ბეჩოს უღელტეხილებზე (დონღეზ ორუნბაში, საიარაღო კოშკი, „პრიუტი-11“) გაენადგურებინა იქ დისლოცირებული მტერი. **ბერიასთან ერთად სატრანსპორტო თვითმფრინავებით ჩამოსულმა გამოცდილი ჩეკისტების ჯგუფმა, მეძესანტეებთან ერთად არ მისცეს ფაშისტებს უფლება, შეჭრილიყვნენ ყაბარდო-ბალყარეთში. ამავე დროს, ალპინისტებმა ადგილობრივი სვანების — მთებში თითოეულ ბილიკს რომ „იცნობდნენ“ — დახმარებით, ააფეთქეს ცისტერნები ნავთით და მთებში გაანადგურეს გერმანელთა მოტორიზირებული ქვეითი ჯარის ნაწილები. ააფეთქეს, აგრეთვე, ქალაქ მოზდოკის ჭაბურღილები. განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ ზუსტად სვანებმა და სხვა ქართველმა მთიელებმა დაბლოკეს კავკასიონის ყველა (ორმოცამდე!) გასასვლელი!**

ლავრენტი ბერიას და მისი ჯგუფის ჩამოსვლისთანავე ვითარება კავკასიაში, პირდაპირი გაგებით, ყოველწუთიერად უმჯობესდებოდა! ხანდახან იღებდნენ არაორდინალურ გადაწყვეტილებებსაც. ასე, მაგალითად, ბერიას ინიციატივით დასავლეთ საქართველოდან იყო მობილიზებული ხუთი ათასი კამეჩი და ამდენივე სახედარი კახეთიდან. ამ ცხოველების ზურგზე, ზოგჯერ გაუვალი ბილიკებით, კავკასიის დამცველთათვის მიჰქონდათ საბრძოლო აღჭურვილობა, საკვები პროდუქტები, მედიკამენტები, ხოლო, უკანა გზაზე მათი დახმარებით გადმოჰყავდათ მძიმედ დაჭრილი მეომრები.

რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, წყდებოდა საკადრო საკითხები. უკვე 1942 წლის 27 აგვისტოს სტალინმა და ვასილევსკიმ, ბერიას მოხსენების შემდეგ, ხელი მოაწერეს უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკის დირექტივას „46-ე არმიის მეთაურის, გენერალ-მაიორ სერგაცკოვის და მისი მოადგილის ზურგის დარგში, ბრიგადის მეთაურის კორმილიცინის გათავისუფლებაზე, როგორც პირებზე, რომლებმაც ვერ უზრუნველჰყვეს ჯარების საბრძოლო მოქმედება“. ამავე დირექტივით ამ არმიის მეთაურად ინიშნებოდა არტილერიის გენერალ-მაიორი კონსტანტინე ლესელიძე, რომელმაც სახელი გაითქვა ჯერ კიდევ ქალაქ ტულას დაცვისას, სადაც იგი მეთაურობდა 50-ე არმიის არტილერიას. ზუსტად მაშინ ვასილევსკიმ მოახსენა სტალინს, რომ ლესელიძე ისევე მეთაურობს არტილერიას, როგორც დირიჟორი ორკესტრსო. ლავრენტი ბერიას „ნათლული“ გახდა კიდევ ერთი ბრწყინვალე გენერალი — ანდრია გრეჩკო, რომელმაც 47-ე არმია ჩაიბარა.

შემდგომში, ანაპის 414-ე მსროლელთა დივიზიის, ხოლო კავკასიისთვის ბრძოლის დროს, 242-ე სამთო-მსროლელთა დივიზიის განთქმული მეთაური, ჩემი მეზობელი და უფროსი მეგობარი, გიორგი ყურაშვილი პირად საუბარში მიყვებოდა იმდროინდელ მოვლენებზე, რომლებზეც მაშინ, ლავრენტი ბერიას „საქმესთან“ დაკავშირებით, ყველა დუმდა.

## გენერალ ყურაშვილის ნაამბობი

**„ვითარება, მართლაც, საგანგაშო იყო! მაგრამ ბერიას ჩამოსვლისთანავე, ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვალა! მოკლე დროში მან მოასწრო იმდენის გაკეთება, რასაც ვერ შეძლებდნენ ათობით, ასობით პარტიული მდივნები, სამხედრო ნაწილების მეთაურები და წარმოებათა ხელმძღვანელები! ბერია მოვიდა ჩვენს დივიზიაში, ესაუბრა ლამის თითოეულ ჯარისკაცს, შთაბერა მათში გამარჯვების რწმენა, პირადად იმყოფებოდა თავდაცვის ყველაზე სახიფათო მონაკვეთებზე, იძლეოდა სასარგებლო რჩევებს. ლავრენტი პავლეს ძემ თან მოიყვანა სნაიპერთა ჯგუფი, შეიარაღებული უხმაურო შაშხანებით. საბჭოთა კავშირის შინსახკომის სასაზღვრო ჯარებში ამგვარი სნაიპერთა ჯგუფების მომზადება დაიწყო მისი ბრძანებით 1938 წლის ბოლოდან...“**

არადა, როგორ გამოადგნენ კავკასიისთვის ბრძოლაში ბერიას სნაიპერები! ერთ გამოცდილ სნაიპერს შეეძლო „ჩაეკეტა“ კავკასიონის უღელტეხილებზე მოწინააღმდეგის მთელი ასეული. თავის გამყოლ სვანებთან ერთად, სნაიპერებმა დაიკავეს ყველა სტრატეგიული წერტილი და კავკასიისთვის ბრძოლაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს. **სამწუხაროდ, სვანეთზე და მის გმირ მოსახლეობაზე ძალზე ცოტა დაიწერა. არადა, ზუსტად რომ სვანებისგან შემდგარმა რამდენიმე გამანადგურებელმა ასეულმა მუსრი გაავლო გერმანულ სამთო-მსროლელთა რჩეულ ნაწილებს, როგორც უღელტეხილებზე, ისე ბაქსანის ხეობაში!**

ლავრენტი ბერია, მიუხედავად იმისა რომ ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირის შინსახკომს, სტრატეგიულ დაზვერვას, კურირებდა საბრძოლო ტექნიკის მრავალი სახეობის წარმოებას და საბრძოლო მარაგს, იყო სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის — ქვეყნის უმაღლესი სამხედრო-პოლიტიკური ორგანოს თავმჯდომარის მოადგილე, ყურადღებით ადევნებდა თვალს კავკასიისთვის ბრძოლის სვლას. **ლავრენტი პავლეს ძე მეორედ ჩამოვიდა კავკასიაში 1943 წლის გაზაფხულზე და 25 დღე დაჰყო, 7-დან 31 მარტის ჩათვლით. ზუსტად მაშინ, 23 მარტს, გენერალი კონსტანტინე ლესელიძე დაინიშნა 18-ე არმიის მთავარსარდლად, ამ არმიას 1943 წლის იანვრამდე მეთაურობდა მისივე თანატოლი ანდრია გრეჩკო.**

**ამ ორმა გამოჩენილმა მხედართმთავარმა უზარმაზარი როლი შეასრულა კავკასიის დაცვის საქმეში! ეს ზუსტად 70 წლის წინ მოხდა.** 1943 წლის 9 სექტემბერს დაიწყო კავკასიისთვის ბრძოლის ბოლო სტადია — ნოვოროსიისკი-ტამანის ოპერაცია, რომლის შედეგად გარღვეულ იქნა უაღრესად მძლავრად გამაგრებული ე.წ. ცისფერი ხაზი და 16 სექტემბერს გაათავისუფლეს ნოვოროსიისკი, სტალინის ხატოვანი გამოთქმით: „ამიერკავკასიის ჭიშკარი“; ხოლო **1943 წლის 9 ოქტომბერს, ტამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლებით, საბოლოოდ დასრულდა მეორე მსოფლიო ომის ყველაზე ხანგრძლივი ბრძოლა — ბრძოლა კავკასიისთვის!**

საქონლის ინტელექტის მქონე ხრუშჩოვის გამო, ათწლეულობით მიჩუმათებული იყო ლავრენტი ბერიას წამყვანი როლი კავკასიისთვის ბრძოლაში, რომელსაც არასამხედროებში ერთადერთს, 1945 წელს მიანიჭეს საბჭოთა კავშირის მარშლის მაღალი წოდება. ამით აღიარებულ იქნა მისი მხედართმთავრული ნიჭიც.

მიაჩუმათეს ქართველ ჩეკისტთა ბრწყინვალე კოჰორტის გმირული საქმენიც. ვის ახსოვს დღეს გამაოგნებელი სილამაზის მქონე, ჩრდილო ოსეთის შინსახკომის უშიშროების კომისარი, **ანდრო ზოდელავა,** რომელიც გმირულად დაიღუპა ორჯონიკიძეს მისადგომებთან 1942 წლის 2 ნოემბერს? ვის შეუძლია დღეს გიამბოთ საქართველოს სასაზღვრო ოლქის ლეგენდარულ მეთაურზე, გენერალ-ლეიტენანტ **ნესტორ ლაბაძეზე,** პირველ საბჭოთა ქართველ გენერალზე, რომელმაც **პავლე აბრამიძესთან** ერთად სათავეში ჩაუდგა გამანადგურებელ ბატალიონებს, რომლებმაც კავკასიისთვის ბრძოლისას საქართველოში შემოგზავნილი ფაშისტთა ათობით დივერსიული ჯგუფი მოსპეს! რასეუბნება დღევანდელ მკითხველს უშიშროების გენერალ-მაიორის **ილარიონ (კიჩო) გაგუას** სახელი? მან მხოლოდ 50 წელი იცხოვრა და 1951 წელს სოხუმში გარდაიცვალა. საქართველოს შინსახკომში მსახურების შემდეგ, იგი ორნახევარი წელიწადი მუშაობდა მოსკოვში, კრემლის კომენდანტის პირველ მოადგილედ. ომის დაწყების წინ კი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინსახკომს ხელმძღვანელობდა. და რომ არა ილარიონ გაგუა და სხვა ქართველი ჩეკისტები, ფაშისტები აფხაზეთს ჯოჯოხეთად აქცევდნენ.

**მიუხედავად „დემოკრატების“, „ლიბერალების“ და ცრუპატრიოტების მცდელობისა, გააშავონ დიდი სამამულო ომის მთელი ისტორია, დრო მაინც თავისას იზამს და ყველას და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს. დარწმუნებული ვარ, გაბრწყინდება დიდი ქართველის, პატრიოტის და ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტის, წამებული და მუხანათურად მოკლული ლავრენტი ბერიას სახელი! დარწმუნებული ვარ, რომ ლეგენდარული მთავარსარდლის, გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესელიძის და სხვების გმირობაზე აღიზრდებიან მომავალი თაობები. ზუსტად რომ მე-18 არმიამ, კონსტანტინე ლესელიძის მეთაურობით, დაასრულა მტრის ტამანის დაჯგუფების განადგურება და ამით შეასრულა კავკასიისთვის ბრძოლაში, რომელშიც ფაშისტებმა დაკარგეს 281 ათასი მეომარი, 1358 ტანკი, 2000 თვითმფრინავი, 7105 ქვემეხი და ნაღმტყორცნი, 22000 ავტომანქანა — გადამწყვეტი როლი!** ძალზე სამწუხაროა, რომ მან მხოლოდ 44 წელი იცხოვრა...

კავკასიისთვის ბრძოლაში საბჭოთა კავშირის გმირები გახდნენ ოფიცრები **ალექსი პირმისაშვილი, ვლადიმერ კანკავა, ვლადიმერ ლურსმანაშვილი** და რიგითი **ნიკოლოზ გოგიჩაიშვილი.** 1944 წლის 1 მაისს დაწესდა მედალი „За оборону Кавказа“, რომლითაც დააჯილდოვეს 600 ათასამდე ადამიანი. დღეს ცოცხალი მხოლოდ რამდენიმე ასეული თუა...

**— ბატონო ლევან, როგორ შეაფასებთ ორი ქართველის — იოსებ სტალინისა და ლავრენტი ბერიას ფენომენებს?**

— იცით, ერთი გორელი ბიჭი გახლდათ, მეორე — მერხეულელი. არც ერთი და არც მეორე არ იყო თავადაზნაურული წარმოშობის. უბრალო, მშრომელი ოჯახებიდან გამოვიდნენ. ჩემი აზრით, ამ ორმა ადამიანმა, გადაჭარბების გარეშე, მსოფლიო საფუძვლიანად შეცვალა! მათი ცხოვრების მაგალითი, ზეადამიანური ენერგია და პოტენციალი მეტყველებს, რომ ქართული გენი უსაზღვრო შესაძლებლობისაა, უძლეველია და მას ვერავინ დათრგუნავს ან შეცვლის წუთისოფლის დასასრულამდე!

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

მართალი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ებრძოდნენ თუ არა ბოლშევიკები ეკლესიას? ებრძოდნენ და — დაუნდობლადაც, ოღონდ მაშინ, როდესაც საბჭოთა ხელისუფლების სათავეში ლენინი და ტროცკი იდგნენ. საბჭოთა და თანამედროვე ისტორიკოსების მტკიცებით, სტალინი არა მარტო არასოდეს მონაწილეობდა მორწმუნეთა დევნის კამპანიაში, არამედ ცდილობდა, დაეცვა მართლმადიდებლები.**

# გერმანელებმა სტალინგრადი აირჩიეს, ქართველი მინისტრი კი სტალინს უარყოფს

**ჩვენი ხელისუფლების ერთმა ახალგაზრდა მინისტრმა, პრინციპში დადებითმა პიროვნებამ და ბიძინა ივანიშვილის ერთგულმა კაცმა, ბალტიისპირელი ჟურნალისტის შეკითხვას — რა დამოკიდებულება აქვს სტალინისადმი, უპასუხა: — უარყოფითი! მოჭრა, მოსხიპა, თითქოს წალდით ჩამოჭრა ხის ახლადამოყრილი ტოტი. იოლად, დაუფიქრებლად. და ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა. სწორედ ესაა საწუხარი: რატომ, რისთვის, რა არგუმენტების საფუძველზე და ა.შ.? მსგავსი არაფერი! ე.ი. სტალინზე, ამ ურთულეს ფენომენზე, უნდა თქვა ცუდი და ეს სავსებით საკმარისია ჩვენს ობიექტურ საზოგადოებაში.**





მთავრობის კრიტიკას დასაბუთება სჭირდება: პრემიერ-მინისტრმა სწორედ არგუმენტაცია მოსთხოვა ჟურნალისტებს ამასწინანდელ შეხვედრაზე.

სტალინზე, რაც გინდა, თქვი!

სულაც არ არის საჭირო, სტალინის რომელიმე ნაშრომი მაინც გქონდეს წაკითხული, ან თუნდაც რომელიმე საგაზეთო მასალა — უარყოფითი, დადებითი — სულერთია, მის შესახებ.

**ხრუშჩოვის ანტისტალინიანის ნასხლეტი თუ ნარჩენი? ან ეგებ დაბრუნდა ნიკიტას დრო და ჟამი? აბა, ძეგლების დემონტაჟზე თუ საღებავის შესხმაზე რატომ აგვექავა ხელი მაინცდამაინც ახლა?! სააკაშვილის გულის მოსაოხად და მისი პოლიტიკური კურსის ურყევობის დასამტკიცებლად?!**

ვისი კარნახით თუ ვისი მოთხოვნით: სანამ სტალინის ერთი ძეგლიც კი დგას საქართველოში, ევროკავშირში თუ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ჩვენი მიღება ვაშინერს?

ბითურობაა!

სამაგიეროდ, **სააკაშვილის ყოველდღიური ტელექადაგებების მოსმენა ისეთივე აუცილებელ მოვალეობად გვიქციეს, როგორც ჩინეთის კულტურული რევოლუციის დროს „დიდი მესაჭის" ციტატების წითელყდიანი კრებულის უბით ტარება და კატეხიზმოსავით დაზეპირება ყველა ჩინელის პატრიოტიზმისა და ერთგულების ნიშანი რომ იყო.**

„— ტომ!

პასუხი არ არი.

— ტომ!

პასუხი არ არის.

— სად დაიკარგა ეს ბიჭუნა?.. ტომ!

პასუხი არ არის".

არც იმ კითხვებზე იქნება პასუხი, რომლებიც დავსვი.

ამიტომ შევეცდები თუნდაც ერთი საკითხი ჩვენს მკითხველებთან ერთად განვიხილო.

უსაყვედუროდ და დაუმადლებლად.

**სტალინი და მართლმადიდებლობა,** რომელიც ახალი ლიბერალების საჯიჯგნი გახდა.

ამ უფაქიზეს საკითხს საერთო ქვაბში ხარშავენ, ბოლშევიკური ათეიზმისა და ღვთის გმობის უკომპრომისო ნეგატივიზმის ცეცხლზე წვავენ.

## ებრძოდნენ თუ არა ბოლშევიკები ეკლესიას?

**ებრძოდნენ და — დაუნდობლადაც, ოღონდ მაშინ, როცა საბჭოთა ხელისუფლების სათავეში ლენინი და ტროცკი იდგნენ. საბჭოთა და თანამედროვე ისტორიკოსების მტკიცებით, სტალინი არა მარტო არასოდეს მონაწილეობდა მორწმუნეთა დევნის კამპანიაში, არამედ ცდილობდა, დაეცვა მართლმადიდებლები.** შეძლებისდაგვარად. ყოველ შემთხვევაში, მებრძოლი ათეისტი არასოდეს ყოფილა. თუმცა ფაქტია, რომ მის გამოსვლებსა და პუბლიკაციებში დაინტერესებული მკვლევარი აღმოაჩენს ათეისტური დებულებებისა და შეფასებების საკმაო რაოდენობას.

მაგრამ **სწორედ სტალინმა, სხვამ არავინ გაბედა და შეცვალა ლენინური კურსი, რომელიც „რელიგიის, როგორც ხალხის ოპიუმის" წინააღმდეგ იყო მიმართული.** ეს მან გააკეთა მაშინ, როცა საამისო ძალაუფლება მის ხელში აღმოჩნდა. **საკ. კპ (ბ) ცკ პოლიტბიურომ მიიღო დადგენილება მართლმადიდებლური ეკლესიისა და მართლმადიდებლობისადმი დამოკიდებულების შესახებ:**

**„1. მიზანშეუწონლად ჩაითვალოს სსრკ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მიერ რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მსახურთა დაპატიმრებისა და მორწმუნეთა დევნის პრაქტიკის კვლავაც გაგრძელება.**

**2. ამხანაგ ულიანოვის (ლენინის) 1919 წლის 1 მაისის მითითება №13666-2 „მღვდლებთან და რელიგიასთან ბრძოლის შესახებ" სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის (ვჩკ) თავმჯდომარის ამხანაგ ძერჟინსკისადმი, და ვჩკ-ოგპუ-შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ყველა შესაბამისი ინსტრუქცია, რომლებიც რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მსახურთა და მართლმადიდებელთა დევნისადმია მიმართული, გაუქმდეს".**

ეს არის ამონაწერი საკ.კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1939 წლის 11 ნოემბრის სხდომის №98 ოქმიდან.

მიაქციეთ ყურადღება: **რეპრესიების შეწყვეტის შესახებ დადგენილება მიღებულია დიდი სამამულო ომის დაწყებამდე ორი წლით ადრე, და არა ომის პირველ წლებში, როგორც ამის დამტკიცებას ცდილობს ზოგიერთი ისტორიკოსი და მწერალი პუბლიცისტი:** დასჭირდა სახელმწიფოს და სტალინი იძულებული გახდა, მიეღო ასეთი გადაწყვეტილება!

განსხვავებული დამოკიდებულება აქვს ამ საკითხისადმი **ისტორიკოსს, პროფესორ მიხაილ ოდინცევს,** რომელმაც 1943 წლის 4 სექტემბერს სტალინისა და რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის იერარქების შეხვედრის შესახებ საუბრისას გაზეთ „კულტურის" კორესპონდენტს სულ ახლახან განუცხადა, რომ ამ შეხვედრას საფუძვლად ედო **„სიღრმისეული ცვლილებები, რომლებიც იმ დროისთვის საბჭოთა ხელმძღვანელების შეგნებაში მოხდა. ლაპარაკია არა მხოლოდ სტალინზე, არამედ მოლოტოვზე — ამ პოლიტიკის „ტვინზე". იგივე შეიძლება ითქვას ბერიას შესახებაც, მიუხედავად დიდი ანტიპათიისა, რომელიც საზოგადოება ამ ადამიანის მიმართ აქვს... საყოველთაო პატრიოტიზმის აღმავლობის ტალღაზე ხელისუფლება დაფიქრდა იმაზეც, თუ რისი გაკეთება იყო აუცილებელი სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის გასაუმჯობესებლად.**

ცხადია, რომ ამის უკან პოლიტიკური პრაგმატიზმი იდგა, რადგან ყველა ხელისუფლება პრაგმატულია. მაგრამ რა იგულისხმება ამ პრაგმატიზმში? „შიშველი ამწუთიერი ტექნიკური ინტერესი" თუ იდეოლოგია?

ასეთი ცვლილების დამადასტურებელი დოკუმენტების მოძიება პრაქტიკულად შეუძლებელია მათი არარსებობის გამო. მაგრამ **ცვლილება ქვეშეცნეულ დონეზე რომ მოხდა, უეჭველია.** ცხადი გახდა, რომ **„სასწრაფოდ უნდა შეცვლილიყო სახელმწიფოს დამოკიდებულება ეკლესიისადმი, როგორც წამყვანი პატრიოტული ძალისადმი".**

## ცოდვების მონანიებისთვის

აი, ამ ცვლილების პრაქტიკული განსაზღვრისთვის აუცილებელი იყო, უწინარეს ყოვლისა, ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობათა სამართლებრივი ფორმის ნორმალიზება, რასაც საფუძველი ჩაუყარა, გადაუჭარბებლად, შეიძლება ითქვას, მოვლენითი ხასიათის ფაქტმა, რომელიც ზუსტად 70 წლის წინათ მოხდა და რომელიც პოლიტწვრილმანებით გატაცებულ თანამედროვე საზოგადოებრიობას ყურადღებიდან გამორჩა: **1943 წლის 4 სექტემბერს კრემლში ბელადისა და ღვთისმსახურთა შეხვედრის შემდეგ ლენინურ-ტროცკისტული დრაკონული ანტიეკლესიური კანონები იმდენად შერბილდა, რომ პრაქტიკულად ყველა აკრძალვა გაუქმდა: მორწმუნეებს თავისუფლად შეეძლოთ ღვთისმსახურებაში მონაწილეობის მიღება, საეკლესიო რიტუალების შესრულება. ამასთან ერთად, ნება დაერთოთ, საჯაროდ შეეგროვებინათ სახსრები ფრონტის საჭიროებისთვის, თავისუფლად ეურთიერთათ მრევლისა და თემების დონეზე, აღდგა მრავალი ეკლესია და ა.შ.**

ცნობილია, რომ ამ შეხვედრამდე ეკლესია არსებობდა მხოლოდ ცალკეული დარეგისტრირებული მრევლის დონეზე, მოსკოვის საპატრიარქოს იურიდიული სახე არ ჰქონდა.

**პროფესორი ოდინცევი** ადასტურებს: **„1943 წლის აგვისტოსთვის ერთიანი ცენტრალიზებული რელიგიური ორგანიზაცია „რუსული მართლმადიდებლური ეკლესია" სსრ კავშირში არ არსებობდა, თუმცა დე-ფაქტო მოქმედებდა. ამიტომ ამ შეხვედრის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა იყო სახელმწიფოს მიერ ფაქტობრივად არსებული, მაგრამ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ორგანიზაციის იურიდიული ცნობა: უმეტესი სამრევლო დახურულია, ბევრი ტაძარი აღგვილია პირისაგან მიწისა, ეპისკოპოსებისა და უბრალო მსახურების საკმაო რაოდენობა ან ციხეებშია, ან დახვრეტილია. და, სხვათა შორის, სინამდვილეს არ შეეფერება, როცა ამბობენ, რომ ამ შეხვედრის დროს სტალინმა რაღაცა თავს მოახვია ეკლესიას და „დააარსა" მოსკოვის საპატრიარქო. არსებობს სახელმწიფო უშიშროების პოლკოვნიკის კარპოვის წერილი, რომელშიც წვრილადაა აღწერილი შეხვედრის დეტალები და ხაზგასმულია, რომ გენერალურ მდივანს არქიეპისკოპოსებისთვის არაფერი დაუძალებია, არც არაფერი მოუხვევია თავს. პოლკოვნიკი ამ შეხვედრას ესწრებოდა და შემდეგ სათავეში ჩაუდგა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის საქმეთა საბჭოს".**

არქივის დოკუმენტებით ირკვევა, რომ მიტროპოლიტმა სერგიმ, რომელიც შემდგომში პატრიარქი გახდა, თხოვნით მიმართა კარპოვს 25 იერარქის ციხეებიდან გათავისუფლების შესახებ. მაგრამ 1943 წლის ბოლოსთვის მათგან ცოცხალი მხოლოდ რამდენიმეღა იყო დარჩენილი. ამიტომ ეკლესიას ფაქტობრივად თავიდან მოუხდა ეპისკოპატის შექმნა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ 20-იანი წლებიდან მოყოლებული, ეკლესია ეძებდა სამოქალაქო და ანტიეკლესიურად განწყობილ სახელმწიფოსთან შესაძლო ურთიერთობის ფორმებს. ეკლესიის ბრალი არ არის, რომ ეს ძიება ორ ათეულ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა.

ანალიტიკოსები დარწმუნებით აცხადებენ, რომ **ეკლესიის მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის შეცვლა გარკვეული აზრით მონანიებად შეიძლება შეფასდეს.**

**ეს მომენტი — ცოდვის მონანიება — არ უნდა იყოს უმნიშვნელო ფაქტი იოსებ სტალინის პოლიტიკური და ადამიანური პორტრეტის შეძლებისდაგვარად სრულყოფილად ჩამოსაყალიბებლად.**

▶

კანდიდატი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სოფლის მეურნეობა უნდა ავაღორძინოთ. პროდუქცია ქვეყნის გარეთ უნდა გავიტანოთ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები შეთანხმებულად უნდა მუშაობდნენ სოფლის მეურნობის განვითარებისთვის, რასაც დღეს ვერ ვხედავ. ასაღორძინებელია საქონლის შიდა გასაღების ბაზარი. ამას გარდა, ქვეყანაში აუცილებელია მთელი რიგი საგანმანათლებლო, სოციალური პროგრამების განხორციელება. აუცილებელია, ადამიანს ჰქონდეს დაზღვევის პოლისი, რომელიც მკურნალობას, სანახევროდ კი არა, სრულად დაუფინანსებს. თითოეულმა მოქალაქემ თავი დაცულად უნდა იგრძნოს.“**

## გიორგი ჩიხლაძე:

# მინდა, რაღაც სასარგებლო გავაკეთო ჩემი ქვეყნისთვის

**უცხოეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი გიორგი ჩიხლაძე დღეს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატია. ის ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვიეტნამსა და რუსეთში საკუთარ ბიზნესს ფლობს და საქართველოსთან დაკავშირებით სერიოზული ბიზნესგეგმის განხორციელებას აპირებს. თუ რატომ გადაწყვიტა წარმატებულმა ბიზნესმენმა საქართველოს პრეზიდენტობა და რა იქნება მისთვის პრიორიტეტული, პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი ჩიხლაძე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება.**



**— რა გეგმებით მოდის გიორგი ჩიხლაძე პოლიტიკაში და, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი, უპირველესად, რა უმთავრესი პრობლემების გადაჭრას აპირებს?**

— ნებისმიერ სფეროში აუცილებელია მთელი რიგი გრძელვადიანი პროგრამების განხორციელება. მე, როგორც ბიზნესმენმა, ნამდვილად ვიცი, ეკონომიკის ასაღორძინებლად რა უნდა გავაკეთო. ვფიქრობ, უპირველესად, საჭიროა ქვეყანაში ექსპორტის განვითარება. მონაცემებს თუ გადავხედავთ, დღეს იმპორტი 70%-ს შეადგენს, როცა ქვეყანას შეუძლია საკუთარი პროდუქციის ექსპორტი აწარმოოს. ჩემი მიზანია, ბიუჯეტის პროფიციტს მივაღწიოთ. წავიკითხე სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა, რომელიც არ მუშაობს. ვაუჩერები დაარიგეს და ამით დამთავრდა ყველაფერი. არადა, მთელი რიგი ღონისძიებებისა გასატარებელია. აუცილებელია მართებული საგადასახადო სისტემის ამოქმედება. ჩვენ ძალიან ლმობიერი საგადასახადო სისტემა გვაქვს, მაგრამ ბიზნესის სტიმულირებისთვის გარკვეული დათმობებია საჭირო. მაგალითად, ახლადშექმნილ საშუალო საწარმოს 1 წლის განმავლობაში გავათავისუფლებდი გადასახადებისგან.

**სოფლის მეურნეობა უნდა ავაღორძინოთ. პროდუქცია ქვეყნის გარეთ უნდა გავიტანოთ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები შეთანხმებულად უნდა მუშაობდნენ სოფლის მეურნობის განვითარებისთვის, რასაც დღეს ვერ ვხედავ. ასაღორძინებელია საქონლის შიდა გასაღების ბაზარი. ამას გარდა, ქვეყანაში აუცილებელია მთელი რიგი საგანმანათლებლო, სოციალური პროგრამების განხორციელება. აუცილებელია, ადამიანს ჰქონდეს დაზღვევის პოლისი, რომელიც მკურნალობას, სანახევროდ კი არა, სრულად დაუფინანსებს. თითოეულმა მოქალაქემ თავი დაცულად უნდა იგრძნოს. დღეს შეიძლება ბევრი პროგრამა არსებობს, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთი არ მუშაობს. არადა, ამ ყველაფრის განხორციელება შესაძლებელია.**

სიმართლეს გეტყვით: არ მაქვს პრეტენზია, ვიყო პრეზიდენტი, მაგრამ მინდა რაღაც სასარგებლო გავაკეთო ჩემი ქვეყნისთვის, მინდა ეკონომიკა განვითარდეს, მაგრამ ახლა არ მაქვს შესაბამისი ბერკეტები, რაც პრეზიდენტობის შემთხვევაში მექნება. მაგალითად, ისეთ ღირსეულ ადამიანს რომ მიელო მონაწილეობა არჩევნებში, როგორიც პაატა ბურჭულაძეა, მე უარს ვიტყოდი არჩევნებში მონაწილეობაზე. არ ვიცი, რატომ არიან ვილაცეები ბიძინა ივანიშვილის საქმიანობით უკმაყოფილონი. რაც მან შიდა ბრძოლების ფონზე ამ ერთი წლის განმავლობაში შეძლო, ამაზე არავინ ფიქრობს.

**— როგორი იქნება თქვენი საგარეოპოლიტიკური კურსი, თქვენ იცნობთ რუსებს, ამერიკელებს, როგორ დაარეგულირებთ მათთან ურთიერთობებს?**

**— ჩვენ გვაქვს ერთი ყველაზე დიდი პრობლემა — ტერიტორიული პრობლემა, რომლის გადაჭრაც უახლოესი 50 წლის მანძილზე თითქმის შეუძლებელია, მაგრამ გამორიცხული არ არის, უახლოეს 5 წელიწადშიც მოგვარდეს, ვინაიდან ეს მხოლოდ ხელისუფლებასა და ხალხზე არ არის დამოკიდებული. ეს დიდწილად დამოკიდებულია დიდი სახელმწიფოების პოლიტიკაზე. ეს პრობლემები მუდმივად საზოგადოების მსჯელობის საგანი უნდა იყოს და, სანამ არ მოგვარდება, არ უნდა დავივიწყოთ.**

**— 23 კანდიდატი იბრძვის საქართველოს პრეზიდენტობისთვის, ვის მიიჩნევთ ყველაზე ძლიერ კონკურენტად?**

— ვფიქრობ, 23 კანდიდატი ძალიან ბევრია. მე, მაგალითად, პარლამენტს შევთავაზებდი კონსტიტუციის შეცვლას და პრეზიდენტობის კანდიდატად მხოლოდ იმ კანდიდატის დარეგისტრებას, რომელიც ბიუჯეტში 200 ათას ლარს გადაიხდის და, თუ პირმა 2% მაინც ვერ მოაგროვა, აღარ დაუბრუნდეს ეს თანხა.

რაც შეეხებ კონკურენტებს, პრეზიდენტობის კანდიდატმა ლევან ჩაჩუამ მითხრა, ჩვენ ერთი საქმის გაკეთება გვინდა და ამიტომ კონკურენტები არ ვართო. აქედან გამომდინარე, ჩემი კონკურენტი არავინაა. მეტიც, მაქვს იდეა, პრეზიდენტობის კანდიდატების კლუბი ჩამოვაყალიბო. ზოგს აფხაზეთისა და ოსეთის დაბრუნების გეგმა აქვს, ზოგს — განათლების სისტემის დახვეწის და ა.შ. შევქმნათ კლუბი და ერთად დავიწყოთ ჩვენი პროგრამების განხორციელება. ეს ხალხი არჩევნების შემდეგ ისევ თავისი ვიწრო სპეციალიზაციით აგრძელებს საქმიანობას.

აღნიშნული იდეის შესახებ გელა სალუაშვილსა და ლევან ჩაჩუას ვესაუბრე. ნინო ბურჯანაძესთან, დავით ბაქრაძესთან და გიორგი მარგველაშვილთან შეხვედრა მსურდა, მაგრამ არ შემხვდნენ და მიზეზად მოუცლელობა დაასახელეს. მაგალითად, გიორგი მარგველაშვილს არ ვიცნობ, სურვილი მაქვს, გავესაუბრო, ხომ უნდა ვიცოდეთ, ვინ უნდა იყოს ჩვენი პრეზიდენტი?! როგორ შეიძლება დანიშნული პრეზიდენტი გვყავდეს?! ჩატარდეს დებატები და ხალხმა თითოეული ჩვენგანი გაიცნოს.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

### როგორ შეუშურდა ჰიტლერს სტალინის

ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს გაზეთ „კულტურისთვის“ (რომელიც ზემოთ ვახსენეთ) **მიხაილ ოდინცოვის** მიცემული ინტერვიუს ერთი ფრაგმენტი. კორესპონდენტი ეკითხება მეცნიერს, **შეიძლება თუ არა, რომ მართლმადიდებელი ადამიანი იყოს საბჭოთა პატრიოტი?**

ოდინცოვი უპასუხებს:

**„— „შეიძლება“ კი არა, ასეთები იყვნენ მართლმადიდებელი ადამიანები, რომლებიც საბჭოთა კავშირში ცხოვრობდნენ. თუმცა ჩვენ ისინიც გვახსოვს, ვინც თავისი მართლმადიდებლობის შესახებ აცხადებდა, მაგრამ დამპყრობთა მხარეს აღმოჩნდა და მრევლს მოუწოდა „საქმითა და სიტყვით“ ჩამდგარიყო ნაცისტების „ახალი წესრიგის“ სამსახურში. და მნიშვნელობა არ აქვს, როგორი ანტიკომუნისტური მიზნებით, შეხედულებებითა და ლოზუნგებით ამართლებდნენ ისინი თავიანთ გადაწყვეტილებას. საბჭოთა ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობისთვის, მათ შორის, მორწმუნეთათვისაც მთავარი სამშობლოს გადარჩენა იყო“.**

სამამულო ომის პერიოდზეა, რა თქმა უნდა, ლაპარაკი. და რახან სიტყვამ მოიტანა, ბარემ ისიც გავიხსენოთ, როგორ აფასებდნენ იმ პერიოდში ნაცისტების თავკაცები იოსებ სტალინს — მათს დაუძინებელ მტერს და წითელი არმიის უმაღლეს მთავარსარდალს.

დრო — 1943 წლის ზაფხული. კურსკის რკალზე გამანადგურებელმა დამარცხებამ ნდობის ღრმა კრიზისი წარმოქმნა ჰიტლერსა და მის მხედართმთავრებს შორის.

გერმანულმა გაზეთმა Die Welt-მა გამოაქვეყნა წერილი საინტერესო სათაურით: **„ჰიტლერი აღფრთოვანებული იყო გენერლებთან სტალინის დამოკიდებულებით“.**

**„ფიურერს არაერთხელ უთქვამს ჩემთვის, რომ ეზიზღება ჩვენი გენერალიტეტი... სტალინს ამ თვალსაზრისით კარგად აქვს საქმე — მან დროზე დაახვრეტინა თავისი გენერლები და ახლა არ შეუძლიათ, ხელი შეუშალონ“, — განაცხადა რაიხის პროპაგანდის მინისტრმა იოზეფ გებელსმა და ასე შეეცადა გაემართლებინა ნაცისტების ფიურერის გაცხარება კურსკის რკალზე განცდილი კრახის გამო, როცა ჰიტლერმა თავის სარდლებს „მორალური ხელმოცარულები“ უწოდა.“**

სტალინგრადთან კატასტროფის შემდეგ უმაღლესი ოფიცრობისთვის მიცემული თავისუფლად მანევრირების შესაძლებლობას ჰიტლერმა წერტილი დაუსვა და გადაწყვიტა, ომის წარმოების უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებები ამიერიდან თვითონ მიეღო.

**სტალინს შეედარა.**

განათლებულ მკითხველს აქ გაახსენდება კვესელავას „ასერგასის დღის“ მიხედვით რობიკო სტურუას დადგმული სპექტაკლის ერთი მიზანსცენა, როცა ჰიტლერი (რამაზ ჩხიკვაძე) სტალინის ძეგლს ეტოლება და შეხტება — ერთხელ, ორჯერ... ვერა და ვერ მისწვდება მას.

სახიერი მეტაფორაა.

დაიწყო ჰიტლერმა „დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების“ მიღება. ფინალი ცნობილია.

### სრულიად არაადეკვატური ფიურერი

Die Welt-ის პუბლიკაციაში განხილულია ჰიტლერის „მთავარსარდლობის“ შედეგად „მიღწეული“ დამარცხებების მთელი წყება და იმ ვითარებაში ამ სტრატეგოსის არაადეკვატური ქცევის ფაქტები. მაგალითად, მას შემდეგ, რაც კურსკის ბრძოლაში ჩართული ყველა რეზერვი, რაც კი აღმოსავლეთ ფრონტზე არსებობდა, ამოიწურა, ვერმახტის ხელმძღვანელობამ საბოლოოდ დაკარგა ჰიტლერის ბრძანებების, რომელთა განხორციელებაც თავისთავად წარმოუდგენელი იყო, ასე თუ ისე შესრულების შესაძლებლობა და დამარცხებები ერთმანეთს წაეწყო, „ჰიტლერი განმარტოვდებოდა თავის რეზიდენცია ბერგხოფში ან აღმოსავლეთ პრუსიის შტაბ-ბინაში. აქ მის ირგვლივ ტრიალებდნენ გენერლები ვილჰელმ კეიტელი და ალფრედ იოდლი, რომელთა ამოცანა იყო, ერთის მხრივ, ფრონტიდან მიღებული არასასიამოვნო ამბების ფიურერისთვის დამალვა, მეორე მხრივ, ომის გაგრძელებაზე მისი ქიმერების მოსმენა იყო“.

ან კიდევ:

**„ნდობის სრული დაკარგვიდან დასკვნების გამოტანას, რაც მოკავშირეთა მიერ დაბომბვის შედეგად ჰამბურგისა და კიოლნის განადგურების მიზეზი გახდა, ჰიტლერმა ამჯობინა რასტენბურგის თავის შტაბში ომის დასაწყისის ქრონიკის ცქერა, როცა გერმანელთა შეტევის შემდეგ ცეცხლი ეკიდა ვარშავასა და ლონდონს...**

**ომი, რომელიც ჰიტლერმა აღმოსავლეთში გააჩაღა, „მისი“ ომი იყო — განადგურების იდეოლოგიური ომი. მის წინაშე კომუნიზმის ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა... საბჭოთა ჯარისკაცების ზურგს უკან ჰიტლერს „ებრაელების სალიკვიდაციო ბრიგადები“ ელანდებოდა... ფიურერი ხედავდა უკანასკნელი ბრძოლის აპოკალიფსურ სურათს: ხალხი, რომელსაც არ შეუძლია ომში გამარჯვება, უნდა დაიღუპოს“.**

შეადარეთ ფიურერის ეს ნაბოდვარი ხილვები სტალინის დებულებას — **„ჰიტლერები მოდიან და მიდიან, გერმანელი ხალხი, გერმანული სახელმწიფო კი რჩება“.** გამარჯვებული უმაღლესი მთავარსარდლის ბეჭედდასმული სიტყვა!

**P.S. საოცარია: ამასწინათ გერმანულმა ავიაკომპანია „ლიუფტჰანზამ“ თავისი ახალი ავიალაინერისთვის სახელის შერჩევისთვის ინტერნეტ-გამოკითხვა მოაწყო. მონაწილეთა უდიდესმა უმრავლესობამ უპირატესობა მიანიჭა სახელწოდებას „სტალინგრადი“.**

**გერმანელებმა სტალინგრადი აირჩიეს!**

**ქართველმა მინისტრმა კი უარყო სტალინი.**

**არმაზ სანებლიძე**

## კომუნალური გადასახადების ვაუჩერების დარიცხვა ნოემბრიდან განახლდება

**თბილისელებისთვის კომუნალური გადასახადების ვაუჩერების დარიცხვა ნოემბრიდან განახლდება. მათ ნოემბერსა და დეკემბერში ელექტრონერგიის, წყლისა და დასუფთავების გადასახადის დასაფარად 20-20 ლარი დაერიცხებათ.** „ენერგომატარებლების ვაუჩერებისთვის წლევანდელ ბიუჯეტში თითოეულ აბონენტზე გამოყოფილი იყო ასი ლარი. ჩვენ ეს თანხა ლოგიკურად გადავანაწილეთ ხუთ თვეზე. იანვარში, თებერვალსა და მარტში ყველა აბონენტს დაერიცხა 20 ლარი. დამატებით, ნოემბერსა და დეკემბერში ყველა აბონენტს დაერიცხება 20-20 ლარი. ეს თანხა ნოემბერში აღნიშნული იქნება მათ ქვითრებზე. ეს 20 ლარი ნაწილდება კომუნალური მოხმარების სამ კომპონენტზე — ელექტრონერგიასა და დასუფთავებაზე — 8.15 ლარი, ხოლო წყალზე — 3.15 ლარი,“ — განაცხადა დედაქალაქის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა მამუკა ქაცარავამ. სოციალურად დაუცველ ოჯახებს დამატებით 50 ლარი დაერიცხებათ.

პირველად იყო სიტყვა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დრამატული მოვლენები, რომლებიც სირიაში ვითარდება, მოწმობს — საშიშროება, რომელიც თანამედროვე მსოფლიოს ემუქრება, მომდინარეობს სამართლისა და მსოფლიო წესრიგის ფუნდამენტური პრინციპების უგულებელყოფიდან, რომელსაც ევროპაში ჩაეყარა საფუძველი.**



# СЕРГЕЙ НАРЫШКИН ПОКАЗАЛ ПАСЕ, ГДЕ РАКИ ЗИМУЮТ

**„საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებს უთუოდ დააინტერესებთ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სპიკერ სერგეი ნარიშკინის გამოსვლა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის საშემოდგომო სესიაზე, რადგან იმ პრობლემებს ეხება, რომლებიც ჩვენი საზოგადოებრიობის განსჯა-განხილვის საგანიც არის. დავაზუსტოთ: სპიკერის სიტყვის საგაზეთო ვარიანტი მცირედ შემოკლებულია. თარგმანი არაოფიციალურია.**

ბატონმა ნარიშკინმა განაცხადა, რომ მისი გამოსვლა ეუთოს სესიაზე, სხვა მიზეზებთან ერთად, ნაკარნახევია საპარლამენტო ღრმა მონიტორინგის გაუმჯობესების, საპარლამენტო საქმიანობაში არეულობისა და დაყოფა-დანაწევრების (რაც შეიმჩნევა), დალაგების სურვილით. ეს აუცილებელი ხდება იმის გათვალისწინებით, რომ პასუხისმგებლობის დონე, რომელიც ევროპის ქვეყნების პარლამენტებს აკისრია, უსწრაფესად იზრდება და დღეს უპრეცედენტოდ მაღალია. ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ **დრამატული მოვლენები, რომლებიც სირიაში ვითარდება, მოწმობს — საშიშროება, რომელიც თანამედროვე მსოფლიოს ემუქრება, მომდინარეობს სამართლისა და მსოფლიო წესრიგის ფუნდამენტური პრინციპების უგულებელყოფიდან, რომელსაც ევროპაში ჩაეყარა საფუძველი.** ამ შემთხვევაში განზე გადგომა, მისი აზრით, ნეგატიურად აისახება თავად ევროპის ქვეყნებზე. მან მოიშველია ორი მსოფლიო ომის მაგალითი, როცა განზე გადგომასა და უინიციატივობას შედეგად მოჰყვა მილიონობით ადამიანის დაღუპვა. ამ ისტორიულ შტრიხს მან დაუპირისპირა დიდი ბრიტანეთის პარლამენტის გადაწყვეტილება, რომელმაც ახლახან უარი უთხრა თავის მთავრობას, მონაწილეობა მიეღო სირიის დაბომბვაში.

„სირიის საკითხის მოგვარების თაობაზე რუსეთის პრეზიდენტის ინიციატივამ, — **განაგრძო ნარიშკინმა,** — ფართო მხარდაჭერა ჰპოვა... ამაში თავისი როლი ითამაშა ევროპის საუკუნეობრივმა ერთგულებამ ჰუმანიტარული ფასეულობებისადმი, რომელთაც ეფუძნება მისი დღევანდელი სამართალი და განვითარების პრინციპები.

თქვენ შეგიძლიათ მკითხოთ, რატომ ვამბობ ახლა ამის შესახებ? ვამბობ თუნდაც იმიტომ, რომ **დღეს მეორე მსოფლიო ომის მოვლენებსაც კი ივიწყებენ და მისი გაკვეთილების რეტუშირებას ცდილობენ, ამახინჯებენ XX საუკუნის ყველაზე უფრო საშინელი ტრაგედიის არსსა და მიზეზებს. ნაცისტებმა, რომლებმაც მაშინ თავიანთი განსაკუთრებულობისა და უპირატესობის შესახებ განაცხადეს, ცინიკურად დაადგინეს ევროპის ხალხების ტოტალური განადგურების თანმიმდევრობა. უკიდურესად საშიში ამ იდეოლოგიის გავრცელების მიმართ გულგრილობა საბოლოო ჯამში მთელ მსოფლიოს ძვირად დაუჯდა.** ამასთან დაკავშირებით მხოლოდ ერთ ციტატას მოვიშველიებ: **„გულგრილობა შეიძლება მიმზიდველად მოგეჩვენოთ, უფრო მეტიც, — მაცდუნებლადაც, მაგრამ ტანჯვისადმი გულგრილი დამოკიდებულება ადამიანს არაადამიანად აქცევს და აგრესორის სასარგებლოდ მუშაობს“, — სამართლიანად შენიშნავს მწერალი, ჰუმანისტი, ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი ელი ვიზელი.**

გაისად შესრულდება 100 წელი პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან, რომელმაც უმძიმესი შედეგები მოუტანა მთელ ევროპას, ჩემს ქვეყანაში კი გამოიწვია ქაოსი, პირველად შექმნილი დემოკრატიული პარლამენტის დაშლა, 1917 წლის რევოლუციების მოვლენები და სამოქალაქო ომი.

ამასთან, ის აგრესია, რომელსაც საკადრისად არ მიეზღო, გაინაბა, გაყუჩდა და ორი ათეული წლის შემდეგ რევანში აიღო, რასაც ახალი, უკვე მსოფლიო ხანძარი და, ვიმეორებ, ათობით მილიონი მსხვერპლი მოჰყვა. ნაციზმის დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ დაიგმო ნიუნბერგში, საერთაშორისო ტრიბუნალის გადაწყვეტილებები ყავლგაუსვლელი ხასიათისაა. მაგრამ ამას რატომღაც ივიწყებს ზოგიერთი თანამედროვე პოლიტიკოსი, როგორც იმას, რომ **ორივე მსოფლიო ომი გაჩაღდა იმათი ჩუმი თანხმობით, ვისაც გარკვეულ დრომდე არ შეეხო ის ბოროტება, რომელმაც თავისუფლება და ადამიანების სიცოცხლე წაართვა სხვა ქვეყნებს...** ისტორიული სიმართლის დაცვა ჩვენი საერთო ამოცანა უნდა გახდეს, როგორც ეროვნული საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე ევროპის ახალგაზრდული პოლიტიკის ჩარჩოებში.

ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ, **შემოღებულ იქნას ნიუნბერგის პროცესის დოკუმენტების სწავლება არამარტო უნივერსიტეტებში, არამედ სკოლებშიც. მისი მასალები ხელმისაწვდომი უნდა გავხადოთ ევროპის ყველა ხალხის ენაზე, ამასთან, მოვათავსოთ ევროკავშირის, ეუთოს, გაეროსა და სხვა საერთაშორისო გაერთიანებების ვებსაიტებზე.**

...მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ადამიანები დიდი ყურადღებით თვალს ადევნებენ ევროპაში მიმდინარე მოვლენებს, მის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ პროცესებს, ჩვენს პარლამენტებში მიმდინარე დებატებსაც მათ შორის... ამ დარბაზში მყოფთ კარგად მოეხსენებათ, რომ მორალის გარეშე არ არის და არც შეიძლება არსებობდეს ჭეშმარიტი სამართალი. ჩვენ არ გვაქვს უფლება, თვალი დავხუჭოთ იმაზე, თუ როგორ ირღვევა სამართლებრივი, მით უფრო, მორალური ნორმები.

სწორედ ამიტომ ჯერ კიდევ სექტემბრის დასაწყისში რუსეთის პარლამენტარებმა პირველად და ერთადერთებმა გადაწყვიტეს, შეხვედროდნენ ამერიკელ კოლეგებს, რათა განეხილათ სირიის გარშემო შექმნილი სიტუაცია. მაგრამ ჩვენ, როგორც იცით, უარი გვითხრეს. როგორც ჩანს, იქ საკითხებს წყვეტენ სხვათა არგუმენტების მოსმენის გარეშე. პირდაპირ გეტყვით: ეს არის პარლამენტების პრაქტიკაში უპრეცედენტო შემთხვევა.

ამასთან, დარწმუნებული ვარ, რომ **დღევანდელ მსოფლიოში საპარლამენტო დიპლომატიის როლი მხოლოდ იზრდება და სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ხოლო წარმომადგენლობითი დიპლომატია, რომელიც ევროპაში ათასწლეულების წინ გაჩნდა, გამოცდილ და აუცილებელ ინსტიტუტად რჩება არამარტო თანამედროვე სახელმწიფოებისთვის, არამედ მსოფლიოს მიერ ტანჯვით ნაშობ უსაფრთხოების არქიტექტურისთვისაც.**

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ XX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპული ერთობის საერთო პასუხისმგებლობის გრძნობა არნახულად ამაღლდა. და სწორედ ამიტომ გახდა შესაძლებელი 1945 წელს, შექმნილიყო გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ოთხი წლის შემდეგ კი — ევროსაბჭო და მისი საპარლამენტო ასამბლეა. დარწმუნებული ვარ, რომ დღესაც, სტრასბურგის ორგანიზაციის ეგიდით შეიძლება და უნდა შევძლოთ კიდეც მსოფლიოსა და კონტინენტისთვის ყველაზე უფრო რთული, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარება.

მათი მიჩუმათება შეუძლებელია...

**კრიტიკა ჩვენი და ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს მიმართ გარდაუვალია. ჩვენს ეროვნულ პარლამენტებში უარესსაც გაიგონებთ, მაგრამ აკვიატებულობამ შეიძლება გააუფასუროს ნებისმიერი კონსტრუქციული გადაწყვეტილება.**

**ასეთი განწყობილება გეუფლება მაშინ, როცა ცდილობენ, სულ ახალი და ახალი ვალდებულებები თავს მოახვიონ რუსეთს...“**

ე. წ. ახალი დემოკრატიის ქვეყნების მონიტორინგის დღევანდელი ფორმა, ორატორის აზრით, მოძველდა. პრეტენზიები ქვეყნების ერთ ნაწილს მუდმივად წარედგინება, მეორეს — არასოდეს. ეს კი, ნარიშკინის აზრით, სხვა არაფერია, თუ არა **პოლიტიკური დისკრიმინაცია.**

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სპიკერმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება იმ გამოწვევებზე, რომლებიც კანონმდებლების წინაშე დგას.

მათ შორის პირველია თანამედროვე მსოფლიოში კანონისა და სამართლის საერთო მდგომარეობა, როცა პოლიტიკა იურიდიულ საკითხებში ერევა.

„იგივე, — **განაგრძო ნარიშკინმა,** — ითქმის საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებზე. მათი შექმნისთვის ყველას ნების გაერთიანებაა საჭირო, დარღვევას კი მხოლოდ რამდენიმეს ძალისხმევა ჰყოფნის. ევროსაბჭოს, რომელსაც უნიკალური სამართლებრივი ბაზა გააჩნია, შეუძლია აქ თავისი წონადი სიტყვა თქვას.

შემდეგ. ჩვენ ვიცით, რომ თანამედროვე კანონშემოქმედებითი პროცესი არ შეიძლება დახურულ კარს მიღმა წარიმართოს, მასში მონაწილეობა, დიდი ხანია, აღარ არის რჩეულთა ხვედრი. საზოგადოებას სურს, თავისი თვალით იხილოს მთელი ეს პროცესი და მუდმივ კონტაქტში იმყოფებოდეს კანონმდებლებთან, რომლებიც სამართლებრივ ნოვაციებს განიხილავენ... **ორმხრივი კავშირის უქონლობას მივყავართ სასამართლოების გადაწყვეტილებების სამართლიანობასა და ლეგიტიმურობაში დაეჭვებამდე...**

ზოგიერთი ინტერნეტრესურსის მეშვეობით... **კვლავ ცდილობენ, ჩაუნერგონ ადამიანებს მათი ინდივიდუალური თავისუფლებათა აბსოლუტური ხასიათი ყოველგვარი სამართლებრივი მოვალეობის აბსოლუტური არქონის პირობებში. არადა, ჯერ კიდევ ვოლტერი გვაფრთხილებდა, რომ „ჭეშმარიტი თავისუფლება არის ის, როცა დამოკიდებული ხარ კანონზე“.**

ორატორმა შემდეგ აქტუალურ თემად მიიჩნია **ახალი კომუნიკაციების სერიოზული გავლენა პოლიტიკურ დღის წესრიგზე.** ძალას იკრებს ჯერ კიდევ ვირტუალური სამყარო, რომელსაც უკვე აქვს საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენის თავისი ტექნოლოგიები, არ ცნობს ეროვნულ საზღვრებს. **„ზოგიერთები მიიჩნევენ, რომ ინტერნეტის ეპოქის დადგომა კლასიკური პარლამენტარიზმის დაისს ნიშნავს, რადგან სოციალური ქსელები თითქოს უკვე იქცა ხალხის ხმად. არ ვდავობ, მათი გავლენა უდიდესია, მაგრამ ასეთ მომენტებში პარლამენტის როლი და პასუხისმგებლობა მხოლოდ იზრდება. ასე იქნება, ვფიქრობ, მანამდე, სანამ ახალი ელექტრონული დემოკრატია და მისი პროცედურები უნაკლო სამართლებრივ ფორმას არ შეიძენს, სანამ მრავალწლიან შემოწმებას არ გაივლის და გარანტირებული იქნება შეცდომების დაუშვებლობისგან, რაც შეიძლება ძვირად დაუჯდეს მომავალ თაობებს.**

ამასთან, **გაზრდილ სამოქალაქო აქტივობაში საშიშროება კი არ უნდა დავინახოთ, არამედ ახალი, დემოკრატიის გაზრდის ჯერ კიდევ გამოუყენებელი შესაძლებლობები.** და რადგან ინტერნეტით ყველაზე უფრო აქტიურად ახალგაზრდობა სარგებლობს, ეს ტექნოლოგიები საშუალებას გვაძლევს, პირდაპირი კავშირი ვიქონიოთ მასთან და რეაგირება მოვახდინოთ უახლეს მოთხოვნილებებზე“.

მეოთხე პრობლემა აქტუალურ დღის წესრიგზე კონცენტრირდება. ნარიშკინმა ასეთად მიიჩნია **მოქალაქეობრიობის მასობრივი არქონა,** რაც ბევრს არადემოკრატიულად აღარც კი მიაჩნია. სხვა გამოწვევებია ტერორიზმი და საერთაშორისო კონფლიქტები, ნარკოტრაფიკი და ტრანსსასაზღვრო დამნაშავეობა, ადამიანების ორგანოებით ვაჭრობა, ნეონაციზმი.

მეხუთე თემად ბატონმა ნარიშკინმა დაასახელა **პარლამენტთაშორისი ურთიერთობის აშკარად არასაკმარისი ხარისხი,** რადგან ამ კონტაქტებს არა მხოლოდ ახალი ფორმატით სჭირდება გამდიდრება, არამედ — უფრო ღრმა სტრატეგიული შინაარსით. მათ შორის, ამოცანების ტრიადით — **კანონის უმაღლესობა, ადამიანის უფლებები და დემოკრატიის განვითარება,** რაც გადაჯაჭვულია განვითარების სხვა პრიორიტეტებთან.

მან მხარი დაუჭირა ევროპარლამენტის რეორგანიზაციის იდეას.

სახელმწიფო სათათბიროს სპიკერმა დეტალურად გააანალიზა უცხოელი კოლეგებისთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით რუსეთის პოზიცია. მათ შორის, არაკომერციული ორგანიზაციების შესახებ კანონში ცვლილებების თაობაზე, ანუ ე. წ. უცხოელი აგენტების შესახებ, ისაუბრა მიმდინარე დისკუსიაზე ტერმინის — **„პოლიტიკური საქმიანობა“** — გაგების თაობაზე, რუსეთის კანონმდებლობაზე მიტინგებისა და სხვა მასობრივი ღონისძიებების, ინტერნეტსაიტების შავი სიების შესახებ და ა. შ.

„კიდევ ერთი კანონი, რომელსაც ხშირად თავს ესხმიან უცხოეთში, არის **პასუხისმგებლობის დაწესება არასრულწლოვანთა შორის არატრადიციულ სექსუალურ ურთიერთობათა პროპაგანდაზე.** ბევრი კომენტატორი, შეგნებულად თუ შეუგნებლად, უყურადღებოდ ტოვებს სიტყვებს „პროპაგანდა არასრულწლოვანთა შორის“, რითაც იმთავითვე ამახინჯებენ ამ კანონის შინაარსსაც და მისი მიღების მოტივებსაც. გამოთქმული იყო შიში იმისა, რომ იგი გახდება სექსუალურ უმცირესობათა დისკრიმინაციის იარაღი, მაგრამ მე მას არ ვიზიარებ და არამარტო იმიტომ, რომ არ არის კონკრეტული მაგალითები. **ნებისმიერი არატრადიციული ორიენტაციის პირებს არავითარი შეზღუდვა არ აქვთ არც სამუშაოზე, არც სასწავლებელში, არც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისინი თავიანთ ცხოვრებას აშენებენ მშვიდად, თავიანთივე მიდრეკილებების თანახმად. მაგრამ ბავშვებს, სანამ სრულწლოვანები გახდებიან, არაფერი თავს არ უნდა მოვახვიოთ, მით უფრო, არ ინდა გავუწიოთ პროპაგანდა.**

დაბოლოს, რაზეც შევჩერდები, ეს არის **კანონი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესების შესახებ...** დემოკრატიული სახელმწიფოსგან ბევრი მოქალაქე ელოდება რწმენის თავისუფლების არა მარტო აღიარებას, არამედ რეალურად დაცვას. **გეკითხებით, კანონის წინაშე ყველას თანასწორობა განა არ არის საერთოევროპული ღირებულება? ან იქნებ სხვა სახელმწიფოებში ცოტანი არიან მორწმუნე ადამიანები და ისინი არ აღშფოთდებიან, როცა შეურაცხყოფენ მათ სარწმუნოებას, წაბილწავენ მათ ტაძრებს, მოხერხავენ ქრისტიანულ და მართლმადიდებლურ ჯვრებს, ფეხქვეშ გათელავენ ფუძემდებლურ უფლებებსა და ფასეულობებს?** დაუშვებლად მიმაჩნია ზოგიერთი ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლა სხვათა უფლებების იგნორირების ფონზე, თუნდაც მაშინ, როცა პირველნი ზედმეტად აქტიურები და აგრესიულები არიან, სხვები კი ხმას არ იღებენ. სამართლებრივ სახელმწიფოში და ცივილიზებულ საზოგადოებაში ასე არ უნდა იყოს.

დავუმატებ. ჩვენ ძალიან ვაფასებთ, რომ ჩვენს საპარლამენტო ასამბლეას შეაქვს წონადი წვლილი კულტურათშორისი დიალოგისა და მისი რელიგიური განზომილების განვითარებაში...

**შავსა და თეთრს შორის უამრავი ელფერია, მთელი პალიტრაა, მაგრამ შავი ყოველთვის შავად რჩება, თეთრი — თეთრად. ეს არის, როგორც სიკეთე და ბოროტება — ორი ზნეობრივი ფასეულობა, თუმცა ადამიანებმა ყოველთვის იციან, სად არის პირველი და სადაა მეორე“.**

**მშობლიური ქართული ენის აბუჩად აგდება და დაკნინება მტრობაა, აბა, რა ჯანდაბაა. მშობლიურ გრძნობას რომ თავი დავანებოთ, ქართული ენა საქართველოს სახელმწიფო ენაა და „მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნის". ქვეყნის მტრობა კი, თუ ის შინაურის ჩადენილია, ღალატია და მოღალატეს უმძიმესი სასჯელი ელის ნებისმიერი ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ხოლო ზნეობრივი სასჯელი უფრო მძიმეა, თაობიდან თაობაზე გადადის. ყორღანაშვილებისა და ბერბიჭაშვილების შთამომავლებს ახლაც რცხვენიათ თავიანთი პაპის პაპის პაპის ღალატის გამო.**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მტრის შეყვარება ღალატია!

**კერძო კაცისა თუ სახელმწიფოს წარმატება და კეთილდღეობა იმაზეა დამოკიდებული, რამდენად დროულად და სწორად გამოიცნობს იგი მტერ-მოყვარეს, მერე კი იმასაც შეძლებს, მტერს მტრულად დახვდეს და მოყვარეს — მოყვრულად. საუკუნეთა ქარტეხილებში ბევრი სახელმწიფო აღიგავა პირისაგან მიწისა, მათ შორის ისეთნიც, ძალითა და ენერგიით სამაგალითოდ რომ მიაჩნდათ მაშინ. მტერ-მოყვარე ვერ გამოიცნეს დროზე და ამიტომ მიიბარა ისტორიულმა მეხსიერებამ ისინი.**

არსებობა თუ გვინდა, წინაპართა არც ის შეგონება უნდა დაგვავიწყდეს, რომ „მტერი, მოყვრულად მოსული, მტერზედაც უარესია". უარესი იმიტომ არის, რომ ვიდრე ამ „მოყვრულად მოსულში" მის ნამდვილ სახეს დაინახავ, ამასობაში ის თავის შავბნელ საქმეს სანახევროდ მაინც გააკეთებს და მერე სდიე კუდში და იდაყვზე იკბინე, თუ გინდა, წამხდარ საქმეს რაღას უშველი.

ამას რომ ვამბობ, რომ ზოგიერთ ჭეშმარიტებას საჭიროებისამებრ ხშირ-ხშირად თუ შევახსენებდეთ ერთმანეთს, კარგი იქნებოდა.

სწორედ ამის საჭიროებაა დღეს ჩვენში, როცა **მარცხნიდან და მარჯვნიდან ძლიერნი ამა სოფლისანი დღენიადაგ ჩაგვჩიჩინებენ, — კოჰაბიტაციის რეჟიმში იცხოვრეთ, ანუ ავს ავი არ უწოდოთო. მაშინ კარგს რა დავარქვაო, თუ იკითხე, შეგაჩვენებენ: შემწყარებელი, ანუ ტოლერანტული(!) არ ხარო, „ევროპულ ღირებულებებს" არ აღიარებ და შენ გამო ნატოში არ მიგვიღებენო.** ასეთ „ცოდვას" რომ აგკიდებენ, ავისა და კარგის გარჩევაზე ხელს აიღებ, აბა, რას იზამ!

სწორედ ახლა უნდა გავიხსენოთ ჩვენ და შევახსენოთ კოჰაბიტაციის ადეპტებს, რას ნიშნავს მოყვარე და რას — მტერი.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს დავიმოწმებ:

**„მოყვარე — ახლობელი, კეთილის მდომი, მოკეთე";**

**„მტერი — ვინმესთვის ავის მდომი, ავის მოქმედი, მოსისხლე".**

მინდა, თვალებში შევხედო და ვკითხო კოჰაბიტაციონერებს: თქვე სახელმწიფო მოღვაწეებო, იმას გვირჩევთ, რომ კეთილის მდომს, მოკეთესა და ავის მოსურნეს, მოსისხლეს ერთნაირად მოვექცეთ? იქნებ იმ ხალხთან გვირჩევთ მეგობრულ თანაცხოვრებას, რომლებსაც არაფერი დაუშავებიათ და მხოლოდ შეცდნენ? არა! დამნაშავეები რომ არიან, ამას თვითონ ჩვენი მთავარი კოჰაბიტაციონერიც აღიარებს, მაგრამ გვირჩევს: დააშავეს, მაგრამ მაინც ჩვენები არიან, ქართველები და მტრად ნუ მივიჩნევთო.

არ არის ეს დარიგება მართებული და სასარგებლო. **მტერ-მოყვარე გვარისა და წარმომავლობის მიხედვით კი არ უნდა განასხვაო, არამედ საქმითა და საქციელით. გერმანელი არტურ ლაისტი და ინგლისელი მარჯორი უორდროპი საქართველოს მეგობრები იყვნენ, ქართველი ყორღანაშვილი კი — მტერი და მტრულადაც მოექცა მას პატრიოტი ქართველი საჩინო ბარათაშვილი: ქარაფზე გადაჩეხა და ყვავ-ყორნებს მიუგდო საჯიჯგნად. ასე უნდა მოექცე მტერს, რა გვარისა და ჯიშისაც უნდა იყოს იგი.**

ახლა იმათი „შეცდომები" გავსინჯოთ, ვისთანაც კოჰაბიტაციურ ჩახუტებას გვთხოვენ ოკეანისგაღმელი თუ აქაური უფროსები (ყველაფერს ვინ ჩამოთვლის, მე მხოლოდ ზოგიერთს გავიხსენებ!)...

მოვიდნენ თუ არა ხელისუფლებაში, დაიწყეს სამსახურებიდან ოცდაათ წელს გადაცილებული ადამიანების გამოყრა იმ მარტივი მიზეზით, რომ ისინი საბჭოთა კავშირში დაიბადნენ, ხოლო გადამწყვეტი უპირატესობა მიენიჭათ იმათ, ვინც 1991 წლის შემდეგ იყო დაბადებული. უცხოელმა „დამრიგებლებმა" ურჩიეს, ალბათ, „ვარდების რევოლუციით" მოყვანილ პოლიტიკურ ბოსებს, საბჭოურ მენტალიტეტს სხვაგვარად ვერ აღმოფხვრითო. შედეგად მივიღეთ ის, რომ **ქვეყნის მართვის სადავეები უწვერულმა „უზნეო ბავშვებმა" ჩაიგდეს ხელში და აგვიხდინეს ჩინური წყევლა: თქვენს ქვეყანას მართავდნენ უასაკონიო.**

ვისაც ქვეყანა უყვარს და ჭკუა მოეკითხება, დღენიადაგ შეჰღაღადებდნენ „ნაცების" ხელისუფლებს, რომ არ შეიძლებოდა იმის გაკეთება, რასაც აკეთებდნენ, მაგრამ ვინ უსმენდა მათ? მაკკეინი და ძმანი მისნი იყვნენ მათი პატრონებიც და მოძღვრებიც (სხვათა შორის, ერთმა „ნაცმა" მინისტრმა თავის სამსახურებრივ მანქანას სანომრე ნიშნები მოხსნა და მაკკეინის გვარი მიაწერა. დაუშლიდა ვინმე, თუ?). მათმა რეკომენდაციებმა ის შედეგი გამოიღო, როგორც ამერიკულმა სიმინდის თესლმა, რომელსაც ნახევარმეტრიანი 5-7 ტარო უნდა გამოეღო და შვიდი მარცვალიც ვერ მისცა მოტყუებულ ქართველ გლეხებს. ის, რაც ოჰაიოსა თუ არიზონას შტატში ვარგა, საგარეჯოსა და აბაშაში ვერ იხეირებს!

არ არის ეს ქვეყნის მტრობა?

**გაპარტახებული ეკონომიკის მქონე ქვეყნიდან უცხოეთში რომ გააქციეს მილიონნახევარი ქართველი, თემურლენგსა და შაჰ-აბასს მეტი ბოროტება კი არ ჩაუდენიათ საქართველოს მიმართ.**

**მტერია ამის მქნელი, მტერი! რა გვარისა და წარმომავლობისაც უნდა იყოს, ის ჩვენიანი არ არის!**

**რა კოჰაბიტაცია, რისი შენდობა! მტერი, ვიდრე იარაღს არ დაყრის და არ მოინანიებს, მანამდე თუ შეიწყალე, მაშინ შენ უნდა დაყარო იარაღი და კისერი მიუშვირო მის მოქნეულ ხმალს. ამას გვირჩევენ „ცივილიზებული" და „ტოლერანტული" დასავლელი „მეგობრები"? მაშინ თვითონ მოგვცენ ამის მაგალითი!** ისეთი მაგალითი კი არა, ბელგრადი რომ დაბომბეს, რატომ წითელ კოჭს არ უგორებთ კოსოვოელ სეპარატისტებსო, ან პატარა სირიას რომ ემუქრებიან დი-დიდი ნატოელები, — იმას დაგმართებთ, რაც ლიბიას, ეგვიპტესა და ერაყსო.

იქნებ ის არ არის მტრობა, ჩვენი სახელით და ვითომ ქვეყნისთვის თორმეტი მილიარდი სესხად რომ აიღეს და თავიანთ გაუმაძღარ სტომაქში გადაუძახეს, ვალის გადახდა კი ჩვენ და ჩვენს შვილებს აჰკიდეს.

**მშობლიური ქართული ენის აბუჩად აგდება და დაკნინება მტრობაა, აბა, რა ჯანდაბაა. მშობლიურ გრძნობას რომ თავი დავანებოთ, ქართული ენა საქართველოს სახელმწიფო ენაა და „მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნის". ქვეყნის მტრობა კი, თუ ის შინაურის ჩადენილია, ღალატია და მოღალატეს უმძიმესი სასჯელი ელის ნებისმიერი ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ხოლო ზნეობრივი სასჯელი უფრო მძიმეა, თაობიდან თაობაზე გადადის. ყორღანაშვილებისა და ბერბიჭაშვილების შთამომავლებს ახლაც რცხვენიათ თავიანთი პაპის პაპის პაპის ღალატის გამო.**

ინგლისური თუ არ იცი, წარმატებული ვერ იქნებიო, — ბრძანა „ნაცების" ერთმა ბოსმა და დაიწყო... ნებისმიერ სამსახურში კადრების შერჩევისას ინგლისურის ცოდნა უპირველეს მოთხოვნად იქცა. ქართული ენა იცი თუ არა, ამას არავინ კითხულობს. ქართული ტელევიზიების ჟურნალისტებსაც კი აღარ სთხოვენ ქართულის ცოდნას, რაც კარგად ეტყობა მათ გადაცემებს.

**ქართული ენის მცოდნე და ქვეყნის მოყვრები სამსახურებიდან დაითხოვეს, ქართული ენის უცოდინარები და ქვეყნის მტრები კი გალაღდნენ..**

ამის ჩამდენები არიან ჩვენი მოყვარე თანამოძმენი? არა! თავიანთი გულითა და შეგნებით ესენი არც ქართველები არიან. რა ქართველები არიან, როდესაც მათ იმ უდიდესი ქართველის ხსნება აკრძალეს, რომელსაც ნახევარი მსოფლიო მოწიწებით ფეხზე უდგებოდა, და ქალაქის ცენტრში, ყარაჩოღელების უბანში ამერიკელი რეიგანის ძეგლი დაასკუპეს, ერთ-ერთ გამოსაჩენ მაგისტრალს კი აშშ-ის ოდიოზური პრეზიდენტის — ჯორჯ ბუშის სახელი უწოდეს.



**ქართული საზოგადოება აშკარად გაყოფილია ქვეყნის, ერის მოყვრებად და მტრებად. კიდევ უფრო სამწუხარო ის არის, რომ ამის საჯაროდ გამხელას კეთროვანივით ერიდებიან ჩვენში**

**რა ძმობა და მოყვრობა უნდა გვქონდეს ამ გაგებისა და მიზნების ადამიანებთან? ვისაც საქართველო უყვარს და სამშობლოდ მიაჩნია, ის ხალხი მტრად უნდა მიიჩნიოს და მტერს მტრულად მოექცეს, თუ არადა, აღიაროს, „ბილწთა შევეკარ ზავითა"-ო.**

**ქვეყნის სათავეში მოქცეულმა „ნაცებმა" ისეთი ბოროტება ჩაიდინეს, რომელიც დღემდე ცნობილ ყოველგვარ გამცემლობასა და ღალატზე უარესია: ათასწლეულების განმავლობაში ჩვენი წინაპრების სისხლითა და ოფლით შენარჩუნებული, მათი ხორცითა და ძვლებით გაპოხიერებული მიწა უცხოელებს გაუცვალეს მწვანე დოლარებში.** „მშობლიური ჩემო მიწავ, შენს საყვარელ სახელს ვფიცავ, გიცავდი და გიცავ მარად, გიცავდი და კვლავ დაგიცავ", — ამ შეგნებითა და მრწამსით გაზრდილი კაცი მშობლიური მიწის გამყიდველს მტერზე უფრო მტრად ჩათვლის, აბა, რას იზამს! არც მის დაუსჯელობას შეეგუება!

ამას წინათ ჩვენმა ნაწილობრივ ვაიპარლამენტმა, თავისი გადაწყვეტილებით, დროებით შეაჩერა მიწის უცხოელებზე გაყიდვა. კი არ აკრძალა, ერთი წლით შეაჩერა! თითქოს ერთი წლის მერე ჩვენი მიწა-წყალი წამოიზრდება, იბარტყებს და გასაყიდიც ბევრი გვექნება. მშობლიური მიწა-წყლის გაყიდვის დროებითი შეჩერება (მორატორიუმი) ამიტომაც არის გაუგებარი. სამაგიეროდ, გასაგებია იმ არასამთავრობო ორგანიზაციების აღშფოთება და პროტესტი, რომლებიც ქართული მიწა-წყლის უცხოელებზე გაყიდვის დროებით შეჩერებას აღუშფოთებია.

ახლა მე ღვთისა და ხალხის წინაშე ყველა ჭეშმარიტ მამულიშვილს ვეკითხები: **ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ჩვენი წინაპრების მიერ საუკუნეთა განმავლობაში გმირული ბრძოლით შენარჩუნებული და ჩვენამდე მოტანილი საცხოვრისის გადამთიელთათვის მიყიდვის მოწადინენი არიან ან მათი დიდი თუ მცირე მხარდამჭერები საქართველოს პირწავარდნილი მტრები არ არიან? ისინი მშობლიური მიწა-წყლიდან ჩვენი შთამომავლობის ამოძირკვის მსურველნი არ არიან? დარწმუნებული ვარ, არიანო, — იტყვით.**

უცხოელმა „ექსპერტმა", დემოკრატიის „ექსპორტიორმა", „უფლებადამცველმა", ევროპარლამენტარმა თუ ნატოელმა ოპრიჩნიკმა რამდენიც უნდა გვირჩიოს ან დაგვემუქროს კიდეც, გინდათ თუ არა ამგვარი „თანამემამულენი" მოყვრებად ჩათვალეთ და მათთან იკოჰაბიტაციეთო, არ უნდა დავუჯეროთ!

ქართული სახელმწიფოებრიობისა და, კერძოდ, ქართველთა უკვე შეუნიღბავი მტრების, არასამთავრობო ორგანიზაციების ერთი ნაწილის შესახებ პირდაპირ ვიტყვი:

**ბევრი ჩვენი თანამემამულე დარწმუნდა, რომ ამ ორგანიზაციებს „არასამთავრობო" კი არ უნდა ერქვათ, არამედ — ანტისახელმწიფოებრივი. ანტისახელმწიფოებრივი მოქმედება ჰქვია, აბა, რა იმას, როდესაც ეროვნულ ღირსებას, ზნეობას, ტრადიციებს ვინმე უზნეო და ტვინნაღრძობი ხელყოფს და ამგვარ ხელყოფას საზოგადოება პრინციპულ წინააღმდეგობას გაუწევს, არასამთავრობო ორგანიზაციები კი ერთ ვაი-უშველებელს ატეხენ ხოლმე: არიქა, ადამიანთა ერთი ჯგუფი იჩაგრებაო და მშველელად ოკეანისგაღმელ ძიებსა და მამიდებს უხმობენ.**

ამგვარი „უფლებადამცველები", „სამართალდამცველები" და კიდევ ბევრი ისეთი რამის დამცველები, რომელსაც წესიერ საზოგადოებაში ვერც კი გაამხელ, უხვად ფინანსდებიან უცხოეთიდან. საქმე მარტივად არის: ჩვენი მტრები ფულს უხდიან ჩვენსავე თანამემამულე დივერსანტებს საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ განხორციელებულ დივერსიაში.

**უზნეობის ზეობამ დაანგრია რომისა და ბიზანტიის იმპერიები და ჩვენნაირ პატარა ქვეყანას რას უზამს!**

მტრების ხელშია მთავარი სამაუწყებლო საშუალებები — ტელევიზიები. მათი დიდი უმრავლესობის მიზანია არა ხალხის ინფორმირებულება-განათლება, არამედ ტვინების გამორეცხვა-დაბნელება. პოლიტიკური თოქშოუებია და... ნახეთ ერთი, ვის იწვევენ: ათ კაცში ორს თუ მოეკითხება ჭკუა, დანარჩენი რვა ან დეგენერატია, ან გასანთლული თოკით გასაკოჭავი.

**ერთი სიტყვით, ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენი ქართული საზოგადოება აშკარად გაყოფილია ქვეყნის, ერის მოყვრებად და მტრებად. კიდევ უფრო სამწუხარო ის არის, რომ ამის საჯაროდ გამხელას კეთროვანივით ერიდებიან ჩვენში.** „საქმე იმიტომ უფროა ცუდად, რომ ცუდად როა, არ იცის ბევრმა" (მუხრან მაჭავარიანი).

მოყვრები და მტრები...

ეს რეალობა კიდევ უფრო გაცხადდა მას შემდეგ, რაც ოფიციალურად ითქვა ყველაზე მაღალი ტრიბუნიდან: ჩვენ რომ ახლა დამნაშავეების (მტრების!) დასჯა დავიწყოთ, ჩვენც წინა ხელისუფლებას დავემგვანებითო. ამიტომ „სუფთა ფურცლიდან" დავიწყოთ ცხოვრება, წარსულს შევეშვათ და მომავლისკენ გავიხედოთო.

გიყვარდეს მტერი შენიო, — ამის თქმა მხოლოდ სასულიერო პირს ეპატიება, რადგან არაამქვეყნიური სამყაროს ზნეობრიობას ქადაგებს იგი. მიწიერ სამყაროში კი მტრის შეყვარება ღალატია, რაც უმძიმესი სასჯელით ისჯება. „კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლახვრითა დასაჭრელად" (რუსთაველი).

**ზურაბ ცუცქირიძე**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ზარინი" დაამზადეს ერაყის სუნიტურ რაიონებში და თურქეთში გაიგზავნა სირიელი ამბოხებულებისთვის... თურქულმა სპეცსამსახურებმა მიიღეს იმის დამადასტურებელი მასალა, რომ ორი სირიული ოპოზიციური ჯგუფი ეძებდა მასალას „ზარინის" დასამზადებლად. დაკავებულია ექვსი ეჭვმიტანილი, მათ შორის არიან ტერორისტულ ორგანიზაციებთან კავშირში მყოფნიც.**

# «კეთილსინდისიერად თამაში» ამერიკულად და სისხლში გასვრილი დიდი პროვოკაციის ნიუანსები

**ყველამ, ვინც ოდნავ მაინც იცნობს ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ამერიკის ცხოვრებას, აუცილებლად იცის გამოთქმაც fairplay, ანუ „კეთილსინდისიერად თამაში". ეს ფართოდ გავრცელებული გამონათქვამია და უნდა გამოხატავდეს ანგლოსაქსების ფუძემდებლურ მიდგომას ყველა დიადი თუ წვრილმანი საქმისადმი. ამბობენ, რომ ყველაფერი, რასაც ისინი აკეთებენ საერთაშორისო არენაზე, „კეთილსინდისიერად თამაშის" წესებს ექვემდებარება, მაგრამ დეკლარაციები ცხოვრებას ყოველთვის არ შეესაბამება. სინამდვილეში ანგლოსაქსური fairplay სულ სხვაგვარად გამოიყურება...**



ახლახან გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა გაეროს ინსპექტორების ის ანგარიში წარმოადგინა, რომელშიც 21 აგვისტოს სირიის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების ადგილების შესწავლის შედეგად გაკეთებული დასკვნები იყო მოყვანილი. ანგარიშში მტკიცდება, რომ დამასკოსთან ახლოს მართლაც გამოიყენეს მომწამვლელი გაზის შემცველი საბრძოლო ჭურვები. ამასთან, ინსპექტორების ამოცანა არ იყო ქიმიურ შეტევაში დამნაშავეებზე მინიშნება. პან გი მუნის განცხადებით, ამის დადგენა მხოლოდ ახალ გამოძიებას შეუძლია.

**მიუხედავად ამისა, აშშ-მა და მისმა მოკავშირეებმა დამნაშავედ სირიის ხელისუფლება ჩათვალეს. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უადგილოდ და არასერიოზულად მიიჩნევს, ქიმიური იარაღის თაობაზე ყველაფერი სირიის ხელისუფლებას დაბრალდეს ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე და პასუხისმგებლობა მთლიანად ასცილდეს ოპოზიციას.**

როგორც უკვე ითქვა, **გამოძიების მიერ დადგენილი ფაქტები არ მიანიშნებს ქიმიური იარაღის გამოყენებაში დამნაშავეებზე და არ შეიძლება მათი ნებაყოფლობით გამოყენება ამა თუ იმ დაინტერესებული მხარის ახირებების შესაბამისად.** სხვა ნებისმიერ შემთხვევაში ეს სულაც აღარ იქნება fairplay. მეორეც, რაც უნდა მძიმე პოლიტიკური სიელმით იტანჯებოდნენ ანგლოსაქსი პოლიტიკოსები, ცხოვრება აიძულებს მათ, დაინახონ მათთვის არამომგებიანი ფაქტებიც, მიუხედავად იმისა, სურთ თუ არა მათ ეს.

**არსებობს სერიოზული მინიშნებები იმაზე, რომ მომწამვლელ ნივთიერება «ზარინს» სირიის ეგრეთ წოდებული ოპოზიცია იყენებდა**

მაგალითად, ამგვარ ფაქტებს განეკუთვნება გაეროს კომისიის ხელმძღვანელის — კარლა დელ პონტეს დასკვნა მეამბოხეების მიერ მიმდინარე წლის მაისში ალეპოსთან იგივე მომწამვლელი ნივთიერების გამოყენების თაობაზე. მან განაცხადა, რომ მისმა **ექსპერტებმა გამოკითხეს მსხვერპლი, ექიმები და საველე ჰოსპიტლების პერსონალი. და არსებობს სერიოზული მინიშნებები იმაზე, რომ მომწამვლელ ნივთიერება „ზარინს" ეგრეთ წოდებული ოპოზიცია იყენებდა.**

კარლა დელ პონტეს კომისიის დასკვნას ადასტურებს გაეროში გაგზავნილი იმ რუსი ექსპერტების დეტალური დასკვნაც, რომლებმაც იგივე შემთხვევა შეისწავლეს.

მაგრამ „კეთილსინდისიერად თამაშის" მომხრენი თვლიან, რომ უმჯობესია ამ დასკვნების იგნორირება, სამაგიეროდ, თავად შეადგინეს სპეციალური დოკუმენტი სახელწოდებით „სახელისუფლო შეფასება", რომელშიც ცდილობენ, რამდენიმე გვერდზე დაამტკიცონ, რომ 21 აგვისტოს დანაშაულები ბაშარ ასადის ხელისუფლების ჩადენილია.

მაგრამ მსოფლიო საზოგადოება ნელ-ნელა იკურნება თავსმოხვეული სიელმისგან. **საერთაშორისო ექსპერტები ერთხმად აღიარებენ, რომ დოკუმენტი არ შეიცავს სარწმუნო მონაცემებს, რომლებიც დაამტკიცებდნენ ქიმიურ შეტევასთან სირიის მთავრობის ან სახელისუფლო ჯარების კავშირს.**

ამრიგად, მისტიფიკაცია ჩაიშალა. ახლა ანგლოსაქსები, მათთან ერთად კი ფრანგებიც, ცარიელ ადგილას ბერავენ ბუშტს და იმედოვნებენ, რომ ფსიქოლოგიური პრესინგის წყალობით რუსეთსაც გადაიბირებენ. ამ საქმეში უკვე დიდი ხანია, კეთილსინდისიერი თამაშის აჩრდილიც კი აღარსად ჩანს. **ზეწოლა თავხედური ფორმებით ვლინდება, რადგან ვიღაცას ძალიან სჭირდება, პოლიტიკური არენიდან ნებისმიერ ფასად მოიშოროს ბაშარ ასადი.**

ამასობაში კი ჩნდება სულ ახალ-ახალი ცნობები, რომლებიც საბოლოოდ აბათილებს „სამეულის" — აშშ-ბრიტანეთ-საფრანგეთის არგუმენტებს. ამგვარ ცნობებს შორისაა აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს ყოფილი მაღალი თანამდებობის პირის — მაიკლ მალუფის პუბლიკაცია, რომელიც პოპულარულ საიტზე WorldNetDaily განთავსდა. აღმოჩნდა, რომ პენტაგონში შევიდა საიდუმლო დოკუმენტი, რომელშიც **ამერიკელი სამხედროები ადასტურებენ, რომ წლის დასაწყისში ქიმიური იარაღი ჩამოერთვა სირიაში მეომარ გავლენიან დაჯგუფება JABHAT AL-NUSRA FRONT-ს.** მალუფი მიანიშნებს, რომ ეს უმაღლეს დონეზე გასაიდუმლოებული დოკუმენტია და ის „სახმელეთო დაზვერვის ნაციონალური ცენტრიდან" მიიღეს. მასში წერია, რომ **„ზარინი" „ალ ქაიდას" ერაყული ფრთიდან სირიაში თურქეთის გავლით გაიგზავნა. მისი ნაწილი ტერორისტებს ჩამოერ-** ▶

**ამერიკელი სამხედროები ადასტურებენ, რომ წლის დასაწყისში ქიმიური იარაღი ჩამოერთვა სირიაში მეომარ გავლენიან დაჯგუფება Jabhat al-Nusra Front-ს**

# ამერიკელები გიჟდებიან

**როდესაც 2008 წლის კრიზისზე საუბრობენ, ძირითადად განიხილება ეკონომიკური ასპექტები, ჰუმანიტარული და სამედიცინო ასპექტები კი უყურადღებოდ რჩება. არადა, სპეციალისტები აცხადებენ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ფსიქიკური აშლილობების ტალღები წალეკავს.**





შეშლილობის ეპიდემიის ზრდის დამადასტურებელი საგანგაშო სიმპტომები ამერიკულ საზოგადოებაში ჯერ კიდევ 2000-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდა. **ფსიქიკური ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტის მიერ 2003 წელს ჩატარებული კვლევების თანახმად, 18-45 წლის ამერიკელებს შორის მუდმივი დეპრესიის გავრცელება 16%-ს შეადგენს. აშშ-ის მოქალაქეების 1,7%-ს უკვე დაუსვეს დიაგნოზი — შიზოფრენია. 6 წელზე მეტი ასაკის ამერიკელთა 10%-ზე მეტი მუდმივად იყენებს ანტიდეპრესანტებს.**

შემდგომი კვლევების დინამიკამ აჩვენა, რომ ფსიქიკური აშლილობების დონე იმატებს ყველა მომდევნო თაობაში. ახლა უკვე საუბარია არა საყოფაცხოვრებო აშლილობებსა და პესიმისტურ განწყობაზე, არამედ ფსიქიკური მდგომარეობის მძიმე შემთხვევებზე, ისეთებზე, როგორიცაა მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზი და შიზოფრენია, რომელიც არც თუ იშვიათად დაავადების კლინიკური ფორმებით ან სუიციდით სრულდება.

**საგანგაშოზე უარესი მდგომარეობაა ამერიკის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს შორის.** 2010 წელს მათი 20% სოციოლოგების მიერ იდენტიფიცირებულნი იყვნენ დეპრესიული აშლილობების მატარებლებად. 2012 წელს დეპრესია აღენიშნებოდა იმავე კატეგორიის 25%-ს. **ძირითადი მიზეზი არის პროფესიის სწორად არჩევაში დაეჭვება, სამომავლოდ სამსახურის შოვნასთან დაკავშირებული შესაძლო პრობლემები, განათლების სისტემის ეფექტურობის მიმართ იმედების გაცრუება.**

**ძნელი სათქმელია, ზუსტად რამდენ ამერიკელს აწუხებს ფსიქიკური დაავადების მძიმე ფორმები. დღეს ექსპერტთა მონაცემები მოსახლეობის 15-დან 25 პროცენტამდე მერყეობს. ამერიკის მოქალაქეთა კიდევ 50% ფსიქიკური დაავადებების გაცილებით მსუბუქი ფორმებით ავადობენ და პერიოდულად, ხანმოკლე დროით კარგავენ ქმედუნარიანობას.**

აუცილებელია იმის გააზრებაც, რომ ფსიქიკური აშლილობების გამოვლენა იოლი საქმე არ არის. ხშირად გარეგნულად სიმპტომები საერთოდ არ ვლინდება. გაუცნობიერებელი დამკვირვებელი, სავარაუდოდ, ვერც კი ამოიცნობს ადამიანში ყველაზე გავრცელებულ აშლილობას — კლინიკურ დეპრესიას. არადა, ეს ერთ-ერთი ყველაზე საშიში სენია — **შემთხვევათა 20% ქრონიკული დეპრესიებისას თვითმკვლელობით სრულდება.**

სიტუაციას ისიც ამძიმებს, რომ ფსიქიკური დაავადებები ძნელად იკურნე- ▶

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იმ ადამიანების ბედს, რომლებიც სპეცსამსახურების თვალთახედვის არეალში მოხვდებიან, „ტერორისტული სამშაბათის“ ფარგლებში წყვეტს აშშ-ის პრეზიდენტის თანაშემწეებისა და ძალოვნების რაზმი, რომელთაც სათავეში თავად პრეზიდენტი ობამა უდგას.**

◀ თვათ, დანარჩენი ნაწილი კი, სავარაუდოდ, გამოიყენეს ალეპოსთან მიმდინარე წლის მარტში. დოკუმენტის მიხედვით, ერაყის „ალ ქაიდა“ კუსტარულად ამზადებდა „ზარინის“ შეზღუდულ რაოდენობას და თურქეთში გზავნიდა.

ახლა კი ყველაზე საინტერესო: მალუფი წერს, რომ „დოკუმენტი აფასებს ჩვენს კვლევებს და ავლენს ქიმიური იარაღის მწარმოებელთა აქტივობას, რაც ჩაიშალა მაისში ერაყსა და თურქეთში რამდენიმე საკვანძო ფიგურის დაპატიმრების შედეგად. მოგვიანებით გამოვლენილი ფაქტების თაობაზე გაჩენილი ცნობები იმაზე მიანიშნებს, რომ პროცესი გრძელდება, მიუხედავად ამ დაპატიმრებებისა“. მალუფი რუსი ექსპერტების ანგარიშს იშველიებს, ეს ანგარიში კი მიანიშნებს, რომ „ზარინი“ დაამზადეს ერაყის სუნიტურ რაიონებში და თურქეთში გაიგზავნა სირიელი ამბოხებულებისთვის.

ამასთან, როგორც იტყობინებიან, თურქულმა სპეცსამსახურებმა მიიღეს იმის დამადასტურებელი მასალა, რომ ორი სირიული ოპოზიციური ჯგუფი ეძებდა მასალას „ზარინის“ დასამზადებლად. დაკავებულია ექვსი ეჭვმიტანილი, მათ შორის არიან ტერორისტულ ორგანიზაციებთან კავშირში მყოფნიც.

სააგენტო Mint Press News-მა გამოაქვეყნა ინტერვიუ ადამიანებთან, რომელთაც აღმოსავლეთ გუტაში შეტევა გადაიტანეს. ამ ინტერვიუს დასკვნა ერთმნიშვნელოვანია: „აშშ და მისი მოკავშირეები დამნაშავეს სხვაგან ეძებენ “.

ანტისირიული ტრიოს პოზიციაზე კიდევ ერთი შეტევა განახორციელეს იტალიელმა ჟურნალისტმა დომენიკ ქუირიკომ და ბელგიელმა მასწავლებელმა პიერ პიკინინმა. მათ რამდენიმე თვე გაატარეს მეამბოხეების ტყვეობაში. ორივე მათგანი ირწმუნება, რომ გუტაზე ქიმიური შეტევის მზადების მომსწრენი იყვნენ და რომ მზადებასთან კავშირი აქვს საუდის არაბეთის დაზვერვის შეფს, პრინც ბანდარ ბენ სულთანს.

მთელი ამ ცნობების ჯამს „ტრიოს“ წარმომადგენლები რატომღაც ყურადღებას არ აქცევენ და უღირსი სპექტაკლის თამაშს განაგრძობენ.

როგორც ცნობილია, აშშ-ის კონგრესში არის ტრადიცია, მოუსმინონ მოწმეებს ყველაზე სადავო და მწვავე საერთაშორისო საკითხებთან დაკავშირებით. სწორედ ასე მოუსმინა კონგრესმა 2002 წელს ვითომდა სადამ ჰუსეინის დანაშაულებათა მოწმეს, რომელიც მისი დიქტატურის საშინელებებს აღწერდა. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ ეს „მოწმე“ სინამდვილეში ერაყში არც არასდროს ყოფილა. ამჯერად დასავლური ცივილიზაციის პირმშოების — იტალიელისა და ბელგიელის მოწმეობა აშშ-ის ხელისუფლებას მიმდინარე მოვლენებზე თვალს აუხელდა, მაგრამ, როგორც ჩანს, აშშ-ის სახელისუფლო წრეებში სიმართლე ყველაზე ნაკლებად აინტერესებთ.

ამერიკული fairplay-ს რკინისებური წესების თანახმად, სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენებაში დამნაშავე უკვე დასახელებულია და ახლა მხოლოდ მსოფლიო საზოგადოების ზომბირებაღა დარჩა, მაგრამ მსოფლიო იცვლება. ვაშინგტონის მიერ გათამაშებული სპექტაკლისა სულ უფრო ნაკლებ მაყურებელს სჯერა, სამაგიეროდ, მკვეთრად და სწრაფად იზრდება იმ მაყურებელთა რაოდენობა, რომელთაც ერთი სული აქვთ, ეს მსახიობები სცენიდან სტვენით გააცილონ. ქიმიური იარაღის გამოყენების საერთაშორისო დანაშაულის სამართლიანი გამოძიება გამოავლენს იმ ფაქტებს, რომლებისაც ასე ეშინია თეთრ სახლს, — სისხლში გასვრილი დიდი პროვოკაციის ნიუანსებს...

fondsk.ru

◀ ბა, მიუხედავად უამრავი ანტიდეპრესანტისა, რომლებითაც გადატვირთულია ამერიკის სააფთიაქო დახლები.

სულიერად დაავადებულთა რაოდენობა, როგორც წესი, თანაბრადაა გადანაწილებული მთელ მოსახლეობაზე. ხანდახან ფსიქიკურ აშლილობებს ინტელექტის დაავადებებსაც უწოდებენ და გულისხმობენ, რომ ის შეიძლება შეეყაროს როგორც პოლიტიკოსებს, ისევე სამხედრო მოსამსახურეებსაც. ცხადია, ეს ფაქტორი მოქმედებს საეჭვო გადაწყვეტილებების მიღებაზეც, ამერიკულ აგრესიაზეც...

და ბოლოს, ამერიკაში სულ უფრო ხშირად ისმის სკეპტიკოსების ხმა, რომლებიც გაჰკივიან, რომ ანტიდეპრესანტები არა მხოლოდ არ უწყობს ხელს პაციენტების გამოჯანმრთელებას, არამედ პირიქით — ამძიმებს მათ მდგომარეობას. ერთის მხრივ, ეს პრეპარატები მუდმივი მიღების შემთხვევაში აბსოლუტურად გაუთვალისწინებელ და არასასურველ შედეგებს იწვევს; მეორე მხრივ კი, მომხმარებლებში ამ პრეპარატებზე დამოკიდებულებას აჩენენ. მთელი რიგი დაკვირვებების მიხედვით, ანტიდეპრესანტები, რომლებიც თავიდან გარკვეულ შვებას აძლევენ პაციენტებს, მუდმივი გამოყენებისას კიდევ უფრო ღრმა დეპრესიაში ძირავენ მათ.

ექსპერტების დასკვნით, განვითარებულ ქვეყნებში და კერძოდ, აშშ-ში დეპრესიებისა და ფსიქიკური აშლილობების ესოდენ გავრცელების უმთავრესი მიზეზი ცხოვრების დასავლური სტილია. მით უფრო, რომ ბოლო წლებში უკვე არსებულ ფაქტორებს ინფორმაციული საზოგადოების ფაქტორი დაემატა. ინფორმაციით გაჯერებულ სამყაროში ადამიანებისთვის ძალზე რთულია თვითიდენტიფიცირება და სწორი არჩევანის გაკეთება. ამერიკელებისთვის შედეგი სახეზეა.

ru.fbii.org

# ბარაკ ობამას «დასახვრეტთა სია»

**არ არსებობს ისეთი ბორკილები ან გისოსები, რომლებიც ადამიანის სულისკვეთებას შეედრება, — განაცხადა ბარაკ ობამამ იმ ადგილების მოლოცვისას, სადაც 18 წლის მანძილზე იყო გამოკეტილი ნელსონ მანდელა. ამგვარი „კაცთმოყვარეობის“ სიცრუემ საზღვრები არ იცის, რადგან ახლაც ასობით ადამიანი მოკლეს აშშ-ის პრეზიდენტის პირდაპირი სანქციის საფუძველზე.**



რამდენიმე დღის წინ ბრიტანელმა ჟურნალისტებმა გაიხსენეს ერთგვარი ბაზის არსებობა, რომლის სახელწოდებაა „მატრიცას დისპოზიცია“. ეს ბაზა წარმოადგენს რთულ ცხრილს, რომელიც აგებულია სადაზვერვო მასალებსა და იმ ადამიანების ბიოგრაფიებზე, რომლებსაც აშშ საკუთარი მტრების კატეგორიაში განიხილავს. მთელ ინფორმაციას შორის ბაზაში მოცემულია ვარიანტები ამ ადამიანების ცნობილი ან სავარაუდო ადგილსამყოფელების შესახებ, ასევე მათი ლიკვიდაციის სხვადასხვა საშუალებები.

უკვე არაერთხელ დაწერილა პრესაში „საგანგებო გადაცემის“ პრაქტიკაზე, რაც პირდაპირი მნიშვნელობით გულისხმობს ფიზიკური პირების დაპატიმრებას და ყოველგვარი სასამართლოს გარეშე ექსტრადიციას ერთი იურისდიქციიდან მეორეში ვაშინგტონის პირდაპირი დაკვეთით. ამგვარი ოპერაციის მიზანი ისაა, რომ კონკრეტული ადამიანი ჩაიყვანონ ქვეყანაში, სადაც არ მოქმედებს საერთაშორისო სამართლის ნორმები პიროვნებასთან დაკავშირებით და სადაც ნებისმიერი ადამიანისგან შეუძლიათ ჩვენებების მიღება წამებისა და ძალადობის გამოყენებით.

აშშ-ის სპეცსამსახურების შესაძლებლობათა დახვეწის თვალსაზრისით „მატრიცის დისპოზიცია“ ნამდვილად მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია. ის გამოყოფს იმ ეჭვმიტანილებს, რომელთა დაკავება და დაკითხვა, რალაც მიზეზების გამო, შეუძლებელია. ეს კი, ვაშინგტონის ლოგიკის მიხედვით, ნიშნავს, რომ საჭიროა ამ ადამიანების პირდაპირი ლიკვიდაცია. მართალია, ანალოგიური პროგრამის შესახებ პირველი აზრები ჯერ კიდევ ბუშის პრეზიდენტობისას გაუჩნდათ მსოფლიო დემოკრატიის მამებს, მაგრამ მისი პრაქტიკული განხორციელება უკვე ობამას პრეზიდენტობისას, 2010-1012 წლებში დაიწყო.

**იმ ადამიანების ბედს, რომლებიც სპეცსამსახურების თვალთახედვის არეალში მოხვდებიან, „ტერორისტული სამშაბათის“ ფარგლებში წყვეტს აშშ-ის პრეზიდენტის თანაშემწეებისა და ძალოვნების რაზმი, რომელთაც სათავეში თავად პრეზიდენტი ობამა უდგას.** „ნიუ იორკ თაიმსი“ ამ საიდუმლო შეკრებებს აღწერს, როგორც ხანგრძლივ კირკიტს პოტენციურ მსხვერპლთა ბიოგრაფიებსა და გადიდებულ ფოტოებში. ამ ყველაფრის შემდეგ კი გამოაქვთ ვერდიქტი: სიკვდილით დასჯა, იშვიათად კი — შეწყალება.

ბრიტანული „გარდიანი“ წერს ოთხი სავარაუდო ისლამისტის შესახებ, რომლებიც ბრიტანეთის მოქალაქეები იყვნენ და რომელთა ბედიც სწორედ ამგვარი ცინიკური მეთოდით გადაწყდა. ორი მათგანი ცსს-ს საიდუმლო ციხეთაგან ერთ-ერთში გამოკეტეს, ორი კი ამერიკის უპილოტო საფრენი აპარატების შეტევის შედეგად მოკლეს.

მონაცემთა ბაზის სახელწოდების „მატრიცის დისპოზიციის“ ეტიმოლოგიის გაშიფვრა იოლი საქმე არ არის. მაგალითად, რომელი სფეროდანაა აღებული სიტყვა „დისპოზიცია“ — იურიდიული, არმიის თუ ბიუროკრატიული? ტერმინ „მატრიცასაც“ ძალზე მრავალფეროვანი გაშიფვრა აქვს. „საწყისი მიზეზი“, „ფორმა“, „შაბლონი“, „ნიმუში“, „მოდელი“ — ამ ყველაფერს სხვადასხვა სფეროში მატრიცას უწოდებენ. სავარაუდოდ, ყველაზე ადეკვატური თავისუფალი თარგმანი ვაშინგტონურიდან ჟღერს, როგორც „შაბლონის ძალაუფლება“. მით უმეტეს, რომ სინამდვილეში საქმე სწორედ ასეა. ლამაზი გაურკვეველი ფრაზის უკან იმალება დედამიწის ნებისმიერ წერტილში ადამიანების წერტილოვან-მასობრივი განადგურების კაციჭამიური პროგრამა. ამასთან, სიკვდილიანობის მაჩვენებლებმა იმდენად შეაძრწუნა ჟურნალისტები, რომ მათ ზედმეტი იწილო-ბიწილოს გარეშე მიანიჭეს პროგრამას სავსებით გასაგები და შინაარსის გამომხატველი სახელი: „ბარაკ ობამას მკვლელობათა სია“.

დრონებს ათასობით მშვიდობიანი მოსახლე ემსხვერპლა ძირითადად ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში. პაკისტანის შინაგან საქმეთა მინისტრმა რახმან მალიკმა განაცხადა, რომ „ამერიკული დრონების 336-მა დარტყმამ გაანადგურა 23 ათასი პაკისტანელი, რომელთა 80% აბსოლუტურად უდანაშაულო მშვიდობიანი მოქალაქე იყო.“ ჟურნალისტური გამოძიებების ბიუროს მონაცემებით, პაკისტანში დაღუპულთა შორის 176 ბავშვია. იემენში დრონებს 163 ადამიანი ემსხვერპლა, სომალიში — 57.

„ნიუ იორკ თაიმსი“ თეთრი სახლის ანონიმ წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომ ბარაკ ობამამ პირადად გასცა განკარგულება იემენსა და სომალში უპილოტო საფრენი აპარატების ყველა შეტევისთვის, პაკისტანში კი — სულ მცირე შეტევათა მესამედისთვის. ამასთან, ინფორმატორი აცხადებს, რომ აშშ-ის პრეზიდენტი, წყვეტდა რა, თუ ვინ განაგრძობდა სიცოცხლეს და ვინ აღარ, თავს სავსებით კომფორტულად გრძნობდა. როგორც ჟურნალისტები უსვამენ ხაზს, „წინასწარგანზრახული მკვლელობები იმდენად ყოველდღიურ საქმედ იქცა, რომ ობამას ადმინისტრაციამ 2011 წლის დიდი ნაწილი პროგრამის კოდიფიკაციასა და რაციონალიზაციას მოახმარა“. საბოლოო ჯამში სისტემა საათივითაა აწყობილი. მასში ჩართულია უამრავი უწყება, რომლებიც ინფორმაციას ფილტრავენ მანამ, ვიდრე საბოლოო სიები სავარაუდო სამიზნეების სახელებით თეთრ სახლში გაიგზავნება.

უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკული პოლიტიკა და ფართო საზოგადოება გარკვეულ დრომდე ძალზე მშვიდად რეაგირებდა ვაშინგტონის მიერ ამერიკის საზღვრებს გარეთ წარმოებული „გამოუცხადებელი ომის“ მეთოდებსა და მსხვერპლთან დაკავშირებით. მაგრამ 2012 წლის მაისის შუა რიცხვებში მედიაში გაჟონა ინფორმაციამ, რომლის აღიარებაც მოუხდა ცსს-ს მეთაურს — ჯონ ბრენანს. როგორც გაირკვა, უპილოტო საფრენი აპარატების დარტყმების შედეგად ამერიკის ოთხი მოქალაქე დაიღუპა. გამოდის, რომ ბარაკ ჰუსეინ ობამა გახდა აშშ-ის პირველი პრეზიდენტი, რომელმაც ამერიკის მოქალაქეების მკვლელობა „შეუკვეთა“ ყოველგვარი გამოძიების, სასამართლოსა და რეალური პროკურორების მეთვალყურეობის გარეშე. და მართალია, „მატრიცის დისპოზიციის“ თაობაზე თეთრი სახლი და ცსს ოფიციალურ კომენტარებს არ აკეთებენ, მაგრამ ობამას პირდაპირი ხელქვეითები პრესასთან გულახდილი საუბრისას არ მალავენ, რომ მოსაკლავი სამიზნეების სიები, სულ მცირე, უახლოესი ათი წლის მანძილზე, შესაძლოა, სამუდამოდაც კი განაგრძობენ ზრდას.

ru.fbii.org

**აშშ-ის პრეზიდენტმა პირადად გასცა განკარგულება იემენსა და სომალიში უპილოტო საფრენი აპარატების ყველა შეტევისთვის, პაკისტანში კი — სულ მცირე, შეტევათა მესამედისთვის**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასაბუთებულია იაპონიაში ამერიკელი ჯარისკაცების მონაწილეობით მომხდარი 45 ათასი ინციდენტი, მათ შორის 512 — სასიკვდილო დასასრულით. არც ერთი საქმე არ დამთავრებულა დამნაშავის ციხეში ჩასმით. დამნაშავეთა 40 პროცენტს კი ადმინისტრაციული სასჯელიც არ შეხებია.**

# ამერიკელი სამხედროების საბრძოლო სპირტუოზი და სექსუალური სულისკვეთება

**ამერიკის ხელისუფლების „გამორთვამდე", რასაც 1 ოქტომბერს ჰქონდა ადგილი, პენტაგონის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა ყველას გასაგონად განაცხადა, რომ სახელმწიფო აპარატის დაფინანსების შეწყვეტა აშშ-ში იქნება „კიდევ ერთი დარტყმა სამხედრო მოსამსახურეების და სამოქალაქო კონტინგენტის საბრძოლო სულისკვეთების წინააღმდეგ", რაც ისედაც საკმაოდ დაბალია. თავდაცვის მინისტრი ჩაკ ჰეიგენი იძულებული გახდა, ყოველი შემთხვევისთვის აეხსნა ფართო საზოგადოებისთვის, რომ ამერიკის შეიარაღებული ძალები სარგებლობს ხალხის ნდობით „70%-ზე მეტი მაჩვენებლით". რა გამოდის? გამოდის, რომ ამერიკელი ხალხი იმდენად შტერია, ნდობას უცხადებს მათ, ვისი საბრძოლო სულისკვეთებაც ისედაც დაბალია და წუთი-წუთზე კიდევ უფრო დაიკლებს? მართალია მილიონერი თავდაცვის მინისტრი ჰეიგელი. მთელ მსოფლიოში მოდებულ სამხედრო ბაზებზე გამწესებული ამერიკელი სამხედროები ხომ განაგრძობენ სმას, ნარკოტიკების მოხმარებას, ნარკოტიკების გავრცელებას, მუშტიკრივს, დანების ტრიალს, ქალების გაუპატიურებას, კაცებისა და ბავშვების გაუპატიურებასაც კი...**



საბიუჯეტო კოლაფსის გამო 1,4 მილიონი სამხედრო მოსამსახურე სამსახურს არ დაკარგავს, მაგრამ დაკარგავს ხელფასს. ასეთივე სამწუხარო ბედი ელის 800 ათასამდე სამოქალაქო პირს, რომლებიც პენტაგონს ემსახურებიან. „ფრანს-პრესის" ინფორმაციით, ამასთან დაკავშირებით **პენტაგონის ერთ-ერთმა უმაღლესი თანამდებობის პირმა განაცხადა, რომ სახელმწიფო აპარატის დაფინანსების შეწყვეტა სამხედრო მოსამსახურეებისა და სამოქალაქო კონტინგენტის ისედაც საკმაოდ დაბალ საბრძოლო სულისკვეთებას კიდევ უფრო დასცემს.**

**ამერიკელები ქვეყნის სამთავრობო ინსტიტუტების მიმართ ნდობას კარგავენ.** ეს ჟურნალისტებთან საუბარში ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა ჩაკ ჰეიგელმა აღიარა.

თუმცა, პენტაგონის შეფმა განაცხადა, რომ მოსახლეობა 70%-ზე მეტად ენდობა აშშ-ის შეიარაღებულ ძალებს, მაგრამ სხვა დანარჩენებისთვის მაჩვენებლები რეკორდულად დაბალია.

საიდან უნდა გაჩენილიყო მოსახლეობის ნდობა? ამ კითხვაზე პასუხი განსაკუთრებით საინტერესო იქნება, თუ 2012-2013 წლების იმ სკანდალებს გავიხსენებთ, რომლებთანაც განსაზღვრება „საბრძოლო", რომელიც სამხედრო ლექსიკაში, როგორც წესი, არსებით სახელ „სულისკვეთებასთან" იდიომატურ წყვილად ჟღერს ხოლმე, პრესამ კარგა ხანია ჩაანაცვლა „სექსუალურით"?

საკმარისია, გავიხსენოთ სულ რამდენიმე სკანდალი, რომლებმაც სულ ახლახან შეარყია ამერიკელების ნდობით აღჭურვილი არმია.

**გასულ წელს მასობრივი სექსუალური მისწრაფებებით თავი ისახელა ბრიგადის გენერალმა სინკლერმა. 2012 წლის მაისში ის ავღანეთიდან სასწრაფოდ სამშობლოში გაამწესეს, იქ კი წაუყენეს მთელი რიგი ბრალდებები მრავალჯერადი ძალადობის, სოდომიის, სამართალსაწინააღმდეგო სექსუალური ქმედებების, კიდევ სხვადასხვა სექსუალური ძალადობის გამო. მისი სექსუალური „გმირობების" ობიექტები, როგორც წესი, თავად ჯეფრი სინკლერის ხელქვეითი ქალები ხდებოდნენ ხოლმე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმ ხუთი ქალის გაუპატიურება, რომელთაგან ოთხი გენერლის ხელქვეითი იყო.** გარდა ამისა, სინკლერი მოკვლით ემუქრებოდა მსხვერპლთაგან ერთ-ერთს და ამით ცდილობდა ქალის დადუმებას. ეს გენერალი კი არა, მარკიზ დე სადის რომანის „სოდომის 120 დღის" პერსონაჟი ჰერცოგია. იგივე პერსონა რაღაც წვრილმანებზეც გაება მახეში — ალკოჰოლისა და პორნოგრაფიის უკანონო შენახვა. კიდევ მან სახელი გაითქვა უფროსობის ბრძანებათა შეუსრულებლობით. აი, ასეთი „საბრძოლო სულისკვეთება" ჰქონდა ამ ადამიანს.

**მხოლოდ 2012 წელს ამერიკის შეიარაღებული ძალების მხრიდან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი 26 ათასი ადამიანი გახდა. ყოველდღიურად ჯარში 700 გაუპატიურება ხდება**

**2012 წლის აგვისტოს დასაწყისში აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ორი ინსტრუქტორი სან-ანტონიოში სამხედრო გადამზადების ცენტრ Lackland Air Base-ში სექსუალური დანაშაულებისთვის ამხილეს. მათი მსხვერპლი გახდა, სულ მცირე, 38 მსმენელი. საქმე ეხებოდა ძალადობისკენ მიდრეკილ 15 ინსტრუქტორს.** სულ ბაზაზე 500-მდე მასწავლებელი მუშაობს. საქმეში მთავარი დამნაშავე ფიგურა იყო აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების სერჟანტი ლუის უოკერი. სამხედრო-საველე სასამართლომ მას ბრალი დასდო მრავალრიცხოვან გაუპატიურებაში და სექსუალურ ძალადობაში დამამძიმებელი გარემოებებით. ეს ვაჟბატონი ძირითადად ახალწვეულ ქალებზე ძალადობდა.

ვიდრე ინსტრუქტორებთან დაკავშირებული სკანდალი მძვინვარებდა, აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ გამოაქვეყნა მორიგი ანგარიში, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ **უკანასკნელი 12 თვის მანძილზე 4,4% სამხედრო მოსამსახურე ქალი არასასურველი სექსუალური კავშირების მსხვერპლი გახდა. მრავალი დაზარალებული აცხადებს, რომ ეს ციფრი უკიდურესად შემცირებულია.**

საინფორმაციო არხ „ალ-ჯაზირას" ინფორმაციით, **მხოლოდ 2011 წელს აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში ოფიციალურად 3200 გაუპატიურება და სექსუალური ძალადობის ფაქტი დაფიქსირდა. პენტაგონი იძულებული გახდა, ელიარებინა, რომ ეს ციფრი ნამდვილი მაჩვენებლების მხოლოდ 15%-ს ასახავდა.**

**2010 წელს დაახლოებით 50 ათასმა ვეტერანმა მამაკაცმა დაადასტურა, რომ «სამხედრო სექსუალური ტრავმა» მიიღო**

სამხედრო გამოძიებამ აჩვენა, რომ **ყოველი ხუთი ქალიდან ერთი აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა, მაგრამ ამის თაობაზე უმეტესობა დუმდა.** გამოკითხულთაგან ნახევარზე მეტმა ეს დუმილი იმით ახსნა, რომ არ სურდა პრობლემების შექმნა.

**არმიის ერთმა ყოფილმა მედდამ აშშ-ის კონგრესის წევრს უამბო, რომ ერაყსა და ავღანეთში მუშაობისას თანამებრძოლებისგან თავდასხმისა უფრო ეშინოდა, ვიდრე მოწინააღმდეგის შეტევისა...**

და მხოლოდ ქალები როდი იტანჯებიან. **2010 წელს დაახლოებით 50 ათასმა ვეტერანმა მამაკაცმა დაადასტურა, რომ „სამხედრო სექსუალური ტრავმა" მიიღო.** ამის შესახებ მათ აშშ-ის ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტში განაცხადეს.

**2012 წლის ოქტომბრის შუა პერიოდში ორმა ამერიკელმა საზღვაო ქვეითმა, რომლებიც გონების დაკარგვამდე მთვრალები იყვნენ, ოკინავაზე გოგონა გააუპატიურეს, რისთვისაც პოლიციამ ისინი დააპატიმრა.**

იმავე წლის აგვისტოში იმავე ოკინავაზე დააპატიმრეს საზღვაო ქვეითთა სერჟანტი ადგილობრივ მცხოვრებ ქალზე თავდასხმისთვის.

**2012 წლის 2 ნოემბერს ისევ ოკინავაზე ახალგაზრდა ამერიკელი სამხედრო მფრინავი ბარში იჯდა და სვამდა. უკვე გამთენიისას, როდესაც გონების დაბინდვამდე მთვრალი იყო, 24 წლის ჯარისკაცი ავიდა სასტუმროს მესამე სართულზე და შევარდა ნომერში, რომელიც ბარის თავზე იყო განლაგებული. მფრინავმა ამავე ნომერში შეათრია 13 წლის ბიჭი, დაარტყა მას, შემდეგ ტელევიზორი გატეხა და ფანჯრიდან გაისროლა.**

**ყველა ამერიკელი მოძალადე, ლამის გამონაკლისის გარეშე, ლოთია. მათ საბრძოლო სულისკვეთება კი არა, საბრძოლო სპირტუოზი აქვთ.**

აშშ-ის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამედიცინო ინსტიტუტის დასკვნის თანახმად, ყველა ამერიკელი სამხედრო მოსამსახურის 20 პროცენტი ბოროტად იყენებს ალკოჰოლს. შეიარაღებული ძალების და სამხედრო საზღვაო ძალების პირადი შემადგენლობის ლამის ნახევარი რეგულარულად გამომთვრალია სპირტიანი სასმელებით. ბარში ერთ შესვლაზე ქვეითები და მეზღვაურები ხუთ ბოთლზე მეტ ლუდს ან ხუთ ჭიქა მაგარ სასმელზე მეტს მიირთმევენ.

**ყველაზე მეტი ლოთი მსახურობს არმიის ნაწილებში და საზღვაო ქვეითებში ერაყსა და ავღანეთში. საზღვაო ქვეითებს შორის განსაკუთრებით ბევრი ალკოჰოლზე დამოკიდებულია — მათი რაოდენობა 60%-ს უტოლდება.**

აბა რა ქნან? დემოკრატია, რომელსაც ამერიკელები აშენებენ ერაყსა თუ ავღანეთში იმდენად საშინელია, რომ თავად ამერიკელები იძულებულნი არიან, მას ბოთლის შუშის მიღმა უყურონ. პირველი ხუთი ჭიქის შემდეგ საზღვაო ქვეითები მომდევნო ხუთს სვამენ და მისტერ ჯეფერსონის იდეალებისადმი რწმენაც ყოველი ჭიქის შემდეგ სულ უფრო უმყარდება...

სხვა მონაცემებით, **ამერიკის არმიის ჯარისკაცთა 20%-დან 35%-მდე არა მხოლოდ ალკოჰოლს იყენებს ბოროტად, არამედ ნარკოტიკებზე და ფსიქოტროპულ საშუალებებზეც არ ამბობს უარს.** „მძიმე სიმთვრალე" ახასიათებს სახმელეთო ჯარების, ნაციონალური გვარდიისა და რეზერვის ყველა ჯარისკაცის 20%-ს. ნარკოლოგთა ტერმინოლოგიის მიხედვით, „მძიმე" ალკოჰოლიკები სვამენ დღეში, სულ მცირე, 200 გრამ მაგარ სასმელს. **გადაბმული სმის მდგომარეობა აშშ-ის არმიაში უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში 35-დან 47%-მდე გაიზარდა.**

ორიოდე დღის წინ პრესაში აშშ-ის სექსუალური ფრონტის წინა ხაზებიდან უახლესი ცნობები გამოქვეყნდა.

**რიგით ჯოშუა კლაინს აღმოუჩინეს ვიდეოჩა-** ▶

**სადაზვერვო საზოგადოების ხარჯები ნაწილდება მასში შემავალ 17 სპეცსამსახურზე. 90%-ზე მეტი თანხა იხარჯება დაზვერვის ნაციონალური პროგრამის რეალიზებაზე. ამ პროგრამას თავად ნაციონალური დაზვერვის დირექტორი აკონტროლებს. გარდა ამისა, სამხედრო უწყების სადაზვერვო სამსახურები სამხედრო დაზვერვის პროგრამიდან ფინანსდებიან, რაზეც უშუალოდ თავდაცვის მინისტრი აგებს პასუხს.**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ნაწერი, რომელზეც 6 წლის გოგონას გაუპატიურება იყო ასახული. მიუხედავად ამისა, მეთაურობას დამნაშავე არ დაუკავებია და მსხვერპლის მშობლებისთვის არაფერი უცნობებია. და სამხედრო პედოფილმა კვლავ გააუპატიურა ბავშვი! ახლა 30 მილიონ დოლარზე სარჩელი შეტანილია არა მოძალადის, არამედ მისი მეთაურების წინააღმდეგ.

„სტრინგერთა ბიუროს" ევროპული და წყნარი ოკეანის ოფისების მოხალისეები აგროვებდნენ ცნობებს ამერიკელი სამხედროების მიერ უცხოეთში მდებარე ბაზებზე ჩადენილი დანაშაულებების შესახებ.

16 წლის იაპონელი საცუკი იხსენებს: **„ისინი დამპირდნენ, რომ რეპის კითხვას მასწავლიდნენ. სასტუმროში დაცინვა დამიწყეს და მეძავს მეძახდნენ. როდესაც წასვლა დავაპირე, ხელი მტაცეს. ყვირილი დავიწყე, სახეში გამარტყეს და პირზე ამაფარეს ხელი... როდესაც თავი დამანებეს, სასტუმროს ნომრიდან სახლში გავიქეცი".**

როგორც მასალებშია აღნიშნული, იაპონიაში ანალოგიური ისტორიის მოყოლა ასობით გოგონას შეუძლია, მაგრამ არ ყვებიან. იაპონელთათვის თავს გადამხდარი დამცირების გამო სირცხვილი მართლაც საშინელი რამაა. მრავალი მსხვერპლი მთელი ცხოვრების მანძილზე მალავს გაუპატიურების ფაქტს. საცუკის დედა ამბობს: **„მომხდარის შესახებ აბსოლუტურად შემთხვევით გავიგეთ. როდესაც გოგონა სახლში ატირებული მოვიდა, მისი გამოკითხვა არ დაგვიწყია — ჩავთვალეთ, რომ ეს კლასში მორიგი კონფლიქტის გამო ხდებოდა. მათთან ასეთი რამ ხშირად ხდება. ყველაზე საშინელი რამ შაბათს მოხდა, როდესაც საცუკი სკოლაში იყო. სახლში მოგვაკითხა ორმა მამაკაცმა — პოლიციელმა და ამერიკელმა. მათ გვიამბეს მომხდარის შესახებ. გოგონა ჯარისკაცებთან ერთად წავიდა სასტუმროში, ცოტა ხნის შემდეგ კი შემოხეული ტანსაცმლით მორბოდა უკან. ეს სასტუმროს თანამშრომლებმა დაინახეს და პოლიციას გამოუძახეს. როდესაც კარი შეამტვრიეს, ნომერში სამი გალეშილი აფროამერიკელი დახვდათ, ჩვენ არ გვიჩივლია, რომ საქმე იაპონიის პოლიციას არ ჩაბარებოდა. თუ მეზობლები ყველაფერს გაიგებენ, ჩვენთვის ეს მთელი დანარჩენი სიცოცხლის მანძილზე მოუშორებელი სირცხვილი იქნება".**

ამგვარი საქმეების გამოძიებით ამერიკული სამხედრო პოლიციაა დაკავებული. და რა არის შედეგი? **დასაბუთებულია იაპონიაში ამერიკელი ჯარისკაცების მონაწილეობით მომხდარი 45 ათასი ინციდენტი, მათ შორის 512 — სასიკვდილო დასასრულით. არც ერთი საქმე არ დამთავრებულა დამნაშავის ციხეში ჩასმით. დამნაშავეთა 40 პროცენტს კი ადმინისტრაციული სასჯელიც არ შეხებია.**

მხოლოდ პენტაგონის მონაცემებით, **2012 წელს აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში სექსუალური ძალადობის 3374 ფაქტი დაფიქსირდა, მაგრამ სპეციალური კომისიის ანონიმურმა ანკეტირებამ აჩვენა, რომ 10-დან 9 შემთხვევაში ინციდენტის მსხვერპლთ პოლიციისთვის არ მიუმართავთ.** გამოდის, რომ მხოლოდ გასულ წელს ამერიკის შეიარაღებული ძალების მხრიდან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი 26 ათასი ადამიანი გახდა. ყოველდღიურად ჯარში 700 გაუპატიურება ხდება.

ეს ხდება მსოფლიოს ყველაზე ძლიერ არმიაში, რომელიც განადგურების უახლესი საშუალებებით არის აღჭურვილი, რომელსაც 1,6 მილიონი საკადრო სამხედრო მოსამსახურე ჰყავს, რომელსაც მსოფლიოს 130 ქვეყანაში 865 ბაზა აქვს, თუმცა სამხედრო ბაზებზე მეტად ბანდიტების ბუნაგის სახელი შეეფერება.

მაშ, რას ბრძანებდა მისტერ ჰეიგელი აშშ-ის არმიისადმი ნდობის თაობაზე?

topwar.ru



**ყველაზე მეტი ლოთი მსახურობს არმიის ნაწილებში და საზღვაო ქვეითებში ერაყსა და ავღანეთში. საზღვაო ქვეითებს შორის განსაკუთრებით ბევრია ალკოჰოლზე დამოკიდებული, დაახლოებით 60%**

# საიდუმლო აგენტები აშშ-ს სულ უფრო ძვირი უჯდება

**საიდუმლო აგენტები აშშ-ს დღითიდღე უფრო ძვირი უჯდება. პრეზიდენტი ბარაკ ობამა ცსს-ს მეთაურს, ჯონ ბრენანს, სეკვესტრის აუცილებლობაში არწმუნებს, მაგრამ სპეცსამსახურებზე ხარჯები კვლავ იზრდება. „ვაშინგტონ პოსტმა" 2013 წელს აშშ-ის ნაციონალური დაზვერვის სპეცსამსახურების ხარჯების თაობაზე რამდენიმე საიდუმლო მონაცემი გამოაქვეყნა. ეს ცნობები მას, როგორც ცნობილია, ედვარდ სნოუდენმა გადასცა. მას შემდეგ კონგრესის სამეცნიერო-კვლევითი სამსახურის ანალიტიკოსებმა საკუთარი შეფასებები მისცეს ამერიკის სადაზვერვო საზოგადოების ქვეგანყოფილებების ხარჯებს. ამასთან, ორიგინალურ დოკუმენტებზე, რომლებიც გაზეთის განკარგულებაში იყო, მათ ხელი არ მიუწვდებოდათ. მათ გააანალიზეს მრავალი ღია წყარო, რომლებშიც ამა თუ იმ ფორმით ქვეყნდებოდა მონაცემები სადაზვერვო საქმიანობაში თეთრი სახლის ასიგნებების თაობაზე.**



სპეციალისტების შეფასებების თანახმად, **2012 წელს აშშ-ის სადაზვერვო სამსახურებმა ფედერალური ხაზინიდან 78 მილიარდი დოლარი მიიღეს. ეს თითქმის ორჯერ აღემატება საქმიანობის ამ სახეობის ასიგნებებს ცივი ომის დასრულებისას, როდესაც მათმა მაჩვენებელმა ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია.**

როგორც ექსპერტები ირწმუნებიან, სადაზვერვო სტრუქტურების ნამდვილი ხარჯების თაობაზე პრესაში მონაცემების გამოჩენამ, შესაძლოა, კანონმდებლების მხრიდან ახალი დებატები განაპირობოს. მოვლენათა ამგვარი შემობრუნება მით უფრო სავარაუდოა იმის გამო, რომ ფედერალური ბიუჯეტის მკაცრი შემცირების პირობებში პარლამენტარებს აუცილებლად მოუნდებათ სადაზვერვო პროგრამების განხილვა და იმაში დარწმუნება, რომ ეს პროგრამები ნამდვილად ეფექტურია და ამერიკას შეუძლია, თავს ნება მისცეს, ამხელა ფული სპეცსამსახურების მოსამარაგებლად დახარჯოს.

ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ მოქმედი ფინანსური შეზღუდვები დროთა განმავლობაში სადაზვერვო სამსახურების ხელმძღვანელობებს აიძულებს, გააკეთონ რთული არჩევანი, დაზვერვის სხვადასხვა სახეობაზე პრიორიტეტული ასიგნირების სისტემა შემოიღონ. თუმცა, მათი აზრით, **უახლოესი 10 წლის მანძილზე ფედერალურ ხაზინაში შეიძლება მოიძებნოს დამატებითი სახსრები აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოებისთვის ახალი საფრთხეების შესაფასებლად და სპეცსამსახურების ორგანიზაციული სტრუქტურების განსამტკიცებლად.**

სადაზვერვო საზოგადოების ხარჯები ნაწილდება მასში შემავალ 17 სპეცსამსახურზე. 90%-ზე მეტი თანხა იხარჯება დაზვერვის ნაციონალური პროგრამის რეალიზებაზე. ამ პროგრამას თავად ნაციონალური დაზვერვის დირექტორი აკონტროლებს. გარდა ამისა, სამხედრო უწყების სადაზვერვო სამსახურები სამხედრო დაზვერვის პროგრამიდან ფინანსდებიან, რაზეც უშუალოდ თავდაცვის მინისტრი აგებს პასუხს. დანარჩენ სახსრებს იღებენ რამდენიმე ფედერალური სამინისტროს სადაზვერვო სტრუქტურები და ორი დამოუკიდებელი სამმართველო.

ფედერალური სადაზვერვო ბიუჯეტის შემუშავებისა და დამტკიცების პროცესი იმდენად რთულია, რომ ყოველთვის სპეციალისტებსაც კი არ ესმით მისი დეტალები. კანონმდებლებმა რამდენიმეჯერ მოითხოვეს პროცესის დაჩქარება, მაგრამ მათი წინადადებები სხვადასხვა მიზეზის გამო არ გაუთვალისწინებიათ.

მსოფლიო სავაჭრო ცენტრსა და პენტაგონზე „ალ ქაიდას" ბოევიკების შეტევის შემდეგ დაზვერვაზე ხარჯების განუხრელი ზრდა, მრავალი ექსპერტის აზრით, გახდა აშშ-ის სადაზვერვო საზოგადოების მნიშვნელოვანწილად მოძლავრებისა და ახალი შეტევების თავიდან აცილების მიზეზი. მაგრამ ფედერალური ხარჯების შემცირების პირობებში პარლამენტარები ცდილობენ, ისე შეუმცირონ დაზვერვას ხარჯები, რომ მისი ეფექტურობა შენარჩუნდეს.

**ახლახან ნაციონალური დაზვერვის დირექტორმა დევიდ კლეპერმა განაცხადა, რომ სეკვესტრის შესახებ კანონის მიღება მოითხოვს დაზვერვის ნაციონალური პროგრამებისთვის ხარჯების 7%-ით, ანუ 4 მილიარდი დოლარით შემცირებას. მან ასევე შეახსენა საზოგადოებას, რომ 90-იან წლებში თავდაცვის სამინისტროს დაფინანსების შემცირებამ მისგან კვალიფიციური სპეციალისტების გადინება განაპირობა. მაშინ სამხედროების რიგებიდან მაღალი კლასის პროფესიონალების თითქმის მესამედი წავიდა. მისი თქმით, რაღაც ანალოგიური ელის სადაზვერვო სისტემასაც.**

სადაზვერვო საზოგადოების საერთო ხარჯები მოიცავს ასიგნირებებს, რომლებიც გამოიყოფა დაზვერვის ნაციონალური პროგრამებისა და სამხედრო სადაზვერვო პროგრამების რეალიზაციისთვის. დაზვერვის ნაციონალური პროგრამების ფარგლებში ატარებენ ათასგვარ ღონისძიებებს და აუცილებელი მონაცემების მისაღებ სხვადასხვა პროექტებს. ამ ყველაფერზე დაყრდნობით შემდგომ სხვადასხვა ადმინისტრაციული და საკანონმდებლო უწყებები საჭირო გადაწყვეტილებებს იღებენ ამერიკის ნაციონალური უსაფრთხოების საკანონმდებლო სტრუქტურასთან დაკავშირებით. **სამხედრო სადაზვერვო პროგრამებით ფინანსდება თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო საქმიანობა, რაც მიმართულია პენტაგონის მიერ ჩატარებული ოპერაციების უზრუნველყოფისკენ და სამხედრო უწყების პრიორიტეტული ამოცანების რეალიზაციისკენ.**

**ექსპერტებმა შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ სადაზვერვო საზოგადოება სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ტერორიზმთან ბრძოლას და სამხედრო უწყების იმ ქვედანაყოფებისთვის ინფორმაციის შეგროვებას, რომლებიც უშუალოდ ბოევიკების განადგურებაზე არიან ორიენტირებულნი.**

მიმდინარე წლის დასაწყისში ამერიკულ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დაზვერვის საკითხებში პრეზიდენტის საკონსულტაციო საბჭომ გასულ წელს დახურული ანგარიში შეადგინა. ამ დოკუმენტში ეწერა, რომ მსოფლიო ტერორთან ათწლიანი ომის შემდეგ და ერაყსა თუ ავღანეთში მიმდინარე ომების სადაზვერვო უზრუნველყოფის შემდეგ ცსს და აშშ-ის სხვა სადაზვერვო სამსახურები ძალზე დიდ ყურადღებას უთმობენ უმნიშვნელო მასშტაბის სამხედრო ოპერაციებს. ამასთან დაკავშირებით **პარლამენტს მოუწევს, შეაფასოს ნაციონალური დაზვერვის პრიორიტეტული პროგრამების შემუშავების სისტემის ეფექტურობა და სადაზვერვო ბიუჯეტის დაგეგმვის, პროგრამირების, შემუშავებისა და შეფასების სისტემა, რის საფუძველზეც ფორმირდება სპეცსამსახურების საბიუჯეტო განაცხადები.**

დაზვერვის სფეროს ზოგიერთი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ დაზვერვასა და თავდაცვაზე ხარჯებისთვის სახსრების გამოყოფის პროცესებს ფედერალური ბიუჯეტის სხვადასხვა მუხლი უნდა აკონტროლებდეს, კონგრესმა თითოეული ამ ბიუჯეტისთვის ცალკე საკანონმდებლო აქტი უნდა მიიღოს.

**ამერიკის ნაციონალურმა დაზვერვამ 2007 წელს 43.50 მილიარდი დოლარი დახარჯა, 2008 წელს — 47.50, 2009 წელს — 49.80, 2010 წელს — 53.10, 2011 წელს — 54.60, 2012 წელს — 53.90, 2013 წელს — 52.60; სამხედრო დაზვერვამ 2007 წელს 20.00 მილიარდი დოლარი დახარჯა, 2008 წელს — 22.90, 2009 წელს — 26.40, 2010 წელს — 27.00, 2011 წელს — 24.00, 2012 წელს — 21.50, 2013 წელს — 19.20; საერთო ჯამში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაზვერვაზე 2007 წელს 63.50 მილიარდი დოლარი დახარჯა, 2008 წელს — 70.40, 2009 წელს — 76.20, 2010 წელს — 80.10, 2011 წელს — 78.60, 2012 წელს — 75.40, 2013 წელს — 71.80.**

nvo.ng.ru

ვაჰ, დრონი...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩინელებისთვის, რომლებიც მიჩვეული იყვნენ თავიანთ მინიატურულ ქალებს — თოჯინებს, თავზარდამცემი იყო მათ ქვეყანაში ევროპელი ქალების გამოჩენა... თავზარს სცემდა მათი თავისუფალი ქცევა, რომელიც აღიქმებოდა, როგორც უსირცხვილობა და სექსუალური გამოწვევა. თეთრი რასის ქალების უზნეობის დადასტურებად მიიჩნევდნენ, აგრეთვე, მათ ხმამაღალ სიცილს და ქმრებისა და ცოლების ჩვეულებას, შეხვედრისას რომ აკოცებდნენ ერთმანეთს. ასეთი რამ ჩინელებისთვის დასაშვები მხოლოდ საძინებელ ოთახში იყო.**

# ჰარამხანების იდუმალი ცხოვრება

დასასრული. დასაწყისი იხ. №17-36 (204-223)

## დასავლეთისა და აღმოსავლეთის დიასახლისი

**ჩინელების სახლის მოწყობა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რომელ წოდებას ეკუთვნოდა ოჯახის პატრონი. ხელოსანთა, წვრილ მევაჭრეთა და გლეხების წრეების წარმომადგენელი მამაკაცები დაოჯახებისთანავე ცდილობდნენ მშობლებისგან განცალკევებით ეცხოვრათ. უმაღლესი და საშუალო წოდების ჩინელები, პირიქით, ცოლის შერთვის შემდეგ ოჯახებში რჩებოდნენ და ქმნიდნენ ერთ დიდ თემს, რომელშიც თითოეულ ოჯახს თავისი სავანე ჰქონდა და თავისი მოსამსახურენი ჰყავდა. მდიდარი ჩინელის სახლი მხოლოდ სახლი კი არ იყო, არამედ დიდი და ვრცელი კარ-მიდამო ნაგებობებითა და მცირე ეზოთი, რომლებსაც გარს ერტყა მაღალი გალავანი. რა ხდებოდა ამ გალავნით შემორკალულ სივრცეში, გარეშეს არ უნდა სცოდნოდა და არც იცოდა.**

ყველა შენობა აიგებოდა ტრადიციული სქემით: მიწის ნაკვეთი, რომელიც გალავნით იყო გამოყოფილი გარე სივრცისგან, წარმოადგენდა სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ წაგრძელებულ სწორკუთხედს. შიგნით იგი ნაკვეთურებად იყოფოდა, რომლებიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ ან მათი პარალელური შენობების გასწვრივ იყო მიმართული. შენობები რიგებად იყო დაწყობილ-დაპროექტებული. დიდი კარიბჭე ქუჩაზე გამავალი სამხრეთის კედელში იყო დატანებული. ასეთი კარ-მიდამოს ყოველ ცალკეულ ნაგებობას სამი ყრუ კედელი ჰქონდა ერთი კი — ფარჯრებითა და კარით, ან — სრულიად ღია, კედლის გარეშე, აივნის მსგავსი.

**ცენტრალურ შენობას აგებდნენ ისე, რომ სამხრეთისკენ ყოფილიყო მიმართული, იქითკენ, საიდანაც სასიკეთო სიო ჰქრის. ამ, ყველაზე უფრო საპატიო სახლში ცხოვრობდა პირველი ცოლი. დანარჩენი ცოლების ოთახები მათ იერარქიულ მდგომარეობასთან იყო მისადაგებული. მეორე ცოლი ცხოვრობდა აღმოსავლეთ ფლიგელში, მესამე — დასავლეთის. ძველი ჩინური გაგებით, აღმოსავლეთი უფრო საპატიოა, ვიდრე დასავლეთი.** უმცროსი ცოლები ცხოვრობდნენ შენობებში, რომლებიც ქუჩის გასწვრივ კედელს ეკვროდა. დიდი ჩინური ოჯახის რეზიდენციაში ბაღი ჩვეულებრივ კარმიდამოს ჩრდილოეთ ნაწილში იყო გაშენებული, ქუჩისპირა და სამხრეთის კედლებს მოცილებული, შიდა ე.წ. საცერემონიო კარიბჭის წინ. სწორედ ამ სურნელოვანი ბაღების წიაღში თამაშდებოდა სასიყვარულო სცენები, რომელთა აღწერით ასე მდიდარია ჩინური ლიტერატურა.

**ადამიანების ადგილებიც კი მაგიდის გარშემო ქვეყნის ნაწილების მიხედვით იყო დადგენილი. ტრადიციული ეტიკეტის მიხედვით, ცენტრალური ადგილი** („ზედა ადგილი", ანუ „ზედა ჭილოფი") **განკუთვნილი იყო საპატიო სტუმრისთვის, რომლის სახე აღმოსავლეთისკენ უნდა ყოფილიყო მიმართული** (არსებობს ასეთი გამოთქმაც „დასავლეთის სტუმარი", ანუ დასავლეთის მხარეს მჯდომარე).

მის მოპირდაპირე მხარეს, კართან ჯდებოდა მასპინძელი, რომელსაც „სახლის აღმოსავლეთს" უწოდებდნენ. მის გვერდით სხდებოდნენ ნაკლებად მნიშვნელოვანი სტუმრები, შინაურები კი — „ქვემოთ" — ცალკე მაგიდასთან.

სახლის შიდა მოწყობილობა შეიძლება შესანიშნავი ყოფილიყო — პატრონი ცდილობდა თავისი რჩეულისთვის, უმთავრესად — ხარჭისთვის, თბილი ბუდე მოეწყო. ასეთი „ბუდეების" აღწერა ჩინურ ლიტერატურაში იშვიათი არ არის.

**საოჯახო საქმეებს ჩინელი ქალების დღის უმეტესი ნაწილი ეძღვნებოდა, თავისუფალ დროს ისინი ერთობოდნენ ბანქოს, დომინოს, შაშის თამაშით. ზოგჯერ ქალები შინიდან ბუდისტურ ტაძრებში მიემგზავრებოდნენ, ხოლო წელიწადში ერთხელ ნათესავების საფლავებზე გადიოდნენ ქალაქგარეთ.** ეს გასვლები სასიამოვნო დროსტარებად ჰქონდათ გადაქცეული, ბუნების წიაღში შლიდნენ სუფრას, აწყობდნენ პიკნიკებს. სადღესასწაულო დღეებში, მცირე ნადიმებზე იწვევდნენ მუსიკოსებს, პანტომიმისტებს. უდიდეს დროს ხარჯავდნენ თავიანთი ტანსაცმლისა და გარეგნობის მოსაწესრიგებლად. ჩინელი ქალების ძალისხმევა ამაოდ არ იკარგებოდა და ისინი თავიანთი ბატონების წინაშე ხელოვნების ნამდვილ ნიმუშებად წარდგებოდნენ. ისტორიკოსები შენიშნავენ, რომ მათი ჩაცმულობის თითოეული დეტალი, სახის მოხატულობის თითოეული შტრიხი კარგად იყო მოფიქრებული და მაღალი გემოვნებით იყო გამორჩეული. მათი საზოგადოებაში გამოჩენა ვნებისა და სიამოვნების ატმოსფეროს ჰქმნიდა.

**„მისი თმები ყორნის ფრთაზე უმეტეს შავია, წარბები ახალ მთვარესავით მორკალულია. ნუშის თვალები ბრწყინავს და უძრაოა. სურნელება იფრქვევა ბალისებრი ტუჩებიდან, ცხვირი სწორია, თითქოს ნეფრიტიდან გამოთლილი... ლამაზი თეთრი სახე თავისი სიმრგვალით ვერცხლის სინსა ჰგავს. ყვავილივით გრაციოზულია მსუბუქი ტანი. ახალი ხახვის ღეროებსა ჰგავს მათი წვრილი თითები; ტირიფივით მოქნილია წელი; სხეული რბილი და ფაფუკია; ჩამოქნილი ფეხები თეთრია და კენარი.**

**მკერდი — მაღალი... მისი სილამაზის აღწერა არ ძალმიძს"** *(ძინ, პინ, მინ, ანუ ქლიავის ყვავილები ოქროს ლარნაკში).*



გრაციოზულ, ყვავილის მსგავს ჩინელ ქალს უნდა ესაუბრა ნაზი ხმით, განსახიერება უნდა ყოფილიყო თვინიერი ხასიათის, რომელიც მის გარეგნობას მიესადაგებოდა, და პატარ-პატარა ნაბიჯებით ევლო თავისი ციცქნა ფეხებით, „ოქროს ლოტოსებით", რომლებიც თითოეული ჩინელი ლამაზმანის უეჭველი ნიშანი იყო.

**ჩინელებისთვის, რომლებიც მიჩვეული იყვნენ თავიანთ მინიატურულ ქალებს — თოჯინებს, თავზარდამცემი იყო მათ ქვეყანაში ევროპელი ქალების გამოჩენა.** მათ ყველაფერი აოცებდათ: ჩინელებისთვის წარმოუდგენელი ფაშფაშა ფორმები, დიდი ხელები და ფეხები, „მრავალფერი თვალები" და ასევე მრავალფერი, ტალღისებრი და სწორი თმები. **თავზარს სცემდა მათი თავისუფალი ქცევა, რომელიც აღიქმებოდა, როგორც უსირცხვილობა და სექსუალური გამოწვევა. თეთრი რასის ქალების უზნეობის დადასტურებად მიიჩნევდნენ, აგრეთვე, მათ ხმამაღალ სიცილს და ქმრებისა და ცოლების ჩვეულებას, შეხვედრისას რომ აკოცებდნენ ერთმანეთს. ასეთი რამ ჩინელებისთვის დასაშვები მხოლოდ საძინებელ ოთახში იყო.**



ჩინელი ქალისთვის იდეალურად ითვლებოდა ტერფის ძირის ზომა სამი დუიმი. ფეხების დაბინტვის ჩვეულება იმ მიზნით, რათა ტერფს რკალის ფორმა მიეღო და ასეთი ციცქნა ზომისა გამხდარიყო, ტანის დინასტიის დროიდან მოდიოდა და, ერთ-ერთი გადმოცემით, მის წარმოშობას მიაწერენ იმპერატორ ლი იუნს (937-968). იმპერატორმა ბრძანა, დაემზადებინათ მისი საყვარელი ცოლისთვის — იანიანისთვის ექვსი ფუტის სიმაღლის ოქროს ყვავილი, რომლის ფურცლებზეც მას უნდა ეცეკვა. ამის გაკეთება კი მხოლოდ თითის წვერებზე დგომით შეიძლებოდა. ცოლმა აბრეშუმის ლენტი ისე შემოიხვია ტერფებზე, რომ ისინი ნახევარმთვარეს დაემსგავსა. მეორე ლეგენდით, ერთ-ერთმა ხელმწიფემ გასცა განკარგულება დაემზადებინათ ოქროს ლოტოსები, დაეწყოთ მიწაზე და თავის საყვარელ ხარჭას უბრძანა გაევლო ყვავილის ამ რიგზე. როცა იგი მიდიოდა, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ თითოეული მისი ნაბიჯი ყვავილებს აჩენდა.

**ფეხების დაბინტვის ჩვეულება არ ვრცელდებოდა გოგონებზე გლეხების ოჯახიდან. მათ დიდფეხებებს უწოდებდნენ. ეს მეტსახელი XX საუკუნის დასაწყისამდე შერჩათ. ფეხს რკალისებრი ფორმა რომ მიეღო, ჩინელ გოგონებს პატარაობიდანვე ფეხის თითებს ტერფებისკენ მოუხრიდნენ და ბინტით მაგრად შეუკრავდნენ. ზოგჯერ მდიდარი ჩინელების ცოლებსა და გოგონებს იმდენად პატარა ტერფები ჰქონდათ, რომ მათ დამოუკიდებლად სიარული თითქმის არ შეეძლოთ. სამაგიეროდ ასეთ ფეხებს უწოდებდნენ ან ლოტოსებს, ან შროშანებს.** „ისინი ჰგვანან ლერწამს, რომელსაც ქარი არხევს", — ასე აფასებდნენ ქალების ამ სისუსტეს. **„ოქროსლილებიანი" ქალები ადგილიდან ადგილზე გადაჰყავდა ორთვალათი, ან ტახტრევანით, ან ძლიერ მოსამსახურე ქალებს — ბავშვებივით ზურგზე მოკიდებულები.**

ევროპელები ქალების ფეხების დამახინჯებას განიხილავდნენ, როგორც სადიზმს, რადგან დაბინტვა ფიზიკურ ტანჯვს იწვევდა. თუმცა ამის გამართლება შეიძლება მოარული დებულებით, რომ სილამაზე, მოდა მოითხოვს მსხვერპლს, ყველა ქალი ამ მსხვერპლს თავისი ნებით გაიღებდა. საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ როცა 1664 წელს მანჯურიის ქალებს აუკრძალეს ფეხების დამახინჯება, ისინი საშინლად აღშფოთდნენ. **ჭეშმარიტად სავალალო შედეგი „ფეხებდაბორკილი" ქალებისთვის იყო ის, რომ მათ აღარ შეეძლოთ სიამოვნება მიეღოთ ცეკვით, ფარიკაობით, ფიზიკური ვარჯიშით, რასაც უწინ მათ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ცეკვის ხელოვნება ჩინეთის საზღვარს იქით გადავიდა — კორეასა და იაპონიაში. ჩინეთში კი დაივიწყეს.**

## ქარისა და მტვრის ქალები

ჩინელების უმრავლესობას — საშუალოდ შეძლებულებს — შესაძლებლობა არ ჰქონდათ, ჰყოლოდათ ხარჭები. მაგრამ მამაკაცები ცდილობდნენ, მიეღოთ სიამოვნება, უპირველეს ყოვლისა, სექსუალური. ამან გამოიწვია ქალების ისეთი ფენის წარმოქმნა, რომელთა ჩასახლება საკუთარ სახლში სულაც არ იყო აუცილებელი. ასე გაჩნდა ქალების ახალი კატეგორია — მეძავები „სიხარულის სახლში", და ჩინელებმაც დაიწყეს „სიარული პატარა სუს კვალზე". პატარა სუ V საუკუნის ცნობილი ჰეტერაა, რომელსაც არაერთხელ უმღერეს პოეტებმა. ქალაქ ხარჯოუში დღემდე შემორჩენილია მისი საფლავი.

ჩინელების ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება პოეტური სახელების შერქმევის უნარია. გასართობ დაწესებულებებზეც ეროვნული სულისკვეთების წარწერებს აკეთებდნენ: „მთები და ზღვა", „გასაფურჩქნი ყვავილის ▶

**«კამასუტრა» საინტერესოა არა მხოლოდ იმიტომ, რომ აქ დეტალურად არის გადმოცემული რჩევები სექსუალური ურთიერთობის, არამედ იმიტომაც, რომ აღწერილია ძველი ინდოელების ყოველდღიური სექსუალური ცხოვრების ნიუანსები**

# ინდოელთა შეხედულებით, ქორწინება ცალკეული პიროვნებების — ქალისა და კაცის ერთარსებად ქცევის აქტია. ამ შემთხვევაში ქალი თავისი ქმრის განუყოფელი ნაწილია. ქალს მხოლოდ ერთი ქმარი უნდა ჰყოლოდა. მამაკაცებს კი ნება ეძლეოდათ, ჰყოლოდათ რამდენიმე „განუყოფელი ნაწილი“. პოლიგამიური ქორწინება უძველესი დროიდან არის მოხსენიებული.

ჰაჰ, დროები...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ტაძარი“, მეძავებს კი უნაზესი სახელით მოიხსენიებდნენ — „დამჭკნარი ყვავილი“ ან „ქარისა და მტვრის ქალები“, რადგან მქროლავ ქარს შეეძლო ნებისმიერ კუთხეში მიეხვეტა ისინი. **ზღვისპირა რეგიონებში ფუნქციონირებდა მცურავი ბორდელები — ჯონკები, სამპანები ან სხვა „მცურავი საშუალებები“, რომლებსაც მოიხსენიებდნენ საერთო სახელით „ყვავილის ნავები“, ხოლო იქ „მომუშავე“ ქალებს — „ზეციური წყლის შრომანებად“. ამ გემებისა და ნავების ნაწილი მდიდრულად იყო გაწყობილი და მცურავ სასახლეებს ჰგავდა, სხვები — უბრალო სამპანები ტილოს შირმებით იყო შემორკალური.**

**ბორდელების დარაბები უმეტესად ცისფერი ან მწვანე იყო. ამიტომ მათ ზოგჯერ „მწვანე ფანჩატურებს“ უწოდებდნენ ან „ცისფერ სავანეს“. „სავანეში“ მისვლა დროსტარების შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა. „სიყვარულის ქურუმი ქალების“ პროფესიას ყველანი პატივისცემით ეკიდებოდნენ.**

კურტიზანი ქალების როლი სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვაგვარი, უმეტესად სოციალური იყო. ეს ქალები მნიშვნელოვან ადგილს იკავებდნენ საშუალო და უმაღლესი ფენის ყოველდღიურ ცხოვრებაში. სხვა თუ არაფერი, ისინი აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდნენ სამადლობელო ტრადიციული პროცედურისას, როცა ჩინოვნიკი თუ ვაჭარი რესტორანში დაპატიჟებდა თავის კეთილისმყოფელს, მეგობრებს, ართობდა მათ. რესტორნებში კი სუსტი სქესის წარმომადგენლები შეიძლება მხოლოდ მსუბუქი ქცევის ქალები ყოფილიყვნენ.

**ცინის დინასტიის მიერ დადგენილი წესით, იმპერატორის ახალგაზრდა ცოლს 5 წლის განმავლობაში იმპერიისთვის ტახტის მემკვიდრე უნდა ეშვა. თუ ბერწი აღმოჩნდებოდა, მის ქმარს მოჰყავდა მეორე ცოლი, რომელსაც შეურჩევდნენ ხარჭებს შორის.** ამ ქალს უნდა ჰყოლოდა ვაჟი. თვითონ ხარჭა კი პირველი ან მეორე რანგისა უნდა ყოფილიყო. მეორე ცოლი მეორე პლანზე იდგა, რადგან პირველი, ტრადიციის მიხედვით, პირველობდა. ზეცის შვილის (იმპერატორის) გარდაცვალების შემდეგ მის ცოლებს ეკრძალებოდათ გათხოვება ან თავიანთ ოჯახებში დაბრუნება. ხარჭები იმპერატორის კარზე რჩებოდნენ 25 წლის ასაკის მიღწევამდე, შემდეგ კი, თუ შვილები არ ჰყავდათ, სასახლიდან აძევებდნენ.

**წიგნში „ჰარამხანების იდუმალი ცხოვრება“, რომლის ადაპტირებულ თარგმანსაც ჩვენს მკითხველებს წარვუდგენთ, გადმოცემულია არაერთი ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ მიაღწიეს უბრალო ხარჭებმა ძალაუფლების უმაღლეს მწვერვალებს და, ამასთან, იქცნენ მიზეზად მთელი დინასტიების დაღუპვის.**

**მათ შორის უპირველესი იყო უ ჩჟაო, რომელიც ბოლოს და ბოლოს იმპერატორის მოვალეობის შემსრულებელი გახდა. ეს ქალი ტუალეტში მოსამსახურე ხარჭიდან უზარმაზარი იმპერიის მმართველამდე აღზევდა. იგი გარდაიცვალა 705 წელს 81 წლის ასაკში.**

## ინდოეთის თავისებურებანი

**ინდუიზმს „ცხოვრების სამი მიზანი“ — მოვალეობა, სარგებელი, სიყვარული — უმთავრეს და ძირითად პრინციპებად მიაჩნია. მიუხედავად იმისა, რომ ამ სამთაგან ბოლო ადგილზე იდგა სიყვარული, სქესობრივი სიამტკბილობა ყველა კანონიერ სიამოვნებაზე მაღლა იდგა.**

**ბრახმანებიც კი — რელიგიის ასკეტი მსახურნი — უარს არ ამბობდნენ ფიზიკურ სიყვარულზე.**

ინდოელები დარწმუნებულები იყვნენ, რომ შობადობის საწყისის გარეშე ვერ წარმოიქმნებოდა სამყარო, ვერ იარსებებდა ფლორა და ფაუნა.

სიყვარულის ხელოვნებას ეძღვნებოდა უძველესი შრომები, კერძოდ, ვატსიიანის „კამასუტრა“. ეს ტრაქტატი აფორიზმების ფორმითაა დაწერილი. ინდოელი ფილოსოფოსები სქესობრივ კავშირში ვერაფერ სამარცხვინოს ვერ ხედავდნენ. მათი აზრით, ეს აქტი არის ანალოგი სამყაროს დაბადების მატერიისა და ენერგიის კოსმიური შეკავშირების გზით და ამიტომ უაღრესად საინტერესო შესასწავლია.

**ინდოელთა შეხედულებით, ქორწინება ცალკეული პიროვნებების — ქალისა და კაცის ერთარსებად ქცევის აქტია. ამ შემთხვევაში ქალი თავისი ქმრის განუყოფელი ნაწილია. ქალს მხოლოდ ერთი ქმარი უნდა ჰყოლოდა. მამაკაცებს კი ნება ეძლეოდათ, ჰყოლოდათ რამდენიმე „განუყოფელი ნაწილი“. პოლიგამიური ქორწინება უძველესი დროიდან არის მოხსენიებული.**

უკვე ნახსენები „კამასუტრა“ არის წიგნი იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მიიღოს სიამოვნება ორივე მხარემ სასიყვარულო თამაშებისგან, რომლებიც, თავის მხრივ, უაღრესად ზუსტად ჰქონდათ კლასიფიცირებული (მაგალითად, კოცნა 16 სახეობად აქვთ დაყოფილი). ზოგიერთ რეკომენდაციას თანამედროვე ფსიქოლოგები უეჭველად დაუჭერენ მხარს. მაგალითად, **„კამასუტრას“ მიხედვით, ახალგაზრდა ქმარმა არ უნდა უარყოს თავშეკავების პრინციპი მანამდე, სანამ პატარძლის ნდობას არ მოიპოვებს — „მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია მიუახლოვდეს მას... რადგან ქალები ყვავილებივით ნაზი არსებები არიან და ურჩევნიათ, რომ ისინი სინაზით დაიპყრონ“.**

**„კამასუტრა“ მთელ ქვეყანაში გამოყენებული იყო, როგორც სახელმძღვანელო წიგნი სიყვარულისა.** ამასთან „კამასუტრა“ საინტერესოა არა მხოლოდ იმიტომ, რომ აქ დეტალურად არის გადმოცემული რჩევები სექსუალური ურთიერთობის, არამედ იმიტომაც, რომ აღწერილია ძველი ინდოელების ყოველდღიური სექსუალური ცხოვრების ნიუანსები, მათი უნარი ამ აქტიდან მიეღოთ სულიერი და ფიზიკური სიამოვნება.

**ჰარამხანები შეძლებულ მმართველებს ჰქონდათ. მათი ცოლებისა და ხარჭების რაოდენობა შეზღუდული არ იყო: ისინი იმდენი შეიძლებოდა ჰყოლოდათ, რამდენის გამოკვებასაც შეძლებდნენ, რადგან „ქალები შთამომავლობისთვის ჰყავთ“.** თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მრავალცოლიანობა რეალურად გავრცელებული არ ყოფილა, რადგან ცოტა ვინმეს თუ შეეძლო რამდენიმე ცოლისა და ხარჭის შენახვა. დიდებულებს ჰყავდათ ხარჭები — ტყვე ქალები, რომლებიც მათ საკუთრებაში გადაეცემოდათ, როგორც სამხედრო ალაფის შემადგენელი ნაწილი. ასეთი ქალებისგან შობილი შვილები, ჩანს, კანონიერ ნაშიერებად იყვნენ მიჩნეულნი, რადგან **ინდოეთის ყველაზე პატივსაცემ ბრძენთა შორის იყვნენ მონაქალების შვილებიც.**



**პოლიგამიურ ოჯახში მთავარი უფროსი ცოლი იყო. იგი საოჯახო წეს-ჩვეულებებში იღებდა მონაწილეობას, რომლებიც ოჯახის პატრონთან ერთად იმართებოდა. სამეფო რიტუალებში კი მონაწილეობდა მისი 4 ცოლი**

**პოლიგამიურ ოჯახში მთავარი უფროსი ცოლი იყო. იგი საოჯახო წეს-ჩვეულებებში იღებდა მონაწილეობას, რომლებიც ოჯახის პატრონთან ერთად იმართებოდა. სამეფო რიტუალებში კი მონაწილეობდა მისი 4 ცოლი.**

ჰარამხანის ქალებს ეკრძალებოდათ თავიანთი სურვილისემებრ გალავანს გარეთ გასვლა, მაგრამ მათთან სტუმრობა ისე გართულებული არ იყო, როგორც მუსლიმთა ქვეყნებში. **ინდურ ჰარამხანებს იცავდნენ ხანდაზმული მამაკაცები, „რომელთა დამოკიდებულება ხორციელ სიამეთა სურვილისგან კარგად იყო შემოწმებული“, და შეიარაღებული ქალები. ადამიანებისა და ცხოველების კასტრაცია ინდოეთში დაგმობილი იყო და, აქედან გამომდინარე, საჭურისების ინსტიტუტი ამ ქვეყანაში არ არსებობდა.** თუმცა ასეთებს ჰომოსექსუალურ თამაშებში მაინც იყენებდნენ, მაგრამ, ჩვეულებრივ, ეროტიკული ცხოვრება ძველ ინდოეთში ჰეტეროსექსუალური იყო.

**ორივე სქესის ჰომოსექსუალიზმი „კანონთა წიგნში“ დაგმობილი იყო. ამ თვალსაზრისით ძველი ინდოეთი განსხვავდებოდა უმრავლეს უძველეს ცივილიზაციათაგან.**

განსხვავებული იყო სილამაზის იდეალის კრიტერიუმებიც. უძველესი დროიდან ინდოეთში თვლიდნენ, რომ ქალის სილამაზე თავმოყრილია მის ფაშფაშა, მსუქან სხეულში, რომლის მოცულობითი ფორმები არის სიმბოლო ჯანმრთელობის, სიმდიდრისა და მაძღარი ცხოვრების და, რაც მთავარია, ადასტურებს დედობის უნარს.

მამაკაცს ქალი შეიძლება ბევრი ჰყოლოდა, მაგრამ ეს არ გამორიცხავდა მათი საგულდაგულო შერჩევის აუცილებლობას. ზოგიერთი რეკომენდაცია აუცილებელი ხასიათისა იყო, სხვები — სასურველი, საერთო ხასიათის.

სპეციალურ ნაწარმოებებში სასიძოს ბევრ რამეს ურჩევდნენ: შერჩეული საპატარძლო კარგი ოჯახიდან უნდა ყოფილიყო, გარეგნობით — ლამაზი, ჯანმრთელი, მხიარული ხასიათის, კარგი თმებით, ფრჩხილებით, კბილებით, ყურებით. რეკომენდებული არ იყო კოჭლი, თავმოტვლეპილი, არასასიამოვნო სახელის და უამრავი სხვა ნაკლოვანების მქონე ქალის შერთვა. **არ ურჩევდნენ ცეცხლოვანი მწითური ქალების ცოლად მოყვანასაც, რადგან ისინი ალქაჯებად ითვლებოდნენ, ქალღმერთ კალის მხლებლებად, რომლებიც ჩვეულებრივ მოკვდავთა შორის ირჩევდნენ საყვარლებს, კლავდნენ მათ და მსხვერპლად შეწირავდნენ შავ დურგას, რომელსაც ჩვეულებრივ ათხელასა და იარაღით აღჭურვილს, ლომზე ან ვეფხვზე ამხედრებულს წარმოსახავდნენ.**

ძველინდური კანონებით, გრძელი კისერი ღალატისკენ მიდრეკილებად აღიქმებოდა, ცისფერი თვალები კი ბოროტების ნიშანი იყო („კატის თვალები“).

**მამაკაცურ ძალას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ, მის გასაძლიერებლად სპეციალურ ტრაქტატებს მიმართავდნენ, სადაც ამ აქტუალურ თემას უმთავრესი ყურადღება ექცეოდა.**

პოტენციის დაკარგვას ორგანიზმის საერთო მდგომარეობისთვის უაღრესად საშიშ სიმპტომად აღიქვამდნენ. ამის თავიდან ასაცილებლად სამედიცინო ტრაქტატებში ხაზგასმით იყო მითითებული, რომ ნებისმიერი სექსუალური ზედმეტობა დამანგრეველია, ზომიერება კი აუცილებელია და სასარგებლო.

პოლიგამია, რომელიც გავრცელებული იყო მდიდარ ინდოელთა შორის და ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა, შეიძლება იშვიათად, მაგრამ მაინც არსებობდა შეუღლების საპირისპირო ფორმის — **პოლინადრიის** პარალელურად. ეს უკანასკნელი დაგმობილი იყო პატივდებული საზოგადოების უმრავლესობის მიერ, რადგან **„ძმამ ძმის ცოლი რომ შეირთოს, უდიდეს ცოდვას ჩაიდენს“.** მიუხედავად ამისა, იგი დღესაც კი ფართოდ არის გავრცელებული ინდოეთის მთის მონგოლოიდურ ტომებში. მრავალქმრიანობა ცნობილია დეკანის ზოგიერთ უმდაბლეს კასტებს შორისაც, რასაც ინგლისური ლიტერატურა ადასტურებს. **პოლიანდრიის კლასიკური მაგალითი მოცემულია „მაჰარამჰატაში“, რომლის გმირებს, ხუთ ძმა პანდავებს, ერთი ცოლი, დხაუპადი, ჰყავთ. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ მრავალქმრიანობა ნაშთია უძველესი დროს, როცა ქვეყნად მატრიარქატი სუფევდა.**



**ორივე სქესის ჰომოსექსუალიზმი «კანონთა წიგნში» დაგმობილი იყო. ამ თვალსაზრისით ძველი ინდოეთი განსხვავდებოდა უმრავლეს უძველეს ცივილიზაციათაგან**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ ცდის პირი მოითხოვდა ექსპერიმენტის შეჩერებას, ექსპერიმენტატორი მას ეუბნებოდა: გთხოვ, გააგრძელე, ექსპერიმენტი გაგრძელებას ითხოვს, აუცილებელია, რომ გააგრძელო; სხვა შანსი არ გაქვს, უნდა გააგრძელო. თუ ამ ოთხი მითითების შემდეგ ცდის პირი მაინც მოითხოვდა ექსპერიმენტის შეჩერებას, იგი წყდებოდა. ორმოციდან მხოლოდ თოთხმეტმა შეწყვიტა ექპერიმენტი მოსწავლისთვის 450-ვოლტიანი დენის დარტყმის შემდეგ, ხოლო სამას ვოლტამდე შეწყვეტის სურვილიც კი არ ყოფილა.**

# ყველაზე არაეთიკური ფსიქოლოგიური ექსპერიმენტები



## მონსტრების სკოლა

**„მონსტრების სკოლა“ იყო ექსპერიმენტი, რომელიც აიოვას შტატის ქალაქ დევენპორტში 1939 წელს ჩატარდა ოცდაორ ობოლ ბავშვზე. უენდელ ჯონსონმა, აიოვას უნივერსიტეტიდან, რომელიც უძღვებოდა ექსპერიმენტს, შეარჩია ერთ-ერთი თავისი სტუდენტი — მერი ტუდორი, რომელსაც დაევალა ცდის წარმართვა. თვით ჯონსონი კი კვლევას შორიდან აკვირდებოდა.**

ბავშვების ექსპერიმენტულ ჯგუფებში განაწილების შემდეგ ტუდორი ერთ ნაწილს დადებითად ესაუბრა, აღნიშნავდა, თუ როგორ კარგად საუბრობდნენ ისინი, ხოლო მეორე ნაწილი, პირიქით, საშინლად გააკრიტიკა საუბრის მანერის გამო, ენაბლუებს უწოდებდა მათ. შედეგად, მეორე ჯგუფის იმ ბავშვებს, რომლებიც მანამდე სრულიად ნორმალურად საუბრობდნენ, ექსპერიმენტის შედეგად უარყოფითი ზეგავლენის გამო ცხოვრების ბოლომდე შემორჩათ პრობლემები საუბრის მანერასთან დაკავშირებით.

ჯონსონის თანამედროვეებმა კვლევის გამო შეშფოთება ვერ დამალეს და მას „მონსტრების სკოლა“ უწოდეს. თვით ექსპერიმენტი ძალიან დიდხანს იყო გასაიდუმლოებული, რომ ჯონსონის რეპუტაციას ზიანი არ მისდგომოდა. 2001 წელს აიოვას უნივერსიტეტმა საჯაროდ მოიხადა ბოდიში.



## სტენფორდის ციხის ექსპერიმენტი

**ეს ექსპერიმენტი, თავისთავად, არცთუ ისე არაეთიკურია, თუმცა მისი შედეგი დამღუპველი აღმოჩნდა. ამიტომაც მოხვდა იგი ამ სიის მერვე ადგილზე.**

ცნობილმა ფსიქოლოგმა ფილიპ ზიმბარდომ ჩაატარა ექსპერიმენტი, რომელიც გულისხმობდა ინდივიდების ქცევაზე დაკვირვებას, როდესაც ისინი ირგებდნენ ციხის ზედამხედველის ან პატიმრის როლს.

„პატიმრები“ განგებ მოათავსეს ისეთ პირობებში, რომელსაც, წესით, პიროვნების დათრგუნვა, დეპრესია, ფსიქიკური აშლილობა უნდა გამოეწვია. „დაცვას“ წინასწარ არანაირი მითითება არ მისცემია, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ამა თუ იმ სიტუაციაში, თუმცა, მიუხედავად ამისა, როცა საქმე საქმეზე მიდგა, მათ პრობლემა არ შექმნიათ.

ექსპერიმენტის მეორე დღეს ციხეში აჯანყება დაიწყო, რომელსაც „მცველების“ მკაცრი რეაქცია მოჰყვა. იმ წუთიდან საქმე უარესობისკენ დაიძრა.

მცველებმა გამოიყენეს თავიანთი პრივილეგია, დაეშალათ აჯანყებულთა ჯგუფები და მათ შორის უნდობლობა გამოეწვიათ. ირწმუნეს რა, რომ მათი მთავარი მიზანი აჯანყების ჩახშობა იყო, ისინი არანაირ ძალადობას არ ერიდებოდნენ პატიმრების მიმართ,. მათ შორის ფიზიკურ შეურაცხყოფასაც. „პატიმრები“ კი დეპრესიაში ჩავარდნენ, დაემართათ ფსიქიკური აშლილობა და უძლურების შეგრძნება დაეუფლათ. ამ დროის განმავლობაში მათ ციხის კაპელანები სტუმრობდნენ, რომლებიც თავიანთ თავს სახელების ნაცვლად ნომრებით აცნობდნენ და ეკითხებოდნენ, თუ როგორ გეგმავდნენ ისინი ციხიდან თავის დაღწევას. „პატიმრები“ კი აბსოლუტურად შეცბუნებულნი იყვნენ. მათ ბოლომდე გაითავისეს თავიანთი როლი.

ზიმბარდომ ექსპერიმენტი ხუთ დღეში შეწყვიტა, მიხვდა რა, თუ როგრი რეალური გახდა „ციხე“ ცდის პირებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ექსპერიმენტმა ძალიან ცოტა ხანს გასტანა, მან ნათლად აჩვენა, თუ როგორ შეიძლება ადამიანმა დაკარგოს კონტროლი საკუთრ თავზე.



## მილიგრიმის სკოლა

**„მილიგრიმის სკოლა“ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფსიქოლოგიური ექსპერიმენტია. სტენლი მილიგრიმს, იელის უნივერსიტეტის სოციალურ ფსიქოლოგს, უნდოდა, გამოეკვლია ავტორიტეტებისადმი მორჩილება. მან ჩაატარა ექსპერიმენტი, რომელშიც შედიოდნენ „მასწავლებლები“ — ჩვეულებრივი მოხალისეები, და „მოსწავლე“, რომელიც დაქირავებული მსახიობი იყო. მოსწავლესაც და მასწავლებელსაც უთხრეს, რომ ეს იყო ტესტი მეხსიერებაზე.**

მასწავლებელსაც და მოსწავლესაც, როგორც ეუბნებოდნენ, შემთხვევითობის პრინციპით ეძლეოდათ ბარათები. სინამდვილეში კი ორივე იღებდა იმ ბარათს, რომელსაც მასწავლებელი კითხულობდა. მსახიობი მასწავლებლის მოსატყუებლად თამაშობდა, თითქოს მან მოსწავლის ბარათი მიიღო. ცდის პირებს ერთმანეთისგან იზოლირებულად სხვადასხვა ოთახში ათავსებდნენ. მასწავლებელი კითხულობდა რამდენიმე სიტყვას ოთხი სავარაუდო პასუხით და, თუ მოსწავლე არასწორად უპასუხებდა, დენს ურტყამდა. დენის ძალა ყოველ არასწორ პასუხზე იზრდებოდა, ხოლო სწორ პასუხზე მასწავლებელი „მშვიდობიანად“ გადადიოდა შემდეგ შეკითხვაზე.

სინამდვილეში არანაირი ელექტროშოკი არ არსებობდა. უბრალოდ, აუდიოფირზე ყვირილი იყო ჩაწერილი და მასწავლებლის მიერ მოსწავლისთვის ყოველ დენის დარტყმაზე მეორდებოდა. როდესაც დენის ძალა ძალიან იზრდებოდა, მსახიობი (მოსწავლე) კედელს აწყდებოდა და მასწავლებელს შეჩერებას სთხოვდა. ყველაფერი კი იმით მთავრდებოდა, რომ რაღაც მომენტში ყვირილი წყდებოდა და სიჩუმე ისადგურებდა. ამ დროს ძალიან ბევრ მასწავლებელს საშინელი მწუხარების გრძნობა ეუფლებოდა და ექსპერიმენტის შეჩერებას ითხოვდა, მაგრამ ძალიან ბევრი ამით კიდევ უფრო მხნევდებოდა და აგრძელებდა დენის დარტყმას, თუმცა ამბობდა, რომ შედეგებზე პასუხს არ აგებდა.

თუ ცდის პირი მოითხოვდა ექსპერიმენტის შეჩერებას, ექსპერიმენტატორი მას ეუბნებოდა: გთხოვ, გააგრძელე, ექსპერიმენტი გაგრძელებას ითხოვს, აუცილებელია, რომ გააგრძელო; სხვა შანსი არ გაქვს, უნდა გააგრძელო. თუ ამ ოთხი მითითების შემდეგ ცდის პირი მაინც მოითხოვდა ექსპერიმენტის შეჩერებას, იგი წყდებოდა. ორმოციდან მხოლოდ თოთხმეტმა შეწყვიტა ექპერიმენტი მოსწავლისთვის 450-ვოლტიანი დენის დარტყმის შემდეგ, ხოლო სამას ვოლტამდე შეწყვეტის სურვილიც კი არ ყოფილა (შეგახსენებთ, ადამიანის მოსაკლავად 220 ვოლტი სრულიად საკმარისია).



## წამლების გამოცდა მაიმუნებზე

ექსპერიმენტების ცხოველებზე ჩატარება, მართალია, ძალიან სასარგებლოა ადამიანთა შესაცნობად და სასიცოცხლო მნიშვნელობის წამლების შესაქმნელად, მაგრამ ზოგიერთი ექსპერიმენტი ეთიკის ფარგლებს სცილდება. 1969 წელს წამლების მაიმუნებზე გამოცდა ერთ-ერთი ასეთი არაეთიკური ექსპერიმენტია: მაიმუნებისა და ვირთხების ჯგუფს ასწავლიდნენ, დამოუკიდებლად მიეღოთ ისეთი წამლები, როგორიცაა მორფინი, ალკოჰოლი, კოდეინი, კოკაინი და ამფიტამინები. როდესაც ცხოველები ამ „ხელოვნებას“ დაეუფლებოდნენ, მათ თითოეული წამლის მოზრდილ პორციასთან მარტო ტოვებდნენ.

ცხოველები იმდენად დაზაფრულები იყვნენ (რაც მოსალოდნელი იყო) და ისე გულმოდგინედ ცდილობდნენ გაქცევას, რომ ამ პროცესში კიდურებსაც კი იმტვრევდნენ. მაიმუნებს, რომლებიც კოკაინს იღებდნენ, კრუნჩხვები ემართებოდათ, ზოგ შემთხვევაში საკუთარ თითებს იგლეჯდნენ (შეიძლება ჰალუცინაციების გამოც). ერთ-ერთმა მაიმუნმა, რომელმაც ამფეტამინები მიიღო, მთლიანად დაიგლიჯა ბეწვი თათებსა და მუცელზე, ხოლო კოკაინისა და მორფინის ერთად მიღებიდან ორ კვირაში ცხოველები იხოცებოდნენ.

კვლევის მიზანი ერთი იყო: გაეგოთ ნარკოტიკზე დამოკიდებულების ეფექტი.



## დევიდ რეიმერი

**1965 წელს კანადაში დაიბადა ბავშვი, სახელად დევიდ რეიმერი. რვა თვის ასაკში იგი ჩვეულებრივ წინადაცვეთის პროცედურაზე მიიყვანეს.** პროცედურის დროს ექიმებს საშინელი შეცდომა მოუვიდათ და ჩვილის საზარდული დაეწვათ. ეს იმის ბრალი იყო, რომ მათ წინადაცვეთისთვის ჩვეულებრივი სკალპელის ნაცვლად ელექტრო დანა გამოიყენეს. როდესაც მშობლები ფსიქოლოგ ჯონ მანისთან მივიდნენ რჩევის საკითხავად, მან პრობლემის მარტივი გადაწყვეტა, ბავშვისთვის სქესის შეცვლა ურჩია. მშობლები ძალიან დაბნეულები იყვნენ მომხდარის შემდეგ, მაგრამ საბოლოოდ მაინც დათანხმდნენ პროცედურის ჩატარებაზე. მათ არ იცოდნენ, რომ ფსიქოლოგის ნამდვილი მიზანი იყო დაემტკიცებინა, რომ ადამიანის სქესზე მოქმედებს გარემო და არა ბუნება. საკუთარი ეგოისტური მიზნის გამო ფსიქოლოგმა დევიდი საცდელ ობიექტად აქცია.

დევიდს, ახლა უკვე ბრენდას, ხელოვნური ვაგინა განუვითარეს და ჰორმონები ასვეს. დოქტორი მანი ექსპერიმენტს წარმატებულად მიიჩნევდა და უგულებელყოფდა ქირურგიული ჩარევის უარყოფით შედეგებს. ბრენდა იქცეოდა, როგორც ჩვეულებრივი ბიჭი. ყველაზე უარესი ის იყო, რომ მშობლებმა მას არ აცნობეს ჩვილობისას მომხდარ ინციდენტზე, რამაც ოჯახში საკმაოდ ძლიერი რყევა გამოიწვია. დედა სუიციდისადმი მიდრეკილი იყო, მამა ალკოჰოლიკი, ძმა კი — საშინლად დეპრესიული. საბოლოოდ, თოთხმეტი წლის ასაკში ოჯახმა უთხრა მას მისი ნამდვილი სქესის შესახებ. ბრენდამ ისევ დევიდად გადაქცევა გადაწყვიტა, ჰორმონების მიღებას თავი დაანება და პირველადი სქესი აღიდგინა. დოქტორი მანი კი ისევ წარმატებულს უწოდებდა ექსპერიმენტს და არაფერს ამბობდა დევიდის ტანჯვის შესახებ.



## ფრჩხილების ფესტივალი

**კალიფორნიაში, ქალაქ საკრამენტოში ფრჩხილების დიზაინის ფესტივალი ჩატარდა. დიზაინერებმა უამრავი ექსტრავაგანტული ნამუშევარი წარმოადგინეს.**

ორგანიზატორები აღნიშნავდნენ, რომ ფრჩხილების მოხატვის ასეთი ხერხები ნებისმიერ ქალს ნებისმიერი მამაკაცისთვის დაუვიწყარს გახდის, თუმცა დიზაინერების ექსტრავაგანტულობამ დამთვალიერებლის მოლოდინს აშკარად გადააჭარბა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ლენდისის ექსპერიმენტი სახის გამომეტყველებაზე

**1924 წელს მინესოტის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა კარნი ლენდისმა ჩაატარა ექსპერიმენტი, რათა დაედგინა, იწვევდა თუ არა განსხვავებული ემოციები სახის მხოლოდ ამ ემოციისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ გამომეტყველებას. მიზანი ამ კვლევისა იყო იმის გაგება, ჰქონდათ თუ არა სხვადასხვა ადამიანს ერთი და იმავე ემოციის (მაგ. შოკის, სიძულვილის, ბედნიერებისა და ა.შ.) განცდისას სახის ერთნაირი გამომეტყველება.**

ცდის პირთა უმეტესობა სტუდენტები იყვნენ. ისინი ლაბორატორიაში წაიყვანეს და სახე შავი ზოლებით მოუხატეს, რათა კუნთების მოძრაობა შეესწავლათ. ცდის პირებს აძლევდნენ სხვადასხვა სტიმულიატორს, რათა მათში ძლიერი რეაქცია გამოეწვიათ, ხოლო ყოველ მათ რეაქციას ლენდისი ფოტოზე აღბეჭდავდა. მათ უწევდათ ამიაკის შესუნთქვა, პორნოგრაფიის ყურება და ბაყაყებით სავსე ვედროში ხელის ჩაყოფა, მაგრამ დავა ამ ექსპერიმენტის ირგვლივ მისმა ფინალურმა ტესტმა გამოიწვია.

ცდის პირებს უჩვენებდნენ ცოცხალ ვირთხებს და ეუბნებოდნენ, მათთვის თავი მოეჭრათ. მიუხედავად იმისა, რომ ეს საქმე ყველას ეზიზღებოდა, სტუდენტთა ერთმა მესამედმა მაინც მოკლა ცხოველი. სიტუაციას განსაკუთრებით ამძაფრებდა ის, რომ ვირთხის მკვლელმა ცდის პირთა უმეტესობამ არ იცოდა, როგორ გაეკეთებინა ეს საქმე „ჰუმანურად“ და ცხოველებს საშინელი წამების გადატანა უწევდათ. ხოლო მათ მაგიერ, ვინც უარი თქვა ვირთხისთვის თავის მოჭრაზე, ამ საქმეს თვით ლენდისი აკეთებდა.

მართალია, ამ ცდამ ვერ გაამართლა ვარაუდი, რომ ადამიანებს ერთნაირი ემოციების განცდისას სახის ერთნაირი გამომეტყველება აქვთ, სამაგიეროდ აჩვენა, რომ მათ შეუძლიათ ყველანაირ საზიზღრობაზე წასვლა, თუ ამას სიტუაცია მოითხოვს.



## პატარა ალბერტი

**ჯონ უოტსონი, ბიჰევიორიზმის მამა, ერთ-ერთი იყო, ვინც თავის ექსპერიმენტებში ობლებს იყენებდა. უოტსონს უნდოდა, გაერკვია, შიში თანდაყოლილი რეფლექსი იყო თუ შეძენილი. პატარა ალბერტი — ასე შეარქვეს ობოლ ცხრა თვის ბავშვს, რომელიც უოტსონმა თავისი ექსპერიმენტისთვის შეარჩია. უოტსონი აპირებდა, ორი თვის განმავლობაში ბავშვს დაკვირვებოდა თეთრ კურდღელთან, ვირთხასთან, მაიმუნთან, თმიან და უთმო ნიღბებთან, ცეცხლწაკიდებულ გაზეთთან და ბევრ სხვა მსგავს გამაღიზიანებელთან.**

ექსპერიმენტის დასაწყისში ალბერტი ოთახის შუაგულში, ლეიბზე დასვეს და შორიახლოს ლაბორატორიის ვირთხა მიუშვეს, რომ ბავშვს მასთან ეთამაშა. მას შიში არ გამოუვლენია.

შემდეგ ეტაპზე უოტსონი ბავშვის ვირთხასთან ყოველ შეხებაზე მის ზურგს უკან რკინის მასაზე ჩაქუჩის ძლიერი დარტყმით ხმაურს ტეხდა. ამაზე ბავშვს ეშინოდა და ტირილს იწყებდა. პროცედურის რამდენიმეჯერ გამეორების შემდეგ ბავშვს ვირთხისადმი პანიკური შიში დაეწყო, რადგან მას ძლიერ ხმაურთან აიგივებდა. ვირთხის ყოველ დანახვაზე ალბერტი ტირილს იწყებდა.

შედეგად ბავშვს ყველაფერ თეთრსა და ფაფუკზე დაეწყო შიშები. ყველაზე სამწუხარო ნაწილი ამ ექსპერიმენტისა ის იყო, რომ უოტსონმა ვერ მოასწრო ალბერტის შიშების განეიტრალება, სანამ ბავშვს ჰოსპიტალიდან წაიყვანდნენ.



## სიძულვილის პროექტი

**მეოცე საუკუნის 70-80-იან წლებში სამხრეთ აფრიკის აპართეიდის არმიამ აიძულა თეთრკანიანი ლესბოსელი და გეი ჯარისკაცები, გაეკეთებინათ სქესის შეცვლის ოპერაცია და ამისთვის ძალიან ბევრი არაეთიკური სამედიცინო ექსპერიმენტი ჩაატარა, მათ შორის ქიმიური კასტრაცია და ელექტროშოკი.** მიუხედავად იმისა, რომ ზუსტი რიცხვი ცნობილი არაა, აფრიკის აპართეიდის არმიის ქირურგების თქმით, 1971-დან 1989-წლამდე სამხედრო ჰოსპიტლებში 900-მდე ოპერაცია ჩატარდა. ექსპერიმენტი ზეგასაიდუმლოებული პროგრამის ფარგლებში ტარდებოდა და ითვალისწინებდა ჰომოსექსუალიზმის ძირფესვიანად ამოძირკვას.

არმიის ფსიქიატრები, რომლებიც კაპელანების მიერ იყვნენ წაქეზებულები, პირდაპირ ნადირობდნენ ჰომოსექსუალებზე და აღმოჩენისთანავე აგზავნიდნენ მათ არმიის ფსიქიატრიულ ნაწილში, ვურტეკერჰუგტის ჰოსპიტალში, პრეტორიასთან ახლოს. მათ კი, ვინც ვერ „იკურნებოდა“ წამლებით, შოკური და ჰორმონალური თერაპიითა და სხვა რადიკალური „ფსიქოთერაპიული“ გზებით, უტარებდნენ ქიმიურ თერაპიას ან სქესის შეცვლის ოპერაციას.

ჰომოსექსუალი ჯარისკაცების შეურაცხყოფის მხოლოდ რამდენიმე ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტია დღემდე შემორჩენილი ერთი არასწორად გაკეთებული სქესის შეცვლის ოპერაციის ჩათვლით. დღეისთვის ცნობილია, რომ ექსპერიმენტის მსხვერპლთა ძირითადი ნაწილი 16-დან 24-წლამდე თეთრკანიანი მამაკაცები იყვნენ.

დოქტორი აბურეი ლევინი (ექსპერიმენტის ხელმძღვანელი) ახლა ქაგლარის სამედიცინო სკოლის უნივერსტიტეტის პროფესორია.



## სასოწარკვეთის წყარო

**დოქტორი ჰარი ჰარლოუ იყო საკმაოდ უხეში ადამიანი, რომელიც ექსპერიმენტებში უშვერ სიტყვებს იყენებდა. მისი ყველაზე ცნობილი ექსპერიმენტი სოციალურ იზოლაციაზეა, რომელსაც იგი მაიმუნებზე ატარებდა.** ჰარლოუ იყენებდა მაიმუნებს, რომლებიც უკვე იყვნენ დაკავშირებულნი დედასთან და ერთი წლის განმავლობაში გარესამყაროსგან სრულიად მოწყვეტილად ათავსებდა რკინის ვერტიკალურ კამერებში, რათა ეს კავშირები გაეწყვიტა. მაიმუნების უმრავლესობა საკნიდან ფსიქიკურად აშლილი გამოდიოდა და აღარ ჯანსაღდებოდა. ჰარლოუმ დაასკვნა, რომ ყველაზე ბედნიერი ბავშვობაც კი უძლურია დეპრესიის წინაშე. მწერალი დებორა ბლუმი კი ამას ჩვეულებრივ გრძნობის შედეგს უწოდებდა.

გენ საკეტმა, ჰარლოუს ერთ-ერთმა სტუდენტმა, განაცხადა, რომ სჯერა, შეერთებულ შტატებში ცხოველთა თავისუფლების მოძრაობის ჩამოყალიბება სწორედ ჰარლოუს ექსპერიმენტებმა განაპირობა. უილიამ მაისონი, ჰარლოუს კიდევ ერთი სტუდენტი, ამბობს, რომ მისი მასწავლებელი „მიდიოდა იმ წერტილამდე, როცა ძალიან ბევრი ადამიანისთვის ცხადი ხდებოდა, რომ მისი საქმე ბილწავდა ადამიანურ შეგრძნებებს და ნებისმიერი, ვინც ოდნავ მაინც აფასებს სიცოცხლეს, ამას შეურაცმყოფელად მიიღებდა.



## შესწავლილი უძლურება

**1965 წელს ფსიქოლოგებმა — მარკ შელიგმანმა და სტივ მეიერმა ჩაატარეს ექსპერიმენტი:** ძაღლები სამ ჯგუფად დაჰყვეს და დააბეს. პირველი ჯგუფი გარკვეული დროის შემდეგ გაათავისუფლეს, ისე, რომ არანაირი ზიანი არ მიუყენებიათ. მეორე ჯგუფის ძაღლები დააწყვილეს და თითოეული წყვილის ერთ წევრზე ელექტროშოკი გამოიყენეს, რომლის შეწყვეტაც ბერკეტზე დაჭერით იყო შესაძლებელი; მესამე ჯგუფის ძაღლებიც ისევე გაანაწილეს, როგორც მეორე ჯგუფისა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში ელექტროშოკის შეწყვეტა ბერკეტზე დაჭერით შესაძლებელი აღარ იყო. შოკი ალალბედზე მოდიოდა, რამაც მესამე ჯგუფის ძაღლებში „შესწავლილი უძლურების“ შეგრძნება გამოიწვია. საბოლოოდ, ამ ძაღლებს კლინიკური დეპრესია დაუფიქსირდათ.

მოგვიანებით მესამე ჯგუფის ძაღლები მარტოდმარტო ჩასვეს ყუთებში. ისინი ისევ შოკში ჩავარდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მარტივად შეეძლოთ ყუთიდან ამოხტომა და ამ ყველაფრის შეწყვეტა. ეს ძაღლები უბრალოდ დანებდნენ.

## მამაკაცს ცხვირი შუბლზე ეზრდება



**აღმოსავლეთ ჩინეთში, პროვინცია ფუძიანში მდებარე ჰოსპიტალში პაციენტმა, სახელად ხიაოლიანმა, სოციალურ ქსელში ფოტო ატვირთა, რომელზეც ნათლად ჩანს, რომ მას შუბლზე ცხვირი ეზრდება.**

საქმე ის არის, რომ პლასტიკურმა ქირურგებმა ცხვირი შუბლზე ხელოვნურად „გაზარდეს“, მალე კი პაციენტს გადანერგვის ოპერაცია ჩაუტარდება.

22 წლის ხიაოლიანმა ცხვირი ტრანსპორტში ინციდენტის დროს დაიზიანა. ჭრილობაში ინფექცია შეიჭრა და ცხვირმა დეფორმაცია განიცადა.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ბავშვი გისოსებმა იხსნა

**ეს მოხდა ქალაქ დაეში, სახლში მარტო დარჩენილმა ბავშვმა გადაწყვიტა გაეხედა ფანჯრიდან და გაეგო, მოდიოდნენ მისი მშობლები თუ არა. სწორედ ამ მომენტში მას ხელი აუცდა, თავი ვეღარ შეიკავა და რომ არა გისოსები, 24-ე სართულიდან გადავარდებოდა. საბედნიეროდ, გოგონას, მთელი ტანისგან განსხვავებით, გისოსებში თავი არ გაეტია.** ბავშვის ტირილი კარგახანს არავის ესმოდა და ბოლოს, როგორც იქნა, მისმა მეზობელმა ფანჯარაში გაიხედა. დანახულით ჯერ შეშინდა, შემდეგ კი სამაშველო სამსახურს დაურეკა. მაშველებმა ბინის კარი შეამტვრიეს, ზოგი მათგანი მეზობელი ფანჯრიდან გადაძვრა. გისოსები გადაჭრეს და გოგონასაც უშველეს. რაც მთავარია, ეს ყველაფერი ჟურნალისტებს არ გამოეპარათ და სამაშველო ოპერაცია პირდაპირ ეთერში მიმდინარეობდა.




## მილიონიანი შეცდომა

**ქალაქ ცინცინატის მოსახლემ კაზინოს შეცდომის გამო საჩუქრად მილიონი დოლარი მიიღო. მამაკაცი სეხნიაში აერიათ. კაზინოს ადმინისტრაციამ გადახდილი ფულის უკან დაბრუნება არ მოითხოვა და ორივე კევინ ლუისმა მილიონ-მილიონი მიიღო.**

„ეს ჩვენი შეცდომა იყო, ყოველთვის ვცდილობთ ჩვენს სტუმრებს სამართლიანად მოვექცეთ, ამიტომ მილიონი დოლარი ორივე ადამიანმა მიიღო“, — განაცხადა კაზინო Horseshoe-ის ვიცე-პრეზიდენტმა და გენერალურმა მენეჯერმა კევინ კლაინმა.

შეცდომა Horseshoe-ში 10 აგვისტოს ღამეს მოხდა, როდესაც იქ სარეკლამო კონკურსის გამარჯვებული გამოაცხადეს. თვითმარქვია კევინ ლუისი კაზინოში იმყოფებოდა, საკუთარ სახელს გამოეხმაურა და ადმინისტრაციისგან ჩეკი მიიღო. მხოლოდ შემდგომ გაირკვა, რომ ჯილდო სხვა ადამიანს ეკუთვნოდა.

თვითმარქვია და ნამდვილ გამარჯვებულს არა მხოლოდ სახელი და გვარი, არამედ სხვა პირადი მონაცემებიც აერთიანებთ, მათ შორის — ასაკი და ოჯახური მდგომარეობა. გარდა ამისა, ორივე მათგანი Horseshoe-ის ხშირი სტუმარია.

# მალე ასწლეულის ყველაზე მკაფიო კომეტა გამოჩნდება

**ასტრონომები იმედოვნებენ, რომ კომეტა ISON-ის ჩავლა ჩვენს მზესთან მათ დაუვიწყარ სანახაობას წარმოუდგენს. კომეტა IISON-ი გახდება ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო ობიექტი ცის კაბადონზე 2013 წლის შემოდგომაზე. სპიტცერის ობსერვატორიამ, რომელიც ორბიტაზე იმყოფება, უკვე გადასცა მეცნიერებს მისი ფოტოსურათები.**



ნოემბერში კომეტა მზეს საშიშ სიახლოვეზე ჩაუვლის და წარსდგება მთელი თავისი სილამაზით. ნათების ბრწყინვალებით ის მხოლოდ მთვარეს თუ ჩამოუვარდება. კომეტა აღმოაჩინეს არტემ ნოვიჩონკიმ (რუსეთი) და ვიტალი ნევსკიმ (ბელარუსი). ისინი პირველები აკვირდებოდნენ კომეტას 2012 წლის სექტემბერში კისლოვოდსკთან ახლოს მდებარე ობსერვატორიიდან. ამა წლის ნოემბერში კომეტა მზეს 1,2 მლნ. კილომეტრის სიშორეზე მიუახლოვდება. ამ პერიოდში კომეტის სიკაშკაშე და ნათება სავსე მთვარის ნათებას გაუტოლდება. შესაძლებელია, ის გახდეს ასწლეულის ყველაზე მკაფიო კომეტა.

დღეისთვის კომეტა შეუიარაღებელი თვალისთვის უხილავია და მისი დანახვა ტელესკოპის გარეშე შეუძლებელია. მაგრამ სპეციალისტები, დიდი ხანია, მას აკვირდებიან ინფრაწითელი და ოპტიკური ტელესკოპებით. ჰაბლის ტელესკოპმა კომეტის ფოტოსურათები მიიღო ამა წლის გაზაფხულზე, როდესაც იუპიტერის ორბიტაზე იმყოფებოდა. ფოტოებზე ჩანს კომეტის ატმოსფერო, რომელიც ნეიტრალური აირების მოლეკულათა გროვისგან შედგება.

სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ კომეტა ნახშირორჟანგისგან შედგება. შესაძლოა, ის ორთქლდება ყინულოვანი ბირთვიდან მზესთან მიახლოების კვალად. დეკემბერში კომეტა დედამიწას მინიმალურ მანძილზე მიუახლოვდება.

ISON-ი მზეს უფრო ახლოს ჩაუქროლებს, ვიდრე ცნობილმა კომეტამ კოჰოუტეკამ ჩაუქროლა, ამიტომაც ასტრონომებს მისი დათვალიერება დეტალურად შეეძლებათ.

ექსპერტები აცხადებენ, რომ ასეთი კომეტები გვიახლოვდებიან ას წელიწადში ერთხელ. „კომეტები, რომლებიც მზეს უახლოვდებიან, ბევრია, — განმარტავს მაიკ ა'ჰირნი მერილენდის (აშშ) უნივერსიტეტიდან. — კომეტების რაოდენობა, რომლებიც ოორტის ღრუბლიდან პირდაპირ ჩვენკენ მოფრინავენ, ასევე ბევრია. მაგრამ კომეტები, რომელთა შემჩნევა შესაძლებელია მზიდან ექვსი ასტრონომიული ერთეულის მანძილზე, არც ისე ბევრია. ხოლო ერთის, მეორისა და მესამის დამთხვევა უიშვიათესი მოვლენაა“.

ISON-ის სავარაუდო ტრაექტორია მზის ფონზე 26 ნოემბრის 9 საათიდან 30 ნოემბრის 4 საათამდეა. ერთი წერტილი ერთი საათია.

მეცნიერები არ გამორიცხავენ, რომ მზის ახლოს ჩავლისას კომეტა უფრო პატარა ნაწილებად დაიშლება. ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მისი ნაწილები ერთმანეთთან დაკავშირებულია სუსტად და მზე აღგვის მისგან ყველა მფრინავ ნივთიერებას უფრო მალე, ვიდრე დარჩენილი მტვერი შეძლებს გაერთიანებას.

ახლა კი ყველაზე საინტერესო: ყოველივე ამას დააკვირდება სამი ამერიკული აპარატი, რომელიც მზეს სწავლობს (იმ დროისთვის ISON-ი დედამიწიდან დაკვირვების არეალს გასცილდება). კარელ შრეივერი კორპორაციიდან Lockheed-Martin კომეტას მზის უფასო ზონდს უწოდებს, რომელიც მნათობს იმ მანძილზე მიუახლოვდება, რომელზეც ჩვენი ხომალდები ვერც კი იოცნებებენ.



## აშშ-ში ლურჯკანიანი ადამიანი გარდაიცვალა

**მსოფლიოში ცნობილი ლურჯკანიანი ამერიკელი პოლ კარასონი 62 წლის ასაკში გარდაიცვალა. მას პრესაში პაპა სმურფს და ლურჯ ადამიანს ეძახდნენ.**

კარასონი ერთ-ერთ საავადმყოფოში გარდაიცვალა, სადაც წინა კვირაში გულის შეტევით მოხვდა. მამაკაცს პნევმონიის დიაგნოზი, მოგვიანებით კი ინსულტი დაუდგინეს. კარასონის კანი ლურჯი 15 წლის წინ მას შემდეგ გახდა, რაც დერმატიტის სამკურნალოდ კუსტარული წარმოების კოლოიდური ვერცხლის მიღება დაიწყო. შედეგად მამაკაცი არგიროზით (კანის ლორწოვანი გარსისა და სხვადასხვა ორგანოს პიგმენტაცია ვერცხლოვანი პრეპარატების ხანგრძლივი გამოყენების შედეგად) დაავადდა და მისმა კანმა მონაცრისფრო ლურჯი შეფერილობა მიიღო.

პოლ კარასონი მედიის ყურადღების ცენტრში 2008 წელს მოექცა, მას შემდეგ, რაც NBC News-ის ტელეგადაცემაში საკუთარ ავადმყოფობაზე ისაუბრა.

გადაცემაში პოლი მოყვა, რომ, რადგან ადამიანები მის გარეგნობაზე არაადეკვატურად რეაგირებენ, მას საცხოვრებლად ორეგონის შტატიდან კალიფორნიაში გადასვლა მოუხდა, მაგრამ იქაც იგი ზედმეტ ყურადღებას იპყრობდა, ამიტომ საბოლოოდ ჩაკეტილი ცხოვრების წესს მისდევდა.

# საშიში ტრიუკები 2500 მეტრ სიმაღლეზე

**საჰაერო აკრობატი პოლ სტეინერი გადადიოდა პლანერიდან პლანერზე (მსუბუქი თვითმფრინავი) და თან გვიჩვენებდა უნიკალურ ტრიუკებს 2500 მეტრ სიმაღლეზე. პოლი გამოვიდა პლანერის პილოტის კაბინიდან, „გაისეირნა“ ფრთაზე და გადახტა სხვა პლანერის ფრთაზე, რომელიც დაფრინავდა ამ პლანერის ქვემოთ. პოლის ეს აკრობატული ტრიუკი აღიარებულია ყველაზე გასაოცარ და სახიფათო ეფექტურ ილეთად.**












ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ყველაზე ახალგაზრდა პილოტი

**ხუთი წლის ჩინელი ბიჭუნა დუოდუო თვითმფრინავს მართავს. ამ მიღწევას უახლოეს მომავალში გინესის რეკორდების წიგნი განიხილავს და სრულიად შესაძლებელია, რომ ბავშვი ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა პილოტი გახდეს.** საფრენი მანქანის მართვა ბიჭუნამ ბავშვების აღზრდის განსაკუთრებული სისტემის — „არწივის განათლების“ წყალობით შეძლო. სისტემა მისმა მამამ შექმნა. მამა ხუთი წლის დუოდუოს თოვლში ტანსაცმლის გარეშე სირბილს აიძულებდა, ნავის დამოუკიდებლად მართვასა და მთებზე ცოცვას ასწავლიდა. ავტორის თქმით, მისი ექსტრემალური მეთოდიკა გამბედაობაზე, მორალზე, მძაფრ ემოციებსა და ძალაზეა დაფუძნებული. მისი რწმენით, მან ვაჟი დაუნდობელ სამყაროში ცხოვრებისთვის უნდა მოამზადოს. ამ მეთოდიკაში ახალი ნაბიჯი სწორედ მსუბუქი თვითმფრინავის პილოტირება გახდა. ბიჭუნას მშობლებმა გინესის რეკორდების წიგნში ფრენის რეგისტრაციაზე განცხადება უკვე შეიტანეს, მაგრამ დასტური ჯერ არ მიუღიათ.

# უბერებელი გამოგონებები

**გასული საუკუნის 50-იანი წლებში მნიშვნელოვანი გამოგონებები გაკეთდა, რომლებმაც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება შეცვალეს. წარმოგიდგენთ 10 გამოგონებას, რომლითაც დღემდე ვსარგებლობთ.**



## საკრედიტო ბარათები

პირველი საკრედიტო ბარათები 1950 წელს გაჩნდა, როდესაც ნიუ-იორკის რესტორატორებმა ერთობლივად გადაწყვიტეს, Diners Club-ის კლიენტებისთვის ბარათები შემოეღოთ.



## დიეტური გაზიანი სასმელები

ხაიმან კირშმა და მისმა ვაჟმა მორისმა 1952 წელს გამოუშვეს No-Cal Soda-Pop — სასმელი, რომელიც არ შეიცავდა შაქარს. ის განკუთვნილი იყო დიაბეტით დაავადებულთათვის, რომლებიც სამკურნალო კურსს ებრაულ სანატორიუმში გადიოდნენ.

## ბურთულიანი დეოდორანტი (1952)

ამ გამოგონებამდე, კოსმეტიკის მოყვარულები იყენებდნენ დეოდორანტ Everdry-ს. ის სხეულზე ბამბის ტამპონებით უნდა დაგეტანათ. მისი მთავარი ნაკლი ის იყო, რომ დიდხანს არ შრებოდა.





## მიკროტალღური ღუმელი

1954 წელს გამოუშვეს პირველი მიკროტალღური ღუმელის კომერციული მოდელი. მაშინ მისი ფასი ძალიან მაღალი — 2000 დოლარი იყო. მხოლოდ 60-იან წლებში მიკროტალღურების მოდერნიზაციის შემდეგ ეს ნივთი სამზარეულოს ერთ-ერთი მთავარი მოწყობილობა გახდა.



## ულტრაბგერითი გამოკვლევა

1956 წელს გლაზგოში ეს მეთოდი სამედიცინო მიზნებისთვის პირველად გამოიყენეს, თუმცა კლინიკებში ჩვეულებრივ სამედიცინო პრაქტიკად ულტრაბგერითი გამოკვლევა 70-იანი წლებიდან დამკვიდრდა.



## ფერადი ტელევიზორი

ფერადი ტელევიზორების გამოშვება აშშ-ში 1953 წლიდან დაიწყეს. ფერადი გამოსახულების პირველი გადაცემა იყო „ვარდების აღლუმის“ ტრანსლაცია 1954 წელს. თავდაპირველად ფერად ტელევიზიას განსაკუთრებული აჟიოტაჟი არ გამოუწვევია, რადგან მაშინ არ არსებობდა ნორმალური აპარატურა ფერადი გადაცემების გადასაღებად. თითქმის 10 წელი დასჭირდა იმას, რომ ფერად ტელევიზიას მასების გულები დაეპყრო.



## სრიალა კარი

გამოგონება ეკუთვნით დი ჰორტონსა და ლიუ ჰიუიტს.



## ჩასახვის საწინააღმდეგო აბები

ბევრი მიიჩნევს, რომ ჩასახვის საწინააღმდეგო აბების გაჩენა 1960-იან წლების სექსუალურმა რევოლუციამ განაპირობა. თუმცა ისინი 50 იან წლებში გაჩნდა. მათი თავდაპირველი ფუნქცია დარღვევების მკურნალობა იყო. მხოლოდ 1960-იანი წლებიდან დაიწყეს აბების გამოყენება ჩასახვის საწინააღმდეგოდ.



## ჰაერ-ბუშტოვანი ცელოფანი

ეს შესაფუთი მასალა 1957 წელს გაჩნდა.



## უსაფრთხოების ღვედები (1959)

ყველაფერი Volvo 122-ის მოდელიდან დაიწყო, როდესაც კომპანიამ თავისი ახალი გამოგონება მანქანის მოდელისთვის „დააკანონა“. მაშინ ეს გამოგონება მაქსიმალურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა.

# საუკეთესო ლუდი

**კონკურს World Beer Awards-ის ჟიურიმ 2013 წლის საუკეთესო ხარისხის ლუდი გამოავლინა. წელს საუკეთესო ლუდად ჩეხური Primator Weizenbier დასახელდა. მასვე ერგო ჯილდო საუკეთესო ხორბლის ლუდის კატეგორიაში.**

საუკეთესო Lagerbier-ი (დაძველებული ლუდი) ინგლისური Sharp's Cornish Pilsner-ი გახდა, ხოლო საუკეთესო მუქ ლუდად ბელგიური Malheur 12 დასახელდა.

ნომინაციაში Pale Ale (ღია ფერის ლუდი) ლიდერი ფრანგული Maison de Brasseur Thou-ია. ხოლო იაპონურმა Minoh Beer Imperial-მა გაიმარჯვა კატეგორიაში სტაუტი (მუქი ლუდი, რომელიც მოხალული ალაოს, კარამელის ალაოსა და მოხალული ქერის გამოყენებით მზადდება).

ასევე დაჯილდოვდნენ: ბელგიური Lindemans Old Kriek

Cuvლe Renლ (ნომინაცია სოურ ბეერ), იაპონური შებოლილი ლუდი Tazawako Beer Rauch (არომატიზებულებში) და კანადური Le Trou du Diable La Bretteuse Brassin Special (სპეციალური ტექნოლოგიით მოხარშული ლუდი).

ჟიურიმ ლუდის საუკეთესო ეტიკეტიც აირჩია — იგი amerikul Deschutes The Dissident-ზეა.

კომერციული კონკურსი World Beer Awards-ი ბრინატულმა კომპანია Paragraph Publishing-მა 2007 წელს დააარსა და ის ერთადერთი მსგავსი ღონისძიება არ არის. ლუდის ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ კონკურსად მიიჩნევა ასევე International Brewing Awards-ი, რომელიც 1886 წლიდან ტარდება.



# როგორი იქნება ინტერნეტი 2050 წელს?

**გასული 20 წლის განმავლობაში გლობალურმა კომპიუტერულმა ქსელმა უკიდურესად შეცვალა სოციალური, კულტურული და პოლიტიკური ლანდშაფტი. როგორც ევოლუციურმა ანთროპოლოგმა, შემიძლია ვთქვა, რომ კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს კომუნიკაციის საშუალებების დღევანდელი რევოლუციის მსგავსი რამ, ისეთ რამ, რაც ასეთი სისწრაფით და ინტენსივობით განვითარდა. კომუნიკაციის გლობალური საშუალებები ცალკეული ადამიანის და მთელი საზოგადოების ცხოვრების სრული გარდაქმნის შესაძლებლობას ქმნის.**




ინტერნეტის განვითარება შეუქცევადია. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ აღნიშნულ მოვლენას საკმარისი რაოდენობის მეცნიერი არ სწავლობს; კიდევ უფრო ნაკლები მკვლევარი განიხილავს მსოფლიო ქსელს დღევანდელი ტექნოლოგიური ევოლუციის კონტექსტში და არაფერს ამბობს მის განვითარებაზე 21-ე საუკუნეში. როგორი იქნება ინტერნეტი 2050 წელს?

ჩვენს ეპოქაში ინტერნეტი სულ უფრო ინტელექტუალური ხდება. თუკი დასაწყისში, მისი გაჩენისთანავე, ის ჯერ კიდევ ინერტული და არაორგანიზებული იყო, დღეს წარმოუდგენელი აქტიურობით გამოირჩევა, იზიდავს რა მომხმარებელს უამრავი სხვადასხვა შესაძლებლობით. ინტერნეტი მძლავრი სტრუქტურაა, რომლის არსენალშიც არის ჰიპერლინკები, წიკი-ტექნოლოგიები, მძლავრი საძიებო სისტემები. გარდა ამისა, გთავაზობთ აშკარა ფაქტებს:

**1) ყოველწლიურად, კაცობრიობა ინტერნეტში სულ უფრო მეტ ინფორმაციას ათავსებს;**

**2) ყოველწლიურად ინტერნეტს სულ უფრო აქტიურად მოიხმარენ;**

**3) ყოველწლიურად ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი იზრდება.**

ის, თუ რა შედეგი შეიძლება მივიღოთ ზოგიერთი ამ ტენდენციიდან, ჩემთვის ცხადია: **საბოლოო ჯამში, ინტერნეტში ასე თუ ისე თავს მოიყრის მთელი ინფორმაცია მომხმარებლებზე, თანაც მომავალში ამ მონაცემების ნაწილი გადავა რაღაც პრინციპულად ახალ მატარებლებზე, რომლებიც ჯერ შექმნილი არ არის.**

დროსთან ერთად, მონაცემთა გადაცემა ამა თუ იმ დოზით მოხდება ინტერნეტის გზით, ხოლო ქსელთან ხელმისაწვდომობის მოწყობილობები კიდევ უფრო მინიატურული გახდება და უფრო მჭიდროდ მიებმება მომხმარებელს — **გახდება თუ არა ის ადამიანის სხეულის ნაწილი ჩვენს საუკუნეშივე? არცთუ ისე შორია იმ დღემდე, როდესაც მობილური „გაჯეტების“ რევოლუციის შემდეგ მოხდება ადამიანის სხეულში ინტეგრირებულ მოწყობილობათა რევოლუცია.**

ნებისმიერი მომხმარებელი, მისი ადგილსამყოფელის მიუხედავად, ინტერნეტში შესვლას შეძლებს ისეთი სისტემების საშუალებით, როგორიცაა, მაგალითად, პროექტი Google Loon. ბოლოს და ბოლოს, პლანეტის შვიდი მილიარდი (შემდეგ რვა და ცხრა) მცხოვრებიდან ყველა შეძლებს ურთიერთობას ინტერნეტის გზით, ჩაიძირება რა ადამიანის მიერ შექმნილ დღემდე არარსებულ სხვადასხვა ციფრულ სამყაროში. **მომხმარებლები შეძლებენ ინფორმაციის ერთობლივად გამოყენებას, კომენტარების გაკეთებას, „მოწონებას“, ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების ჩატარებას, მიმოწერას, „ტვიტების“ გაცვლას.**

წარმოიდგინეთ, ინტერნეტი საყოველთაო მოვლენა გახდება. ერთი რამ ცხადია: **მე-20 საუკუნისგან განსხვავებით, 21-ე საუკუნე იქნება აბსოლუტურად განსხვავებული, რაც პირველ რიგში უკავშირდება სწორედ ინტერნეტის გაჩენას და მისი პოზიციის განმტკიცებას კომუნიკაციის საშუალებებს შორის, რაც კაცობრიობის აზრის თავმოყრის შესაძლებლობას ქმნის.**

დღევანდელი ინტერნეტრევოლუცია საოცარ შესაძლებლობებს გვაძლევს. ჯერ ერთი, ის აყალიბებს გლობალურ კულტურას, რომელიც ვერაფრით წარმოიქმნა კაცობრიობის 20-ათასწლიანი ევოლუციური განვითარების განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები დედამიწის თითქმის ყველა უკაცრიელ ადგილას დასახლდნენ, თუმცა უკვე 21-ე საუკუნეში სწრაფად მოქმედ კომუნიკაციებს თავისუფლად შეუძლია ჭეშმარიტად გლობალური კულტურის ჩამოყალიბება.

მეორეც, **ინტერნეტი შლის საზღვრებს 21-ე და მე-20 საუკუნეებს შორის. გაუძლებს კი ჩვენი პლანეტის ნაციონალურ-ტერიტორიული მოწყობა მსოფლიო ქსელის ზეწოლას? როგორც ჩანს, არა. რაც უფრო მეტი ადამიანი ხდება დამოკიდებული ინტერნეტზე და, რაც უფრო ღრმად აღწევს ის ადამიანის ცხოვრებაში, მით უფრო ნაკლები იქნება ეროვნულ სახელმწიფოზე დამოკიდებულება.** პლანეტა დედამიწის ცნობილი ფოტო „ლურჯი მარმარილო“ გიჩენს განცდას, რომ **ყველა ჩვენგანი ნელნელა ჩვენი პლანეტის მოქალაქე ხდება. და მსოფლიო ქსელი გვეხმარება ამ იდეის რეალიზებაში.**

მაგრამ შეგვიძლია გავიგოთ ის, თუ როგორი გახდება ინტერნეტი შორეულ მომავალში? ზოგიერთი ტენდენცია, რომლის შესახებაც ზემოთ გიამბეთ, როგორც ჩანს, თავს იჩენს ამ საუკუნის 20-იან ან 30-იან წლებში. მაგრამ **როგორი იქნება ინტერნეტი 2050 წელს? თუკი ჩვენ ამ კითხვაზე სწორ პასუხს მივიღებთ, შევძლებთ კი იმას, რომ უკვე დღესვე გონივრულად დავგეგმოთ ჩვენი კარიერა და ცხოვრება? შეიძლება თუ არა კომუნიკაციის დღევანდელი და წარსული საშუალებების შედარება?**

ვფიქრობ, რომ ბოლო ორ შეკითხვაზე პასუხი დადებითია. მათზე პასუხის მისაღებად თანამშრომლობა დავიწყე Global Brain Institute-თან. თუკი მკითხველს მეტის გაგება მოუნდება ჩემი მუშაობის შესახებ ან დახმარების სურვილი გაუჩნდება, შეუძლია დამიკავშირდეს Microryza-ზე ან „ტვიტერზე“.

**ქეიდელ ლასთი**
**SCIENTIFIC AMERICAN**

## უცნობი პუტინი




არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა“ გამოსცა წიგნი „უცნობი პუტინი“. წიგნში მოთხრობილია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პირადი ცხოვრების და სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობებზე მუშაობის დროს მის მიერ განხორციელებული პროექტების, ქვეყნის გაძლიერებისკენ მიმართული ღონისძიებების, აგრეთვე, ბოლო ათი წლის განმავლობაში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ცალკეული მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ.

ვლადიმერ პუტინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წიგნის შეძენა შეგიძლიათ „ბიბლუსის“ და „ბესტსელერის“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, წიგნების მაღაზია „სამშობლოში“.

## ძვლის პრობლემები

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრული ართრიტის, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე ზედმეტი წონის კორექცია თვეში 5-დან 15 კგ-მდე ჯანმრთელობისთვის უვნებლად, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება, მადის რეგულირება, ცხიმების აქტიური წვა, მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით — მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით.

**ტელ. 218-46-08 (ოფისი)**
**555-62-09-01 ექიმი ქალბატონი მეგი**

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისაგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**

## 11 ოქტომბერს წმინდა სინოდის სხდომა გაიმართება

**საპატრიარქოში 11 ოქტომბერს წმინდა სინოდის მორიგი სხდომა გაიმართება. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ პატრიარქის ქორეპისკოპოსმა, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორე ჭუაძემ განუცხადა. მისივე თქმით, წმინდა სინოდის სხდომაზე განსახილველი საკითხები წინასწარ უცნობია.**

„წმინდა სინოდის სხდომაზე რა საკითხები იქნება განხილული წინასწარ არავინ არასდროს არ იცის“, — განაცხადა მეუფემ.

მღვდელმთავრის განმარტებით, სხდომა ტრადიციულად, 12.00 საათზე დაიწყება. ჩვეულებრივ, წმინდა სინოდის სხდომა გაზაფხულზე და შემოდგომაზე იმართება. სხდომა წელს უკვე მეორედ ტარდება. ბოლო სხდომა 23 აპრილს გაიმართა.

წმინდა სინოდის სხდომებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, ილია II ხელმძღვანელობს.

## მედიის თავისუფლების ხარისხით აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებს შორის საქართველო პირველ ადგილზეა

**მეორე ადგილზეა მოლდოვა, შემდეგ — სომხეთი, უკრაინა და აზერბაიჯანი, ბოლო ადგილზე კი — ბელარუსი.**

კვლევა „მედიის თავისუფლების ინდექსი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ ევროკავშირის დაფინანსებით განხორციელდა და მისი შედეგები კიშინიოვში გამართულ საჯარო საზოგადოების ფორუმზე „მედიის საფრთხეები აღმოსავლეთ პარტნიორობის ზონაში“ გამოქვეყნდა.

კვლევით, რომელიც მიმდინარე წლის მარტი-ივნისის პერიოდს მოიცავს, გაზომილია მხოლოდ გამოხატვის თავისუფლების დონე და ის არ აფასებს ჟურნალისტიკის ხარისხს პარტნიორ ქვეყნებში.

შეფასების კრიტერიუმებია: პოლიტიკური კონტექსტი (კონსტიტუციით მინიჭებული მედიის თავისუფლებისა და უფლებების დონე); არსებული პრაქტიკა (მედიის თავისუფლების შეზღუდვა), მათ შორის, თავდასხმები, დაკავებები, გამოძიებები, ინფორმაციაზე წვდომის კუთხით ცენზურა და თვითცენზურა; წვდომა მაუწყებლობაზე; წვდომა ინტერნეტზე.

პროექტი უკრაინის „ინტერნიუსმა“ სხვა პარტნიორი ქვეყნების წამყვან მედიაარასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით განახორციელა.

სიმაღლეში მომატება!

გაქვთ კომპლექსი სიდაბლის გამო?

დაიწყეთ ახლავე!



574 47 39 04
0790 30 94 35

საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894